



ახალი უმაღლესი სასწავლებელი
NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

დიპლომატია და საგარეო

ISSN 2449-2655

№ 1 (2016)

International Scientific Journal

Diplomacy and Law



გამომცემლობა „უნივერსალი“

საქართველო, თბილისი 2016

Georgia, Tbilisi 2016

UDC (უაკ) 327+341.7

ჟურნალ „ლიპლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო:

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გარდაფხაძე – სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დავით გეფერიძე – სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი

სარედაქციო საბჭოს წევრები:

გორ დერციანი – სამართლის დოქტორი, პროფესორი, „მხითარ გომის“ სახელობის სომხეთის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი;

კახი ყურაშვილი – სამართლის დოქტორი, პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;

ანა ანტჩაკ-ბარზანი – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა და მენეჯმენტის ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე;

ანატოლი ფრანცუზი – სამართლის დოქტორი, პროფესორი, კიევის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის დისციპლინების კათედრის გამგე;

სერგი კაპანაძე – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ავთანდილ ხაზალია – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ანნა მარუაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

ქეთევან ჯიჯეიშვილი – პოლიტიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი;

მანანა ნანიტაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;

ლალი გარდაფხაძე – განათლების დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი.

ქართული ენის რედაქტორი – ვალერი კვანტრიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ინგლისური ენის თარგმანი – მარინე დონგუზაშვილი, დოქტორანტი

ISSN 2449-2655

© ახალი უმაღლესი სასწავლებელი, 2016 წელი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



UDC (ჯაკ) 327+341.7

Editorial Board of the journal *Diplomacy and Law*

Editor-in-Chief

Tamar Gardapkhadze – Doctor of Law, Professor, Academician of the Georgian Academy of Social Sciences, Rector of New Higher Education Institute

Deputy Editor-in-Chief

David Geperidze – Doctor of Law, Associate Professor, Academician of the Georgian Academy of Law Sciences, Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

Editorial Board Members

Gor Derdzian – Doctor of Law, Professor, Vice Rector of Armenian-Russian International University “Mkhitar Gosh”

Kakhi Qurashvili – Doctor of Law, Professor, Vice Rector of Tbilisi Humanitarian Teaching University

Anna Antczak – Barzan: Doctor of Philosophy, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw

Anatoli Francuz – Doctor of Law, Professor, Head of the Department of Law at Kiev University of Economics and Law

Sergi Kapanadze – Doctor of International Relations, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Avtandil Khazalia – Doctor of Law, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Professor at Sokhumi State University

Anna Maruashvili – Doctor of Economics, Professor, Vice Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

Ketevan Jijeishvili – Doctor of Politics, Head of the program of International Relations of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

Manana Nanitashvili – Doctor of Economics, Head of the program of Business Administration at New Higher Education Institute

Lali Gardapkhadze – Doctor of Education, Professor at New Higher Education Institute

Georgian language Editor – Valeri Kvantrishvili, Doctor of Philology

English language Translation – Marine Donguzashvili, Doctoral Student

ISSN 2449-2655

© New Higher Education Institute, 2016

Publishing House “UNIVERSAL”, 2016

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

აკრძალულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და სამართალი“ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება სარედაქციო საბჭოს წერილობითი ნებართვის და წყაროს მითითების გარეშე.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პოზიციას ან პოლიტიკას.



დამფუძნებელი – ახალი უმაღლესი სასწავლებელი newuni.edu.ge

თანადამფუძნებლები:

ვარშავის ფინანსებისა და მართვის უნივერსიტეტი vizja.pl

საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია sua.ge

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია intlaw.ge

Founder – New Higher Education Insitute newuni.edu.ge

Co-founders:

University of Finance and Management of Warsaw vizja.pl

Asociation of Georgian Universitits sua.ge

Asociation of International Law intlaw.ge



სარჩევნი

სამართლის მიმართულება

თამარ გარდაფხაძე, მანანა ზუბიაშვილი 9
 საბიუჯეტო დაწესებულებების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაფინანსების თავისებურებები
Tamar Gardapkhadze, Manana Zubiashvili
Legal grounds of budgetary institutions and their funding features

მალხაზ ლომსაძე 16
 ძარცვისამსრულებლობა და ძარცვაში თანამონაწილეობა
Malkhaz Lomsadze
Robbery perpetration and robbery complicity

დავით გეფერიძე 24
 2010 წლის საჰაერო სამართლის პეკინის საერთაშორისო კონფერენციაზე განსაზღვრული სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე ტენდენციები
David Geperidze
Modern trends of international legal regulation in the fight against unlawful interference in Civil Aviation activities, defined at the Beijing International Conference on Air Law, 2010

ავთანდილ ხაზალია, სალომე შენგელია 34
 ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები
Avtandil Khazalya, Salome Shengelia
Legal problems in the utilization of the executive means of the Administrative Act

ქეთევან კვინიკაძე 40
 სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში
Ketevan Kvinikadze
To reduce the penalty by the court as a “Judicial Intervention” in the principle of contractual freedom

რატი გარდაფხაძე49

დაკითხვა, როგორც საგამოძიებო მოქმედება

Rati Gardapkhadze

Interrogation as an investigation activity

ია ხარაზი57

დელიქტების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

Ia Kharazi

Legal aspects of tort

სოციალური მეცნიერებების მიმართულება

Anna Antczak 72

Attractiveness of international university programs for students from developing countries –

Polish research report

ანა ანტჩაკ-ბარზანი

პოლონეთის საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებისადმი დაინტერესების ხელშეწყობა განვითარებად ქვეყნებში – პოლონური კვლევის ანგარიში

სოფო ჩქოფოია83

ტერორიზმი – სახელმწიფოთა უმრავლესობის პრობლემა

Sopo Chkopoia

Terrorism – a problem for the most of states

თამარა ტარტარაშვილი89

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობის

სამართლებრივი ასპექტები

Tamara Tartarashvili

Legal aspects of ethnic minorities in Georgia

გიორგი ღვალაძე94

მასობრივი კულტურის ასპექტები

Giorgi Gvaladze

Aspects of the mass culture

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება

Maia Chania	100
<i>The role of small business in economic development on the example of Georgia</i>	
მაია ჭანია	
<i>მცირე ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოს მაგალითზე</i>	
ნაზი გვარამია	104
<i>აუდიტის სტრატეგიული მიზნები და რისკების მართვა</i>	
Nazi Gvaramia	
<i>Strategic objectives of the audit and risk management</i>	
მანანა ალადაშვილი	110
<i>ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების სეზონურობა და მისი გახანგრძლივების გზები საქართველოში</i>	
Manana Aladashvili	
<i>Seasonality of the tourist market functioning and prolongation in Georgia</i>	
მაია გელაშვილი	115
<i>საბიუჯეტო სახსრების ათვისების პრობლემა</i>	
Maia Gelashvili	
<i>The problem of the utilization of the budgetary funds</i>	
ნინო მაზიაშვილი	119
<i>ტეთერისეული ეკონომიკური დერეგულაცია ფინანსურ და შრომით ბაზარზე</i>	
Nino Maziashvili	
<i>Thatcher's economic deregulation of financial and labor markets</i>	
ლელა ზუბიაშვილი	125
<i>ადამიანური რესურსების გამოყენების მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკაში</i>	
Lela Zubiashvili	
<i>The situation of utilizing human resources in Georgian economy</i>	
მანანა ზუბიაშვილი, ლელა ზუბიაშვილი	130
<i>ადამიანური რესურსების გამოყენება საქართველოს სამენარმეო ბიზნესში</i>	
Manana Zubiashvili, Lela Zubiashvili	
<i>The utilization of human resources in an Entrepreneurial Business in Georgia</i>	

ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი 135

კორპორაციების ოპერატიული მართვა და მათი აქტივები

Natia Bedukadze-Mamatsashvili

Operational management of corporations and their assets

განათლების მიმართულება

მარინე დონგუზაშვილი..... 140

კულტურათათმორისი დიალოგი და პროქსემიკა ინგლისური ენის სწავლებაში

Marine Donguzashvili

Importance of Culture Dialogue in the process of teaching English

ნინო ჭითანავა 146

ავტონომიურობის ხარისხი ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში,
როგორც სისტემის დეცენტრალიზაციის მთავარი პრინციპი.

Nino Chitanava

The degree of autonomy of educational institutions, as a main principle of a system of decentralization



სამართლის ვიქსიკონი

თამარ გარდაფხაძე

სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

მანანა ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

საბიუჯეტო დანებსა და შემოსულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაფინანსების თავისებურებები

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად სახაზინო (საბიუჯეტო) დანებსა და შემოსულებს არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანებსა და შემოსულებს, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება [თავი I, მუხლი 2, პუნქტი 1].

იდენტურ განმარტებას ვკითხულობთ საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებშიც. საბიუჯეტო ორგანიზაცია – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული და მის მიმართ ანგარიშვალდებული, მისი კონტროლისა და დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია [თავი I, მუხლი 6, პუნქტი „ს“]. საბიუჯეტო ორგანიზაციად ითვლება მხარჯავი დანებსა და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებას და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების თანახმად [საგადასახადო კოდექსი, მუხლი 31].

ამავე დროს, ზემოაღნიშნული კანონმდებლობები არ განსაზღვრავენ და არც შეუძლიათ განსაზღვრონ დანებსა და შემოსულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი, ე.ი. მისი სამართლებრივი მდგომარეობა ადმინისტრაციულ სამართალურ თეორიებში.

სახელმწიფო დანებსა და შემოსულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი დღეისათვის კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული. კერძოდ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული სახელმწიფო დანებსა და შემოსულების ცნება, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტისა, არ არის დარეგულირებული სახელმწიფო დანებსა და შემოსულების ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობების სამართლებრივი

საფუძვლები. მაგალითად, დღეს კანონმდებლობაში არ არის ურთიერთობების სამართლებრივი სქემები საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროს და ამ სამინისტროს სისტემაში შემავალი სამედიცინო დაწესებულებებს შორის. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მეცნიერებაში არ არის შემუშავებული სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის თეორია, არ არის განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისადმი შესაძლო მიდგომები.

სახელმწიფო დაწესებულებების უმეტესობა იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, ისინი მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან და აქტიურები არიან. შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს განისაზღვროს სახელმწიფო დაწესებულებების ადგილი და როლი ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაშიც და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაშიც.

სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი სახელმწიფო კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ განვსაზღვროთ სახელმწიფო დაწესებულებების ზოგადი ცნება, როგორც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების სუბიექტისა და როგორც სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებისა.

უნინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში სახელმწიფო დაწესებულებები არ იდენტიფიცირდებიან სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან. ჩვენი აზრით, ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების სუბიექტების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ-კულტურული და არაკომერციული ხასიათის სხვა ფუნქციებს, არამედ ორგანიზაციებიც, რომლებიც ახორციელებენ მმართველობით ფუნქციებს, ე.ი. თავისი არსით მართვის საჯარო ფუნქციებს. საჯარო მართვის ფუნქციების შესრულება შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებმა და თვითმმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა.

როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზმა გვიჩვენა, რომელიც განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების სისტემას და სტრუქტურას, სახელმწიფო დაწესებულებები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ერთად არიან ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების დამოუკიდებელი სპეციალური სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ გარკვეულ საჯაროდ მნიშვნელოვან ფუნქციებს და ზოგ შემთხვევაში მინიჭებული აქვთ მბრძანებლურ-საჯარო უფლებამოსილება. ადმინისტრაციული სამართლის ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნებოდა სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, როგორც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების სუბიექტისაგან, ამ ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფო ორგანოების გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ამ შენიშვნის გათვალისწინებით შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფო დაწესებულებების, როგორც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების სუბიექტის ზოგადი ცნება.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო დაწესებულებების, როგორც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების სუბიექტის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო ორგანო, მოქმედებს აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ სახელმწიფო სისტემაში, არის ამ ორგანოს გამგებლობაში ან მასთან კოორდინაციაში და უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ სახელმწიფო ფუნქციებს.

შესაბამის ლიტერატურაში არ არის ერთიანი მიდგომა ორგანიზაციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის არსისა და ელემენტების განსაზღვრის შესახებ. რუსი მეცნიერის პ. ი.

კონონოვის აზრით, იურიდიული პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის სტრუქტურაში საჭიროა ჩაირთოს საერთო და სპეციალური უფლებები, მოვალეობები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროში იურიდიული პირების საერთო და სპეციალური უფლებები, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობების ღონისძიებების შეზღუდვები, რომლებსაც გამოიყენებენ იურიდიული პირების მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროში კანონდარღვევის შემთხვევებში.

ბ. ნ. ბახრახი სახელმწიფო კოლექტიური სუბიექტების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სტატუსში გამოყოფს შემდეგ ბლოკებს:

ა) მიზნობრივი: მიზნები, ამოცანები, ორგანიზაციის საქმიანობის ფუნქციები;

ბ) სტრუქტურულ-ორგანიზაციული: წარმოქმნის წესი, ლეგალიზაცია, რეორგანიზაცია, ორგანიზაციის ლიკვიდაცია, მისი დაქვემდებარებულობა: საქმის საქვეყნებლობა და ორგანიზაციის მბრძანებლური უფლებამოსილება.

მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებისა, არის ორგანიზაციის სამართლებრივი მიდგომა ადმინისტრაციულ-სამართალურთიერთობებში. ორგანიზაციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის ანალიზი წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა ადგილი და როლი უკავია ამ ორგანიზაციას ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში, როგორ იურიდიულ კავშირებში იმყოფება ეს ორგანიზაცია სხვებთან. ზოგადმნიშვნელოვანი ფუნქციების შემსრულებელი დაწესებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის სტრუქტურაში უნდა ჩაირთოს შემდეგი ძირითადი ელემენტები:

- სახელმწიფო დაწესებულების ადგილი აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების კონკრეტულ ორგანოსადმი დაქვემდებარება;

- სახელმწიფო დაწესებულების საქმიანობის სფერო;

- მისი შექმნისა და საქმიანობის მიზნები;

- საჯარო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ევალება სახელმწიფო დაწესებულებას;

- სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შესასრულებელი საჯარო ფუნქციები;

- საქმიანობის შესაბამის სფეროში მისი ადმინისტრაციული უფლებები;

- საქმიანობის შესაბამის სფეროში მისი ადმინისტრაციული მოვალეობები;

- სახელმწიფო დაწესებულებების საჯარო იურიდიული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფარგლებში მის მიერ სამართალდარღვევებზე.

სახელმწიფო დაწესებულებების ორგანიზაციისა და საქმიანობის ამ მნიშვნელოვანი პარამეტრების საშუალებით შესაძლებელია საკმაოდ სწორად და სრულად განისაზღვროს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების, როგორც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობების ობიექტის სამართლებრივი სტატუსი.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება ორგანიზაციის მიკუთვნება საბიუჯეტო ორგანიზაციებზე არის ის, რომ ისინი შექმნილნი არიან არაკომერციული ხასიათის ფუნქციების შესასრულებლად. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებასთან ერთად საბიუჯეტო დაწესებულებების შემოსავლები შეიძლება მიიღონ სამენარმეო საქმიანობიდან.

მოქმედმა კანონმდებლობამ, კერძოდ, საქართველოს სამენარმეო კანონმა დაამტკიცა სამენარმეო საქმიანობის იურიდიული ხასიათი, განსაზღვრა მისი არსებობის დამოუკიდებლობა, რისკი, მოგების სისტემატიურად ამოღება. სამენარმეო საქმიანობის ლეგალური განსაზღვრება მოი-

ცავს მის მეოთხე ნიშანსაც – პირთა რეგისტრაციის აუცილებლობა, რომლებიც დასაქმებულნი არიან ასეთი საქმიანობით დადგენილი კანონიერების წესით, მაგრამ ეს ნიშანი არ არის არსებითი, არამედ ასეთ საქმიანობას მხოლოდ კანონიერ სტატუსს ანიჭებს, მის ლეგალიზებას ახდენს.

ამასთან დაკავშირებით, სამენარმეო კანონში ჩანერილი სამენარმეო საქმიანობის სამართლებრივი ცნება საკმაოდ გარკვეულად ასახავს იურიდიულ არსს, საბაზრო ურთიერთობების შინაარსს, რომელსაც ახორციელებენ სისტემატიურად, პროფესიონალურად, მოგების არაერთგზის ამოღების მიზნით. ამასთან, მოგება განიხილება, როგორც შემოსავლების მეტობა ხარჯებთან შედარებით.

უკანასკნელ წლებში საბიუჯეტო დანესებულებების სამენარმეო საქმიანობა საკმაოდ ფართოდ განვითარდა, ამას მოჰყვება ბიუჯეტში დამატებითი საგადასახადო შემოსულობები, დანესებულებებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ თანამედროვე მოწყობილობა, მედიკამენტები და განათლების მიზნებისათვის აუცილებელი დახმარებები, გადანყვიტონ მრავალი სოციალური საკითხი, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი და მოსახლეობის მომსახურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია [სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25, პუნქტი 5].

როგორც ირკვევა, არაკომერციულ ორგანიზაციებს შეუძლიათ განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ემსახურება იმ მიზნების მიღწევას, რისთვისაც ისინი არიან შექმნილი და შეესაბამება ამ მიზნებს. სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ხარჯვას საბიუჯეტო ორგანიზაციები განახორციელებენ განმკარგულებლის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვით. განმკარგულებელი არის ორგანიზაციის მუშაობაზე და მის ძირითად საწესდებო საქმიანობაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. მაშასადამე, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების ძირითადი ნაწილი რეინვესტირდება ძირითად საწესდებო საქმიანობაში, ანაცვლებს მწირ საბიუჯეტო სახსრებს.

ამგვარად, საბიუჯეტო დანესებულებებს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები საქმიანობის გაფართოებისათვის, სრულყოფისათვის და ნაკლები სარგებლიან პირობებში იმყოფებიან კომერციულ ორგანიზაციებთან შედარებით. როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად მათ ეძლევათ უფლება დასაქმდნენ სამენარმეო საქმიანობით, თუმცა კანონმდებელმა არ განსაზღვრა ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და მის ხარჯზე შექმნილი ქონების სამართლებრივი ბუნება.

საბიუჯეტო დანესებულების აღნიშნული შემოსავლების და აქედან შექმნილი ქონების სამართლებრივად გამაგრება პირველად გამოჩნდა დანესებულების არასაბიუჯეტო სახსრების შესახებ დებულებაში, რომელიც ჩადებული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში. მოცემული დებულებით დასაშვები იყო დანესებულების დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობა ფინანსთა სამინისტროს წყაროდან გაცემული სახსრების შესაბამისად. საბიუჯეტო დანესებულებებს შეეძლოთ გამოიმუშავებული სახსრების ხარჯვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და სპეციალური სახსრების თითოეული სახის მიხედვით შემოსავლების ფაქტიური შემოსულობების ფარგლებში. ხარჯთაღრიცხვაში სპეციალური სახსრების მუხლების გადაადგილება და ერთიმეორეთი შეცვლა

დაუშვებელი იყო. იმ შემთხვევაში, როცა ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული სპეციალური სახსრების შემოსავლების ჯამი აღემატებოდა ხარჯებს, მაშინ მათ შორის განსხვავების თანხები საბიუჯეტო დანესებულებებს უნდა შეეტანათ შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავლებში. ასეთი მკაცრი მოთხოვნები ლიბერალური წესებით შეცვალა ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ, რომლის თანახმადაც, მესაკუთრემ, რომელიც ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას, მიიღო უფლება დამოუკიდებლად განკარგოს ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

ამგვარად, დანესებულება – არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც შექმნილია მესაკუთრის მიერ მმართველობითი, სოციალურ-კულტურული ან სხვადასხვა არაკომერციული ხასიათის ფუნქციების განსახორციელებლად და ფინანსირდება მესაკუთრის მიერ მთლიანად, ან ნაწილობრივ.

აღსანიშნავია, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტების შესაბამისად დანესებულებას ეძლევა უფლება განახორციელოს შემოსავლების მომტანი საქმიანობა, ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და აქედან შეძენილი ქონება გადადის დანესებულების დამოუკიდებლად განკარგვაში და აღირიცხება ბალანსზე.

მეორე მხრივ, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება აღირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით, მათი წარმოშობის წყაროების მიუხედავად [საბიუჯეტო კანონი, თავი 2, მუხლი 7, პუნქტი 7].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბიუჯეტო კოდექსში დაფიქსირებული პოზიცია დასაბუთებულია, რამდენადაც საბიუჯეტო დანესებულების ნებისმიერი შემოსავალი უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციის მესაკუთრის შემოსავლად, ე.ი. დამფუძნებლის შემოსავლად და მთლიანად უნდა იყოს გათვალისწინებული შემოსავლებსა და ხარჯებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო დანესებულებების სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების სამართლებრივი რეჟიმი ძალიან უახლოვდება საკუთრებაზე უფლების რეჟიმს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის თანახმად დანესებულებას არ აქვს უფლება იყოს მის მფლობელობაში არსებული რაიმე ქონების მესაკუთრე.

საბიუჯეტო დანესებულებების სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების რეჟიმს უფრო აქვს არა თეორიული, რამდენადაც პრაქტიკული მნიშვნელობა. იმის მიხედვით, თუ რა რეჟიმი იქნება დადგენილი მოცემულ ქონებაზე და შემოსავლებზე, გადაწყდება დანესებულების პასუხისმგებლობა მის ვალდებულებებზე.

საბიუჯეტო დანესებულებების მიერ სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე და ქონებაზე სამეურნეო წარმოების უფლების რეჟიმის დადგენის შესახებ წინადადებები იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის ობიექტად იქცა. კერძოდ, ი. ვ. ერშოვი აღნიშნავს, რომ მოცემული მიდგომა არასწორია, კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული სამეურნეო წარმოების უფლების სუბიექტური შემადგენლობა და შინაარსი.

ასეთი უფლების სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოები, რომლებიც არა მხოლოდ განკარგავენ, არამედ ფლობენ და სარგებლობენ ქონებით.

როგორც ცნობილია, საბიუჯეტო კოდექსის რიგი დებულებები განსაზღვრავენ საბიუჯეტო დანესებულებების ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების სამართლებრივ რეჟიმს, მკაცრად ზღუდავენ მოცემული სახსრების გამოყენებისა და განკარგვის დამოუკიდებლობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბიუჯეტო კოდექსით საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა შემოსავალი, რომელშიც იგულისხმება: შემოსავალი ბიუჯეტიდან, სამენარმეო საქმიანობის განხორციელებიდან, მათ შორის ფასიანი მომსახურების განევიდან, სხვა შემოსავლები, რომლებიც

მიიღება ბიუჯეტიდან მათზე მიმაგრებული სახელმწიფო საკუთრების გამოყენებიდან ოპერატიული მართვით და სხვადასხვა საქმიანობიდან, ასახული უნდა იყოს მის შემოსავლებსა და ხარჯთაღრიცხვაში. შევნიშნავთ, რომ ამ განსაზღვრებაში საუბარია ხარჯთაღრიცხვაზე, რომელიც ასახვს საბიუჯეტო დანესებულების ყველა შემოსავლებს.

მომქმედი კანონმდებლობა არ მოიცავს ტერმინ „ხარჯთაღრიცხვის“ განმარტებას, თუმცა საბიუჯეტო დანესებულებების ხარჯთაღრიცხვა ძირითადი საგემო დოკუმენტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანესებულებების, არასამეწარმეო სფეროს ორგანიზაციების დასაფინანსებლად იგი განსაზღვრავს მოცემული დანესებულების ყველა ხარჯზე საბიუჯეტო ასიგნებათა კვარტალურად განაწილებას, მიზნობრივ დანიშნულებას და მოცულობას. სხვა ფინანსური გეგმებისაგან განსხვავებით, რომელიც შედგენილია შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის ფორმით, ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხარჯების გეგმას და გამოხატავს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან კავშირის ცალმხრივ ხასიათს.

საბიუჯეტო დანესებულებების ხარჯები განისაზღვრება მათი საქმიანობის ოპერატიულ-საწარმოო მაჩვენებლებიდან, რომლებიც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მაჩვენებლებზე, ხარჯვის ნორმატივებზე. საბიუჯეტო დანესებულებების ხარჯთაღრიცხვაში არ ჩაირთვება გეგმით გაუთვალისწინებელ ღონისძიებებზე დანახარჯები. ხარჯთაღრიცხვაში ხარჯები ჯგუფდება მიზნობრივი დანიშნულებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით, განაყოფებით და პარაგრაფებით. საბიუჯეტო კოდექსში მოცემული საბიუჯეტო დანესებულებების განმარტების მიხედვით, საბიუჯეტო დანესებულების ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს ასეთი დანესებულების არა მხოლოდ ხარჯებს, არამედ შემოსავლებსაც.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საბიუჯეტო დანესებულებები სამეწარმეო საქმიანობიდან და სახელმწიფო საკუთრების გამოყენებიდან მიღებულ სახსრებს გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში. სახელმწიფო ხაზინა ვალდებულია აღნიშნული სახსრები ასახოს საბიუჯეტო დანესებულების პირად ანგარიშზე არა უგვიანეს ერთი დღისა მისი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის მეორე დღიდან. მხოლოდ ამ მომენტიდანაა უფლებამოსილი საბიუჯეტო დანესებულება განკარგოს ეს სახსრები. გამონაკლისს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით უძრავი ქონების შეძენა, რომლის განკარგვა დანესებულებას შეუძლია მესაკუთრის თანხმობით. ამასთან, ცალკე ბალანსზე აღრიცხული შემოსავლები და ამ შემოსავლებით შექმნილი ქონება არ შეიძლება ამოღებულ იქნას დანესებულებიდან ქონების მართვის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი არ გამოიყენებენ მიზნობრივი დანიშნულებით. ამასთან ერთად, ორგანიზაციებს, რომელთა მიმართაც გათვალისწინებულია ქონების გამოყენების სპეციალური უფლება, არ აქვთ უფლება მათი საქმიანობის საგნისა და მიზნის საწინააღმდეგო გარიგება განახორციელონ.

Tamar Gardapkhadze
*Doctor of Law, Professor at
New Higher Education Institute*

Manana Zubiashvili
*Doctor of Economics, Professor
at Georgian Technical University*

Legal grounds of budgetary institutions and their funding features

Abstract

As the analysis of the State Administrative Law has shown, defining the system and structure of authority powers, state institutions together with the enforcement jurisdiction are independent special subjects of administrative local relations and are performing some publicly important functions and in some cases are granted authoritative–public powers. In the literature of Administrative Law it was repeatedly mentioned that state authorities, involved in this relationship should be separated from state institutions, known as the subject of administrative legal relations. Considering this note, general concept of state institution – as the subject of administrative legal relations can be formed.

We suppose that state non-commercial organization is meant behind state institutions – as the subject of administrative legal relations. State non-commercial organization which is not state authority operates in certain state system of executive authority and is in coordination with it, providing financial-economic and social-cultural state functions.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 (2016 წლის მდგომარეობით).
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, თბ., 2009 (2016 წლის მდგომარეობით).
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 1999 (2016 წლის მდგომარეობით).
4. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ თბ., 1994 (2016 წლის მდგომარეობით).
5. Бахрах Д.Н. Административное право России, Учебник, М.: Эксмо, 2006.с.155.

მალხაზ ლომსაძე

სამართლის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ქარცვისამსრულებლობა და ქარცვაში თანამონაწილეობა

ქარცვისამსრულებლობა. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სამი სახის ამსრულებლობას იცნობს: 1) უშუალო ამსრულებლობა, 2) თანაამსრულებლობა, 3) შუალობითი ამსრულებლობა.

უშუალოს უწოდებენ ისეთ ამსრულებელს, რომელიც თვითონ მარტო ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად: სუბიექტი მარტო შედის სხვის ბინაში ქარცვის მიზნით.

ხშირად სუბიექტის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედურ რგოლად ჩართულია ფიზიკური საგანი, ბუნების მოვლენა ან ცხოველი. ამიტომ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, აქ ადამიანის მოქმედება გაშუალებულია ცხოველის მოქმედებით ან ბუნებრივი მოვლენით, მაგრამ აქ ქმედების შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს და ის უშუალო ამსრულებელია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იყო კურიოზული შემთხვევა, როცა ასეთ ქმედებას შუალობითი ამსრულებლობის კვალიფიკაციას აძლევდნენ.¹

შეიძლება გამოვყოთ უშუალო ამსრულებლობის ორი სახე: 1) ერთპიროვნული ამსრულებლობა, როცა მარტო ერთი ადამიანი მოქმედებს და 2) როცა, მართალია, დანაშაულს თანამონაწილენი ჩადიან, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს.

თანაამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. „დანაშაულის ჩადენა“ – ნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას. ამიტომ თანაამსრულებლობა იგივე ამსრულებლობაა. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანაამსრულებელი თანამონაწილისაგან.

ქარცვა წარმოადგენს გამიზნით დელიქტს, რომლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია – სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება.

შესაძლებელია, ქარცვის ორი მონაწილიდან ნივთის მითვისების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს ჰქონდეს, მეორე კი ქარცვის შემადგენლობის წმინდა ობიექტურ მხარეს ასრულებდეს. მიუხედავად ამისა, ქარცვის თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, თუმცა მითვისების მიზანი არა აქვს, მაგრამ იცის, რომ მეორე თანაამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეხმარება მას თავისი მოქმედებით.

თანაამსრულებლად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც ქარცვისას გააუვნებელყოფს დაზარალებუ-

ლის შესაძლო წინააღმდეგობას. მაგალითად: ან-მა ხელები გაუკავა დაზარალებულს, ხოლო ბან-მა ხელჩანთა გასტაცა.

სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობა განზრახი ქმედებაა. ზოგჯერ თანაამსრულებლები მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ წინასწარი შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. აუცილებელია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ისინი ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას ჩადიან.

თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე ორ მომენტს მოიცავს: 1) შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და 2) თანაამსრულებლის მხრიდან იმის ცოდნა, რომ ის სხვა თანაამსრულებელთან ერთად ახორციელებს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას.

შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლობის დროს მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

ისეთ შემთხვევას, როცა სუბიექტმა დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა იმ ადამიანის მეშვეობით შეასრულა, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვადასხვა გარემოების გამო, ან პასუხს აგებს სხვა უმართლობისათვის, შუალობით ამსრულებლობად აკვალიფიცირებენ. ასეთ ადამიანს იურიდიულ ლიტერატურაში „ცოცხალ იარაღს“ უწოდებენ. „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება იყოს:

ა) ის, ვინც უმართლობა ისეთი მოქმედებით შეასრულა, რომელიც ნებელობით აქტს არ წარმოადგენს;

ბ) შერაცხვისუუნარო პირი, რომელმაც უმართლობა შერაცხვისუუნარიანი პირის შეგულიანებით ჩაიდინა;

გ) შერაცხვის უნარის მქონე პირი, თუ იგი შეცდომაში შეიყვანა მეორე პირმა და უმართლობა ჩაადენინა;

დ) ხელქვეითი, რომელმაც უფროსის სავალდებულო ბრძანება შეასრულა, თუ ეს ბრძანება აშკარა დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს.

„ცოცხალ იარაღს“ არ შეეარაცხება ბრალად ეს უმართლობა, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი მისი მეშვეობით ჩადის.

შუალობითი ამსრულებელი ტიპურად წამქეზებლობის ფორმით მოქმედებს. ამიტომ, წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მაშინ, როცა წამქეზებელმა იცის, რომ ის წამქეზებელს დანაშაულის ჩასადენად „ცოცხალ იარაღად“ იყენებს.

შუალობითი ამსრულებელი შეიძლება მარტო მოქმედებდეს და აქეზებდეს ან ეხმარებოდეს „ცოცხალ იარაღს“ შემადგენლობის განხორციელებაში. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შუალობითი ამსრულებლობის სახით ერთდროულად ორი ან მეტი ამსრულებელი ჩადიდეს დანაშაულს.² მაგალითად: ერთი დამნაშავე აქეზებს მცირეწლოვანს დანაშაულის ჩასადენად, მეორე კი ურჩევს, როგორ იმოქმედოს უფრო მოხერხებულად. ამ შემთხვევას შეიძლება ვუწოდოთ დანაშაულის თანაშუალობითი ამსრულებლობა.

შუალობითი ამსრულებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.

ზოგჯერ შუალობითი ამსრულებელი ცდება და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება, სავსებით ვარგისია შესაბამისი დანაშაულის ამსრულებლად. სინამდვილეში უშუალო ამსრულებელი შერაცხვისუუნარო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში წამქეზებელი ან დამხმარე პასუხს აგებენ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის 25-ე მუხლზე მითითებით.

შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის განზრახი მოქმედებაა. განზრახვა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ პირდაპირია.

ძარცვაში თანამონაწილეობა. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობა ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ განსაზღვრების მიხედვით, თანამსრულებლობაც თანამონაწილეობაა.

ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის მონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). მაგრამ, თუ თანამონაწილეობას ფართოდ გავიგებთ, ამსრულებელს ამ შემთხვევაში თანამონაწილედ მოიხსენებენ.

თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად: თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის. თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილედ დამთავრებული დანაშაულის მონაწილეობისათვის დაისჯება.

თანამედროვე სისხლის სამართალი თანამონაწილეობას განზრახ მოქმედებად მიიჩნევს. ყველა თანამონაწილე ერთიანი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. ცნობილია, რომ ობიექტური მხრივ ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან, მაგრამ თანამონაწილის დასჯადობა მარტო მიზეზობრიობას არ შეიძლება ეფუძნებოდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გამართლებული იქნებოდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა, რასაც თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს.

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიან უმართლობას გულისხმობს. ძარცვის დროს საკმარისია, რომ ერთ ამსრულებელს ჰქონდეს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, ხოლო მეორე, რომელსაც ეს მიზანი არ აქვს, ეხმარება თანამსრულებელს ამ მიზნის განხორციელებისათვის. ორივე თანამსრულებელი ერთ უმართლობას — ძარცვას ახორციელებს.

თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

თანამონაწილეობა: ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

ორგანიზატორი დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილეა. თანამონაწილეობის ეს სახე პირველად გაჩნდა 1958 წლის კანონში, საიდანაც სავალდებულო წესით შემოვიდა 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. მანამდე ორგანიზატორი დანაშაულის ამსრულებლად ითვლებოდა. ასევე კვალიფიცირდება ორგანიზატორის მოქმედება დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

ორგანიზატორის საქმიანობა სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოიხატება. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე წინასწარ დაგეგმავს ძარცვას. ორგანიზატორი შეიმუშავებს ძარცვის ჩადენის გეგმას და სხვა მონაწილეებს აუხსნის, როგორ უნდა იმოქმედონ. აქ უბრალოდ რჩევა როდი იგულისხმება, რომელიც ფსიქიკური დამხმარისათვის არის დამახასიათებელი.

ორგანიზატორი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზე არც იმყოფებოდეს. მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზეც იყოს და უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დამნაშავეთა საქმიანობას, თვალ-ყურს ადევნებს მათ მოქმედებას და უთითებდეს, როგორ უნდა მოიქცნენ.

რაც მთავარია, ორგანიზატორმა შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას.

სუბიექტური მხრივ ორგანიზატორის საქმიანობა განზრახვი მოქმედებაა. ორგანიზატორი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, თუმცა ქართულ ლიტერატურაში ორგანიზატორის არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების თეორიასაც დიდი გასაგალი აქვს. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ ორგანიზატორი ძირითადად პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქ იგულისხმება დანაშაულის, რომლის უშუალო მონაწილეც ის არის, მაგრამ თ. წერეთელი არ გამოორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ორგანიზატორი არაპირდაპირი განზრახვითაც მოქმედებს.

„თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, – ამბობს თ. წერეთელი, – იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ.“³³

ძარცვა გამიზნითი დელიქტია და ამიტომ თავისი ბუნებით ის ყოველთვის მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. ეს პრინციპი ვრცელდება არა მარტო ამსრულებელზე, არამედ თანამონაწილეზეც, მათ შორის ორგანიზატორზეც.

თანამონაწილეთა შორის ნამქეზებელი ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. ნაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით ნამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს, მაგრამ კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტი დანაშაულის თანამონაწილეობას გულისხმობს.

ზოგჯერ „სხვისი დაყოლიება“ ისე ესმით, თითქოს, ეს ნიშნავს ამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ არ არის გამოორიცხული, რომ ნამქეზებლობა დანაშაულის დამხმარის ნაქეზებით გამოიხატოს. ესეც სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად, რომელიც შესაბამისად უნდა შეფასდეს. ასევე შეიძლება ორგანიზატორის ნაქეზებაც.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნამქეზებლობის განსხვავებას ინტელექტუალური, ანუ ფსიქიკური დახმარებისაგან. ნამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. ნამქეზებელმა ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტილება უნდა მიადებინოს. ნამქეზებელმა უნდა შეუქმნას ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის „ისეთი ძლიერი მოტივი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადამწყვეტილების მიღებისათვის.“³⁴

ფსიქიკური დამხმარის მოქმედება ნამქეზებლობასთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა. ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტილებას განუმტკიცებს.

ნაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, ნაქეზება ფსიქიკურ მიზეზობრიობას წარმოადგენს.

ნაქეზებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ფსიქიკური საშუალება. ასეთია, მაგალითად: თხოვნა, დარწმუნება, მუქარა, ბრძანება და სხვა.

ზოგჯერ მუქარამ შეიძლება ისეთ ინტენსიობას მიაღწიოს, რომ გამოორიცხოს ამსრულებლის პასუხისმგებლობა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შექმნას.

ნამქეზებელი, მართალია, მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან, მაგრამ ეს როდია მისი დასჯადობის საფუძველი. ნამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ ის ამსრულებელთან ერთად უმართლობას ჩადის. ერთიანი უმართლობა თანამონაწილეობის დროს ნიშნავს იმას, რომ ყველა თანამონაწილე მოქმედებს ერთიანი განზრახვით და ობიექტურად ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

„ერთიანი განზრახვა“ ნიშნავს იმას, რომ ნამქეზებელს (თანამონაწილეს) და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ, მაგალითად, თანამონაწილე მოქმედებს ძარცვის

მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ანდა შეიძლება თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი იმ მიზნით მოქმედებდეს და ეთანხმებოდეს მას.

წამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან. კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისჯება „დანაშაულის პროვოკაცია, ე.ი. სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“

„დანაშაულის პროვოკაცია“ დასჯადია, უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალ-მართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ნაქეზებულმა დაასრულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა.

„რაც მთავარია, დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს ამ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, – აღნიშნავს ო. გამყრელიძე, – რომლისთვისაც წააქეზებს ამსრულებელი, რადგან წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (ნაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის, ე.ი. წამქეზებლის, მოქმედება ხელყოფს ნაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი პასუხისგებაში მისცეს, ხოლო ნაქეზებული, ე.ი. პროვოცირებული ხელყოფს სხვის საკუთრებას.“⁵

კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულის პროვოკაცია“ უნდა განვასხვავოთ „დანაშაულის პროვოკაციისაგან“, რომელიც კანონიერ მოქმედებად ითვლება საქართველოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით. კანონიერად ითვლება აგენტი-პროვოკატორის მოქმედება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია დანაშაულის აღკვეთისაკენ ან უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოსავლენად.

დანაშაულის აღკვეთა შეიძლება მოხდეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე მოქმედის დაყოლიებით, რომ უარი თქვას დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე; საიდუმლო თანამშრომელმა უნდა დაარწმუნოს ის „დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობას ან სისულელეში, უთხრას თითქოს დანაშაულის ობიექტზე გაძლიერებული დაცვაა.“⁶ ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოვლად გაუმართლებელია დანაშაულის ჩადენისათვის ხელოვნურად ხელის შეწყობა.

ნაქეზება გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამიტომ უმოქმედობით ნაქეზება შეუძლებელია.

სუბიექტური მხრივ ნაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

დანაშაულის თანამონაწილეობის მესამე სახეა დახმარება. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყობს დანაშაულის ჩადენას. დახმარება ორი სახისაა: 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური, ანუ ინტელექტუალური.

ფიზიკური დახმარება უნდა განვასხვავოთ დანაშაულის ამსრულებლობისაგან. ზემოთ ჩვენ დანვრილებით ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, როცა თანამსრულებლობას განვმარტავდით. აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამსრულებელი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ, დამხმარე კი შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.

ფიზიკური დახმარება ორი ძირითადი სახით შეიძლება გამოვლინდეს:

ა) ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა და ბ) დაბრკოლების თავიდან აცილება.

საშუალების მიცემად ითვლება ძარცვის დროს ამსრულებლისათვის ძალაყინის მიცემა საცხოვრებელი სახლის კარების გასატყეხად.

დაბრკოლების თავიდან აცილებად კი ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ძარცვის მომენ-

ტში მეორე თანამშრომელი აკავებს მსხვერპლის ახლობელს და ამით უადვილებს დამნაშავეს დანაშაულის აღსრულებას.

მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება სხვა სახის დახმარებაც. მაგალითად: ერთი დადგება გარეთ მეთვალყურედ, ხოლო მეორე შევა სახლში გასაძარცვად.

ფსიქიკური დახმარება, მაგალითად, ამსრულებლის დარიგება, რჩევა, როგორ მოიქცეს, რომ ძარცვა გაუადვილდეს.

ზოგჯერ ფსიქიკური დახმარება იმით გამოიხატება, რომ დამნაშავე ამსრულებელს განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, უფრო მეტ გაბედულებას მატებს მას. სწორედ, ამით განსხვავდება ფსიქიკური დახმარება ნამქეზებლობისაგან. „ნამქეზებელი ქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადაწყვეტილების მიღებისათვის“ და ის უფრო საშიში ფიგურაა დამხმარესთან შედარებით.

დახმარება შეუძლებელია უმოქმედობით.

სუბიექტური მხრივ დამხმარე განზრახ უნდა მოქმედებდეს. დამხმარე ისევე როგორც ყველა თანამონაწილე, ამსრულებელთან ერთად ერთიან უმართლობას ახორციელებს, რომელიც მათი ქმედებების ერთიანი განზრახვით შეკავშირებას გულისხმობს. დამხმარე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

თანამონაწილებისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა ერთ საერთო საფუძველს ემყარება. ეს საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედება“, ანუ უფრო მოხერხებულად რომ ვთქვათ, „სისხლისსამართლებრივი უმართლობა.“ ერთი საერთო უმართლობის გარეშე არ არსებობს თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა. უფრო ზუსტად, თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობისათვის, რასაც ამსრულებელი ჩადის.

უმართლობა არის დასჯადობის ობიექტური საფუძველი, ურომლისოდაც თანამონაწილის პასუხისმგებლობა წარმოუდგენელია. იმისათვის, რათა თავი დავაღწიოთ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, საჭიროა თითოეულმა თანამონაწილემ პასუხი აგოს პირადი, „საკუთარი ბრალისათვის“. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპია.

პირადი პასუხისმგებლობა თანამონაწილისა ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმ წვლილისათვის, რომელიც მან ერთიანი უმართლობის განხორციელებაში შეიტანა ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით.

თანამონაწილის ობიექტური მონაწილეობის ხარისხი უმართლობის განხორციელებაში მოქმედებს ბრალის ხარისხზეც. რაც მეტი ობიექტური წვლილი მიუძღვის თანამონაწილეს ობიექტურ უმართლობაში, მით მეტია ბრალის ხარისხიც, მაგრამ ზოგჯერ ბრალის ხარისხი უმართლობის ხარისხისაგან დამოუკიდებლად მატულობს.

თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია. ამიტომ მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლზე მითითება და 24-ე მუხლის გამოყენება საჭირო არ არის.

ორგანიზატორის, ნამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად 24-ე მუხლზე მითითებით, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილე ამავე დროს თანამსრულებელიცაა, მაშინ 24-ე მუხლზე მითითებით – ზედმეტია და სრულიად საკმარისია კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლზე მითითება, რომელშიც აწერილია ჩადენილი ქმედება.

მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში პასუხისმგებლობის გაძლიერების, ან შემსუბუქების მიზნით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ნიშანი, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს და მხოლოდ პერსონალური ხასიათი აქვს. ასეთი ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც იგი ახასიათებს. ასეთი ნიშანია, მაგალითად: განმეორება (არაერთგზისობა), რაც პერსონალური ნიშანია და სხვა თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე არ იმოქმედებს.

თანამონაწილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამსრულებლის მოქმედების მიხედვით, ვინაიდან თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. ამიტომ, ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის აგებს პასუხს.

ამსრულებლის ექსცესი. ამსრულებელია ის, ვინც კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი შემადგენლობა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც განახორციელა.

სიტყვა ექსცესი ლათინური წარმოშობისაა და ეტიმოლოგიურად რაღაცის უკიდურესად გამოვლინებას ნიშნავს.

სისხლის სამართალი იცნობს ამსრულებლის ექსცესის ცნებას, რომლის მიხედვით ამსრულებელმა შეიძლება ჩაიდინოს ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც თანამონაწილის (თანამსრულებლის) განზრახვით მოცული არ იყო. მაგალითად: ერთი შევიდა სახლში ძარცვის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი გარეთ დადგა მეთვალყურედ. შიგნით შესულს შემთხვევით სახლის პატრონმა წინააღმდეგობა გაუწია, რასაც სახლის პატრონის მკვლელობა მოჰყვა. გარეთ მეთვალყურედ მდგომს ეს მკვლელობა არ შეიძლება შეერაცხოს. ეს იქნება ამსრულებლის ექსცესი, რისთვისაც პასუხს აგებს მხოლოდ უშუალოდ მკვლეელი.

ექსცესი ორი სახისაა: რაოდენობრივი და თვისობრივი. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შემთხვევა თვისობრივი ექსცესი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელმა სხვა თანამონაწილეთაგან განსხვავებული დანაშაული ჩაიდინა. ძარცვა განზრახ მკვლელობისაგან თვისობრივად განსხვავებული დანაშაულია. რაც შეეხება რაოდენობრივ ექსცესს, იქ თანამონაწილეებთან შეთანხმებულ და ამსრულებლის ჩადენილ დანაშაულს შორის თვისობრივ განსხვავებას ვერ ვხედავთ. ამიტომ, ამ შემთხვევას რაოდენობრივ ექსცესს უწოდებენ. მაგალითად: ერთი შევიდა ბინაში ძარცვის მიზნით, ხოლო მეორე თანამზრახველი დარჩა გარეთ მეთვალყურედ, მაგრამ ბინაში შესულმა, ძარცვის ნაცვლად, რასაც გარეთ დარჩენილი მოელოდა, ყაჩაღობა ჩაიდინა. ბინაში შესული პასუხს აგებს ყაჩაღობის ამსრულებლობისათვის, ხოლო გარეთ დარჩენილი დაისჯება ძარცვის თანამონაწილეობისათვის (დამხმარე), რადგან ყაჩაღობა უფრო მეტია, ვიდრე ძარცვა, და თავისთავად მოიცავს ძარცვის ნიშნებს.⁷

ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილე თუ თანამსრულებელი პასუხს არ აგებს. ექსცესისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ამსრულებელი.



Malkhaz Lomsadze
Doctor of Law, Professor at
Samtskhe-Javakheti State University

Robbery perpetration and robbery complicity

Abstract

Robbery perpetration and complicity was always a research topic for lawyers and scientists. In this paper four main issues are discussed: robbery perpetration, robbery complicity, types of complicity and liability of perpetrator and accomplice.

Robbery perpetrator is the one who immediately committed the offence. Perpetrator of crime is the one who perpetrated the crime through such person who is released from criminal liability generally or from specific situation. Person who was used for committing offence in criminal law theory is called “The Living Weapon”. To list comprehensively “The Living Weapon” is impossible. Listing is used only for modelling.

Types of complicity is discussed in this paper. Opinion is stated on perpetration, “offence provocation” and on statement of legislative question which should be reflected in Article 22 and Article 145 Criminal Code of Georgia.

Some thesis statements about perpetration and complicity is also covered in this paper.

გამოყენებული ლიტერატურა:

¹ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 1971, გვ. 92-93.

² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 131.

³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 149.

⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 156.

⁵ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 197.

⁶ დ. ლეკიაშვილი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები, თბ., 2001, გვ. 29-30.

⁷ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 202.

დავით გეფერიძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი

2010 წლის საჰაერო სამართლის კეპინის საერთაშორისო კონვენციაზე განსაზღვრული სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო- სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე ტენდენციები

სამოქალაქო ავიაცია, როგორც სატრანსპორტო საშუალება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის დარგში. იგი იძლევა რა სწრაფი, საიმედო კავშირის საშუალებას დედამიწის სხვადასხვა წერტილებს შორის, მნიშვნელოვანწილად განმარტავს თუ რატომ უთმობდნენ სახელმწიფოები ყოველთვის დიდ ყურადღებას მის უსაფრთხოებას, რომელიც მოიცავს, კონკრეტულად, სამოქალაქო ავიაციის ობიექტების დაცვას უკანონო ჩარევის აქტებისაგან.

ტოკიოს 1963 წლის კონვენცია პირველი მცდელობაა საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების, მის ექსპლუატაციაში უკანონო ჩარევისათვის იურიდიული კვალიფიკაციის მიცემის შესახებ. კონვენცია მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობას – უზრუნველყოს მეთაურისთვის საჰაერო ხომალდზე კონტროლის დაბრუნება და სავარაუდო დამნაშავეთა დაპატიმრება, ასევე მგზავრებისა და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის ფრენის შემდგომი გაგრძელება. კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდებას არ აკვალიფიცირებს, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, არ მიიჩნევს მას დანაშაულად საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად და არც სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება შიდასახელმწიფო სამართლით დანაშაულად აღიარონ.

1970 წლის ჰააგის კონვენციამ საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების აქტი დანაშაულად დააკვალიფიცირა, რომელსაც თან ახლავს ძალადობა ან ძალის გამოყენების მუქარა. ამასთან, საჰაერო ხომალდი უნდა იყოს ჰაერში, ხოლო დანაშაული ჩადენილ იქნას საჰაერო ხომალდზე. კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან, დაადგინონ თავიანთი იურისდიქცია: 1) ეს შეიძლება იყოს საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფო; 2) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც საჰაერო ხომალდი დაფრინდება, როდესაც მასზე იმყოფება დამნაშავე; 3) ან სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეა მოიჯარის საქმიანობის ძირითადი

ადგილი თუ საქმე ეხება იჯარით გადაცემულ საჰაერო ხომალდს. სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება დამნაშავე, უნდა დაადგინოს საკუთარი იურისდიქცია თუ მას არცერთ ზემოხსენებულ სახელმწიფოსთან არ აქვს დადებული დამნაშავის გადაცემის ხელშეკრულება. კონკრეტულ დამნაშავეზე საქმე უნდა გადაეცეს შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით.

1971 წლის მონრეალის კონვენციის მიზანი იყო კონკრეტული საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟისა და ძალადობის აქტების თავიდან აცილება. კონვენციაში მნიშვნელოვნადაა გაფართოებული ამა თუ იმ მოქმედების, როგორც სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების განმსაზღვრელი ნიშნების ნუსხა. **1988 წლის მონრეალის ოქმში** აისახა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტში პირების მიმართ ძალადობის აქტი, რომელიც ინვეს ან შეუძლია გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება თუ სიკვდილი; საერთაშორისო აეროპორტის მოწყობილობების, ნაგებობების, აეროპორტში განლაგებული ექსპლუატაციაში არმყოფი საჰაერო ხომალდების რღვევა ან სერიოზული დაზიანება; აეროპორტის სამსახურების მუშაობის დარღვევა, თუკი ეს ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს ამ აეროპორტში უსაფრთხოებას. ოქმში მონაწილე სახელმწიფო მოვალეა დაადგინოს მსგავს დანაშაულებებზე საკუთარი იურისდიქცია იმ შემთხვევაში, როდესაც მის ტერიტორიაზე იმყოფება დამნაშავე და არ შეუძლია გადასცეს იგი სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი დანაშაული.

ტოკიოს, ჰააგისა და მონრეალის კონვენციები „გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჰაერო ხომალდი იმყოფება სხვა და არა საკუთარი ქვეყნის საჰაერო სივრცეში“.

უდავოა, რომ ზემოაღნიშნულმა კონვენციებმა, რომლებიც მიიღეს მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში და რატიფიცირებულია უმეტესი სახელმწიფოების მიერ, მაშინაც და ახლაც მნიშვნელოვან დადებით როლს ასრულებენ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში, ასევე უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის საქმეში. ამავდროულად, სამწუხაროდ, გვინვეს იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო ავიაცია, მისი ყველა შემადგენელი ელემენტის ჩათვლით (საჰაერო ხომალდები, აეროპორტები, საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურები) ისევ რჩება მოწყვლად ობიექტად, ტერორისტული და სხვა უკანონო ჩარევის აქტებისადმი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი ავტორი, სატრანსპორტო, მათ შორის საავიაციო უსაფრთხოების საიმედო უზრუნველყოფა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანა გახდა მრავალი სახელმწიფოსთვის, რომელიც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით როგორებიცაა: ა) სატრანსპორტო საშუალებებზე დივერსიების და ტერორიზმის უპრეცედენტო ესკალაცია, სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან, დივერსიული აქტების განსაკუთრებით სამიში ფორმით ჩადენა (თვითმკვლელი ტერორისტებისა და სატრანსპორტო საშუალებების, როგორც დივერსიის იარაღის მასიურად გამოყენება); ბ) ორგანიზებული დანაშაულის ნაციონალური და ტრანსნაციონალური ფორმების აქტივიზაცია, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან უკანონო საგარეო ეკონომიკური ოპერაციების წარმართვაში, იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებების კონტრაბანდასა და არალეგალურ მიგრაციაში, რომლებიც სატრანსპორტო არტერიებს დანაშაულებრივი მიზნებით იყენებენ; გ) სატრანსპორტო კომპლექსის ფუნქციონირებაში ისეთი არამართლზომიერი ჩარევის ფორმების უწყვეტი ზრდა, როგორიცაა: სატრანსპორტო გზებისა თუ სატრანსპორტო საშუალებების ბლოკირება, ძარცვა და ხულიგნობა ტრანსპორტში, რომლის შედეგადაც ხდება ავარიები და მათი მუშაობის დესტაბილიზაცია¹.

2001 წლის 11 სექტემბრის აშშ-ის მოვლენები, როდესაც გატაცებული ოთხი სამოქალაქო საჰაერო ხომალდი გამოიყენეს მსხვილი სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებლად (პირველყოფ-

ლისა, ნიუ-იორკის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობები), ძლიერი იმპულსი გახდა მსოფლიო საზოგადოებისათვის და კერძოდ, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის (ICAO), საავიაციო უსაფრთხოების ამაღლებისა და სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევების აქტებთან საბრძოლველი, ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების მოსაძიებლად და უკვე არსებული დასახვევნად. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 33-ე სესიაზე, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ჩატარდა, მიიღეს რეზოლუცია A33-1, რომლის თანახმად, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ასამბლეამ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს და გენერალურ მდივანს დაავალა – „მიიღონ დაუყოვნებლივი ზომები, სამოქალაქო ავიაციის ახალი და შესაძლო მუქარების განსახილველად, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საავიაციო უსაფრთხოებასთან მიმართებაში არსებული კონვენციების ადეკვატურობა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამები, საავიაციო უსაფრთხოების სფეროში.....“²

აღნიშნული რეზოლუცია A33-1-ის აღსრულების მიზნით, საავიაციო უსაფრთხოების სფეროში ICAO-ს საბჭომ დაამტკიცა სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში ICAO-ს სამდივნომ მოამზადა კვლევა იმ საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სამოქალაქო ავიაციასთან მიმართებაში ახალ და შესაძლო საფრთხეებს. მოცემულ კვლევაში გამოიკვეთა დასკვნა, რომ თუმცა არსებული, საავიაციო უსაფრთხოების სფეროს მოქმედი კონვენციები (ტოკიოს კონვენცია, ჰააგის კონვენცია და მონრეალის კონვენცია) ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოების მიერ, რომლებიც აღნიშნულ სამართლებრივ დოკუმენტებს ქმედითად მიიჩნევენ, ცალკეული ასპექტების კუთხით ეს დოკუმენტები **საჭიროებენ განახლებას** ახალი და შესაძლო მუქარების გათვალისწინების მიზნით; ზოგიერთი ეს მუქარა, მაგალითად, საჰაერო ხომალდების იარაღად გამოყენება, თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმები, ელექტრონული და კომპიუტერული საშუალებების გამოყენებით თავდასხმები, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენებით თავდასხმები – მოქმედი კონვენციები მათ ვერ მოიცავენ საკმარის ხარისხით. აღნიშნული კვლევის შედეგებისა და ICAO-ს ნევრი-სახელმწიფოების პოზიციის გათვალისწინებით, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან მიმართებაში მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, ICAO-ს სამდივნოს, ICAO-ს იურიდიული კომიტეტის და მის მიერ სპეციალურად შექმნილი ქვეკომიტეტის მიერ 2005-დან 2009 წლამდე პერიოდში, ჩატარებულია დიდი სამუშაო, რომლის შედეგად შეიქმნა ჰააგის კონვენციისა და მონრეალის კონვენციის (მონრეალის ოქმის რედაქციით) შესწორებების პროექტები³.

2010 წლის 30 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე პეკინში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ICAO-ს ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია საჰაერო სამართლის საკითხებში (დიპლომატიური კონფერენცია საავიაციო უსაფრთხოების საკითხებზე)⁴, ზემოაღნიშნული ჰააგის კონვენციისა და მონრეალის კონვენციის შესწორებების მიღების მიზნით. აღნიშნული დიპლომატიური კონფერენციის მუშაობის შედეგების თანახმად, მიიღეს ორი დოკუმენტი – ოქმი, რომელიც დაემატა საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან ბრძოლის კონვენციას (ჰააგის კონვენცია) და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მიმართ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენცია (შემდგომში – „პეკინის კონვენცია“). აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დოკუმენტების დამუშავებისა და განხილვის ეტაპზე იგვეგებოდა მხოლოდ (ოქმი) ცვლილებების მიღება, მონრეალის კონვენციასთან (მონრეალის ოქმი რედაქციით) მიმართებაში, ჰააგის კონვენციის ოქმის ანალოგიურად. საბოლოოდ, 2010 წლის პეკინის დიპლომატიურ კონფერენციაზე მიიღეს ახალი საერთაშორისო ნორმა – პეკინის კონვენცია, რომელიც ფაქტობრივად აერთიანებს მონრეალის კონვენციის ტექსტს, მონრეალის

ოქმს და იმ ახალ შესწორებებს, რომლებიც მომზადდა ICAO-ს ფარგლებში 2005-დან 2009 წლების განმავლობაში და რომელსაც, მისი ძალაში შესვლის შემდგომ მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობის ქრილში მიენიჭება უპირატესობა მონრეალის კონვენციასა და მონრეალის ოქმთან მიმართებაში. ასეთი გადაწყვეტილება, პეკინის კონვენციის მიღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, გამონვეული იყო იმით, რომ მონრეალის კონვენციამ უკვე განიცადა ცვლილება მონრეალის ოქმით, ხოლო პეკინის დიპლომატიურ კონფერენციაზე შემოთავაზებული მისი შესწორებები იმდენად მოცულობითი აღმოჩნდა, რომ დოკუმენტების ფორმისა და მათი შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელია ახალი საერთაშორისო შეთანხმების ჩამოყალიბება და არა უკვე არსებული მონრეალის კონვენციის კიდევ ერთი (ოქმის სახით) ცვლილება.

განვიხილოთ, მაინც რა არსებითი სიახლე შემოვიდა პეკინის კონვენციით და ოქმით, დამატებით ჰაავის კონვენციისა (შემდგომში – „პეკინის ოქმი“), სახელმწიფოების მხრიდან სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების კუთხით.

1. უმნიშვნელოვანეს სიახლეს, რომელიც გამყარებულია პეკინის კონვენციაში, წარმოადგენს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სახეობების ჩამონათვალის გაფართოება. იმ აქტების გარდა, რომლებიც უკვე აღიარებულია მონრეალის კონვენციისა და მონრეალის ოქმის თანახმად, როგორც დანაშაულები, რომლებსაც მოსდევს მკაცრი სადამსჯელო ზომები, მოცემული ჩამონათვალი, რომელიც გათვალისწინებულია პეკინის კონვენციით, მოიცავს „უკანონოდ და მიზანმიმართულად“ ჩადენილ შემდეგ აქტებს (ქმედებებს):

ა) ექსპლუატაციაში მყოფი საჰაერო ხომალდის გამოყენება, სიკვდილის, მძიმე დაზიანების ან ქონების და გარემოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის მიზნით;

ბ) ექსპლუატაციაში მყოფი საჰაერო ხომალდის ბორტიდან ნებისმიერი **ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული იარაღის** გამოთავისუფლება ან გადმოგდება (შემდგომში, პეკინის კონვენციის ტერმინოლოგიის თანახმად – „**ბ.ქ.ბ. იარაღი**“), ან ასაფეთქებელი, რადიოაქტიური ან ანალოგიური ნივთიერებების ისეთნაირად გამოყენება, რომელიც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის მძიმე დაზიანება ან ქონების და გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი;

გ) ექსპლუატაციაში მყოფი საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ ან საჰაერო ხომალდის ბორტზე ნებისმიერი იარაღის (ბ.ქ.ბ.) ან ასაფეთქებელი, რადიოაქტიური ან ანალოგიური ნივთიერებების ისეთნაირად გამოყენება, რაც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის მძიმე დაზიანება ან ქონების და გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი;

დ) საჰაერო ხომალდის ბორტზე ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების გადაზიდვა, გადაზიდვისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება, ან გადაზიდვისთვის ხელშეწყობა. ესენია:

- რაიმე სახის ასაფეთქებელი ნივთიერება ან რადიოაქტიური მასალა, როდესაც ცნობილია, რომ ისინი განკუთვნილია სიკვდილის ან სიკვდილის მუქარის წარმოქმნის, სხეულის მძიმე დაზიანების ან მოსახლეობის დაშინების, აგრეთვე, მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციების იძულების მიზნით, რომ მათ განახორციელონ რაიმე ქმედება ან თავი შეიკავონ ასეთისგან;

- ნებისმიერი იარაღი (ბ.ქ.ბ.), როდესაც გაცნობიერებულია, რომ ის წარმოადგენს ასეთს, პეკინის კონვენციაში მოცემული განსაზღვრებების შესაბამისად;

- ნებისმიერი საწყისი მასალა, რომელიც წარმოადგენს ასეთს სპეციალური გამხლეჩი მასალისთვის ან აღჭურვილობის, ან მასალისთვის, რომლებიც სპეციალურად არის განკუთვნილი ან გამზადებული დამუშავებისთვის, გამოყენების ან წარმოებისთვის და გამიზნულია ისეთი საქმიანობისთვის, რომელიც უკავშირდება ბირთვულ ასაფეთქებელ მონყობილობებს ან სხვა

სახის ბირთვულ საქმიანობას, რომელიც არ არის მოქცეული გარანტიებში, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან არსებული გარანტიების შესახებ შეთანხმების შესაბამისად; აგრეთვე, ნებისმიერი აღჭურვილობა, მასალა ან პროგრამული უზრუნველყოფა, ან შესაბამისი ტექნოლოგიები, რომლებსაც შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი ბ.ქ.ბ. იარაღის პროექტირებაში, წარმოებასა და მიწოდებაში კანონიერი ნებართვის გარეშე და ასეთი მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ მსგავსი გადაზიდვა ან მასში მონაწილეობა არ წარმოადგენს დანაშაულს თუ აღნიშნული ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელსაც გააჩნია პეკინის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება და მასალების, აღჭურვილობის გადაზიდვა ხდება მოცემული მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებების შესაბამის საქმიანობაში გამოყენების მიზნით, ბ.ქ.ბ. იარაღის გაუფრცვლელბობის შესახებ მოქმედი მრავალმხრივი შეთანხმების თანახმად. (მაგალითად, 1968 წლის შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუფრცვლელბობის შესახებ., 1972 წლის კონვენცია, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგების დაგროვების აკრძალვისა და განადგურების შესახებ., 1993 წლის კონვენცია, ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების, გამოყენების აკრძალვის და განადგურების შესახებ).

როგორც ნათლად ჩანს ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან, მასში გათვალისწინებული, პეკინის კონვენციის თანახმად განხილული, როგორც დანაშაულებრივი აქტების (ქმედებების) უმრავლესობის საერთო ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ ისინი მიმართულია არა უშუალოდ საჰაერო ხომალდის ან სამოქალაქო ავიაციის სხვა ობიექტების (მაგალითად: საჰაერო-სანავიგაციო აღჭურვილობა, აეროპორტები და ა.შ.) უსაფრთხოების წინააღმდეგ, არამედ მიმართულია ან სიცოცხლის მუქარის, ჯანმრთელობის ან მესამე პირის იმ საკუთრებისთვის ზიანის მიყენებისკენ, რომელიც მდებარეობს არა უშუალოდ საჰაერო ხომალდზე და არ აქვს არავითარი კავშირი სამოქალაქო ავიაციის ობიექტებთან. აგრეთვე, გარემოს ზიანი ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აკრძალვების დარღვევა. პეკინის კონვენციის ამგვარი მიდგომა ძირითადად განასხვავებს მას ამჟამად მოქმედ ტოკიოს, ჰააგის, მონრეალის კონვენციებსა თუ მონრეალის ოქმისაგან და, ერთი შეხედვით, შესაძლოა წარმოშვას კითხვები ზემოჩამოთვლილი ახალი ტიპის დანაშაულების იმ საერთაშორისო შეთანხმებაში შეტანის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებას.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ჯერ კიდევ პეკინის კონვენციის პროექტის შემუშავებისას, კერძოდ, მისი განხილვისას ICAO-ს იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, მასში ახალი ტიპის დანაშაულების შეტანის პრობლემა, რომლებიც არ არიან პირდაპირ მიმართული საჰაერო ხომალდისა და სამოქალაქო ავიაციის სხვა ობიექტების უსაფრთხოების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეს შეეხება ისეთ აქტებს, რომლებიც გულისხმობს: ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და რადიოაქტიური მასალების, ბ.ქ.ბ. იარაღის გადაზიდვას, ან ბ.ქ.ბ. იარაღის პროექტირებას, წარმოების ან მიწოდებისთვის მასალების, აღჭურვილობის, ტექნოლოგიების ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, – აქტიური დისკუსიის საგანი გახდა. ერთის მხრივ, ცალკეული სახელმწიფოების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბ.ქ.ბ. იარაღსა და სხვა ხსენებულ ტვირთებთან დაკავშირებული დანაშაულებების შესახებ დებულებები არ შეეხება საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას და შესაბამისად, ICAO არ წარმოადგენს „შესაფერის ფორუმს ასეთი დანაშაულებების განხილვისთვის“. ამავდროულად, მეორეს მხრივ, გამოთქმული იქნა პოზიცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული დანაშაულებები მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული საავიაციო უსაფრთხოებასთან, ხოლო სამოქალაქო საჰაერო ხომალდების გამოყენება ბ.ქ.ბ. იარაღის განზრახ და უკა-

ნონო გადაზიდვისთვის, სრულად შეესაბამება ICAO-ს მიზნებსა და 1944 წლის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციაში (შემდგომში – „1944 წ. ჩიკაგოს კონვენცია“) შეტანილ დებულებებს. გარდა ამისა, პეკინის კონვენციაში ბ;ქ;ბ; იარაღის გადაზიდვასთან დაკავშირებული დანაშაულებების შეტანის მომხრეების მიერ საკუთარი პოზიციის დასაცავად დამატებითი არგუმენტების სახით აღნიშნული იყო, რომ „ამავდროულად, სამოქალაქო ავიაციისადმი საზოგადოების ნდობა საფრთხის ქვეშ დადგება, რომელიმე ტერორისტული დაჯგუფების მიერ საჰაერო ხომალდის საშიში ტვირთების გადასაზიდად გამოყენების შემთხვევაში, მომავალში უკანონო აქტების განხორციელების მიზნით“.

წარმოდგენილია, რომ ზემოთ აღნიშნული იმ ახალი ტიპის დანაშაულებების საკითხის გადწყვეტა, რომლებიც პირდაპირ არ არიან მიმართულნი საჰაერო ხომალდის და სამოქალაქო ავიაციის სხვა ობიექტების უსაფრთხოების წინააღმდეგ, მიუხედავად ყველაფრისა, მათი შეტანა პეკინის კონვენციაში აღიქმება იმის ასახვად, რომ აშშ-ს 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები და სხვა მუქარები, რომლებიც შეეხო სამოქალაქო ავიაციას 21-საუკუნეში, აიძულა ცალკეული სახელმწიფოები და მთლიანად მსოფლიო საავიაციო საზოგადოება (პირველ რიგში, საკუთრივ ICAO-ს ჩათვლით) სრულიად ახლებურად შეეფასებინა სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების პრობლემები. თუ მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში, მაშინ, როდესაც მუშავდებოდა და მიიღებოდა ჰააგის კონვენცია და მონრეალის კონვენცია, სახელმწიფოების ძირითადი ყურადღება ენიჭებოდა „ფრენის“ პროცესში ან „ექსპლუატაციაში“ მყოფი საჰაერო ხომალდის უსაფრთხოების საკითხებს. ამჟამად სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მავნე შედეგების გამონვევის მიზნით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანმა საკითხმა, ვიდრე საჰაერო ხომალდის გატაცება ან მისი განადგურება (მაგალითად, საჰაერო ხომალდის, როგორც ჰაერში ან ხმელეთზე ზიანის გამომწვევ, ან მასობრივი განადგურების იარაღის მიწოდების და გავრცელების საშუალებად გამოყენება და ა.შ.), სამოქალაქო ავიაციის არაჯეროვანი გამოყენების თავიდან აცილების პრობლემამ. სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებისადმი ასეთი მიდგომა, სახელმწიფოების და ICAO-ს მხრიდან, სავსებით მიესადაგება ICAO-ს მიზნებისა და ამოცანების ფარგლებს და აგრეთვე, იმ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო საჰაერო სამართლის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში – 1944 წ. ჩიკაგოს კონვენციაში, რომლის თანახმად, „თითოეული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფო, თანხმდება – არ გამოიყენოს სამოქალაქო ავიაცია რაიმე ისეთი მიზნებით, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე კონვენციის მიზნებს“. ხოლო სამოქალაქო ავიაციის ბოროტად გამოყენებამ „შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ზოგადად ყველას უსაფრთხოებას“. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, საავიაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სწორედ დიპლომატიური კონფერენციის ჩატარება, რომელიც გაიმართა ICAO-ს ეგიდით და წარმოადგენს იმ ფორუმს, რომელზეც მიიღეს პეკინის კონვენცია⁵.

2. პეკინის კონვენციისგან განსხვავებით, პეკინის ოქმი არ ახდენს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების საწინააღმდეგო იმ აქტების ჩამონათვალის გაფართოებას, რომლებიც განხილული უნდა იყოს სახელმწიფოების მიერ, როგორც დანაშაულებები, არამედ, მისი მიზანია, როგორც ეს ჰააგის კონვენციის შემთხვევაშია, ბრძოლა ასეთი აქტების მხოლოდ ერთ ტიპთან – საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან. ამავდროულად, პეკინის ოქმით შემოტანილ სიახლეს წარმოადგენს იმ საშუალებების დამატება (დაზუსტება), რომელთა გამოყენებით შესაძლოა განხორციელდეს საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცება, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული. ამდენად, პეკინის ოქმის თანახმად, პირი ჩაითვლება დანაშაულის ჩამდენად, თუ ის უკანონოდ ეუფლება საჰაერო ხომალდს, არა მარტო ძალადობრივი გზით, ძალადობის მუქარით ან დაშინების

ნებისმიერი სხვა ფორმით, არამედ ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მოცემული ახალი დებულება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იმისკენ, რომ პეკინის ოქმის რედაქციით, ჰააგის კონვენცია მოიცავდეს ისეთ სიტუაციებს, როდესაც საჰაერო ხომალდს იტაცებენ ან მასზე კონტროლს ამყარებენ, ფაქტობრივად არა ძალადობის გამოყენებით, არამედ გაუმართაობის შექმნის ან სხვა სახის ჩარევის გზით, მაგალითად: საფრენი აპარატების ფუნქციონირების ან მონაცემთა გადაცემის სისტემების მიმართ. ამასთან, ამგვარი მიუქარა, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებასთან, შესაძლოა მოდიოდეს ნებისმიერ ადგილზე მყოფი, ნებისმიერი პირისაგან და არა მხოლოდ უშუალოდ საჰაერო ხომალდის ბორტზე მყოფი პირისგან.

3. პეკინის კონვენცია და პეკინის ოქმი მოიცავს ზოგიერთ ახალ დებულებას, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის იურისდიქციას. მოცემული დოკუმენტების თანახმად, თითოეული მონაწილე სახელმწიფო ატარებს ისეთ ზომებს, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი გახდეს საკუთარი იურისდიქციის დასამყარებლად დანაშაულებებზე, რაც გათვალისწინებულია პეკინის კონვენციასა და პეკინის ოქმით შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) როდესაც დანაშაული ჩადენილია მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ბორტზე ან მის მიმართ;

გ) როდესაც ის საჰაერო ხომალდი, რომლის ბორტზეც მოხდა დანაშაული, დაფრენას ახორციელებს მის ტერიტორიაზე და სავარაუდო დამნაშავე ისევ იმყოფება ბორტზე;

დ) როდესაც დანაშაული ჩადენილია საჰაერო ხომალდის ბორტზე ან მის მიმართ და ეს საჰაერო ხომალდი ეკიპაჟის გარეშე გაცემულია იჯარით მოიჯარეზე, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი ან თუ მოიჯარეს არ აქვს ასეთი საქმიანობის ადგილი, მისი განთავსების მუდმივი ადგილი მდებარეობს ამ სახელმწიფოში;

ე) როდესაც დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს მოქალაქის მიერ.

ამგვარად, ამჟამად მოქმედ ჰააგის კონვენციასა და მონრეალის კონვენციასთან შედარებით, პეკინის ოქმი და პეკინის კონვენცია აწესებს სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელების შესაძლო ვარიანტების ჩამონათვალს, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულებთან მიმართებაში ისეთი შემთხვევით, როდესაც იურისდიქცია დგება იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის მოქალაქეც არის შესაბამისი დანაშაულის ჩამდენი პირი. ასევე, ჰააგის კონვენციისგან განსხვავებით, პეკინის ოქმი ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის იურისდიქცია დგება იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ჩაიდინეს შესაბამისი დანაშაული.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელების ზემოჩამოთვლილ შემთხვევებთან ერთად სავალდებულო წესით, ახალი დებულების სახით, პეკინის კონვენცია და პეკინის ოქმი ითვალისწინებს, რომ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია (მაგრამ არ არის სავალდებულო) დაადგინოს საკუთარი იურისდიქცია ნებისმიერი მასში გათვალისწინებული დანაშაულებების მიმართ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოცემული დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს მოქალაქის წინააღმდეგ, ან

ბ) მოცემული დანაშაული ჩადენილია მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

4. მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც შეტანილია როგორც პეკინის კონვენციაში, ასევე პეკინის ოქმში და მიმართულია არსებითად aut dedere, aut judicare (გადაეცი ან დასაჯე) პრინციპის მოქმედების გამყარებისკენ, წარმოადგენს დებულებას იმის შესახებ, რომ არცერთი დანაშაული, რომელიც მითითებულია პეკინის კონვენციასა და პეკინის ოქმში არ განიხილება გადაცემის ან

სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზნებისთვის, როგორც პოლიტიკური დანაშაული. ამიტომ, შესაბამისი თხოვნა გადაცემის ან სამართლებრივი დახმარების შესახებ არ შეიძლება იყოს უარყოფილი მხოლოდ იმ საფუძველით, რომ „ის შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს ან დანაშაულს, რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ დანაშაულს ან დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია პოლიტიკური მოტივებით“.

თუმცა, ამასთანავე, პეკინის კონვენციისა და პეკინის ოქმის თანახმად, მათში არაფერი არ განიმარტება ისე, როგორც ვალდებულების დაკისრება რომელიმე პირის გადაცემას ან სამართლებრივ ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებით, თუ მომთხოვნ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია სერიოზული საფუძველი, რომ პეკინის კონვენციასა და პეკინის ოქმში მითითებული დანაშაულებების ჩადენის გამო, პირის გადაცემის ან ასეთ დანაშაულებებთან მიმართებაში სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე მისი თხოვნის „მიზანს წარმოადგენს ამ პირის სასამართლო დევნა, ან დასჯა მისი რასის, აღმსარებლობის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური მრწამსის, ან სქესის გამო, ან ამ თხოვნის დაკმაყოფილების შედეგად ზიანი მიადგება ამ პირს, ნებისმიერი ამ მიზეზით“.

5. პეკინის კონვენციასა და პეკინის ოქმში შეტანილია დებულებები იურიდიული პირების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც გამოიყენება მათში ჩამოთვლილი, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენის შეთხვევაში (მაგალითად, ფინანსირება). ორივე დოკუმენტის თანახმად, მასში მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გაატარონ აუცილებელი ზომები, საკუთარი შიდა სამართლის პრინციპების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათ ტერიტორიაზე არსებული ან მათი კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული ასეთი იურიდიული პირების, მაგალითად, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო წესით პასუხისმგებაში მიცემა (ხოლო იმ სახელმწიფოებში, სადაც ეს დაშვებულია ქვეყნის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის პასუხისმგებაშიც). ამასთან, იურიდიული პირების ასეთი პასუხისმგება დგება შესაბამისი დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგების დაკნინების გარეშე.

თითოეული ზემოაღნიშნული დოკუმენტი, რომელიც მიღებულია 2010 წლის პეკინის დიპლომატიურ კონფერენციაზე – პეკინის კონვენცია და პეკინის ოქმი – ძალაში შევა ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც იგი რატიფიცირდება 22 სახელმწიფოს მიერ და ICAO-ს გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდება შესაბამისი დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ. 2016 წლის აპრილის მდგომარეობით, პეკინის კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ 14-მა სახელმწიფომ⁶, რაც, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არ იძლევა მათი სწრაფად ძალაში შესვლის შესახებ საუბრის საშუალებას. პეკინის კონვენციისა და პეკინის ოქმის რატიფიკაციის პროცესის შენელება, როგორც ჩანს, ასევე გახდა საჰაერო სამართლის ზოგიერთი სპეციალისტის მხრიდან, მითითებული დოკუმენტების და მათთან დაკავშირებული სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პერსპექტივებთან მიმართებაში, საკმაოდ თავშეკავებული და გარკვეულწილად პესიმისტური შეფასების მიზეზი.

ამავდროულად, იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც მიიღეს პეკინის კონვენცია და პეკინის ოქმი, სახელდობრ, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობის ამაღლება 21-ე საუკუნის ახალი და შესაძლო მუქარების საპასუხოდ, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ სახელმწიფოების მოცემულ საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობა, თანდათან უფრო გაფართოვდება და პერსპექტივაში ისინი მაინც დაიკავებენ მნიშვნელოვან ადგილს სახელმწიფოთა შორის შესაბა-

მის სფეროებში თანამშრომლობის რეგულირებაში ტოკიოს, ჰააგისა და მონრეალის კონვენციების მსგავსად. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ უკვე დღეს გვაქვს საფუძველი ხაზი გავუსვათ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების შემდეგ ტენდენციებს:

ა) სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების განხილვა საყოველთაო უსაფრთხოების უფრო ფართო კონტექსტში, 1944 წ. ჩიკაგოს კონვენციის დებულებების გათვალისწინებით და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, ეხება სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებს არა მხოლოდ და არა იმდენად დანაშაულებზე, რომლებიც მიმართულია უშუალოდ საკუთრივ საჰაერო ხომალდის ან სამოქალაქო ავიაციის სხვა ობიექტების უსაფრთხოების წინააღმდეგ (მაგალითად: საჰაერო ხომალდის ან საჰაერო-სანავიგაციო აღჭურვილობის გატაცება ან დაზიანება), არამედ ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო ავიაციის არაჯეროვან გამოყენებას (მაგალითად: საჰაერო ხომალდის გამოყენება სიცოცხლის, ჯანმრთელობისთვის ან მესამე პირის საკუთრების, ან გარემოსთვის ზიანის მიყენების მიზნით, ან მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო გავრცელებისთვის და ა.შ.);

ბ) საერთაშორისო შეთანხმებების იმ დებულებების გაუმჯობესება (დაზუსტება), რომლებიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლისაკენ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს შესაბამისი დანაშაულების ჩადენის საშუალებებზე (მაგალითად: საჰაერო ხომალდის უკანონო გატაცების მიზნით, ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმ პირის მიერ, რომელიც შესაძლოა უშუალოდ არ იმყოფება მოცემული საჰაერო ხომალდის ბორტზე);

გ) საერთაშორისო შეთანხმებების რიგი დებულებების (რომლებიც შეეხება სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებს) უფრო სრულყოფილი უნიფიკაცია, ტერორიზმთან ბრძოლის სხვა კონვენციების დებულებებთან (ნაღმური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 1997 წ. საერთაშორისო კონვენცია, ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ 1999 წ. საერთაშორისო კონვენცია და ა.შ.)⁷, მაგალითად, სახელმწიფოების სისხლის სამართლის იურისდიქციის საკითხების, სავარაუდო დანაშაულების გადაცემისა და პოლიტიკური დანაშაულებების ნაწილში.

პარიზის კონვენციის ამოქმედება საქართველოს წინაშე სვამს საკითხს: მოიცადოს თუ დაუყოვნებლივ მოახდინოს მისი რატიფიცირება. დროა დადგეს მისი რატიფიცირების საკითხი და დროს არ ჩამოვრჩეთ, რადგან მისი ამოქმედებისთანავე სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სახეობების ჩამონათვალი მნიშვნელოვნად ფართოვდება.



David Geperidze
Doctor of Law, Professor

Modern trends of international legal regulation in the fight against unlawful interference in Civil Aviation activities, defined at the Beijing International Conference on Air Law, 2010

Abstract

Under the auspices of ICAO an international conference (A Diplomatic Conference on Aviation Security) on Air Law issues was held in Beijing (People's Republic of China) on August 30 – September 10, 2010. The aim of the conference was to adopt the amendments made by the Hague Convention and the Montreal Convention. According to the results of the above-mentioned conference the two documents – protocols were approved and added to the Convention for the Suppression of Unlawful Aircraft Hijacking (The Hague Convention) and the Convention for the Suppression of Unlawful Acts against the Safety of International Civil Aviation (The Beijing Convention).

Enactment of the Paris Convention raises a question to Georgia about waiting or ratifying at once. It is time for us not to fall behind and set an agenda for ratification, for under its enactment a list of crimes committed against the safety of Civil Aviation will significantly broaden.

გამოყენებული ლიტერატურა:

¹ В.Д. Бордунов, Международное воздушное право., М.2007, стр. 74

² დანვრ. იხ. <http://www.un.org/ru/ecosoc/icao/>

³ დანვრ. იხ. <http://www.icao.org>

⁴ იხ. Пекинские договоренности, Том 66, №1, <http://www.icao.org>

⁵ იხ. http://www.icao.int/publications/journalsreports/2011/6601_ru.pdf

⁶ იხ. http://www.icao.int/secretariat/legal/List%20of%20Parties/Beijing_Conv_EN.pdf

⁷ იხ. http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/corruption.shtml

ავთანდილ ხაზალია

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი*

სალომე შენგელია

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრი*

ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები

მმართველობის ორგანოთა ყოველი ქმედება და მისი შინაარსი განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმების მეშვეობით. ეს ნორმები კი პირდაპირ დამოკიდებულია კონსტიტუციაზე, როგორც საქართველოს უზენაეს კანონზე, პრიმატზე. ადმინისტრაციული ორგანოები ეწევიან საჯარო საქმიანობას, რომელიც გამოსახულებას ჰპოვებს მათ მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასა თუ აღსრულებაში.

ადმინისტრაციული სამართალი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია და საინტერესო საკითხებს მოიცავს, თუმცა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო არის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების პრობლემა. ეს საკითხი მოიცავს: სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალებას, ჯარიმას, უშუალო იძულებას. ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგი ვლინდება მის აღსრულებაში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით ვხვდებით გარკვეულ ხარვეზებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმები მოთავსებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XII თავში.

სზაკ-ის დებულებები ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებზე, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულების მექანიზმი სხვა საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება, მაგალითად: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ადგენს სანქციებს სხვადასხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უმრავლესობა იმპერატიული ხასიათისაა და ამიტომ მათი აღსრულება საკმაოდ პრობლემურია თეორიული და პრაქტიკული თავალსაზრისით. ამასთან, ყველა ადამიანი უნდა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ, რათა შეძლოს მათი ხელყოფისაგან დაცვა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით – სამართლებრივი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიცავს აქტის გამომცემის პრივილეგიას, ანუ შესაძლებლობას, მოქალაქის ნების სანინალმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი სააღსრუ-

ლებო საშუალებების გამოყენებით თვით აღასრულოს ეს აქტი.

სიტყვა „აღსრულება“ ასე განიმარტება: სასამართლოს, უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილი ვალდებულების სისრულეში მოყვანა. ცხადია, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი თუ იძულებითი აღსრულების პროცედურებსა და წესებს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება არის ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელოვანი ეტაპი. ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ვლინდება მის აღსრულებაში. აღსრულების ცნებაში მოიაზრება მოქალაქის ან სხვა სამართლის სუბიექტების საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების იძულების წესით განხორციელების შესაძლებლობა.¹

სახელმწიფო მმართველობის სფეროში გამოცემული ყველა ადმინისტრაციული აქტი მიზნად უნდა ისახავდეს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ამიტომ ადმინისტრაციული აქტის აღსრულების ყველა საშუალებას დადებითი შედეგები უნდა მოსდევდეს როგორც თვით ადმინისტრაციული ორგანოს, ისე იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც არის ეს აქტი გამოტანილი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ.

პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ მიიღოს ზომები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად. ასეთ შემთხვევაში ორგანოს შეუძლია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. სზაკ-ის 169-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებებია: 1) სხვა პირისთვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება; 2) ჯარიმა; 3) უშუალო იძულება; ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია თავის გადაწყვეტილებაში აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, ამასთანავე კანონმდებელი მოითხოვს, რომ აირჩიოს უზრუნველყოფის მხოლოდ ისეთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ამასთან ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე.^{2,3,4}

დასახელებული ფორმებიდან ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საჯარიმო ფორმა და უშუალო იძულება არის ადმინისტრაციული აქტის იძულებითი აღსრულების ფორმები. სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება შეიძლება აღსრულდეს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ურთიერთდახმარების წესით, ისე რომელიმე ფიზიკური პირისთვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალების წესით. აღსრულების პროცესის დაწყების საფუძველია გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც კიდევ ერთხელ აფრთხილებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატს, აძლევს უკანასკნელ შესაძლებლობას, ნებაყოფლობით აღასრულოს აქტი და, ამასთან, განუმარტავს, მის მიმართ კონკრეტულად რა იძულებითი ღონისძიება იქნება გამოყენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ არ იქნება აღსრულების უზრუნველყოფის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად ვერ მიმართავს ვერავითარ იძულების ზომებს. ფაქტობრივად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული საქმი-

ანობა ქმნის ადმინისტრაციული წარმოების ცალკე სახეს. გადანყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით წერილობითია. კანონმა ასევე განსაზღვრა, რომ გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ინდივიდუალური ადამინისტრაციულ-სამართლებრივი დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება.⁵

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილების მიზანია მისი აღსრულება, რომელიც ცალკე სტადიას წარმოადგენს. დადგენილება ადმინისტრაციულ საქმეზე უნდა აღსრულდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, თუ დადგენილება მოქალაქისათვის უფლების მინიჭებას ეხება, იგი გამოტანისთანავე უნდა აღსრულდეს. თუ ადმინისტრაციულ დასჯას – მაშინ მისი აღსრულებისა და ძალაში შესვლისათვის საჭიროა გასაჩივრების ვადის გასვლა.⁶

ახლა კი უშუალოდ შევეხებით ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივ პრობლემებს. დავინყოთ იქიდან, რომ სზაკ შესაძლებლად თვლის ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად უფლებამოსილებათა დელეგირებას სხვა ორგანოებისათვის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონს „ნორმატიული აქტების შესახებ“ და 2004 წლის 11 თებერვლის კანონს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“. ამიტომ ადმინისტრაციული აქტი უნდა აღსრულდეს იმ ორგანოს მიერ, რომელმაც იგი გამოსცა, რადგან მან სხვაზე უკეთ იცის საკითხის არსი და სპეციფიკა, რის გამოც უკეთესად შეარჩევს აღსრულების ვადას, სახეს და წესს. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა ან შესაბამისი დოკუმენტები საერთოდ არ უნდა გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი. მართალია, ზემდგომ ორგანოს უფლება აქვს ბათილად ცნოს ქვემდგომი ორგანოს აქტი, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი შეიცავს ბათილობის რომელიმე პირობას ან არ შეესაბამება მთავრობის პროგრამას, ან სახელმწიფო პოლიტიკას. ამიტომ, სზაკ-ის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა შეიცვალოს და გაუქმდეს უფლებათა დელეგირების წესიც და იმ უფლებამოსილი ორგანოს შეზღუდვის უფლებაც, რომელიც პასუხისმგებელია ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაზე. აქ მიზანშეწონილი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო დისკრეციული უფლებამოსილებისა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებების შეზღუდვის დაუშვებლობა.⁷

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთი უმნიშველოვანესია. კერძო ინტერესები შეიძლება ზოგჯერ სახელმწიფოს ინტერესებს შეენიროს. კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების პროცესში შესაძლოა ზიანი მიადგეს მესამე პირს. მაგალითად, სასამართლო გადანყვეტილების აღსასრულებლად პოლიციამ შეამტვრია მეზობლის კარი. ბუნებრივია, ამ დროს მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. ამდენად, ადმინისტრაციული აქტების აღსრულების დროს თითოეული კონკრეტული სიტუაცია კომპლექსურად უნდა შეისწავლონ, გაიაზრონ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოიყენონ აღსრულების უზრუნველყოფის იძულების ღონისძიება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის აღსრულებას ჯარიმის საშუალებით, მისი მიზანი არის ის, რომ პირმა ნებაყოფლობით შეასრულოს ადმინისტრაციული აქტი. სზაკ-ის 171-ე მუხლი ად-

გენს ჯარიმის საერთო თანხას ფიზიკური პირების მიმართ 1000 ლარამდე, იურიდიული პირების მიმართ 5000 ლარამდე. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში იურიდიული პირები ჯარიმის ამ თანხის მიუხედავად არ აღასრულებენ ადმინისტრაციულ აქტებს, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის შესრულებლობა მათ მეტ მოგებას აძლევს, ვიდრე ჯარიმის გადახდა. თუ ჯარიმა ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებას, საჭიროა საკითხს სხვაგვარად მივუდგეთ. კერძოდ, გაიზარდოს ჯარიმა იურიდიული პირების მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ ოდენობით, რაც საჭიროა ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის, ხოლო თუ ესეც არ იკმარებს, უნდა შეიცვალოს იგი იძულებითი აღსრულებით.^{9,10}

აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროპაში ნესრიგი კანონმდებლობამ და ჯარიმების დიდმა ოდენობამ მოიტანა, იქ მკაცრი კანონები და ჯარიმების სისტემები უკვე ათეულობით წლებია მუშაობს. მაგალითად: ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ავტობუსის კონტროლიორს იშვიათად შეხვდებით, მაგრამ თუ უბილეთო აღმოჩნდებით და დაგაჯარიმებთ, ეს ჯარიმა საკმაოდ დიდი ოდენობის თანხას შეადგენს (პოლონეთში ჯარიმა საშუალო ხელფასის ნახევარს შეადგენს), აქედან გამომდინარე, ევროპის ქვეყნებში იშვიათად შეხვდებით უბილეთო ადამიანს, რომელიც მათი ჯარიმების სისტემის დამსახურებაა, რომელმაც გამოიწვია ხალხის კულტურის ცვლილება. ასევეა შოლანდიაში. თუ პოლიციის თანამშრომელმა საჭესთან მობილურ ტელეფონზე საუბრისათვის დაგაჯარიმათ, ჯარიმის ოდენობა 4-ციფრა თანხით განისაზღვრება.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ასეთ შემთხვევაში არც კი იფიქრებთ კანონდარღვევაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ მუხლის მე-7 ნაწილში საუბარია იმაზე, რომ „ჯარიმის თანხა ჩაირიცხება შესაბამის სახელმწიფო ან ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში“.¹⁰ ასეთი წესი ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის ჯარიმის გამოყენების მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში ჯარიმა გამოიყენება ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად და მისი მიზანიც აქტის აღსრულებაა. ადგილობრივ ან რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჯარიმის ჩაირიცხვა იმიტომ დაუშვებელია, რომ ეს ჯარიმა უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად. ჯარიმის თანხის ჩაირიცხვა ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე აუცილებელია ამ აქტის დროულად აღსრულების და არა ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით, სწორედ, ამიტომ ეს თანხა უნდა ჩაირიცხოს ადმინისტრაციული აქტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშზე, ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. ამასთან, გაუმართლებელია, როდესაც კანონი არ მიუთითებს თუ რა შემთხვევაში ჩაირიცხება ჯარიმა რესპუბლიკურ ბიუჯეტში და რა შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტში. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ დებულებები ჯარიმის აღსრულების შესახებ, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის გამოყენებული ჯარიმა სხვა მიზნებს ისახავს და ამიტომ იგი სხვა წესით აღსრულდება.¹¹

რაც შეეხება უშუალო იძულებას, ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების ყველაზე მკაცრი ფორმაა. აღსრულების უშუალო იძულების გზით განხორციელების პოლიციისთვის დავალების შემთხვევაში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიციის მუშაკებს აქვთ ფიზიკური იძულების, ასევე ხელბორკილებისა და სხვა სპეციალურ საშუალებათა გამოყენების უფლება. ჩვენი კანონმდებლობა გარკვეულ შესწორებებს საჭიროებს. მაგალითად, საქართველოს კანონში, „პოლიციის შესახებ“ წერია, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის დროს პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურეობრივ-სამტატო იარაღი (ხელბორკილი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქ-ბგერითი მოწყობილობა, ელექტრომო-

კური საშუალება და სხვ.).¹² ამგვარი საშუალებების გამოყენება ზღუდავს ადამიანის პირად თავისუფლებას და ღირსებას, რაც დაუშვებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომ ასეთი საშუალებები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს.

საქართველოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. უკეთესი იქნება თუ ადმინისტრაციული აქტის აღსრულების კონკრეტული ფორმები ჩამოთვლილი იქნება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რათა ადმინისტრაციულმა ორგანომ და მისმა თანამდებობის პირებმა არ შელახონ მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში პოლიციის თანამშრომელს უნდა შეეზღუდოს უშუალო იძულების გადამეტებული ზიანის მომტანი ხერხების გამოყენება, რათა ამით ლახავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ასევე მნიშველოვანია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ, თუ აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ის პირი, რომელსაც ევალება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. როგორც ცნობილია, სზაკ-ის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟს სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხების განხილვისას და ეს უნდა შეეხოს ასეთი ხასიათის ადმინისტრაციულ აქტებსაც მათი აღსრულების დროს. ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა არ უნდა დაამძიმოს პირის მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი უარს იტყვის თავისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განხორციელებაზე. ამიტომ სახელმწიფომ მატერიალური დახმარება უნდა გაუწიოს ხელმოკლე პირებს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისას. სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე ეს ხარჯები, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს საერთო მოთხოვნაა.¹³

ასევე მნიშველოვანია სზაკ-ის 175-ე მუხლის 4 ნაწილი, სადაც საუბარია იმაზე რომ, „პირისაგან თანხის იძულებით ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. თუმცა, ხშირია სააღსრულებლო ფურცელში არსებითი შეცდომების დაშვების ფაქტებიც. მაგალითად: სააღსრულებლო ფურცელში შეცდომით უთითებენ არასწორ მისამართს ან არასწორ სახელს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მათი რეკვიზიტები. ხშირად ასეთი აქტები საჩივრდება სასამართლოში, ითხოვენ სააღსრულებლო აქტების ბათილად ცნობას. სასამართლოს განმარტებით კი ასეთი საქმის განხილვა სასამართლოს ქვემდებარე არაა. არსებობს მოსაზრება, რომ სააღსრულებლო ფურცელი, როგორც ქართული, ასევე გერმანული სამართლის მიხედვით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამისათვის მას აკლია ხსენებული აქტისთვის დამახასიათებელი ნიშნები, პირველ ყოვლისა კი, გამოცემული არაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა გასაჩივრდეს ასეთი აქტი, ჯერ ისევ პასუხგაუცემელია. აღნიშნული კი არღვევს ისევ ადამიანის უფლებებს, რადგან არ აძლევს მას თავისი უფლებისა და ინტერესის დაცვის საშუალებას.¹⁴

Avtandil Khazalia

Professor of Law at Sokhumi State University

Salome Shengelia

Student of the Faculty of Law of Sokhumi State University

Legal problems in the utilization of the executive means of the Administrative Act

Abstract

The scientific work highlights legal problems in the utilization of the executive means of the administrative act. We discussed the essence of the execution including tasks to another person to execute individual administrative act, fines and a direct enforcement. Accordingly, we discussed issues how to eradicate problems.

According to the above mentioned issues, we can conclude that the executive forms of the administrative act in our legislation needs to be perfect. It is necessary to provide more democracy fundamentals of executive rules to protect people's rights and interests.

შენიშვნები:

¹ პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013.

² პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 2014.

⁴ განმარტებითი იურიდიული ლექციონი, თბ., 2014.

⁵ პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013.

⁶ ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002.

⁷ ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.

⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 2014.

⁹ ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.

¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995.

¹¹ ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.

¹² <http://reportiori.ge/>.

¹³ ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.

¹⁴ ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.
- 2) საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 2013 წლის 4 ოქტომბერი.
- 3) საქართველოს კანონი „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“, 1999 წლის 16 აპრილი.
- 4) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 2014 .
- 5) პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013.
- 6) ხ. ლორია, ადმინისტრაციული აქტის აღსრულების საშუალებების გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, ავტორეფერატი, თბ., 2005.
- 7) ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002.
- 8) განმარტებითი იურიდიული ლექციონი, თბ., 2014.
- 9) <http://reportiori.ge/>.

ქეთევან კვინიკაძე

სამართლის მაგისტრი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის იურისტი

სასამართლოს მიერ პირბასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში

სახელშეკრულებო სამართალში მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ხელშეკრულების თავისუფლად დადების უფლებით აღჭურავს. „ხელშეკრულების თავისუფლება კერძო სამართლის მიერ შექმნილი კერძო ავტონომიის პრინციპის გამოხატულებაა.“¹ იგი რამდენიმე ასპექტს მოიცავს. ესენია: ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება, ხელშეკრულების ტიპის თავისუფლება და ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება.² ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს მხარეთა უფლებას თავად განსაზღვრონ დადონ თუ არა ხელშეკრულება; ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება მოიაზრებს მხარეთა უფლებას მათი ხელშეკრულების შინაარსი დამოუკიდებლად, მათი ინტერესების შესაბამისად ჩამოაყალიბონ, თუმცა შინაარსი არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო. „ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივი აღიარება საზოგადოების ცალკეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები და ურთიერთობები ერთმანეთს შორის სამართლებრივი შეთანხმებით მათი შეხედულებისამებრ მოაწესრიგონ.“³ ხელშეკრულების ტიპის განსაზღვრის თავისუფლება სახელშეკრულებო კონტრაქტებს ანიჭებს უფლებას დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით, თუმცა მას არ ეწინააღმდეგება. ხელშეკრულების მხარეთა მიერ „გამოგონილი“ ახალი ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ იქნება მათთვის კანონის ძალის მქონე, როცა იგი კანონის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იქნება; რაც შეეხება ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს, იგი ხელშეკრულების როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადების შესაძლებლობას გულისხმობს. ხელშეკრულების ფორმა თავისუფალია მხარეთათვის განსაზღვრული შემთხვევების გარდა, როცა კანონი შეთანხმების ნამდვილობისათვის წერილობით ფორმას მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ შეთანხმებას პირგასამტეხლოზე შეთანხმება წარმოადგენს, რომელიც, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლისა, წერილობით ფორმას მოითხოვს.

სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლი პირგასამტეხლოს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად წარმოგვიდგენს. „უზრუნველყოფის ცნებას კანონი არ იძლე-

ვა. ის არ არის ერთმნიშვნელოვანი ტექნიკური სამართლებრივი ტერმინი, არამედ სამართლებრივ ენას მიკუთვნებული გამოთქმა, რომელიც მიუთითებს კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალებაზე.⁴⁵ სკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

„პირგასამტეხლოს ორი ფუნქცია აქვს: პირველი – მან უნდა აიძულოს მოვალე განახორციელოს შეთანხმების შესაბამისი შესრულება და მეორე – მან შესაძლებელი უნდა გახადოს კრედიტორისათვის ვალდებულების დარღვევისას ზიანის მარტივად ანაზღაურება მისი მიყენების რაიმე დამამტკიცებელი საბუთის წარდგენის გარეშე.“⁴⁶ „პირგასამტეხლო წარმოადგენს ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების პრევენციას.“⁴⁷ მისი ფუნქცია „ე.წ. პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფაა. „იგი კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალეზე „ზენოლის“ განხორციელების ერთგვარი ბერკეტია, ამასთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მიღების მიზნით, კრედიტორი ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებულია.“⁴⁸

პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას წარმოადგენს რაც გულისხმობს იმას, რომ პირგასამტეხლოს ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე დამოკიდებულია. „მისი არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაითვალისწინეს მხარეებმა პირგასამტეხლო.“⁴⁹ „პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობა.“⁵⁰ „ძირითადი ვალდებულების ბათილობა ავტომატურად გამოიწვევს პირგასამტეხლოს ბათილობას, მაგრამ არა პირიქით: პირგასამტეხლოს ბათილობა გავლენას ვერ მოახდენს ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე.“⁵¹ „პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნებით არის გამოწვეული ასევე ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულად მიჩნევის პირობებში პირგასამტეხლოს ხანდაზმულობაც.“⁵² „BGB-ს §339 (პირგასამტეხლოს გადახდა) მიიჩნევა, როგორც არადამოუკიდებელი (აქცესორული) შეთანხმება პირგასამტეხლოს გადახდაზე, რაც ასევე შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და რომლის განხორციელებაც სავალდებულოა.“⁵³

პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს და სახელშეკრულებო კონტრაქტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების პრევენციისათვის გამოიყენება. პირგასამტეხლო პირობით ვალდებულებას წარმოადგენს, რაც გამოიხატება კრედიტორის უფლებაში – მოითხოვოს პირგასამტეხლოს დაკისრება მხოლოდ კონკრეტული პირობის დადგომისას, რომელიც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას უკავშირდება. იგი „წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან.“⁵⁴ პირგასამტეხლოზე შეთანხმება ხშირია საკრედიტო ურთიერთობებში. „კრედიტის გამცემი გარკვეულ რისკს ნევის კრედიტის გაცემით, რაც გამოიხატება კრედიტის ამღების შესაძლებლობით – დააბრუნოს კრედიტი. სწორედ, ამის გამო სურს კრედიტორს კრედიტის ამღების გადახდისუუნარობისა და გადახდის შეჩერების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოს მისი მოთხოვნა.“⁵⁵ უზრუნველყოფაზე შეთანხმებით კრედიტორი იცავს თავის მოთხოვნას მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევისათვის იმისათვის, რათა თავიდან აიცილოს დანაკარგი.⁵⁶

სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების სტა-

ტუსს ანიჭებს. თუმცა, თავისი არსიდან გამომდინარე, იგი რეალურად არ ემსახურება კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფას, არამედ უფრო საჯარიმო საშუალებას წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების შეუსაბამო შეუსრულებლობისათვის. იგი ერთგვარი მასტიმულირებელი საშუალებაა იმისათვის, რომ მოვალემ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. თუკი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პირგასამტეხლო და მსესხებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და არ დააბრუნებს სესხს, მაშინ გვევლინება თუ არა პირგასამტეხლო კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ანუ შეუძლია თუ არა პირგასამტეხლოს უზრუნველყოს კრედიტორის რეალური დაკმაყოფილება, როგორც ეს იპოთეკის ან გირავნობის დროს ხდება? თუკი მოვალე ვერ იხდის სესხს, იგი ვერ გადაიხდის პირგასამტეხლოსაც, რომელიც სხვა არაფერია თუ არა „ზედმეტი თანხა“, რომლის გადახდაც მოვალეს არაკეთილსინდისიერი ქცევის გამო უწევს. იპოთეკის ან გირავნობის დროს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკის ან გირავნობის საგანი უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. პირგასამტეხლოს შემთხვევაში კი კრედიტორისათვის არ არის გარანტირებული შესრულების მიღების შესაძლებლობა. პირგასამტეხლოს თანხა ემატება იმ ძირითად თანხას, რომლის დაბრუნების ვალდებულებაც აქვს პირს. შესაბამისად, პირგასამტეხლო, თავისი ბუნებით, საჯარიმო ფუნქციის მატარებელი უფროა, ვიდრე უზრუნველყოფის საშუალება, რომლის არსიც კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილების გარანტირებულობაში მდგომარეობს.¹⁷

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელშეკრულებო და კანონისმიერ პირგასამტეხლოს. კანონისმიერი პირგასამტეხლო ნორმატიული აქტითაა დადგენილი, ანუ იგი წარმოშობილია არა მხარეთა, არამედ კანონმდებლის ნებით. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს იცნობს. სახელშეკრულებო პირგასამტეხლო ეს არის მხარეთა კერძო ავტონომიის გამოვლინება, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების მხარეები დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე იღებენ გადაწყვეტილებას პირგასამტეხლოს ოდენობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსი არ ახდენს პირგასამტეხლოს კლასიფიკაციას, თუმცა დოქტრინაში პირგასამტეხლო ოთხი სახით არის კლასიფიცირებული. ესენია: ჩასათვლელი პირგასამტეხლო, საჯარიმო პირგასამტეხლო, ალტერნატიული პირგასამტეხლო და ექსკლუზიური პირგასამტეხლო. ჩასათვლელია პირგასამტეხლო, თუ მისი თანხა ჩაითვლება ასანაზღაურებელი ზიანის ანგარიშში; საჯარიმოა პირგასამტეხლო, თუ მისი თანხა არ ითვლება ასანაზღაურებელი ზიანის ანგარიშში; ალტერნატიული პირგასამტეხლოს დროს ადგილი აქვს მხარეთა იმგვარ შეთანხმებას, როცა კრედიტორს ალტერნატიულად ენიჭება ან პირგასამტეხლოს გადახდის, ან ზიანის ანაზღაურების, ან შესრულების მიღების უფლება; ექსკლუზიური პირგასამტეხლო კი გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას და კრედიტორს მხოლოდ პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას აძლევს. ალტერნატიული და ექსკლუზიური პირგასამტეხლო პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება, რადგან ისინი გარკვეულწილად კრედიტორის უფლებებს ზღუდავენ.¹⁸

კერძო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც შესაძლო ზიანსაც კი შეიძლება აღემატებოდეს. „ხელშეკრულების თეორია მოითხოვს, რომ სასამართლოებმა აღასრულონ მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე დადებული შეთანხმებები, რადგან ასეთი შეთანხმებები არის, ერთი მხრივ, მხარეების ავტონომიის გამოხატულება და, მეორე მხრივ, ასეთი შეთანხმებები ქმნის ეკონომიკურ ეფექტიანობას, წარმოადგენს რა ორივე მხარისათვის სარგებლობის მომტან გარიგებას.“¹⁹ სკ-ის 418-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იძლევა

რა შესაძლებლობას შეთანხმებული პირგასამტეხლო მიყენებულ შესაძლო ზიანს აჭარბებდეს, აქვე კრედიტორის „სიხარბის“ კონტროლისათვის ადგენს 420-ე მუხლსაც, რომელიც პირგასამტეხლოს ოდენობაზე სასამართლო კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს და რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

მხარეები, როგორც საკუთარი ინტერესების საუკეთესო შემფასებლები თანხმდებიან გარეგების პირობებზე, ახდენენ სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზებას და ახორციელებენ მომავალი მოქმედებების თვითშეზღუდვას.²⁰ მიუხედავად ამისა, სასამართლო მაინც უფლებამოსილია „გადასინჯოს“ მხარეთა შეთანხმება და თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის, „შეცვალოს“ კიდევ მისი დებულება, რომელიც პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრას ეხება. იმისათვის, რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების გზით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში ჩაერიოს, აუცილებელია სახეზე იყოს ის წინაპირობა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს წინაპირობაა პირგასამტეხლოს ხასიათი – არის თუ არა ის შეუსაბამოდ მაღალი. შემცირებას ექვემდებარება არა მაღალი პირგასამტეხლო, არამედ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს ოდენობაზე შეთანხმება მთლიანად მხარეთა კერძო ავტონომიის სფეროშია და მასზე კონტროლი დაუშვებელია, თუმცა შესაძლოა სასამართლომ „კონტროლქვეშ აიყვანოს“ ის პირგასამტეხლო, რომელიც მისი ოდენობიდან გამომდინარე შეუსაბამოდ მაღალია. შეუსაბამოა თუ არა პირგასამტეხლო, ეს შეფასების საკითხია და სასამართლომ ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების მიხედვით უნდა გადამწყვიტოს. „შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს ამკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს: პირგასამტეხლოს მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ.“²¹ „პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შესრულებლობისა და არაფეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი.“²² „ასევე, საბაზრო წესებმა შეიძლება უკარნახონ სასამართლოს თუ რა ოდენობა უნდა ჩაითვალოს გონივრულად და საკმაოდ მაღალი პირგასამტეხლოც კი შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად თუ ამაზე მიუთითებს ბაზარი.“²³

პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ხასიათთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის დანაწესი, რომელიც მოცემულია BGB §343 I-ში: მნიშვნელოვანია კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური ინტერესი და არა უბრალო ქონებრივი ინტერესი.²⁴ ის ფაქტი, რომ მხარეებმა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შეთანხმეს პირგასამტეხლო, არ ნიშნავს, რომ მხარეს უპირობოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო შეთანხმებული ოდენობით. შესაძლოა, პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყოს, რა დროსაც სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს იგი სახელშეკრულებო მოთხოვნის გათვალისწინებით. პირგასამტეხლოს დაკისრებით არ შეიძლება კრედიტორმა არათანაზომიერი სარგებელი მიიღოს, პირგასამტეხლო არ უნდა წარმოადგენდეს კრედიტორის გამდიდრების საშუალებას, იგი დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებაა და არა გამდიდრების. მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა კანონმდებელი მოსამართლეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში ჩარევის უფლებას აძლევს. „ამიტომაც უნოდებენ მას „სახელშეკრულებო სამართლის რარიტეტს“.“²⁵

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოსათვის ერთადერთ ორიენტირს იძლევა – „საქმის გარემოებათა გათვალისწინებით“. დასახელებული ნორმა არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით,

სასამართლო საკუთარი შეხედულებითაა უფლებამოსილი ჩაერიოს სახელშეკრულებო თავისუფლებაში და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო თუ ამისათვის აუცილებელია მოპასუხე მხარის შუამდგომლობა, რომელიც პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ხასიათზე აპელირებს? რა აძლევს მოსამართლეს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველს – საკუთარი ინიციატივა თუ მხარის შუამდგომლობა? ამაზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ პასუხს არ იძლევა.

სამოქალაქო პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობენ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და წარადგინონ ამ მოთხოვნათა დასასაბუთებლად საჭირო მტკიცებულებები. „სასამართლო პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას იწყებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს ან მოითხოვს სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, სასამართლო თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცილების უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს, თუნდაც იგი შეუსაბამოდ მაღალი იყოს.“²⁶ მაშასადამე, იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს პირგასამტეხლო, ამისათვის აუცილებელია, მხარემ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ხასიათი ამტკიცოს. გამომდინარე აქედან, „პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის პირობებში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა, თუ სხდომაზე გამოუცხადებლობა, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს დაკისრებას იწვევს, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალის, ვინაიდან შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ მიჩნევას შეცილება და მტკიცება სჭირდება.“²⁷

BGB კითხვის ნიშნის ქვეშ არ ტოვებს ამ საკითხს და 343-ე პარაგრაფში პირდაპირ უთითებს, რომ სასამართლო „მოვალის განცხადების საფუძველზე“ ახორციელებს პირგასამტეხლოს შემცირებას. კერძოდ, 343-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო ოდენობამდე. „პირგასამტეხლოს შემცირება თვითონ მოვალემ უნდა მოითხოვოს. ამისათვის საკმარისია მისი მხრიდან ნებისმიერი გამოსატყულება, მათ შორის ციფრობრივიც, რომელიც შესაძლებელს ხდის გაირკვეს, რომ მოვალეს არაადეკვატურად მაღალი პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება უნდა.“²⁸

BGB §343 I-ის გვერდით არსებობს კიდევ ერთი საშუალება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებისათვის. ეს არის BGB §138 I-ის აკრძალვა (გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, ბათილია), მაგრამ ეს დანაწესი შესაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შესამცირებლად დამოუკიდებლად არ გამოიყენება. ამ შემთხვევაში მოქმედებს სპეციალური ნორმა BGB §343 I -ის სახით.²⁹

საინტერესოა შემთხვევა, როცა მხარე ითხოვს არა პირგასამტეხლოს შემცირებას, არამედ მისგან საერთოდ გათავისუფლებას იმ რომელიმე საფუძველით, რომელიც პირგასამტეხლოს დაკისრებას გამოორიცხავს. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ნამდვილად მიიჩნევს პირგასამტეხლოზე შეთანხმებას, შეუძლია თუ არა მას იგი შეამციროს იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა მხარე არ ითხოვდა მის შემცირებას, არამედ მისგან გათავისუფლებას? „ასეთ ვითარებაში ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მხარის ნება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არათუ პირგასამტეხლოს ოდენობას ხდის სადავოდ, არამედ საერთოდ პირგასამტეხლოს დაკისრებას არ ეთანხმება.

შესაბამისად, ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს ოდენობა შეცილებულად უნდა იქნეს მიჩნეული და თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობები არსებობს, მის ოდენობაზე უნდა იმსჯელოს.³⁰

პირგასამტეხლოს შემცირების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანული სამართლის მიდგომა. გერმანიის სავაჭრო კოდექსის (HGB) §348-ის მიხედვით, პირგასამტეხლო, რომელიც მენარმეებს შორის არის შეთანხმებული, BGB-ს §343-ე პარაგრაფის დანაწესით შემცირებას არ ექვემდებარება. თუკი შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოზე მენარმე სუბიექტი აპელირებს და შეუსაბამობის საფუძვლით ითხოვს მის შემცირებას, გერმანული სასამართლო არ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას, რადგან ივარაუდება, რომ, მისი სტატუსიდან გამომდინარე, იგი მთლიანად აცნობიერებდა პირგასამტეხლოზე შეთანხმების სამართლებრივ შედეგებს. მენარმე სუბიექტები მსგავს გარიგებებში მხოლოდ მას შემდეგ შედიან, რაც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, შესაძლო რისკებს გამორიცხავენ. აღნიშნულ ნორმას ქართულ სამართალში ანალოგი არ აქვს. ქართული სამართლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნის უფლებით თავისუფლად შეუძლია ისარგებლოს მენარმე სუბიექტმაც და ის ფაქტი, რომ იგი გამოცდილია სამენარმეო ურთიერთობებში, არანაირ გავლენას არ ახდენს უფლების გამოყენების შესაძლებლობაზე.³¹

პრაქტიკაში პრობლემატურია შემთხვევები პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ხასიათთან დაკავშირებით, როცა საქმე ეხება სტანდარტული პირობებით შეთავაზებულ პირგასამტეხლოს. გერმანიის სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადამწყვეტილებაში განმარტა, რომ სტანდარტულ პირობებში შემოთავაზებული პირგასამტეხლო ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი პირგასამტეხლო ხელშეკრულების თანხის 5% მდეა, რადგანაც სხვა შემთხვევაში იგი BGB-ს §307 (1)-ე პარაგრაფთან მოდის წინააღმდეგობაში, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების სანინააღმდეგო მოქმედებას კრძალავს. სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა პირგასამტეხლო, რომელიც სტანდარტული პირობებითაა შეთავაზებული და პირგასამტეხლო, რომელიც ინდივიდუალური ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეთანხმება პირგასამტეხლოზე, რომელიც ხელშეკრულების თანხის 5%-ს აღემატება ნამდვილია, რამდენადაც იგი მხარეთა შორის ინდივიდუალური შეთანხმების შედეგია.³²

პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხთან მიმართებით საინტერესო მიდგომა აქვთ შვედეთში შტატების სასამართლოებს, კერძოდ, „შვედეთულ შტატებში ხელშეკრულების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ემსახურება მეორე მხარისათვის ზიანის კომპენსირებას და არა დარღვევის დაჯარიმებას, დასჯას“³³, გამომდინარე აქედან, „პირგასამტეხლოს დებულებების შემოწმებისას სასამართლოები იყენებენ სამნაწილიან ტესტს, რათა დაადგინონ პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს თუ არა ზიანის ოდენობის დასაშვებ შეფასებას, თუ ის რეალურად არის საჯარიმო, სადამსჯელო ზომა.“³⁴ ტესტის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს პირგასამტეხლოს მიზანს - ემსახურება ის რეალურად შესაძლო ზიანის ანაზღაურებას, თუ სადამსჯელო ხასიათია. ტესტის მეორე ნაწილი იკვლევს იმ ინტერესის ღირებულებას, რომელიც პირგასამტეხლოთია უზრუნველყოფილი, მესამე ნაწილი კი მოითხოვს, რომ პირგასამტეხლო იყოს ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული წინასწარგანჭვრეტადი ზიანის გონივრული შეფასება.³⁵

შვედეთული შტატების სასამართლო ბათილად ცნობს შეთანხმებას პირგასამტეხლოზე, თუკი მისი ოდენობა არაგონივრულ დამოკიდებულებაშია ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეულ მოსალოდნელ ან ფაქტობრივ ზიანთან. რა თქმა უნდა, ამგვარი შეფასება გარკვეულწილად პრობლემატურია, რადგან მხარეთა მიერ წინასწარგანსაზღვრული ზიანი, შესაძლოა, სულ სხვა ოდენო-

ბის სახით დადგეს, ვიდრე ეს მხარეებმა გაითვალისწინეს. საჯარიმო პირგასამტეხლოს ბათილად ცნობა მხარის დაცვის ინტერესით, მისი უფლებით - დაარღვიოს ხელშეკრულება, არის მოტივირებული. „მხარეს თავისუფლად შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულება, თუ ის ანაზღაურებს დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანს.“³⁶ ზიანი კი აუცილებლად უნდა ანაზღაუროს დამრღვევმა პირმა იმ შედეგების გამო, რაც მეორე მხარისათვის მისი დარღვევის გამო დადგა.³⁷ როგორც ნესი, სასამართლოებს არ სურთ ხოლმე დარღვევის შემზღვეველი დებულებების ნამდვილად ცნობა, რადგან დარღვევის უფლების დაცვა ასახავს, როგორც ინდივიდუალური ავტონომიის ფართო დაცვას, ასევე „ეფექტიანი დარღვევის“ შესაძლებლობას. მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან და მას ამის გაკეთება შეუძლია იმ ფასად, რაც მეორე მხარის ზიანის ანაზღაურების ექვივალენტურია.³⁸

დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების უფლება მისი, როგორც ვალდებულების დარღვევის პრევენციის დანიშნულების შენარჩუნების მიზანს ემსახურება. ეს არის შემთხვევა, როცა კანონი სასამართლოს უფლებას აძლევს ჩაერიოს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში და „შეცვალოს“ კონტრაჰენტთა შეთანხმება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. ამგვარი „სამოსამართლო ინტერვენცია“ აუცილებელია გარკვეულ შემთხვევებში, მაშინ როცა „ძლიერი“ სახელშეკრულებო კონტრაჰენტი „სუსტი“ მხარის საშუალებით „გამდიდრებას“ გადაწყვეტს. სკ-ის 420-ე მუხლი საშუალებას აძლევს მოსამართლეს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისობაში მოიყვანოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობის მოცულობა კრედიტორის მოთხოვნასთან.

**To reduce the penalty by the court as a “Judicial Intervention”
in the principle of contractual freedom****Abstract**

The Article reviews the principle of freedom of contract and the court’s intervention in the case of what is called a penalty reduction. The article presents the penalty as the demand for security, its importance and character. The Issue discusses Georgian, German and American Laws.

შენიშვნები:

¹ Schäfer, Ott, Lehrbuch der ökonomischen Analyse des zivilrechts, 2.Auflage, Springer, 1995, 341.

² ამასთან დაკავშირებით იხ. ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 101-102.

³ Schäfer, Ott, Lehrbuch der ökonomischen Analyse des zivilrechts, 2.Auflage, Springer, 1995, 341.

⁵ Hansjörg Weber, Kreditsicherheiten Recht der Sicherungsgeschäfte, 5. Auflage, Verlag C. H. Beck, 1997, 5.

⁶ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand 2006, 552.

⁷ ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 593, იხ. ციტირება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის #144-139-2011 გადაწყვეტილება

⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება #2ბ/3112-14.

⁹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 236.

¹⁰ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), გვ.2, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/>

¹¹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 236-237.

¹² ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), გვ.2, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/>. იხ. ციტირება: Erman/Westermann Rn 4; Soergel/Lindacher Rn 29 nach Janoschek, Beck’scher Online-Kommentar, BGB Stand, 01.05.2014, Edition 31, &339, Rn.2.

¹³ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand 2006, 552.

¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 04 მარტის განჩინება #2ბ/5911-13.

¹⁵ Manfred Wolf, Sachenrecht, 15. Auflage, Verlag C.H. Beck, München 1999, 273.

¹⁶ Hansjörg Weber, Kreditsicherheiten Recht der Sicherungsgeschäfte, 5. Auflage, Verlag C. H. Beck, 1997, 1.

¹⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 235.

¹⁸ პირგასამტეხლოს სახეობთან დაკავშირებით იხ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 238-239; მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 28-29.

¹⁹ ანდრეა ჯ. ბოიაკი, სახელმწიფო სამართალი ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შვეიცარიის შტატების მაგალითზე, ჟურნალი: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, 3-4, ხელმისაწვდომია: www.nccl.ge

²⁰ იქვე. 7.

²¹ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), გვ.9, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/>.

²² იქვე, იხ. ციტირება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება #ას-819-771-2012.

²³ ანდრეა ჯ. ბოიაკი, სახელმწიფო სამართალი ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შვეიცარიის შტატების მაგალითზე, ჟურნალი: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, 11, ხელმისაწვდომია: www.nccl.ge.

²⁴ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand 2006, 557.

²⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 243.

²⁶ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), გვ.10, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/>.

²⁷ იქვე, 11.

²⁸ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand 2006, 557.

²⁹ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand 2006, 557.

³⁰ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), გვ.11, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/>.

³¹ პირგასამტეხლოს შემცირების საკითხთან დაკავშირებით იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის განჩინება #2ბ/4400-14.

³² Elisabeth Keller-Stoltenhoff, Unwirksame Vertragsstrafe in AGB, ხელმისაწვდომია: <http://www.it-recht-kanzlei.de/unwirksame-vertragsstrafe-agb.html>.

³³ ანდრეა ვ. ბოიაკი, სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, ჟურნალი: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, 8, ხელმისაწვდომია: www.nccl.ge.

³⁴ იქვე

³⁵ იქვე, 9

³⁶ იქვე, 4.

³⁷ Basic Principles of English Contract Law, Prepared by Lawyers from ALLEN & OVERY, Advocates for International Development, ხელმისაწვდომია: <http://www.a4id.org/sites/default/files/user/documents/english-contract-law.pdf>.

³⁸ იქვე, 5-6.

რატი გარდაფხაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერ-
სიტეტის სამართლის მიმართულების
დოქტორანტი

დაკითხვა, როგორც საგამოძიებო მოქმედება

სტატიაში ჩვენი განხილვის საგანია დაკითხვის წარმოება წინასწარი გამოძიების სტადი-
აზე ძველი საპროცესო კოდექსის მიხედვით. დაკითხვის ჩატარებისათვის აუცილებელია არსე-
ბობდეს მისი ჩატარების საფუძველი. ექვმიტანილსა და ბრალდებულთან დაკავშირებით ასეთი
საფუძველია აქტი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესში ამ მონაწილეების არსებობას და აკის-
რებს გამომძიებელს მათი დაკითხვის უფლებამოსილებას. აღნიშნული ეხება ასევე დაზარალე-
ბულის დაკითხვასაც. მოწმის დაკითხვის საფუძველი კი არის ის მონაცემები (გარემოებები),
რაც მისთვის არის ცნობილი და რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ გამოძიებასა და საქმეზე
მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად.¹

დაკითხვის სწორად წარმოებისათვის 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსი გან-
საზღვრავს წესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულო იყო და წარმოადგენდა მათი მტკიცებუ-
ლებად მიღების წინაპირობას.

„ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „დაკითხვა“ შეიძლება ჩატარებული
ყოფილიყო როგორც წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილზე, ასევე დასაკითხის ყოფნის
ადგილას, ხოლო სად უნდა შედგეს დაკითხვა გადანყვეტს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან
გამომდინარე გამომძიებელი. წინასწარი გამოძიების ადგილას პირის დაკითხვაში იგულისხმება
დაკითხვის ჩატარება საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში: გამომძიებლის სამუ-
შაო კაბინეტში; პროკურორის სამუშაო კაბინეტში; სპეციალურად დაკითხვისათვის მოწყობილ
ოთახში.

დასაკითხის ყოფნის ადგილას პირის დაკითხვაში იგულისხმება დაკითხვის ჩატარება დასა-
კითხი პირის: საცხოვრებელ ადგილზე; სამუშაო ადგილზე; სწავლის ადგილზე; სხვა ადგილზე”.²

ძველი სსსკ-ის მიხედვით მოწმეს, დაზარალებულს, აგრეთვე თავისუფლებაში მყოფ ბრალ-
დებულს გამომძიებელთან ან პროკურორთან იძახებენ უწყებით. უწყება იგზავნება ფოსტით ან
შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება აგრეთვე ტელეფონოგრაფით, დეპეშით, რადიოგრაფით
ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით. გამოძახების შესახებ უწყებაში
მითითებული უნდა იყოს გამოძახებული პირის ვინაობა, გამოძახებული პირის სტატუსი, იმ ორ-
განოს მისამართი, სადაც გამომძიებელია; გამოძახების დღე და საათი; ასევე არასაპატიო მიზე-

ზით გამოუცხადებლობის შედეგები. უწყების ხელზე მიღების შემთხვევაში მიმღებმა ჩაბარების ფაქტი ხელის მონერით უნდა დაადასტუროს. ხოლო თუ გამოცხადებული პირი საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფება, უწყება ბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს ხელისმონერით, მისთვის გადასაცემად, ხოლო თუ არც ასეთი პირი აღმოჩნდება, უწყება გამოცხადებულისთვის გადასაცემად გადაეცემა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულ პირებს დაკითხვაზე იძახებენ ამ ორგანოების ადმინისტრაციის მეშვეობით.

დასაკითხის გამოცხადების შემდეგ, ძველი სსსკ-ის მიხედვით დაკითხვის წინ გამომძიებელი არკვევს პიროვნების შემდეგ მონაცემებს: მის სახელს და გვარს, დაბადების თარიღს და ადგილს, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს, თანამდებობას, სარგებლობს თუ არა იმუნიტეტით, არის თუ არა ნასამართლელი. ამ მონაცემების დასაკითხისაგან მიღების შემდეგ გამომძიებელი ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებით უნდა დარწმუნდეს მიღებული ინფორმაციის სისწორეში. „თუ დასაკითხ პირს თან არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან დაკითხვის დაუყოვნებლივ ჩატარება აუცილებელია (მაგალითად, პოლიციაში გამოცხადდა დაზარალებული, განაცხადა ძარცვის შესახებ, მაგრამ თან არ აქვს რაიმე დოკუმენტი), გამომძიებელი დაკითხავს ამ პირს იმ მონაცემებით (იმ სახელით, გვარით და ა. შ.), რომელზეც იგი მიუთითებს და დაუყოვნებლივ იღებს ზომებს დაკითხული პირის ვინაობაში დასარწმუნებლად (პირის პირადი დოკუმენტის მოძიება-წარმოდგენის გზით ან სხვა საშუალებით)“³

დაკითხვის წინ ასევე დამკითხავმა უნდა დაადგინოს იცის თუ არა დასაკითხმა სამართალწარმოების ენა, რომელ ენაზე შეუძლია და სურს ჩვენების მიცემა, ასეთ შემთხვევაში გამოიძახება თარჯიმანი, რომლის მოსვლამდეც დაკითხვა გადაიდება.

დაკითხვის დაწყებამდე ასევე დასაკითხისთვის უნდა განემარტათ თუ რა საქმეზეა გამოცხადებული, რა სტატუსით სარგებლობს დაკითხვის დროს, უფლება-მოვალეობები და მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ. დასაკითხ პირს უნდა მისცემოდა წინადადება მოეყოლა ყველაფერი, რაც იცოდა საქმეზე, ანუ თავისუფალი თხრობით გადმოეცა მონაცემები. ძველი სსსკ-ის მიხედვით თავისუფალი თხრობის შეწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი საუბრობს მონაცემებზე, რომლებიც არ ეხება სისხლის სამართლის საქმეს, გამომძიებელს შეუძლია მისი შეჩერება. თავისუფალი თხრობის შემდეგ, უფრო დაკონკრეტებული ჩვენების მიღების მიზნით პირს შეიძლება დასმოდა კითხვები, მაგრამ ეს კითხვები არ უნდა ყოფილიყო მისახვედრი. ძველი სსსკ-ის მიხედვით კი მისახვედრია კითხვა, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს მოსალოდნელ პასუხს. ასეთი კითხვების დასმა ეკრძალებოდა როგორც გამომძიებელს, ასევე დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო თუ მაინც დაუსვამდნენ ამგვარ კითხვას, გამომძიებელს ეს კითხვა უნდა განერიდებინა და ამის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა გაეკეთებინა ოქმში.

დასაკითხ პირს დაკითხვის პროცესში შეეძლო გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ნებისმიერი დოკუმენტი, ან ჩანაწერი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმესთან. ეს დოკუმენტები გამომძიებელს ან პროკურორს შეეძლოთ მოეთხოვათ დასაკითხისთვის და შემოწმების შემდეგ დაებრუნებინათ ან დაერთოთ სისხლის სამართლის საქმისთვის.

ახლა კი, რაც შეეხება დაკითხვის ხანგრძლივობას, რომელიც მოქმედებს დღესაც, 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს შესვენების გარეშე. დასაშვებია პირის რამდენჯერმე დაკითხვა დღის განმავლობაში არანაკლებ ერთსაათიანი პაუზებით, მაგრამ საერთო ხანგრძლივობა დაკითხვისა დღის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. სხვა წესია დადგენილი

არასრულწლოვანი ბრალდებულისა და მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით. მათი დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა 4 საათს არ უნდა აღემატებოდეს. აქაც დაშვებულია დაკითხვა რამდენჯერმე დღის განმავლობაში, მაგრამ აუცილებლად შესვენებებით. შესვენების გარეშე არასრულწლოვანის დაკითხვა დაუშვებელია გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს.

„ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების ფიქსაცია. მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენების ფიქსაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს დაკითხვის ოქმი. დაკითხვის ოქმში უნდა აისახოს დაკითხვის ადგილი და დრო, გამომძიებლის გვარი და თანამდებობა, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა ან თანამდებობა, ინფორმაცია იმის თაობაზე იყო თუ არა ნასამართლავი.

ჩვენება და მათ მიმართ დასმულ კითხვებზე პასუხები ოქმში გადმოცემული უნდა იყოს პირველ პირში და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით. დაკითხვის დამთავრებისთანავე გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი უნდა გააცნოს დაკითხულს, დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ ოქმში, დამატების და შესწორების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს დაკითხულმა პირმა, გამომძიებელმა და დაკითხვაში მონაწილე პირებმა (პროკურორმა, დამცველმა, პედაგოგმა, თარჯიმანმა)“.⁴

ძველი კოდექსით დაკითხვის დროს შეიძლებოდა გამოყენებულიყო, აგრეთვე გამოსახულების ან/და ხმის ჩანერის შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, ანუ პირის ჩვენება ყველა შემთხვევაში უნდა დაფიქსირებულიყო წერილობით დაკითხვის ოქმში, და ამასთან, პარალელურად შეიძლებოდა მომხდარიყო ჩვენების აუდიო, ვიდეო ჩანერაც. დაკითხვის ტექნიკური საშუალებებით გაკეთებული ჩანაწერი უნდა დართვოდა დაკითხვის ოქმს. ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ დასაკითხი პირი წინასწარ უნდა გაეფრთხილებინათ.⁵ ამ შემთხვევაში ტექნიკური საშუალება გამოიყენებოდა დასაკითხის ნების წინააღმდეგაც, ანუ არ იყო დამოკიდებული მის სურვილზე. ტექნიკური საშუალების გამოყენების გადანყვეტილებას იღებდა გამომძიებელი. დაუშვებელი იყო დაკითხვის ნაწილის ჩანერა ან იმავე დაკითხვისას მიცემული ჩვენების გამეორება სპეციალურად ჩანერისათვის. ჩანაწერს უნდა აესახა დაკითხვის მთელი მიმდინარეობა. ასევე პროცესი ითვალისწინებდა შემთხვევებს, როდესაც დასაკითხი პირი თვითონ მოითხოვდა ჩვენების ტექნიკური საშუალებით ჩანერას, რომელიც გამომძიებელს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩანერისათვის საჭირო ტექნიკური საშუალების წარმოდგენა უნდა უზრუნველყო დასაკითხს.

ზემოთ განხილული წესები საერთოა ძველი სსსკ-ით გათვალისწინებული დაკითხვის ყველა სახისთვის და მათი განხილვის დროს არ გავიმეორებთ აღნიშნულ საკითხებს.

მოწმის დაკითხვა – იმისათვის, რომ შევუდგეთ მოწმისათვის ძველი სსსკ-ით დამახასიათებელი დაკითხვის სპეციფიური წესების განხილვას, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ ვინ შეიძლებოდა გამოძახებულიყო მოწმედ. მოწმედ შეიძლებოდა გამოეძახებინათ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეიძლებოდა სცოდნოდა სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. ასევე სსსკ-ით გათვალისწინებული იყო იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლებოდა მოწმედ ყოფილიყვნენ. ეს ფენომენი სამეცნიერო ლიტერატურაში შერაცხულია, როგორც მოწმის იმუნიტეტი.

ძველი სსსკ-ის მიხედვით „იმუნიტეტს, ანუ სამართლებრივ უფლებას, თავისუფლად უარი

თქვას ჩვენების მიცემაზე, შეიძლება ფლობდეს მხოლოდ პირი, რომელსაც მოცემული სისხლის სამართლის საქმეში უკავია მონმის პროცესუალური მდგომარეობა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მკაცრად უნდა განისაზღვროს მონმის იმუნიტეტის საზღვრები და თვლიან, რომ მონმეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა ჰქონდეს უფლება არ მისცეს ჩვენება, თავისი თავის ან ნათესავის წინააღმდეგ, ანუ ფლობდეს მხოლოდ ნაწილობრივ იმუნიტეტს, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფილია მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ და რასაც ჩვენც ვერ დავეთანხმებით. ამასთანავე თუ გამოძიებელი მიუთითებს მონმეს თავისი შესაძლო დუმის საზღვრებს, არავითარი მონმის იმუნიტეტზე არ შეიძლება ლაპარაკი.⁶

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლი განსაზღვრავდა იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლებოდა მონმე ყოფილიყო, ხოლო ამ მუხლის პირველი ნაწილი გათვალისწინებული იყო, რომ არ შეიძლებოდა მონმედ გამოეძახებინათ და დაეკითხათ:

ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით;

დ) ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით;

ე) სასულიერო პირი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ვ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მსჯავრდებულის ახლო ნათესავი – თუ იგი არ დაეთანხმება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მონმე;

ზ) სახალხო დამცველი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

თ) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები – იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა;

ი) მოსამართლე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას;

კ) ჟურნალისტი – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

2) მონმედ არ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება, ასევე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

3) გამომძიებელს, სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ მოტივირებული დადგენილებით მოწმის ვალდებულებისაგან გაათავისუფლონ:

ა) ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას;

მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ იმ გარემოებათა შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა საქმისთვის, აგრეთვე ეჭვიმტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად. გამომძიებელს უნდა დაედგინა იმ პირთა წრე, რომელთაც შეიძლება ჰქონოდათ ამ სახის ინფორმაცია.

მოწმე უნდა დაკითხულიყო სხვა მოწმეებისგან განცალკევებით, გამომძიებელს ყველა ზომა უნდა მიეღო, რათა ერთი სისხლის სამართლის საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონოდათ. დაკითხვის დაწყებამდე ასევე მოწმისთვის უნდა მომხდარიყო აუცილებლად თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობა.

ძველი სსსკ-ის მიხედვით „გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს მოწმის დამოკიდებულება ეჭვიმტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის მიმართ, კერძოდ: ხომ არ არის მათ შორის ნათესაური კავშირი; ხომ არ არის მათ შორის მეგობრული კავშირი; ხომ არ არის მათ შორის სხვაგვარი კავშირი; ხომ არ არის მათ შორის რაიმე კომფლიქტი; ხომ არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ პირადი ინტერესი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენების შინაარსზე და ა. შ.⁷

მოწმისთვის გამომძიებელს უნდა განემარტა, რომ იგი არ იყო ვალდებული მიეცა თავისი თავის ან ახლო ნათესავების მამხილებელი ჩვენება, ასევე უნდა მიეცა განმარტება ადვოკატის ყოლის უფლების შესახებ ჩვენების მიცემის დროს და რომ ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებდა დაკითხვის წარმოებას. მოწმე ხელნერილის ჩამორთმევით ან სხვა ფორმით უნდა გაეფრთხილებინათ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენების ან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

ძველი სსსკ-ის მიხედვით მოწმეს შეეძლო ჩვენება ოქმში დაეფიქსირებინა საკუთარი ხელით ან მისი თხოვნით ჩვენება უნდა დაენერა გამომძიებელს.

ახლა კი განვიხილოთ პროცესის ისეთი მონაწილე, როგორც არის დაზარალებული. ძველი სსსკ-ის მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა (68-ე მუხლი).

დაზარალებულის დაკითხვა ტარდებოდა იმ წესით, რომელიც გათვალისწინებული იყო მოწმისთვის და ამდენად მოწმის დაკითხვაზე, რადგან უკვე გვექონდა საუბარი მასზე არ შევჩერდებით.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იყო აგრეთვე ეჭვიმტანილის დაკითხვის წესი, რომლის დროსაც გამომძიებელი ხელმძღვანელობდა ბრალდებულის დაკითხვისათვის გათვალისწინებული წესით. გამომდინარე აქედან, გამართლებულად მიმაჩნია, რომ ამ ორი სხვადასხვა სტატუსით მოსარგებლე პირების დაკით-

ხვისთვის დამახასიათებელი წესები განვიხილოთ ერთად. ამისათვის კი უნდა გავარკვიოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა.

ძველი სსსკ-ის მიხედვით ექვმიტანილად ითვლებოდა პირი თუ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად. გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი ცნობდა მას ექვმიტანილად, რის შესახებაც გამოჰქონდა დადგენილება. ხოლო ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართ გამოტანილი იყო გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. დადგენილებაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული იმ ქმედების აღწერაც, რომლის ჩადენაც ბრალად ედებოდა პირს და მის სისხლის სამართლებრივ კვალიფიკაციას. როგორც ჩანს, ამ ორი სხვადასხვა საპროცესო სტატუსის მისაღებად საჭიროა გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული დადგენილება.

ექვმიტანილის დაკითხვა იყო გამომძიებლის უფლება და არა მოვალეობა, რომელიც სწორად უნდა შეფასებულიყო გამომძიებლის მიერ და თუ ჩათვლიდა, რომ ექვმიტანილის დაკითხვას შეიძლება ჰქონოდა გამოძიებისათვის რაიმე მნიშვნელობა, დაეკითხა იგი. იგივე წესი მოქმედებდა ბრალდებულის დაკითხვაზეც.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოწმისგან განსხვავებული წესი მოქმედებდა ექვმიტანილის და ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე. ექვმიტანილი, უფლებამოსილი იყო მიეცა ჩვენება და არა ვალდებული, ასევე ბრალდებულსაც შეეძლო უარი ეთქვა ჩვენების მიცემაზე, ხოლო თუ თანახმა იყო მიეცა ჩვენება, ის უნდა დაკითხულიყო წაყენებული ბრალდების არსის მიხედვით და ასევე სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების შესახებ.

ექვმიტანილისთვის და ბრალდებულისთვის დაკითხვის დაწყებამდე უნდა განემარტათ ეჭვისა და ბრალდების არსი და თავიანთი უფლებამოსილებანი. ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვა ხორციელდებოდა დღის საათებში გარდა გადაუდებელი შემთხვევისა.

სხვა საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია როგორც ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვისთვის, ასევე დაკითხვის სხვა სახეებისთვის, უკვე განვიხილეთ ზოგად დებულეებში და ამდენად მათზე არ შევჩერდებით.

აუცილებელია განვიხილოთ აგრეთვე ისეთი საკითხი, როგორცაა: ყრუ-მუნჯი და არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის თავისებურებები.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით „არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვა წინასწარი გამომძიებლის პროცესში გარკვეულწილად განსხვავდება სრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის თავისებურებებისაგან. ვინაიდან არასრულწლოვნის ფსიქიკა, მისი ცნობიერება გარესამყაროსთან და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან, მეტნაკლებად ჯერ კიდევ სრულყოფილი სახით არაა ჩამოყალიბებული და მისი აზროვნება და შთაგონების პროცესი არსებითად განსხვავდება სრულწლოვანი პირის შთაგონებისა და აზროვნებისაგან“.⁸

18 წელს მიუღწეველი ბრალდებულისა და ექვმიტანილის დაკითხვა მიმდინარეობდა პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა კი ტარდებოდა მოწმის, პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. ხოლო 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა წარმოებდა მხოლოდ მშობლის, მეურვის ან სხვა კანონიერი



ნარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით თუ მას შეეძლო სიტყვიერად ან სხვა ფორმით წარმოედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები.

14 წლამდე ასაკის მონაწილეს აცნობდნენ მის მოვალეობას, რომ ელაპარაკა მხოლოდ სიმართლე, მაგრამ ცრუ ჩვენებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის პასუხისმგებლობის შესახებ მისი გაფრთხილება არ იყო სავალდებულო.

ყრუ-მუნჯი მონაწილის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვა ტარდებოდა იმ პირის მონაწილეობით, რომელსაც ესმოდა მისი ნიშნები და შეეძლო მისთვის იმავე ნიშნებით აზრის გაგებინება. დაკითხვაში ასეთი პირის მონაწილეობა ყოველთვის აისახებოდა ოქმში.

Interrogation as an investigation activity

Abstract

The present paper highlights the importance of interrogation in the process of preliminary investigation. I paid great attention to the fact, how essential the existence of legal basis is for an interrogation. The act concerning the suspect and the accused, is a legal basis which provides the existence of these participants in this process and imposes the power of inquire on the investigator. The work refers to the interrogation of a victim as well. The facts important for the investigation, ascertaining significant circumstances, are considered to be a legal basis for witness interrogation. Above-mentioned issues are widely discussed in the article.

შენიშვნები:

¹ სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) ავტორთა კოლექტივი, რედ. რეზო გოგშელიძე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2008, გვ. 42.

² ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2007, გვ. 557.

³ ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2007, გვ. 559-560.

⁴ სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) ავტორთა კოლექტივი, რედ. რეზო გოგშელიძე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2008, გვ. 50-51.

⁵ ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2007, გვ. 564.

⁶ გ. აბაშიძე, მონმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში, „სტუდენტის ბიბლიოთეკა №5“, ბათუმი, 2009, გვ.30.

⁷ ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2007, გვ. 567.

⁸ სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, რედ. რეზო გოგშელიძე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2008, გვ. 50.



ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირე-
ბული პროფესორი

დელიქტების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

რომის სამართლის მიხედვით, ტერმინ „delictum“-ს (დელიქტუმ) ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელმაც რაიმე ზიანი მიაყენა ცალკეულ პირებს, მათ ოჯახებს ან საკუთრებას, რასაც სასჯელი ან სხვა სახის ნეგატიური შედეგი მოჰყვებოდა¹.

როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური სამართალი მოწოდებულია მოქალაქეთა ინტერესების შელახვით მიყენებული ზიანის სამართლიანი კომპენსაციის პრაქტიკა განახორციელოს. იგი მოსარჩელეს კომპენსაციის უფლებას აძლევს მხოლოდ მოპასუხის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისას, როდესაც მოსარჩელე დარწმუნებული იყო შესრულებაში. დელიქტური სამართალი, პირიქით, ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც ინდივიდის ინტერესთა ზიანი მდგომარეობს არა იმდენად მიცემული სიტყვის მიმართ მოსარჩელის ნდობის გაცრუებაში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით პასუხისმგებლობის დარღვევის გზით, არამედ მისი სხვა მრავალრიცხოვანი ინტერესების შელახვაში, როგორცაა ჯანმრთელობის დაზიანება ან რეპუტაციის შელახვა, მისი მოძრავი ან უძრავი ქონების დაზიანება ან სხვა ეკონომიკური სახის ზარალი. დელიქტური სამართლის ფუნქციია ზიანის მიყენების აურაცხელი შემთხვევებიდან ამოიჩიოს ისეთი, როდესაც დაზარალებულს შეეძლება მიყენებული ზიანის სიმძიმე სხვა პირს დააკისროს².

დელიქტის ლეგალური დეფინიცია ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში მოცემული არ არის, მაგრამ „მისი 992-ე მუხლის უნივერსალური ფორმულირება ადგენს პასუხისმგებლობას ნებისმიერი განზრახვი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის³. **სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.**

დელიქტური სამართალი თანამედროვე (მათ შორის ქართულ) სამართლებრივ სისტემებში ცალსახად მიეკუთვნება კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტთა რიცხვს და არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რაც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეუ-

ლი (გამონაკლის შემთხვევაში ბრალის გარეშე) ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან⁴. ავტორთა მოსაზრებით, დელიქტის უნიფიცირებული განმარტების ჩამოყალიბება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ძირითად სირთულეს წარმოადგენს ერთმანეთისაგან სამართლებრივი შინაარსით არსებითად განსხვავებული დელიქტების ერთ ცნებაში „თავმოყრის“ შეუძლებლობა. დელიქტური სამართალი სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით ვითარდება⁵.

უკეთ რომ დაზუსტდეს შინაარსი დელიქტის ცნებისა, ჯერ ის **მიზანი** უნდა განისაზღვროს, რომელსაც დელიქტების მარეგულირებელი ნორმები ემსახურებიან, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი როცა სამართლებრივ სიკეთეებს იცავს პირისა, იგი ჩამოთვლის ამ სიკეთეებს. **სკ-ის 992-ე მუხლი** ასეთ ჩამონათვალს არ გვთავაზობს და იგი თავმოყრილია ქართული სამოქალაქო კოდექსის დელიქტების თავში, ასევე სხვა ნორმებშიც. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კი იმის კლასიკური მაგალითია, რომელიც ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რომლებიც დაცვის ღირსადაა აღიარებული, კერძოდ, **გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 823-ე პარაგრაფის მიხედვით**, „(1) პირი, ვინც **განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამონვეული ზარალი. (2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, ვინც არღვევს კანონს, რომელიც მიმართულია სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ თუ კანონის შინაარსის თანახმად მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშეც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას“⁶. პირველი ნაწილის ქმედების შემადგენლობა წინაპირობად აყენებს **ობიექტურად შესარაცხადი სამართლებრივი სიკეთის დარღვევას**. სამართლებრივი სიკეთის დარღვევა პირველ ნაწილში პირდაპირ დასახელებული უფლებების ან სამართლებრივი სიკეთის ნებისმიერი დარღვევაა, მათ შორის „სხვა უფლებებისა“⁶. როგორც ნორმიდან ირკვევა, მთავარი ფასეულობა, უმთავრესი სიკეთე, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება მიმართულ იქნეს ზიანის მიმყენებლის კანონსაწინააღმდეგო ქმედება – **პიროვნება და საკუთრებაა**.**

პიროვნება არის უნიკალური ფსიქოლოგიური თვისებების რთული ერთობლიობა, რომელიც განსხვავებულ სიტუაციებში და სხვადასხვა დროს გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევას თავისებურებებზე⁷. პიროვნების ცნების ქვეშ იყრის თავს მისი მახასიათებლები (სახელთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებები; სიცოცხლე; ჯანმრთელობა; და სხვ.), ანუ ის მახასიათებლები, რომლის გარეშეც პიროვნებას არსებობა არ შეუძლია. რაც შეეხება საკუთრებას, პირი უფლებამოსილია ყველა იმ სიკეთით ისარგებლოს, რაც მის საკუთრებაში შედის, იმ სიკეთეებით, რაზედაც ხელი მიუწვდება, ცხადია, მხოლოდ მართლზომიერი სარგებლობისა და ფლობის უფლებით. **სკ-ის 170-ე მუხლის თანახმად (6.1)**, „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“⁸.

დელიქტებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები აწესრიგებს განსაზღვრული უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთის **უკანონო დარღვევებს**. საქმე ეხება ისეთი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც არსებობს ნებისმიერი დამრღვევის მიმართ განსაკუთრებული ურთიერთობების (სახელშეკრულებო ან ხელშეკრულების მსგავსი ურთიერთობების) მიღმა. არამართლზომიერებისაგან განსხვავებით, **ბრალი** არის მართალია, ჩვეულებრივი, მაგრამ არასავალდებულო წინაპირობა დელიქტებიდან გამომდინარეც მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის⁸.

ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობაზე საუბრისას შეიძლება გამოიყოს რამდე-

ნიმე არსებითი ელემენტი, რომლებიც გავლენას ახდენენ სამართლებრივ შედეგზე. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების, ანუ მისი ბრალეულობის საკითხის გარკვევა... ქმედებას პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ უარყოფით შედეგთან, რომლის აღმოფხვრაც ზიანის ანაზღაურების უპირველესი დანიშნულებაა⁹. ბრალი ზიანის ანაზღაურების კლასიკური სამართლებრივი წინაპირობაა და მისი არარსებობა თავისთავად გამორიცხავს დელიქტის არსებობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდული რაოდენობის შემთხვევებისა¹⁰. მოქმედი თეორიით, რომელიც ძალზედ ეხმიანება ბრალის გერმანულ კონცეფციებს, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა... სამოქალაქო კოდექსი კვლავაც ბრალეული პასუხისმგებლობის პოზიციაზე დგას. ამასთან იგი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო სამართალში¹¹.

ბრალი შეიძლება გამოვლინდეს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. „განზრახვა სამართლით დაცული ინტერესის ან სიკეთის წინააღმდეგ გაცნობიერებულ მოქმედებას გულისხმობს, პირს შეგნებულად სურს იმ კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რომელიც მან თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოიწვია და ბუნებრივის ამ ქმედების შედეგსაც აცნობიერებს.

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს აფუძნებს, მაგრამ პასუხისმგებლობა დგება განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (სკ მ. 395-ის 1-ლი ნაწილი, მ. 992). „**ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისს.** ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას იცნობს როგორც ევროპული, ისე საერთო სამართალი... ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება ვიხილოთ როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში¹². ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას იცნობს სამოქალაქო სამართალი, როცა ზიანი დგება „საშიში“ (ვნების მომტანი) ნაგებობის შედეგად, ასევე მოქმედების შედეგად, თუ სხვა შემთხვევებში¹³. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის მაგალითია სკ მ. 393-ე „გ“ ქვეპუნქტი, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ: „კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად: მას აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება“, ან კიდევ, სკ მ. 402: „მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც“, ან კიდევ ავილოთ სკ-ის 718-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მარწმუნებელი მოვალეა ანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალეული მოქმედების შესრულებისას თუ ზიანი დადგა დავალეული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო“.

„შედარებით მეტი სიუხვით გამოირჩევა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა არასახელშეკრულებო სამართალში, კერძოდ კი - დელიქტურ სამართალში. ამას შეიძლება ის ახსნა მოექმნოს, რომ თავად ზიანის მიყენების წყარო ხშირად ისეთი საგანია, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს და მისი მფლობელის მაღალი ყურადღებიანობის მიუხედავად, შესაძლებელია, რომ ზიანი მაინც დადგეს. მოკლედ, აქ ზიანს უმეტესწილად „საშიში“ ობიექტები იწვევენ, ვიდრე „საშიში“ მოქმედებანი. როგორც არ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მიზეზი, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებში, პასუხისმგებლობის საფუძვლად შეიძლება ჩავთვალოთ „საშიში“ ობიექტთან თუ მოქმედებასთან დაკავშირებული რისკი¹⁴. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სახეებზე ჩვენ ქვემოთ, თითოეული ნორმის კომენტარებისას ვისაუბრებთ, აქ კი აღვნიშნავდით, რომ ბრალის

გარეშე პასუხისმგებლობის ზოგიერთ შემთხვევას შეიძლება საგარანტიო პასუხისმგებლობა ვუნოდოთ. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოვალე იძლევა გარკვეული შედეგის დადგომის გარანტიას. „საშიში“ მოქმედების მაგალითებს წარმოადგენს თვითდახმარება, როცა მცდარი ვარაუდით ხორციელდება: პირი ვალდებულია აანაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი **(120-ე მუხლი)**¹⁵.

როგორ შეიძლება განიმარტოს ტერმინი „ზიანი“? ზიანი არის ყოველი ნაკლოვანება, რომელიც პირმა განსაზღვრული მოვლენის გამო განიცადა. ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ ზიანს, მაშასადამე, ფულად თანხაში ან ქონებრივ სიკეთეთა ხელყოფაში გამოხატულ ნაკლოვანებას (მაგალითად, პატივისა და ღირსების შელახვას). **სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ქონებრივ ზიანს განეკუთვნება, მაგალითად, როდესაც პირს არ შეუძლია ისარგებლოს მისი კუთვნილი ავტომობილით, ასევე, არასწორი სამედიცინო ჩარევის შედეგად დაბადებული ბავშვის სარჩო.** როგორც ნესი, ყოველი პირი თავად არის პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებისათვის, განსაკუთრებით, შემთხვევით წარმოშობილი ზიანისათვის (**casum sentit dominus**); მოთხოვნა, განხორციელდეს თუ არა სხვა პირის სასარგებლოდ – **ზიანის ანაზღაურება**, საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ საფუძველს (მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, დელიქტური ქმედება და ა. შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მნიშვნელოვნად შეზღუდულია არამატერიალური ქონებრივი ზიანის ანაზღაურება¹⁶. სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირთან წარმოშობილი ზიანის კომპენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებით. სხვა შემთხვევაში იგი განისაზღვრება სამართლებრივი მონესრიგებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების და, მეორე მხრივ, დელიქტური ვალდებულებების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება: **ა) კანონით განსაზღვრული ყოველი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობა არის, რომ იგი გამოწვეულია მავალდებულებელი გარემოებების შედეგად (მიზეზობრიობა ან კაუზალობა).** ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებასა და ზიანს შორის, ესე იგი, არსებულ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა, რომ არ განხორციელებულიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და ამ შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს. თუ დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი ამ კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (**condictio sine qua non**); გამომდინარე აქედან, ზიანის წარმოშობის პირობას წარმოადგენს ცხოვრებისეულ ურთიერთობაზე მოქმედი ყველა გარემოება, რომელიც კონკრეტულ შედეგს (ზიანს) იწვევს **(ე.წ. პირობითობის ან ეკვივალენტურობის თეორია)**¹⁷. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს¹⁸.

არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შემთხვევაში კანონი არა მხოლოდ ვალდებულებას წარმოშობს, არამედ მის ზუსტ შინაარსსაც განსაზღვრავს. რაც შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მხარეები არა მარტო ვალდებულების წარმოშობას, არამედ მის შინაარსსაც განსაზღვრავენ¹⁹. სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებათა შორის არსებული განსხვავების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ხელშეკრულებათა ფორმასა და შინაარსს ირჩევენ თავად მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული სახისა თუ შინაარსის ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულებათა რეგულირება მხოლოდ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი. ვალდებულებათა სახელშეკრულებო სისტემა არის

„ღია“ მაშინ, როცა არასახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა არის „დახურული“. მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ არასახელმწიფო ვალდებულებათა მიმართ შეგვიძლია ვისაუბროთ ვალდებულებათა „ამომწურავ“ ჩამონათვალზე²⁰.

ქართულ სამართალში არსებობს დელიქტური ვალდებულების კონკრეტული წესები, რომლის საერთო დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ პირი პასუხისმგებელია დელიქტური ვალდებულებისათვის მაშინაც, თუ ქმედება გულგრილობით არ იყო განპირობებული, ან ის საერთოდ არ მოქმედებდა. ეს ის მაგალითებია, რომელსაც ინგლისში „**მკაცრ პასუხისმგებლობას უწოდებენ**“. ამდენად, მოსარჩელეს არ სჭირდება ამტკიცოს, რომ მოპასუხე გულგრილობით მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებული წესები ეხება კონკრეტულ შემთხვევებს, რომელშიც მართალია, მიღებულია დელიქტური ვალდებულების შესახებ ზოგადი ცნებიდან ამოსვლა, რადგანაც ზიანის გამომწვევი მოქმედება კონკრეტული საფრთხის მატარებელია, ან რადგანაც არსებობს ურთიერთობა დელიქტენტსა და პასუხისგებაში მიცემულ პირს შორის, რომელიც ამტკიცებს, რომ მესამე პირისათვის არ იყო გამიზნული²¹.

საფრთხის გამომწვევი ქმედებისათვის მკაცრ პასუხისმგებლობას ვხვდებით **სკ-ის მ. 1000-ე, მ.1003-ე, 1004-ე, 1009-ე** და **ა. შ. მუხლებში**. მკაცრ პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედების ან უმოქმედობისათვის, ამ პირსა და რეალურ სამართალდამრღვევს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის გამო ხშირად „**სხვა პირის მაგივრად აღებულ პასუხისმგებლობას**“ უწოდებენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ **სკ-ის მ. 994**, მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიერ მიყენებული ზიანისათვის სხვა პირის მიმართ, ან კიდევ, სამსახურის მიერ მისი მუშაკის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა და სხვ. შევნიშნავთ, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ცალკე დებულება, რომელიც ცალკე დაარეგულირებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის (**სკ, მ.1005**). აღნიშნული ნორმა არეგულირებს მხოლოდ შემთხვევას სახელმწიფო მოხელის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის. რაც შეეხება **საგადასახადო კანონმდებლობას (მ.63)**, იგი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ თუ საგადასახადო ორგანოს მუშაკმა ზედმეტად გადაახდევინა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები პირს, - იგი ვალდებულია მის უკან დაბრუნებაზე²².

დელიქტურ სამართალში პასუხისმგებლობის სუბიექტია პირი, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით აყენებს სხვა პირს ზიანს და ეს ზიანი ანაზღაურებადია. კრედიტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, მოვალე ყოველთვის დელიქტუნარიანი პირია, პირი, რომელიც თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით აგებს პასუხს დაზარალებულის წინაშე, იგი დელიქტუნარიანი პირია, ხოლო დაზარალებული – პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მატერიალურ ქონებას და ა. შ. ზიანი მიადგა. დელიქტის დროს სახეზეა ზიანი და ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, რომლის ძალითაც კრედიტორი ყოველთვისაა უფლებამოსილი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ზიანის მიყენება შეიძლება მოხდეს არა მარტო აქტიური მოქმედებით (რომელსაც უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირდაპირ იწვევს), არამედ იგი გამოიხატება უმოქმედობაშიც, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება, იმ შემთხვევაში თუ პირი ვალდებული იყო გარკვეული მოქმედება განეხორციელებინა, რათა სხვა პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონოდა, მაგ: **სკ მ. 994** (სადაც საუბარია არასრულწლოვანი მშობლის პასუხისმგებლობაზე შვილის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის), **მ. 995-ის მე-2 ნაწილი** (მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობაზე საუბარი), **მ.997-ე, 1003** და სხვ., რომლებსაც ჩვენ ქვემოთ შესაბამის თავებში განვიხილავთ.

დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, არ უნდა განვიხილოთ „წმინდა სამართლებრივ“ კონსტრუქციად, რომელსაც მხოლოდ იურიდიული შედეგები მოჰყვება. დელიქტური სამართლის მიზანი ზიანის მიყენების პრევენცია და საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებაა²³. კერძოდ, „დელიქტურ ვალდებულებებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური და ეკონომიკური ფუნქციაც გააჩნიათ. სოციალურ ფუნქციაში, უპირველეს ყოვლისა, დელიქტური ნორმების პრევენციული მნიშვნელობა მოიაზრება. მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდუვალობა და კანონისმიერი გარანტიები მიაწვდიან სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის კუთვნილ სამართლებრივ სიკეთესაც და არ დაუშვან მისი დაზიანება. დელიქტური სამართლის ეკონომიკური ფუნქცია გამოიხატება იმ შედეგებში, რომელსაც დელიქტური ნორმების პრაქტიკული რეალიზაცია იწვევს“²⁴.

სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიზანია... დაადგინოს რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს დელიქტური სამართალი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესებს და რამდენად ადეკვატურია ის საშუალებები, რომლითაც კანონი იცავს დაზარალებულს. ცხადია, თუ ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები არაეფექტურია, ის ვერც პრევენციის ფუნქციას შეასრულებს და ვერც ეკონომიკური შედეგის მიღწევას შეუწყობს ხელს. მაგალითად, თუ ერთმანეთთან მძაფრ კონკურენციაში მყოფი ორი კომპანიისგან ერთ-ერთი მეორის მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ არასწორ ინფორმაციას განზრახ გავრცელებს, ხოლო სასამართლო მას მხოლოდ ამ ინფორმაციის უარყოფას დააკისრებს, ასეთი გადაწყვეტილება უარყოფითად იმოქმედებს ჯანსაღ კონკურენციაზე და ასევე აისახება კომპანიების მუშაობის შედეგებზე. არაადეკვატური სანქცია ნაახალისებს ბაზარზე არსებულ არაკეთილსინდისიერ მოთამაშეებს. მათ ეცოდინებათ, რომ შესაძლებელია საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებით კონკურენტისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის მიყენება. ამ ქმედებისათვის კი მათ მხოლოდ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა მოუწევთ. დამრღვევი ასეთ „ვალდებულებას საკმაოდ მარტივად შეასრულებს და დაელოდება ახალ შანს ბაზრის კეთილსინდისიერ მონაწილეზე „თავდასხმისათვის“²⁵.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ, დელიქტური სამართალი გარკვეულწილად ავსებს სისხლის სამართლის სოციალურ ფუნქციას. ამ უკანასკნელის მიზანი დანაშაულის პრევენცია და დამნაშავისათვის სათანადო სასჯელის დაკისრებაა. ამასთან, დამნაშავის დასჯა ყოველთვის საკმარისი არ არის იმ პირებისათვის, ვისაც სამართალდამრღვევის ქმედებით ზიანი მიადგა. ხშირად დაზარალებულის სამართლებრივი დაკმაყოფილების საკითხები სისხლის სამართლის სფეროს სცილდება და დელიქტური ნორმების მოქმედების არეალში ექცევა. დაზარალებულებისათვის ადეკვატურ ფინანსურ კომპენსაციას სწორედ დელიქტური სამართალი უზრუნველყოფს. ამგვარად დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, არ უნდა განვიხილოთ „წმინდა სამართლებრივ“ კონსტრუქციად, რომელსაც მხოლოდ იურიდიული შედეგები მოჰყვება. დელიქტური სამართლის მიზანი ზიანის მიყენების პრევენცია და საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებაა.²⁶

ეკონომიკურ ბალანსსა და ზიანის პრევენციასთან ერთად დელიქტური სამართლის მიზანს სამართლიანობის დაცვაც წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სამართლიანობა იგულისხმება ობიექტური გაგებით. ცხადია, ის, ვისაც ზიანის გამომწვევი მოქმედება და მისი შედეგი პიროვნულად ეხება, მიუკერძოებელი შემფასებელი ვერ იქნება. ხშირად სასამართლო პროცესის წამგებ მხარეს ეჭვი ეპარება გადაწყვეტილების სამართლიანობაში. ამდენად, სამართლიანობის სტანდარტი დაკმაყოფილებულად უნდა მივიჩნიოთ, თუკი გადაწყვეტილება დასაბუთებულია და მისაღები იქნება სა-

ზოგადობის იმ წევრებისათვის, ვისაც კონკრეტული დელიქტის მიმართ ემოციურად ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ²⁷.

ზოგადად, თანამედროვე იურისპრუდენციაში საკმაოდ დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დელიქტის ცნება. საქართველოს **1997 წლის 26 ივნისის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი** დელიქტს განმარტავს როგორც იმ პირის მოქმედებას, „რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს“. დელიქტის ზოგად განმარტებად კი შეიძლება მივიჩნიოთ „სამართალდარღვევა, მიმართული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც ისჯება კანონით“. თუმცა, სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტად ითვლება დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია არა ხელშეკრულების დარღვევასთან, არამედ ზიანის მიყენებასთან. ზიანის მიყენებაში კი იგულისხმება ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ფიზიკური ტრავმა, ცილისწამება, პირადი თავისუფლების, საკუთრების უფლებისა და კომერციული ინტერესების შეზღუდვა. მოწინავე გერმანული ცივილისტიკა დელიქტად - **Unerlaubte Handlungen**, მიიჩნევს აკრძალულ მოქმედებას, დანაშაულებრივ მოთხოვნას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი, მას **Zwischenrecht-ს (სამართალშორის ნორმებს)** უწოდებენ. სრულიად განსხვავებულ განმარტებას გვაძლევს საერთო სამართლის ქვეყნების სამართალი, სადაც დელიქტად (**tort wrong, tortus wrong**) მიჩნეულია მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს და როცა ზიანის მიმყენებელი იდენტიფიცირებულია და იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ამასთან, ზიანად მიჩნეულია არალიკვიდრებული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ნდობის დარღვევიდან, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულებების დარღვევიდან (**salmond**)²⁸.

992-ე და შემდგომი ნორმებიდან გამომდინარე, ზიანი შეიძლება მიადგეს სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრების უფლებას, მატერიალურ ქონებას ან სხვა უფლებას. ანალოგიურად, ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უნდა დაეკისროს ასევე პირს, რომელიც არღვევს კანონს, რომელიც სხვა პირის ინტერესებს იცავს. თუკი კანონიდან გამომდინარე ბრალის გარეშეც შეიძლება ზიანის მიყენება, – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ ბრალის არსებობისას დგება. ამ შემთხვევაში ქართული **სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გამოძახილის ბგბ-ის 823 პარაგრაფისა**.

სამოქალაქო სამართალში ზიანის ბუნება იმაზე კი არ არის დამოკიდებული თუ რა ხასიათის იყო სიკეთე, რომელიც ხელყოფის ობიექტი (საგანი) გახდა, არამედ იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ბუნებრივი, ფულადი ეკვივალენტი²⁹.

პირს მხოლოდ მაშინ დაეკისრება ზიანის ანაზღაურება, თუ იარსებებს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნის, კერძოდ, პირის ქმედება მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, სახეზე უნდა იყოს მიყენებული ზიანი, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რომელიც სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია, უნდა არსებობდეს ზიანის მიმყენებლის ბრალი, რომელიც სამართალდარღვევის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. **ყველა სახის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება?** ამაზე პასუხს გაგვცემს **სკ-ის 412-ე მუხლი**, რომლის თანახმად, „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ქმნიან იურიდიულ შემადგენლობას პირისათვის ზიანის გადახდევინების დაკისრებისა, რომელიც ცნობილია „**გენერალური დელიქტის**“ სახელწოდებით. ცხადია, თუ ზიანი არ იქნება, არც დელიქტური პასუხისმგებლობა იარსებებს, რამეთუ ზიანი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება (**მაგ; სკ მ. 116** („აუცილებელი

მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი;“ მ.117, „უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი“; მ. 118, „თვითდაზარება“); ასევე, თუ პირი სხვისი ინტერესებისათვის სხვას აყენებს ზიანს, რომ ამ პირის სიკეთე გადაარჩინოს მოძალადე პირის მიერ ზიანის მიყენებისაგან, ამ შემთხვევაშიც თავისუფლება პირი, ზიანის მიმყენებლისათვის მიყენებული ზიანისაგან, რამეთუ იგი ცდილობდა სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენას.

არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ზიანის მიმყენებლის ქმედება მართსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება და არ იწვევს მის პასუხისმგებლობას ზიანისათვის. საუბარია ზიანის მიყენებაზე დაზარალებულის თხოვნით ან მისი თანხმობით, იმ პირობით, თუ ზიანის მიმყენებლის ქმედება არ არღვევს საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს (მაგალითად, მესაკუთრის თანხმობით სახლისათვის ცეცხლის წაკიდება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, თუ ზიანის მიმყენებელმა იცოდა სახლის მესაკუთრის მიზნები სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შესახებ³⁰. **კანონის „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მიხედვით**, ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვა დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე, მაგრამ თანხმობა დაუშვებელია, თუ პირი ისეთი ორგანოების გადანერგვაზე თანახმა, რომელიც მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს (გული, და სხვ.). **კანონის მე-4 მუხლის** მიხედვით, „ქმედუნარიან პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე“, ხოლო **მე-5 მუხლის** თანახმად, „თანხმობა ან უარი შეიძლება ეხებოდეს ერთ ან მეტ ორგანოს. გადანყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ადასტურებს სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი. **მე-8 მუხლის** თანახმად, კი: გადანერგვის მიზნით გარდაცვლილის ორგანოს აღება, როდესაც არ არსებობს სიცოცხლეში განცხადებული თანხმობის ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, შეიძლება, თუ: **ა)** არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს; **ბ) ამ კანონის მე-9 მუხლში** ჩამოთვლილ პირთაგან მოცემული რიგითობის მიხედვით უპირატესი უფლების მქონე პირი თანახმაა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე.

კანონის მუხლი მე-9 ჩამოთვლის იმ პირებს (ცხადია ქმედუნარიანებს), რომლებსაც გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე თანხმობის ან უარის განცხადების უფლება აქვთ. და ეს პირები შემდეგია: **ა)** მეუღლე; **ბ)** შვილი; **გ)** მშობელი; **დ)** შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი; **ე)** ძმა, და; **ვ)** ძმისწული, დისწული; **ზ)** ბებია, პაპა; **თ)** ბიძა, დეიდა, მამიდა; **ი)** ბიძაშვილს, დეიდაშვილი, მამიდაშვილი (**6.1**), ხოლო, **მე-2 ნაწილის** თანახმად, ასევე „თანაბარი უფლების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, თუნდაც ერთის მიერ უარის განცხადების შემთხვევაში, გარდაცვლილის ორგანოს აღება დაუშვებელია. **მე-3 ნაწილის** მიხედვით, კი: „ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს ორგანოს აღების შესახებ გადანყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიგით წინამავალი პირი (პირები) ცოცხალი არ არის ან მისგან გადანყვეტილების მიღება გადანერგვისთვის დასაშვები დროის განმავლობაში შეუძლებელია“. ავადმყოფისათვის დახმარების განწევა მისივე თხოვნით, თუნდაც მძიმე დაავადებისას გაუსაძლისი ტკივილებისას, კანონი დაუშვებლად მიიჩნევს მისივე თანხმობით მისთვის ხელის შეწყობას სიკვდილის დაჩქარებაში, განსხვავებით საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნისაგან (მაგ; ჰოლანდია, სადაც კანონი დასაშვებად მიიჩნევს ევთანაზიას, **1994 წელს ორეგონის შტატის ამომრჩევლებმა დაამტკიცეს ღირსეული სიკვდილის შესახებ კანონი, რომელიც ნებას რთავდა ექიმებს სიცოცხლის დასრულებაში დახმარებოდნენ ისეთ განუკურნებელ პაციენტებს, რომელთაც ექვს თვეზე ნაკლები სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ასეთ კანონმდებლობას მხარი 1997 წელს დაუჭირა. 1999 წელს ტექსასის შტატში არააგრესიული ევთანაზია ნებადართულად გამოცხადდა; ლუქსემ-**

ბურგში 2008 წლის 20 თებერვალს ქვეყნის პარლამენტმა პირველი მოსმენით, 59-დან 30 ხმით მიიღო კანონი ევთანაზიის ლეგალიზების შესახებ და სხვ). *საინტერესოა საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ სამედიცინო დაწესებულების მუშაკმა (ექიმმა) მაინც განახორციელა აღნიშნული აქტი პაციენტის თხოვნით, როგორი შედეგი მოჰყვება მის ქმედებას?* სისხლისსამართლებრივ შედეგზე რომ არ ვისაუბროთ მედიცინის მუშაკს ევთანაზიის განხორციელებისას დაეკისრება ზიანის ანაზღაურება იმ პირებისათვის, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდნენ მისი ახლობლები (მოხუცი მშობლები, არასრულწლოვანი შვილები (სრულწლოვანი, მაგრამ ინვალიდი შვილები), ინვალიდი მეუღლე) და სხვ.

სამოქალაქო - სამართლებრივი პასუხისმგებლობას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ზიანის მიმყენებლის **ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი**. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისადვე ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დაზარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალეულის არარსებობა³¹.

ზიანის მიყენება შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ თუ მათ ვინმესათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ, სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ყოველთვის არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი ქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს სანქციათა კუმულაციას – დამნაშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლის სამართლის და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა³².

ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალიც ხელს შეუწყობს ზიანის წარმოშობას ან კიდევ მის გაზრდას, ანუ მხედველობაშია დაზარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში სახეზეა **შერეული ბრალი**. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შერეული ბრალის საკითხს საგანგებოდ აწესრიგებს. **სკ-ის 415-ე მუხლი** მიუთითებს, რომ: „თუ ზიანის მიყენებას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული“ **(6.1). მე-2 ნაწილის** თანახმად, კი: „ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი“. როგორც ნორმიდან იკვეთება, დაზარალებული არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სავარაუდო, მოსალოდნელი ზიანი, მისი აცდენა კი სავარაუდოდ შეეძლო. მაგალითად, თურქეთიდან ტრანზიტით საქართველოში შემომავალ მძიმე-გაბარიტიან მანქანას შემოაქვს საქონელი, რომელიც მოსახვევში გადაყრავდა იმის გამო, რომ შემხვედრი მანქანა, რომელიც სრაფად მოძრაობდა გზაზე, სავალი გზიდან გადავიდა, როს გამოც საქონლის გადამზიდავმა მძღოლმა თავი ვერ შეიკავა. მძღოლი უვნებელი გადარჩა, მაგრამ მან არ იზრუნა იმისათვის, რომ მანქანიდან გადმოყრილი საქონელი მოეგროვებინა, რომ ზარალს ადგილი არ ჰქონოდა, თუმცა მას ამის გაკეთება შეეძლო. „სირთულეს წარმოადგენს არა იმდენად შერეული ბრალის არსებობის დადგენა და კვალიფიკაცია, არამედ მისი ანაზღაურების ადეკვატურ ოდენო-

ბაში გარდასახვა³³. სასამართლოს გასარკვევია გადარჩენილ საქონელსა და გაფუჭებულ საქონელთა სხვაობის დადგენა, რომელიც საერთო ზიანს უნდა გამოაკლდეს ანუ იმ ზიანს, რომელიც მეორე მხარის - გზიდან სწრაფად მიმავალი მანქანის მძღოლმა გამოიწვია. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება შერეულ ბრალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით (სუსგ, 2011 წლის 27 ივნისის №ფხ-260-244-2011 გადაწყვეტილება), „სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გამორიცხვას, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი ხომ არ შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც. სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული ქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. მაგალითად, პაციენტის ბრალს გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად განხორციელება (სამედიცინო დაწესებულების მიერ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საქმეებში). აღნიშნულში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით ნებისმიერი მანიპულაციის თუ პროცედურის ჩატარებამდე სამედიცინო მომსახურების გამწვევისათვის ინფორმაციის მინოდება. პაციენტი ვალდებულია მისცეს სრულყოფილი ინფორმაცია თავისი პირადი მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე. ნარუდგინოს ზემოაღნიშნული სამედიცინო დოკუმენტაცია და შეასრულოს მკურნალობისათვის დანიშნული ყველა პროცედურა“. გამოდის, რომ უზენაესი სასამართლო შერეული ბრალის გამორიცხვისათვის აუცილებელად მიიჩნევს აბსოლუტური კრიტერიუმის გამოყენებას. მეორე მხარის ქმედებაში ბრალეულობის ნიშნების უმნიშვნელო გამოკვეთაც კი, თუ ეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, უკვე იძლევა საფუძველს შერეული ბრალის მტკიცებისათვის. მაგალითად, თუ პაციენტი თვითნებურად შეწყვეტს მკურნალობის კურსს იმ მოტივით, რომ მის ეფექტურობაში ეჭვი ეპარება, ამით მეორე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა დამდგარი უარყოფითი შედეგის მიღწევაში პირველის „დამსახურებაზე“ ისაუბროს³⁴.

განზრახვა წარმოადგენს ნორმის შემადგენლობის ობიექტური მხარის შესრულების ცოდნასა და სურვილს. ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის მიმყენებელს აუცილებლად ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. სავსებით საკმარისია, თუ მისი შემადგენლობის ობიექტური მხარის შესრულება შესაძლებლად მიაჩნდა³⁵. განზრახვისას საჭიროა ზიანის მიმყენებელმა იცოდეს, რომ მისი ქმედება სამართლებრივად აკრძალულია... „განზრახვის ნიშანი „სურვილი“ შეიძლება სხვადასხვა სახით შეგვხვდეს. მნიშვნელოვანია, რომ ზიანის მიმყენებელი მიზნად ისახავდეს (**Absicht haben**) პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმის შემადგენლობის შესრულებას. ხშირად ხდება ისე, რომ პირი მისი ქმედების მავნე შედეგის დადგომით შესაძლებლობას რეალურად ხედავს და მაინც ახორციელებს აღნიშნულ ქმედებას, ანუ შეგნებულად უშვებს მავნე შედეგის დადგომას. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს **ევენტუალურ განზრახვასთან (dolus eventualis)**³⁶.

გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული წინდახედულების და მზრუნველობის არასაკმარისად გამოვლენას, როგორც ეს მიღებულია საყოველთაოდ საქმიანი **ბრუნვისათვის (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 276)**; ამ მიზნით გამოიყენება გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის მოქმედების ფიქცია. თუ დაზარალდა საქმიანი წრის გარკვეული ჯგუფის ან გარკვეული პროფე-

სიის წარმომადგენელი, სასამართლო გარკვევს, გამოამჟღავნა თუ არა მოპასუხემ წინდახედულება იმ მოცულობით, რომელიც ჩვეულებრივ სჩვევია შესაბამისი პროფესიის ან საქმიანი წრის ჯგუფის „საშუალო“ წარმომადგენელს³⁷. გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენება, როგორც ზემოთაღნიშნულ შიდა დოკუმენტებში და მარტივი გაუფრთხილებლობით. შ. ჩიკვაშვილის აზრით, უხეში გაუფრთხილებლობის ცნების შინაარსის განსასაზღვრავად „შედარებით მისაღებია ის კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულია რომის სამართალში: „**გაუგებრობა იმისა, რაც ყველას ესმის**“. ყველას ესმის, რომ არ შეიძლება ქუჩის გადაჭრა, როცა არსებობს მინისქვეშა გადასასვლელი და ა. შ. ამ მოთხოვნის დარღვევა, ცხადია, იქნება უხეში გაუფრთხილებლობა. ამასთან, ბუნებრივია, რომ დაზარალებულის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებები. მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობა დაზარალებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას ან მის გაზრდას“³⁸.

აქსიომატური დებულებაა, რომ ზიანი მისმა მიმყენებელმა უნდა აანაზღაუროს, სახეზე უნდა იყოს დაზარალებული პირის სამართლით დაცული ინტერესის სფეროში სხვისი უკანონო შეჭრა. სამოქალაქო სამართლის პრინციპია, რომ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“ (სკ, მ. 361). ამ მოვალეობის შეუსრულებლობა კი სამართალდარღვევად უნდა განვიხილოთ და შესაბამის პასუხისმგებლობასაც იწვევს, თუ მას ზიანი მოჰყვება შედეგად - იგი უნდა ანაზღაურდეს. **სკ-ის 408-ე მუხლის** ფუნდამენტური დებულებაა, რომ „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ზიანი უნდა ანაზღაურდეს თავდაპირველად ნატურით, ხოლო თუ ნატურით ანაზღაურება შეუძლებელია, მაშინ ფულადი თანხით. „ვალდებულების დარღვევის დროს, ისევე, როგორც ეს ევროპულ სამართალშია მიღებული, წინა პლანზე დგება ხელყოფილი სიკეთის ნატურით რესტიტუცია, რაც შეიძლება განვიხილოთ ვალდებულების ერთგვარ გაგრძელებად მისი დარღვევის შემდეგაც. **408-ე მუხლის პირველ ნაწილშიც** სწორედ ამაზე ხდება აპელირება, რომ ზიანის ფულადი კომპენსაცია იქ არის დასაშვები, სადაც მისი ქონებრივი რესტიტუცია შეუძლებელია (ნივთი გაფუჭდა, გაუფასურდა, დაიკარგა და სხვ.). ნატურით რესტიტუცია მოხდება მიყენებული ზიანისა ნატურით თუ ფულადი სახით, – ეს კრედიტორის გადასაწყვეტია, სასამართლო განხილვისას კი, სასამართლოს ნება წყვეტს ზიანის ანაზღაურების ფორმის საკითხს. კრედიტორი, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვის ნაკლები იმედი გააჩნია, ცხადია ნატურით ანაზღაურებას ირჩევს. მაგრამ კრედიტორმა შეიძლება სასამართლო პროცესზე დავისას, ფულადი კომპენსაცია მოითხოვოს, თუ მისთვის თანხით ადვილად შეიძენს სადავო საგანს. „**მთავარი ისაა, რომ ქართული სამართლით კრედიტორს აქვს ნატურით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ვიდრე ეს შესაძლებელია. შეუძლებლის შესრულება კი არავის ავალდებულებს**“³⁹. მაგრამ თუკი ნატურით ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია, მაშინ შესაბამისი ფულადი კომპენსაციით უნდა მოხდეს ანაზღაურება. მაგალითად, თუკი გაყიდული იყო ბილეთები ცნობილი ოპერის მომღერლის კონცერტზე და იგი ავად გახდა, მაშინ ბილეთების საფასური უნდა დაუბრუნდეს მის მყიდველებს, ან კიდევ ცნობილ ოსტატს უნდა მოეხდინა რესტავრაცია მუზეუმისა და ავარიში მოხვდა და ხელის ამპუტაცია გაუკეთეს და სხვ.). საერთოდ, სასამართლოს გასარკვევია ნატურით ანაზღაურება უნდა მოხდეს თუ ფულადი კომპენსაცია, გადწყვეტილება სამართლოანობის პოზიციიდან უნდა იქნეს გამოტანილი. ამაზე მიგვითითებს **სკ-ის 409-ე მუხლიც**, რომლის თანახმად, „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“.

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსი ძირითადად პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევას უკავშირებს. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას მხოლოდ მოსარჩელე განსაზღვრავს, მხოლოდ მოსარჩელის განსასაზღვრელი და საბოლოოდ სასამართლოს გადასაწყვეტია ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა, რომელიც „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“ უნდა მოხდეს.

რაც შეეხება „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების“ საკითხს, აქაც მოქმედებს რამდენიმე კრიტერიუმი. **უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ივლისის №3კ/1483-02 გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებისას განსაზღვრული თანხა დამოკიდებულია ხელმყოფის ბრალის ხარისხსა და მის ქონებრივ მდგომარეობაზე⁴⁰. თანხა უნდა იყოს ისეთი, რომ მან იქონიოს პრევენციის ფუნქცია, ანუ ხელმყოფმა თავი შეიკავოს შემდგომში ანალოგიური ქმედების ჩადენისაგან. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ხელმყოფის მიერ მიღებული თუ დაგეგმილი მოგება⁴¹.**

„დელიქტურ ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველი გახდა პირადი სამოქალაქო უფლებების დაცვის თაობაზე არსებული დიდძალი სამართლებრივი მასალა, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები და სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგები. სწორედ თანამედროვე სამოქალაქო კერძო სამართლის მიღწევებისა და დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით აღიარებული პირადი არაქონებრივი უფლებებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოხვდა მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, დელიქტურ ვალდებულებათა განხორციელებისა და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **მე-18-19 მუხლები**.

სამოქალაქო დელიქტის ზოგად ცნებას არ შეიცავს ხსენებული **მე-18 მუხლი**, არამედ იგი მოცემულია **992-ე მუხლში**, რომელიც მას განმარტავს როგორც სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებულ ზიანს. ზიანში კი იგულისხმება სუბიექტური სამოქალაქო უფლების (მოცემულ შემთხვევაში **მე-18 მუხლით** დაცული უფლებების) ან არაქონებრივი კეთილდღეობის დამცირება, განადგურება. საქართველოს **სამოქალაქო სამართლის კოდექსის 992-ე მუხლით**, დელიქტენტი ვალდებულია განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით მიყენებული ზიანი, ანუ **მე-18 მუხლით** დაცული უფლებების დარღვევისას, წარმოშობილი ზიანი პიროვნების პატივსა და ღირსებაში იგულისხმება მისი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასება, საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე საკუთარი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი როლის მიხედვით.

992-ე და მე-18 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც, როცა გავრცელდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ შესაბამისი ცნობები, რომლებიც, თავის მხრივ, სინამდვილეს არ შეესაბამება. ასეთ ცნობათა გავრცელებაში იგულისხმება მათი გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიის, რადიოსა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-18 მუხლით** გათვალისწინებული არ არის ხსენებული ცნობების დაცვა, თუ ისინი წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებებს, საგამოძიებო დადგენილებებს, ან ამ ცნობათა განხილვა ექვემდებარება საჯარო საკანონმდებლო განხილვას.

ზიანის მომტანი ცნობების დელიქტის თავისებურებაა ის, რომ თუ ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა, ამ დროს დელიქტენტს უნდა წარმოადგენდნენ პუბლიკა-

ციის ავტორი და რედაქტორი (გაზეთის), ხოლო თუ რედაქცია იურიდიული პირი არაა, დელიქვენტად გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მორალური ზიანის შედეგად წარმოშობილი დელიქტური ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია **მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით**. მორალური ზიანის ცნებაში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებისას, სასამართლო პრაქტიკა დიდ ყურადღებას უთმობს ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობის დადგენას, ზიანის მიყენების ფორმას, ადგილს, გარემოებებს, ქმედების განმეორების საშიშროებასა და დელიქვენტის მიერ მოგების მიღების, ქონებრივი ხეირის, დანაკლისის, ანუ იმ ზარალის არაფულად შეფასებას, რომელიც მან მიაყენა დაზარალებულს⁴².

ევროპული სამართლისაგან განსხვავებით, საერთო სამართალი უპირატესობას ანიჭებს ფულად კომპენსაციას. ნატურით რესტიტუცია მაშინაა უპრიანი, როდესაც ფულადი ანაზღაურებით შეუძლებელია ზიანის სრული და ჯეროვანი ანაზღაურება⁴³. უკანასკნელ პერიოდში ევროპულმა სამართალმაც ყურადღება მიაპყრო ფულადი ანაზღაურების საკითხებს ზიანის ანაზღაურებისას და სხვ.

Legal aspects of tort

Abstract

Tort law applies to a case where the individual interests of damage lies not so much in his speech to the complainant's credibility frustration of the contractual obligations the responsibility of breaking through, but also to its other numerous infringement of interests, such as health, injury or damage to reputation, its movable or immovable property damage or economic loss.

შენიშვნები:

¹ В. Р. Морев, Римское право, М., 2008, стр. 505.

² ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამოც. მეცნ. რედ. თედო ნინიძე, თარგმ. ეკატერინე სუმბათაშვილი, თბ., 2001, 287.

³ ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, 68.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ კროპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, 639.

⁷ <https://ka.wikipedia.org/wiki/პიროვნება>.

⁸ კროპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თარგ. თორნიკე დარჯანია, ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, 623.

⁹ ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, 677-678.

¹⁰ ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, დასახ. ნაშრ; თბ., 2014, 678.

¹¹ ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 370-371.

¹² ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, რედ. რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 387.

¹³ ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, რედ. რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 388.

¹⁴ ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, რედ. რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 389.

¹⁵ ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, რედ. რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 389.

ტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 391.

¹⁶ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2012, 204

¹⁷ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2012, 205.

¹⁸ ჩიკვაშვილი შალვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 378.

¹⁹ თოდუა მზია, ვილემსი ჰუუბ, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 95

²⁰ იქვე.

²¹ თოდუა მზია, ვილემსი ჰუუბ, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 100.

²² დამატ. იხ. ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბ., 2015, 260-261.

²³ გიორგი ცერცვაძე, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, ავტ. კოლექტ. 2014, 73.

²⁴ Fouré, *Economic Analysis of Tort Law and the European Civil Code*, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Mak/Perron/Towards a european Civil Code, 4th Revised and expanded Edition, 2011, 978. წიგნიდან: ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, 72-73.

²⁵ გიორგი ცერცვაძე, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., ავტ. კოლექტ. 2014, 73.

²⁶ იქვე.

²⁷ Church/Corbett/richard/white, *tort Law, The American and Louisiana Perspectives*, 2008, 8; წიგნიდან: ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, 73-74.

²⁸ მაჭარაშვილი ოთარ. დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში // აღმანახი №15, [საერთაშორისო სამართალი], – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2000. ვებგვერდი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7215>

²⁹ ნინიძე თედო, „მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში“, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1978, 45.

³⁰ ჩიკვაშვილი შალვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 383.

³¹ ჩიკვაშვილი შალვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 387.

³² იქვე.

³³ ცერცვაძე გიორგი, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, ავტ. კოლ; თბ., 2014, 681.

³⁴ ცერცვაძე გიორგი, სახელმეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, ავტ. კოლ; თბ., 2014, 682-683.

³⁵ მარიამიძე გიორგი, დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, თბ., 2011, 14.

³⁶ Dirk Looschelders, *SAT*, Carl Heymanns Verlag, 6. Auflage, 2008, S. 168. ნაშრომიდან: მარიამიძე გიორგი, დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, თბ., 2011,

³⁷ ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, გამოც. მეცნ. რედ. თედო ნინიძე, თარგმ. ეკატერინე სუმბათაშვილი, თბ., 2001, 289-290.

³⁸ ჩიკვაშვილი შალვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, რედ; ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 388.

³⁹ ზოიძე ბესარიონ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, რედ; ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 453.

⁴⁰ იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, №6, 1485, 1487, კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 158.

⁴¹ კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ~ცნებები, თბ., 2009, 158.

⁴² ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, g.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e

⁴³ Roland Kandelhardt, *Realerfüllung oder Schadenersatz: ein internationaler Konsens?*-პროფ. სერგო ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის საიუბილეო კრებული, თბ., 1996, 97.

სოსიკლური მესნიერებების მემარტიკა

Anna Antczak

Barzan: Doctor of Philosophy, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw

ATTRACTIVENESS OF INTERNATIONAL UNIVERSITY PROGRAMS FOR STUDENTS FROM DEVELOPING COUNTRIES – POLISH RESEARCH REPORT

Poland has been facing a demographic decline for a few years. This causes a huge problem for universities which are struggling with a significant shortage in candidates for studying and this is an ongoing process worsening every year. University managers are trying to invent new study profiles, new curricula or introduce innovative ways of teaching – in other words they are doing whatever they can to gain the attention of the customer (future student), gain competitive advantage and thus, survive on the market. A good solution for some universities might be to extend their offer to address it also to international students. Studies in English abroad, in one of the European Union countries seems to be very attractive to students from the East. If so, it is necessary to ask many questions. What are the expectations of international students? How to satisfy their needs and requirements? What are the main challenges to overcome? Thus, the main aim of this article will be to identify the key elements determining potential success of a university on an international market. This task will be realized mainly through application of empirical research methods such as observation, case study (analysis of actions undertaken by one of Warsaw's universities in the process of internationalization) and survey (questionnaire conveyed among students of international programs in a few universities in Warsaw).

The first issue to present is the initial state of the educational market (which is true not only for Poland, but also for other Western countries), which constitutes the basis for further considerations:

- demographic decline and low birthrate;
- decreasing number of candidates for university (tertiary) education (resulting from the above);
- lowering of higher education level (lower requirements for admission and graduation);
- trouble with indicating the directions of development for the university (it is hard to predict future market needs in the dynamically changing reality);
- concrete requirements of the employers (specific knowledge, skills and competencies of graduates);
- maladjustment of the curriculum to a) the requirements of the labor market; b) the abilities and competence of the students.

Taking the above into consideration, the empirical research problems were built around the following questions:

- Which countries are mostly interested in Polish higher education offer and why?
- What are the needs and preferences of international students willing to study in Poland?
- What is the image of Poland and Polish universities in the eyes of foreign students?
- What is the opinion of international students on the Polish educational offer at the university level?
- To what extent is Polish educational offer competitive compared to other countries and what is its competitive advantage?

The main hypotheses are as follows:

- An opportunity for development of Polish universities is to educate students from other countries, mainly from Eastern Europe and Asia, these markets present a strong demand for high-class specialists, particularly in IT, economics and social sciences (management, international relations).
- Polish educational offer can be competitive due to the relatively low tuition fees and maintenance costs.
- Polish educational offer can be competitive if it is flexible and tailored according to the needs of the labor markets it is addressed to (adapting fields of study and detailed curricula to meet the specific needs of Eastern markets, which are developing dynamically).

Generally, higher education should fulfill a vast range of purposes including: preparation for the labour market, for life as active citizens in a democratic society, personal development as well as maintenance and broadening of research and knowledge (J. Kohler and J. Huber, 2006; L. Weber and S. Bergnan, 2005). Thus, it is important to combine two issues in higher education – requirements of the market (D. Bok, 2003; J.L. Davies, 2001) and values of education itself. The next notion is the quality of education, which cannot be lowered given the commercialization processes (D. Bok, 2003; A. Borrero Cabal, 1993). Important societal changes (growing impact of market and asset-led approach) are and still will influence the way higher education is changing and trying to adapt to new challenges (A. Amaral and A. Magalhaes, 2002; P. Maassen, 2003; W.F. Massy, 2004). The above mentioned issues should serve building synergy in the new knowledge-based society in which both individuals and business corporations can develop and realize their goals. Higher education should be an important link in this process (C.M. Vest, 2006). In a new model of universities' existence, there came the time for incorporating many changes, i.e. lower state regulatory force with growing stakeholder guidance, reduced academic self-governance with increased managerial self-governance and growing importance of competition (H.F. de Boer, J. Enders and U. Schimanak, 2005). In such environment and conditions, internationalization of universities seems to be inevitable (S. Marginson and G. Rhodes, 2002) and highly necessary as being beneficial to both sides – the university as an institution and its staff and to students.

A lot of researches claim that there is an urgent necessity for changes (P. Aghion, M. Dewatripont, C. Hoxby, A. Mas-Colell and A. Sapir 2007 and 2008). “Europe invests too little in higher education. Total public and private spending on higher education in EU25 accounts for barely 1.3% of GDP, against 3.3% in the US” (D. Dill and M. Soo, 2004) and “European universities suffer from poor governance, insufficient autonomy and often perverse incentives” (E.A. Hanushek and L. Woessmann, 2009) – such voices are widely heard from many academics and researches in the field. One direction of changes is more flexible curricula that would meet the requirements of contemporary markets not only in Europe, but also Asia, Africa or Latin America.

Research background and characteristics of the research group (sample)

The first question to be asked in the process of the university internationalization is which market to address. This choice is crucial with respect to all future actions which have to be undertaken. All markets have their specific city, requirement, limitations and barriers. Eastern markets are unsaturated with respect to high-level academic education, so there is a chance for Polish universities to start functioning there. Asian developing markets are absorbing economy and management graduates quite easily as these are the ones they need mostly. For potential students, gaining a diploma of the EU country is an undeniable value. However, it is not enough. Taking into consideration observations conducted in one of Warsaw universities offering international programs, in order to enter those specific markets, it is necessary to work with appropriate intermediaries (education agents), prepare educational offer according to the desires and preferences of the future customers. It is worth thinking about cultural differences and adapting the offer accordingly. There is also a need to adapt colors to the likings of young Asians. The curricula also have to comply with the requirements of the local labor markets, which generally means that there has to be a lot of practical classes and teaching methods have to be differentiated.

These particular universities which have been taken into consideration while conducting research at the beginning offered three study profiles in the English language for international students: management, internal security and engineering. After two years, it appeared that interest in studying engineering is limited and in security – almost none. The universities ended up with offering only management with various profiles (hotel and tourism management, business administration, international management) and language courses. This choice should not be surprising. The universities host students almost entirely from countries with developing economies: India (25%), Nepal (22%), Tajikistan (13%), Ukraine (9%) and Uzbekistan (6%) as well as just few students from such countries as: Georgia, Pakistan, Bangladesh, Nigeria, Egypt, Vietnam and Ghana. Studying abroad, students have a hope for better job opportunities when they return. In those countries entrepreneurship seems to be the best choice for most of young people. They want to successfully start their own business or work for local and international tourism companies, as these areas seem to be most profitable. This is why they do not want to study engineering, which is perceived to be difficult and having non-profitable prospects. Security or political sciences are perceived to be least interesting with respect to future job opportunities. They are related to government positions and these seem to be undesired due to a high level of corruption, low salaries and nepotism.


Adopted empirical research methods are observation and survey (through questionnaire and expert interview). The survey was conducted in five Polish private universities in Warsaw and the Mazovian voievodeship (district) which have programs dedicated to international students (not only or rather mainly not the Erasmus students). It was carried out throughout the whole academic year to gather as many respondents as possible. Most respondents are male (67%) – it is also not surprising taking into consideration the origin of the students. Their cultures are mostly patriarchal and women are rather expected to be housewives and take care of the family than study (be educated) and earn money. Most of the respondents were undergraduate students (57% compared to 43% of graduate students), aged 19-21 who were in Poland less than a year.

Analysis of the research results

The first things worth analyzing were the reasons students decided to gain their education abroad. While getting a better education and a possibility to find a better job after graduation from a European university

were important factors, still the most important one was the possibility of gaining an EU diploma, which means it is very highly valued outside Europe (chart 1) and European universities should take advantage of this fact so long as it is still the case.


Chart 1. Reasons of studying abroad



Source: own elaboration based on conducted research.

Once the reasons of going abroad in search for education were clear, it was necessary to get to know why students chose Poland. It seems that the main motivator is money – studying in Poland is relatively cheap while compared to other European countries and students perceive Poland as a starting point for moving forward. Only few respondents came here for Poland because they believed the educational offer was good (chart 2). This means Poland stays competitive on the market with respect to costs, but not necessarily with respect to quality. It does not necessarily mean that the quality is not good, but that there is such kind of perception. PR and promotion tools should therefore be introduced to change this perspective.


Chart 2. Reasons of choosing Polish university



Source: own elaboration based on conducted research.

Poland, for half of the respondents seems to be an average country with respect to attractiveness to study in (chart 3). However, negative answers were seldom (only 15%). This means that Poland has good prospects to become more and more attractive. The way students perceived Poland was also influenced by the exact place of study. Those studying directly in Warsaw were far more satisfied than those studying in the suburbs. It should not be surprising that big cities are more tempting to young people, which means that universities located in cities tend to be more prospective with respect to international studies.


Chart 3. Level of Poland’s attractiveness to international students



Source: own elaboration based on conducted research.

There are no main reasons international students perceive Poland as an attractive country (chart 4). It seems that study profiles, costs of studies and maintenance, possibility of getting an EU diploma are treated equally with positive attitude of Polish citizens being graded just a bit lower. Only Polish cultural and entertainment offer is not appreciated by international students, which may also be the result of some of them living in the suburbs without wider access to this offer.


Chart 4. Reasons of the attractiveness



Source: own elaboration based on conducted research.

Students, who come to Poland, are primarily interested in studying business administration, then hotel and tourism management, IT and engineering while they are least interested in social study profiles (chart 5). It is not surprising, as they are looking for opportunities to get a well-paid job in economically developing countries, in which IT, business skills and tourism are most important and desired areas.


Chart 5. Study preferences



Source: own elaboration based on conducted research.

International students especially from south Asia prefer more practical than theoretical approach to classes, but majority of students perceive the balance between academic and practical as being most suitable (chart 6). This in turn would require slight changes in Polish universities in order to fulfill the needs, as their programs are rather more academic.


Chart 6. Preferences concerning the type of classes



Source: own elaboration based on conducted research.

While asked about more specific subject content preferences, students' answers are coherent with their study profiles preferences. They are mostly interested in subjects related to management and marketing. Least important are subjects related to science (mathematics, physics, statistics) with communication skills, general knowledge subjects (psychology, sociology, ethics, etc.) and finance subjects being in the middle (chart 7). These preferences may also be related to the level of the respondents' language skills. Science and finance subjects require better knowledge of the language in order to be able to appreciate subjects fully, otherwise learning tends to be difficult.

Chart 7. Usefulness of particular groups of subjects




Source: own elaboration based on conducted research.

Surprisingly, the greatest challenge (struggle) for international students is unattractive way of conducting classes and too many hours spent at the university (chart 8). This is probably the effect of different expectations resulting from different educational system in home countries. Students spend there much less time in classes and have a lot of practical training. Sitting in lectures seems unattractive for them as they are not used to the European academic system. The other concern is the necessity of writing Bachelor's or Master's thesis with all their formal and methodological rules they are completely unaware of. The requirements as to the form, content and length of the paper are sometimes an obstacle and a barrier which discourage candidates or make it impossible for the students to graduate successfully. Polish law does not require a Bachelor's thesis for graduation, which can be replaced by an overall exam, however the research was conducted in universities which do not give such an opportunity to their students and thesis is obligatory.

Chart 8. The greatest difficulty for international students in Polish universities


Source: own elaboration based on conducted research.



Even though students are generally satisfied with the level of education received in Poland (over 70%), only some of them (less than 40%) decide to continue education in Poland (mainly Master’s programs, few of them are interested in doctoral or postgraduate studies or short professional courses and trainings). The reason of continuing studies in Poland is most often a desire to get another EU diploma (Master’s) and low costs of studies (chart 9). Thus, students choose to study in Poland not because they like the educational offer, but for pretty practical reasons.

Chart 9. Reasons of continuing studies in Poland

Source: own elaboration based on conducted research.




Asked about the desire to stay in Poland after graduation, one third of the respondents was undecided (chart 10). The rest was almost equally divided into people who confirmed, rejected or want to live in

another European country with Germany and Scandinavia being most desired.

Chart 10. Preferences concerning staying in Poland after graduation

Source: own elaboration based on conducted research.



Conclusion

Poland seems to be a competitive country as compared to other European countries as high education provider to international students mostly due to the low costs of studies and living. It however lacks necessary flexibility in order to fit better the needs of students from countries of different expectations towards education (more practical approach is needed). As Poland is mostly chosen by students from South and East Asia, educational offer should be tailored to meet the expectations of this market also including cultural differences. Poland's attractiveness or rather perception of its attractiveness can be raised through PR campaigns, information campaigns, and proper promotion tools, social events (organized in Poland and abroad in target countries). Raising attractiveness of educational offer can be also achieved by organizing more events which would be addressed to international students, so that they feel they are a part of the institution and students' life. More workshops, open lectures, exercise-based type of academic activities should be incorporated into curricula. Educational offer with respect to study profiles should be tailored basing on an in-depth research of the market needs and expectations. This all should create a comprehensive and synergic approach towards the development of Polish universities and strengthening their competitive position on the overall European academic market, making it not only cost-based competitive, but also quality and content based.

ანნა ანტონიკ-ბარზანი



*ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა
და მენეჯმენტის ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობების კათედრის გამგე*

**პოლონეთის საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებისადმი დაინტერესების
ხელშეწყობა განვითარებად ქვეყნებში – პოლონური კვლევის ანგარიში**

სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, პოლონეთი არის ის კონკურენტუნარიანი ქვეყანა, რომელიც სთავაზობს საერთაშორისო სტუდენტებს მაღალი ხარისხის განათლებას დაბალი სასწავლო და საცხოვრებელი ხარჯების სანაცვლოდ. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტებს გააჩნიათ სხვადასხვა მოთხოვნები და მოლოდინი განათლებასთან დაკავშირებით, საჭიროა მოინახოს მიდგომების ახლებური და უფრო პრაქტიკული გზები. რადგანაც პოლონეთი არის ქვეყანა, რომელზეც ყველაზე ხშირად კეთდება არჩევანი სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიელი სტუდენტების მიერ, განათლება, რომელსაც პოლონეთი სთავაზობს ამ სტუდენტებს უნდა იყოს მორგებული და ითვისისწინებდეს ქვეყნების კულტურათა განსხვავებულობას. პოლონური საგანმანათლებლო პირობებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მისაპყრობად საჭიროა პოლონეთში და სხვა სამიზნე ქვეყნებში გატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: საინფორმაციო და პიარ კამპანიები, სოციალური ღონისძიებები და სხვ. ყოველი აქტივობა უნდა იყოს მიმართული საერთაშორისო სტუდენტებზე, რათა თითოეულმა მათგანმა იგრძნოს, რომ ის არის საგანმანათლებლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების სრულფასოვანი წევრი. სასწავლო პროგრამებში უნდა იყოს გათვალისწინებული უფრო მეტი რაოდენობის პრაქტიკული სემინარები, ღია ლექციები და პრაქტიკულ სავარჯიშოებზე დამყარებული აკადემიური აქტივობები. სხვადასხვა პროფილის დასაუფლებლად შემოთავაზებული პირობები უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნების სიღრმისეულ კვლევას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს განათლებისადმი ყოვლისმომცველ და სინერგიულ მიდგომას პოლონეთის უნივერსიტეტების მხრიდან. იგი გააძლიერებს მის კონკურენტუნარიანობას ევროპის აკადემიურ ბაზარზე, არა მარტო სწავლისა და საცხოვრებლის დაბალი საფასურის, არამედ განათლების მაღალი ხარისხის კუთხით.

References:

- Aghion, P., Dewatripont, M., Hoxby, C., Mas-Colell, A. & Sapir, A. (2007). Why reform Europe's Universities? *Bruegel Policy Brief, 2007/04*, 1-8.
- Aghion, P., Dewatripont, M., Hoxby, C., Mas-Colell, A. & Sapir, A. (2008). *Higher aspiration: an agenda for reforming European universities*. Bussels: Bruegel Blueprint 5.
- Amaral, A. & Magalhaes, A. (2002), *Governing higher education: National perspectives on institutional governance*. Amsterdam: Kluwer Academic Publishers.
- Bok, D. (2003). *Universities in the marketplace. The commercialization of higher education*. Princeton: Princeton University Press.
- Borrero Cabal, A. (1993). *The university as an institution today. Topics for reflection*. Paris: UNESCO Publishing.
- Davies, J.L. (2001). The emergence of entrepreneurial cultures in European universities. *Higher Education Management, 13 (2)*, 25-43.
- de Boer, H.F, Enders, J. & Schimanak, U. (2005). *Orchestrating creative minds. The governance of higher education and research in four countries compared*. Enschede: CHEPS.
- Dill, D. & Soo, M. (2004). Transparency and Quality in Higher Education Markets. In Teixeira, P., Jongbloed, B., Dill, D. & Amaral A. (Eds.), *Markets in Higher Education: Rhetoric or Reality* (61-86). Dordrecht: Kluwer.
- Efficiency and effectiveness of public expenditure on tertiary education in the EU*. 2010. European Economy Occasional Papers 70. Luxembourg: Publication Office of the European Union.
- Hanushek, E.A. & Woessmann, L. (2009). Do Better Schools Lead to More Growth? Cognitive Skills, Economic Outcomes, and Causation. *IZA Discussion Paper, 4575*, 1-70.
- Kohler, J. & Huber, J. (Eds.). (2006). *Higher education governance between democratic culture, academic inspirations and market forces*. Strasbourg: Council of Europe Publishing.
- Maassen, P. (2003). *The higher education managerial revolution?* Dordrecht: Kluwer Academic Publishers.
- Marginson S. Rhoades G. (2002). Beyond national states, markets, and system of higher education: A global agency heuristic. *Higher Education, 43:3*, 281-309.
- Massy, W.F. (2004). *Markets in higher education*. Amsterdam: Kluwer Academic Publishers.
- Vest, C.M. (2006). *Universities and business: Partnering for the knowledge society*. Paris: Economica.
- Weber, L. & Bergan, S. (Eds.). (2005). *The public responsibility for higher education and research*. Strasbourg: Council of Europe Publishing.

სოფო ჩქოფოია

სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასო-
ცირებული პროფესორი

ტერორიზმი – სახელმწიფოთა უმრავლესობის პრობლემა

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დღეისათვის აღნიშნულ პრობლემას უდიდესი ყურადღება ეთმობა, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ თვითონ ტერორი, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში და უდიდეს მასშტაბებს აღწევს. ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია გლობალიზაცია, რომელიც ხელს უწყობს კრიმინალური აქტივობების ზრდას. „უმართავი სივრცეები“, რომლებიც ცივი ომის შემდეგ წარმოიშვა, დაკავებულ იქნა ტერორისტებისა და კრიმინალების მიერ, როგორც მათი თავშესაფარი.

მეცნიერები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ ტერორიზმი XXI საუკუნეში სახელმწიფოთა უმრავლესობის პრობლემაა ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, ტრადიციული თავდაცვის მექანიზმები ვეღარ უმკლავდებიან მოსალოდნელ საფრთხეს.

თუ განვიხილავთ უსაფრთხოებას, როგორც გლობალიზაციის ანალიზის ერთ-ერთ საკითხს, გამოიკვეთება, რომ უსაფრთხოება კომპლექსური და მრავალმხრივი გახდა, სადაც ტრადიციული სასაზღვრო უსაფრთხოება აღარ არის საკმარისი იმ საშიშროებებისაგან თავდასაცავად, რომლებიც დღეს გლობალურ სამყაროში გვხვდება.

ამ საფრთხეში კი იგულისხმება საერთაშორისო ტერორიზმი. ტერორიზმის პრობლემა არა მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების პირველი მტერია.

ბევრი ქვეყანა წლების განმავლობაში განიცდიდა ტერორისტულ თავდასხმებს. ამიტომ ისინი ცნობილი არიან ტერორიზმის მსხვერპლ სახელმწიფოებად. მიუხედავად ამისა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია ტერორიზმის საშიშროების უფრო მკაფიო აღქმა. ტერორიზმი ამ ინციდენტის შემდეგ ყველაზე მწვავე თემა გახდა და დღესაც საერთაშორისო საზოგადოებისგან ინარჩუნებს მნიშვნელოვან ყურადღებას. 11-მა სექტემბერმა ყველას დაანახა, რომ ტერორიზმის სამიზნე იყო გლობალიზაციის მამამთავარი, ამერიკა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი სიმბოლურად უკავშირდება გლობალურ ვაჭრობას, ხოლო პენტაგონი – პოლიტიკურ და სამხედრო მიმართულებებს, ანუ ტერორისტებისათვის გლობალიზაცია გახდა ახალი სამიზნე.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გლობალიზაცია წარმოადგენს

მთავარ გამოწვევას, რადგან საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის მცირდება განსხვავება, რომელიც იწვევს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების შემცირებასაც. საშინაო საკითხები გადაიქცევიან საერთაშორისო დონეზე განსახილველ თემებად და პირიქით. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესი დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ გლობალიზაციის გავლენა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, გამოყოფენ რამდენიმე საკითხს:

1) სამოქალაქო და საერთაშორისო კონფლიქტებს შორის განსხვავება შემცირდა, რადგან გლობალიზაციის პირობებში შეუძლებელია შიდა კონფლიქტების იგნორირება;

2) გლობალიზაციის პირობებში მოხდა ტერორიზმის ევოლუცია, განსაკუთრებით საშიში კი მასობრივი განადგურების იარაღი ტერორიზმი გახდა, რომელთანაც გამკლავება ტრადიციული თავდაცვის სტრატეგიით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია პრევენციული სტრატეგიის დასახვა.

რთულია განსაზღვრა იმისა, თუ რა დონეზე ახდენს გლობალიზაცია გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რადგან სხვადასხვა რეგიონზე განსხვავებულად ზემოქმედებს გლობალიზაციის თანმდევი პროცესები. გამოყოფენ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც ნათელი და მკაფიოა:

1) გლობალიზაციის შედეგად სახელმწიფოს აღარ შეუძლია მკაცრად გააკონტროლოს არაფიზიკური უსაფრთხოების ასპექტები, როგორებიცაა ტექნოლოგიისა და ინფორმაციის დაცვა. რაც უფრო მეტად დაცულია ინფორმაცია და ტექნოლოგია, მით უფრო ძლიერია სახელმწიფო. მაგალითად: ძლიერი სამხედროს ყოლა ინფორმაციული და ტექნოლოგიური დაცვის გარეშე უსაფუძვლოა;

2) გლობალიზაციის ეპოქაში გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ლოკალურ ინდუსტრიებთან შედარებით; მულტინაციონალური კორპორაციები ამცირებენ სახელმწიფოს კონტროლს საშინაო ეკონომიკაზე;

3) გაუმჯობესებულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს კატასტროფული შედეგიც კი მოაქვს. მაგალითად, კოსოვოს კონფლიქტის დროს, როდესაც ტელევიზიები გადაცემდა მასობრივ დეპორტაციებსა და დაშავებულებს, კონფლიქტის მართვა შეუძლებელი გახდა;

4) მას შემდეგ, რაც ომის ბუნება და სტრატეგია შეიცვალა რთულია უსაფრთხოების საკითხების განსაზღვრა და საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა;

5) გლობალიზაცია აადვილებს ხელმისაწვდომობას მასობრივ გამანადგურებელ იარაღზე და ტექნოლოგიაზე, რომელიც ძალიან სახიფათოა ტერორისტული დაჯგუფებების მომარაგებისათვის;

6) გლობალიზაციამ გამოიწვია ტერორიზმის ზრდა. იქედან გამომდინარე, რომ გლობალიზაციის პირობებში მარგინალიზდება სხვადასხვა ჯგუფი. ასევე, გაიზარდა გლობალური სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ხალხთა შორის. ტერორიზმი კი გარიყულ საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს თავისი ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტები გამოდიან გლობალიზაციის წინააღმდეგ და თან ანტიგლობალისტურ იდეებს იზიარებენ, რომელიც მოიცავს ეროვნულობის დაკარგვას და სხვ. ისინი გლობალიზაციიდან სარგებელსაც ნახულობენ. კერძოდ, განვითარებული საკომუნიკაციო და ტექნოლოგიური საშუალებები ხელს უწყობენ მათ ერთმანეთთან გამარტივებულ კავშირებსა და თანამშრომლობას. სწორედ, გლობალიზაციის დამსახურებაა, რომ დღეს ტერორიზმი აღიქმება მთელი მსოფლიოს საფრთხედ.

უსაფრთხოების თანამედროვე გაგება, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის გარდა, ეკონომი-

კურ, კრიმინალურ და სხვა ხასიათის ფაქტორებსაც გულისხმობს. კვების პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტები, ნარკოტიკების მოძრაობაზე კონტროლი, ურთიერთშეთანხმებული სავიზო რეჟიმები და საკანონმდებლო სისტემა, შეიარაღებული ძალების მართვის მსგავსი სტრუქტურების შექმნა საერთაშორისო თანამშრომლობისა და უშიშროების არსებობის აუცილებელი პირობებია.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ორპოლუსიანი სამყარო აღარ არსებობს, საერთაშორისო სტაბილურობის მთავარ საფრთხედ განიხილება ლოკალური კონფლიქტები, რომლებიც მთლიანი რეგიონის უსაფრთხოებას საეჭვოს ხდის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პალესტინა-ისრაელისა და ავღანეთის კონფლიქტები.

ტერორიზმის საკითხთა მკვლევარებს შორის დამკვიდრებულია აზრი, რომ ტერორიზმი ვერ სულდგმულობს არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში. აქ ორი კატეგორიის სახელმწიფოს გამოყოფა შეიძლება. პირველი – სადაც ტერორი მონოპოლიზებულია სახელმწიფოს მიერ (ტერორის სახელმწიფო); ამ შემთხვევაში, ტერორიზმისთვის ყველა სასიცოცხლო არხი გადაკეტილია; და მეორე – სახელმწიფოები, რომლებიც კავშირში არიან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საშუალებით ხელს უწყობენ მათ საქმიანობას (ტერორიზმის მფარველი სახელმწიფო); ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ტერორიზმი თავისთავად გამოირიცხება.

ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს დემოკრატია. რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო ხელსაყრელია ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად. დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ყოველთვის დიდი სიფრთხილით ცდილობს ბალანსი იპოვოს უსაფრთხოების ზომების გამკაცრების, ადამიანის უფლებების და სხვა დემოკრატიული ღირებულებების დაცვას შორის, რაც არ არსებობს არადემოკრატიულ სახელმწიფოში. ამასთან, ეს უკანასკნელი ნაკლებანვითარებულია, რადგანაც მასში სალი და პროგრესული აზრი სახელმწიფო ტერორის მარწმუნებშია მოქცეული. დემოკრატიული სახელმწიფო კი, პირიქით, თავისი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზეა მიმართული. მასში საზოგადოების საყოფაცხოვრებო და მომსახურების სფეროები მეტ-ნაკლებად მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული. კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორები, როგორებიცაა: საბანკო და სატრანსპორტო (ავიაცია, რკინიგზა) მომსახურება, წყალუფლებრივ მომარაგება და სხვა არტერიები, მაღალი ტექნოლოგიებით მართვის რელსებზეა გადასული. სწორედ, ეს მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს კიდევ ერთ ბერკეტს ე. წ. კიბერ ტერორისტების ხელში ცივილიზებული ქვეყნების დასატერორებლად.

სახელმწიფო დემოკრატიულია თუ არადემოკრატიული, ამასთან პირდაპირ კავშირშია ის, თუ რა მეთოდებს მიმართავს ხელისუფლება ტერორიზმთან საბრძოლველად.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის ხელისუფლებამ მილიარდობით დოლარი გამოყო უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებისათვის. შეიქმნა ახალი სახელმწიფო სტრუქტურები, სპეცსამსახურებმა დაშვებული შეცდომები დეტალურად შეისწავლეს, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს მსგავსი შემთხვევები მომავალში.

არადემოკრატიულ სახელმწიფოში აქცენტები კეთდება არა ხარისხზე, არამედ რაოდენობაზე. ეს ეხება წარმოების ყველა სფეროს, მათ შორის სამხედრო მრეწველობას. ამგვარად, სახელმწიფო სახსრები არარაციონალურად გამოიყენება. იმის გამო, რომ ასეთ სახელმწიფოს არ შეუძლია დამატებითი სახსრების მოძიება ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდების გასაუმჯობესებლად და, შესაბამისად, ადამიანის უფლებების დასაცავად, ცდილობს ტერორს ტერორითვე უპასუხოს, რითაც ტერორიზმი სახელმწიფო ტერორით იცვლება, რომელიც გაცილებით მძიმე შედეგებს იწვევს.

ბესლანის ტრაგედია მსოფლიოს ნათლად დაანახა რუსეთის ხელისუფლების უსუსურობა ტერორიზმთან ბრძოლაში. ამაზე, პირველ რიგში, მეტყველებს ციფრები, რომლებიც მძევალთა გათავისუფლების ოპერაციის შემდგომ შედეგებს აღნიშნავს – ასობით დახოცილი მძევალი და ათობით დაღუპული სპეცსამსახურის წარმომადგენელი. არადა, ბესლანის ტერორისტული აქტი პირველი არ იყო რუსეთისათვის. მას წინ უსწრებდა რამდენიმე დიდი ტრაგედია – ნორდოსტი, მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებები და ა. შ. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ვერც წარსულის მაგალითებზე ისწავლა რამე და არც რაიმე განსაკუთრებული ზომები მიუღია კონტრტერორისტული ხაზით უსაფრთხოების სისტემისა და ბრძოლის მეთოდების დასახვეწად. ბესლანის ოპერაციის მსვლელობისას თუ როგორ ქაოტურად მოქმედებდნენ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურები. მათ მოქმედებებს ნაკლებად თუ შეიძლება მძევალთა გათავისუფლების წინასწარგააზრებული, გეგმიური სპეცოპერაცია ეწოდოს. კრემლმა კი, ნაცვლად იმისა, რომ გულწრფელად ეპასუხა მისთვის დასმული კითხვებისათვის, რომლებიც ბესლანის მოვლენების ირგვლივ არსებობდა, საინფორმაციო ომი გამოუცხადა თავისუფალ მედიას. მკაცრი ცენზურა დაანესა ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, უცხოელი კორესპონდენტების დაკავების ფაქტებზე. ამგვარი მოქმედებები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ რუსეთი თავის კონტრტერორისტულ პოლიტიკას ტერორის პრინციპებზე აგებს.

გარკვეულწილად ავღანეთში შექმნილ დღევანდელ ვითარებაზე თავისი წვლილი მიუძღვის მე-20 საუკუნის 80-იან წლებში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. იბრძოდნენ რა თავისი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის, საბჭოთა კავშირი უცერემონიოდ შეიჭრა ავღანეთში, ხოლო აშშ-მ პაკისტანში დევნილი ავღანელების სამხედრო მომზადებისათვის ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით, 5 მილიარდი დოლარი დახარჯა. გარდა ამისა, მისმა მთავრობამ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ავღანეთში 35 ათასი დაქირავებული მებრძოლი, ძირითადად, არაბები შეგზავნა. ბინ ლადენი ამ პერიოდში საკუთარი ფინანსური სახსრებით 200 „ბოევიკს“ წვრთნიდა. მთელი ისლამური სამყაროს ყურადღება ავღანეთში წითელი იმპერიის აგრესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ატეხილ სამოქალაქო ომში აშშ-ის მთავრობა აღარ ჩარეულა. პაკისტანით ზურგამაგრებულმა და ამერიკელთა მიერ ცუდად გათვლილ ისლამურ იდეოლოგიაზე აღზრდილმა თალიბებმა ომი მოიგეს. ექსტრემისტ ტერორისტთა „სანარმოდ“ ქცეული რეჟიმის დასამხობად კი აშშ-ს რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარად ღირებული ფართობასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები დასჭირდა.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მიზანმიმართულად იქმნებოდა პირამიდის ფორმის მსგავსი მსოფლიო, სადაც მწვერვალზე აშშ დგას. შემდეგ მალაღვანელობითი ინდუსტრიული სახელმწიფოების ჯგუფი მოდის; უფრო ქვემოთ – საშუალო დონის ქვეყნები. ისინი, ყველა ერთად, კაცობრიობის ერთ მეათედს შეადგენენ და „მესამე სამყაროს“ მხრებზე დგანან.

მათი ვარაუდით, თუ თანამედროვე სამყაროს პირამიდისებური მოდელი შენარჩუნდება, ზემოაღნიშნული უსაფრთხოებისა და თანამეგობრობის სისტემა მხოლოდ ამერიკისა და ევროპის სივრცეში ჩაიკეტება. ხოლო მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ძალისხმევა, რომელიც, შესაძლოა არ შემოიფარგლოს შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ზომიერი ღონისძიებებით და ქვეყნებს შორის გლობალური დაპირისპირების საფუძველი გახდეს.

სწორედ, „მესამე სამყარომ“ წარმოშვა ის ძალები, რომელთათვისაც მიუღებელია არა მხოლოდ ცივილიზაციის აღნიშნული კონსტრუქცია, არამედ მთლიანად თანამედროვე ცივილიზაცია. ამ დინებას მიეკუთვნებიან ისლამისტი ტერორისტები. მართალია, თალიბთა რეჟიმის ამბოხებამ შეარ-

ყია ექსტრემისტთა პოზიციები, მაგრამ არსებული გარემოებები მათ სასარგებლოდ მოქმედებს. პუშტუნები, რომლებიც მოძრაობა „თალიბანის“ ეთნიკურ საფუძველს შეადგენენ, ტრადიციულად ცხოვრობენ როგორც ავღანეთში, ისე პაკისტანში, რაც თალიბებს მთელი პუშტუნისტანის ტერიტორიაზე მანევრირების შესაძლებლობას აძლევთ. ამის საფუძველზე, სავარაუდოა, ისლამისტური ტერორიზმის ცენტრის გადანაცვლება პაკისტანში, რომლის ხელისუფლებას არ შეუძლია აკონტროლოს სახელმწიფოს მთელი ტერიტორია (განსაკუთრებით მთიანი რაიონები და სასაზღვრო ზონა ავღანეთთან). ამასთანავე, პაკისტანის ტერიტორიაზე იმყოფება ორ მილიონზე მეტი ავღანელი ლტოლვილი, რომელთაგან მრავალი „თალიბანის“ შეიარაღებული მებრძოლია.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ავღანელთა განსაკუთრებული ბრძოლის უნარიანობა. გენერალი თ. ეპიტაშვილი იგონებდა, „თითქმის ათი წელი ვიდექით ავღანეთში, მაგრამ მთელი ჩემი მხედრული სინდისით მაინც ვაცხადებ, რომ ჩვენ ეს ქვეყანა ვერ დავამარცხეთ. იცით რატომ ვერ დავამარცხეთ? თვითონ ავღანელის დაჩოქება გაგვიჭირდა, იგი სიკვდილს არჩევდა თავისუფლების დაკარგვას და ამიტომ იყო, ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ გვებრძოდა. მოკლედ, ავღანეთი უფრო მაგარი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი მოელოდა“.

გაეროს ეგიდით შეიქმნა ანტიტერორისტული ძალების გამაერთიანებელი საერთაშორისო სისტემა, რომელსაც შეადგენენ: მმართველობითი, საინფორმაციო-ანალიტიკური, დაზვერვის, საკონტოლო-საფინანსო, კონტრპროპაგანდისტული და ძალოვანი სტრუქტურები – კარგად უზრუნველყოფილი მობილური სამხედრო ნაწილები, რომლებიც დიდი დანაკარგების ფასად ფართო მოცულობის სამუშაოს ატარებენ ავღანეთში. ავღანეთმა უჩვენა მსოფლიოს თუ რამდენად რთულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. დღეისათვის მსოფლიოში 500-ზე მეტი ფორმირება არსებობს, რომლიც თავიანთი მიზნების მისაღწევად ტერორიზმს ირჩევენ და ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც ჩანს, მსოფლიო კიდევ მრავალგზის გადაწყდება ტერორიზმის არაერთ გამოვლინებას. ამავე დროს, ტერორიზმმა უდიდესი ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, რომლის მასშტაბის სრულად განსაზღვრა შეუძლებელია. ექსპერტები და პოლიტიკოსები მიუთითებენ, რომ საჭიროა ტერორიზმის ფენომენის ყურადღებით შესწავლა, მისი სხვადასხვა სახეობის სპეციფიკის გათვალისწინება და მის გამომწვევ მიზეზებში ღრმად გარკვევა. მხოლოდ ამ გზით თუ მოხერხდება მისი ნეიტრალიზება.

Sopo Chkopoia

*Doctor of Social Sciences, Associate Professor
at New Higher Education Institute*

Terrorism – a problem for the most of states

Abstract

The present paper is related to one of the greatest enemies of humanity – to international terrorism and the attitude of states, their unity and fight against the problem. It should be noted that globalization represents a major challenge for international relations because it reduces the difference between domestic and foreign policy, which leads to reduction of internal security. Domestic issues become discussed internationally and vice versa. Therefore, the process of globalization has a great influence on an international security.

Democracy is a sufficient ground for terrorism. The more democratic is a state, the more favorable it is for terrorist activities. Democratic state government is always very careful while trying to find a balance between security measures and strengthening the mechanism of human rights and other democratic values, which do not exist in an undemocratic state. Democratic state is aimed at improving living conditions of its citizens. The community of household and service spheres is more or less based on developed technologies.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ჩადუნელი, ვაჰაბიზმი...ახალი კავკასიური დაძაბულობისათვის, გაზეთი „ახალი 7 დღე“, 20-26 აგვისტო, თბ., 1999.
2. კ. ძევისამელი, ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში, საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენი №11, პრეზიდენტთან არსებული დსთ-ს და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიურო, თბ., 1999.
3. ე. იაკობიშვილი, ტერორიზმის ცნება და მისი სახეები, აღმანახი – №19 სისხლის სამართალი (III), თბ., 2004.
4. Terrorism, International Documents – New York. 1979.



თამარა ტარტარაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მართვის მიმართულების დოქტორანტი

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა მდგომარეობის სამართლებრივი ასაქმტები

საქართველო მრავალეთნიკური და მრავალკონფენსიური სახელმწიფოა. ეთნიკურ უმცირესობათა თანაცხოვრებას საუკუნეობრივი ისტორია აქვს და იგი ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღრიცხვამდე იღებს საფუძველს. დღეისათვის, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ: აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, ებრაელები და ასე შემდეგ. საქართველოს ორი რეგიონი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები, ოკუპირებულია რუსეთის მიერ, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს აფხაზები და ოსები შეადგენენ.

რიგი კანონმდებლობები საქართველოს ნორმატიულ აქტებში იძლევა დებულებებს ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს; მე-7 მუხლის თანახმად კი, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც ნარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში ასევე აფხაზური. კონსტიტუციის მე-14 მუხლი იძლევა თანასწორუფლებიანობის გარანტიასა და კანონის წინაშე თანასწორობას ადამიანებისა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, ეროვნული თუ სხვა სახის კუთვნილებისა. კონსტიტუციით და სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები განუხრელად ვრცელდება ყველა ადამიანზე, მიუხედავად მისი ეთნიკური თუ სხვა სახის კუთვნილებისა. ყოველივე ამას აძლიერებს კონსტიტუციის 38-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. ამავე დროს, ამ მუხლის მეორე ნაწილი აყალიბებს დათქმას, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინცი-

პეებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურად დამოუკიდებლობას.^[1]

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კონსტიტუციის მე-6 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს მისი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამ მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, თავისი იურიდიული ძალით დგას შიდა კანონმდებლობაზე მაღლა. შესაბამისად, ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, – პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პაქტი ეკონომიური, სოციალური, კულტურული უფლებების შესახებ, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ – აქვს შიდაკანონმდებლობაზე უპირატესი ძალა. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო თუ რეგიონალური უფლებადაცვითი მექანიზმებით სარგებლობა, როგორცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო და სხვა.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც მიჩნეული არის საქართველოს ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოების პროცესში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად. კანონის მიზანია, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორად უზრუნველყოფა სხვადასხვა შეხედულებების და ნიშნის, მათ შორის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. კანონი განსაზღვრავს დისკრიმინაციის ცნებას, იგი ვრცელდება არამარტო საჯარო, არამედ კერძო დაწესებულებებსა და იურიდულ პირებზე. კანონი ქმნის დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმებს და აძლევს პიროვნებას მის მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევაში მიმართოს სახალხო დამცველსა და სასამართლოს.^[2]

სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა უმცირესობასთან დაკავშირებულ რიგ დებულებებს, მათ შორის, ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებზე. კოდექსის 53³-ე მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, ყველა სახის დანაშაულისათვის, ითვლება დანაშაულის ჩადენა რაიმე ნიშნის ან მდგომარეობის მიხედვით. მათ შორის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით. კოდექსის 142-ე მუხლი დასჯად ქმედებად აცხადებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდულ პირს შეიძლება ჩამოერთვას საქმიანობის უფლება, ან არ იქნას იგი ლიკვიდირებული. რასობრივი დისკრიმინაცია, ანუ ქმედება ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის, ან განხეთქილების ჩამოგდების ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან/და იმავე ნიშნით, ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, მიჩნეულია რასობრივ დისკრიმინაციად და 142¹-ე მუხლის მიხედვით, დასჯად ქმედებას წარმოადგენს. აქაც დისკრიმინაციის ჩამდენი იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.^[3]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძლევა გარანტიებს, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა, საქმის განხილვის პერიოდში, ნაფიცი მსაჯულების შერჩევისა და ასევე მშობლიური ენის გამოყენებისას, პირისათვის, რომელიც წარმოადგენს ეთნიკურ, ეროვნულ უმცირესობას და არ ფლობს სახელმწიფო ენას.^[4]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებული უფლე-

ბაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ პიროვნებაზე, მიუხედავად მისი სხვადასხვა ჯგუფისადმი კუთვნილებისა და რაიმე ნიშნისა. [5, გვ.3-4]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანებს სხვასთან ერთად წარმოადგენს პირადი უფლებებისა და თავისუფლებების მოქალაქეთა უფლებების პატივის, ღირსებისა და საერთო ცხოვრების წესების პატივისცემა. [6]

საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი მიზანია, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. კოდექსის მე-4 მუხლი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კანონის წინაშე თანასწორობას და არ ნიშნავს, რომ ყველა პირი თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. [7]

საქართველოს კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“, მე-7 მუხლით დადგენილია მოსამართლის დამოუკიდებლობა, რომლის მიხედვითაც იგი გადანყვეტილებას იღებს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. [8]

საქართველოში ფუნქციონირებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა პირმა თუ მან ჩათვალა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული მისი უფლებები ხელყო ნებისმიერმა სხვა საკანონმდებლო აქტმა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან, მათ შორის ეთნიკურ ან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ადგენს ზოგად საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნებს, რომელთა შორის არის მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა. სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში ქართული ან აფხაზური. საქართველოს მოქალაქეებს, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მშობლიურ ენაზე. ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, მიუხედავად მისი ამა თუ იმ ჯგუფის მიმართ კუთვნილებისა, თუ რაიმე სხვა ნიშნისა. განათლების პროცესში ნებისმიერს აქვს უფლება დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით ისარგებლონ ყველა უფლებებითა და თავისუფლებებით, ასევე სასწავლო დაწესებულებების რესურსით. [9]

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, სამედიცინო დახმარება საყოველთაო და თანაბარია ყველასათვის და მის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნულ ან ეთნიკური უმცირესობას მიკუთვნებული პირის ტრადიცია და თავისებურება. საექიმო საქმიანობის პროცესში აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე. [10]

სახელმწიფო იცავს იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების მონაპოვარს.

სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარებისათვის. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, სადაც გათვალისწინებულია: ეთნიკურ უმცირესობათა მცირერიცხოვან და მონყვლად ეთნიკურ ჯგუფთა მხარდაჭერა; მათი მაქსიმალური ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობებისათვის; მათ მიერ მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; თანაბარი სოციალური, ეკონომიური პირობებისა თუ შესაძლებლობების შექმნა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს სახალხო დამცველთან ფუნქციონირებს უმცირესობათა საბჭო, რომელშიც შედის ყველა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

შეიძლება აღინიშნოს, რომ მთლიანობაში ეს საკანონმდებლო აქტები და მექანიზმები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებობს რიგი პრობლემები ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრირებისა საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში. ძალზედ მცირეა მათი წარმომადგენლობა როგორც სახელმწიფო, საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ სტრუქტურებში. პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის არცოდნა. განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, საზღვრისპირა რაიონებში; ძირითადად, კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანულ და სომხურ რაიონებში. მისაღებია და განსახორციელებელია რიგი აქტებისა და ნაბიჯებისა, რომელიც ეხება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დეპორტირებულ მესხებს, მათ ენობრივ და სხვა საკითხებს. ყოველივე ეს, სახელმწიფოს მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებს.

Tamara Tartarashvili
*PhD Student of State Management of
Georgian Institute of Public Affairs*

Legal aspects of ethnic minorities in Georgia

Abstract

Ensuring ethnic, religious and other minorities' peaceful and harmonic co-existence with majority is getting more and more of acute importance in modern society. We can consider many examples of low level of minorities' integration in public political life, which were reasons of a number of tensions and dramatic conflicts.

Georgia is in one of the important stages of its development. In the country it is clearly stated to become a full member of the European and Euro-Atlantic structures. In that process it is very important to have legislative acts and practice based on modern democratic values. On the one hand, to ensure the rights and freedom of minorities living in the country and on the other hand, to mobilize each resident living in the country and groups potential to achieve this goal. All this becomes more urgent in the circumstances of the case, taking place in Abkhazia and Tskhinvali region.

The present review does not claim that it is complete and comprehensive. We only tried to review that regulations, structures and mechanisms, which regulate the legislative situation of the ethnic minorities in the country.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68> საქართველოს კონსტიტუცია (1995 წელი).
2. **Error! Hyperlink reference not valid.** კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014, ქუთაისი).
3. http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წელი).
4. http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998.
5. http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo_kodeqsi.pdf საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.
6. http://tcc.gov.ge/uploads/kanonmdebloba/samartaldargevata_kodeqsi.pdf, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984.
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999 წელი).
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676> საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ (2009 წელი).
9. <http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/7468109657kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005 წელი).
10. <https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/98933/117891/F827347099/Geo%20Health%20Care%20Georgian.pdf> საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997 წელი).

გიორგი ღვალაძე

ახალი უმაღლესი სასწავლებლის
ლექტორი

მასობრივი კულტურის ასპექტები

მასობრივი კულტურის დასაყრდენია ფოლკლორული შემეცნება და ზღაპრები. ამის მაგალითია „მოხეტიალე სიუჟეტები“, როგორცაა: ლეგენდა დონ-ჟუანზე, დოქტორ ფაუსტზე და კონკიაზე. გაჩნდა რა შუა საუკუნეების ესპანეთში, გერმანიასა და საფრანგეთში, ისინი საფუძვლად დაედო ბომარშეს, მოცარტის, პუშკინის, გოეთეს, პეროს, გენოს და სხვა მწერლებისა თუ კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ეს სიუჟეტები ზედმინვენით პოპულარული იყო მოსახლეობაში. იმდენად პოპულარული, რომ ევროპის ქუჩის თოჯინების თეატრებში პიესების, ხოლო ზნეობრივი მოძღვრების მისტიკების სახით ეკლესიაშიც თამაშდებოდა. სხვადასხვა ეპოქასა და თაობას ამ სახეებში შეჰქონდა თავისი შინაარსი, მაგრამ მათი არსი უცვლელი იყო. დონ-ჟუანს უყვარს ყველა ქალი, იგი გლეხის ქალშიც დედოფალს ხედავს, მაგრამ ცოდვებისათვის შეუძლია ქალის დასჯა. ფაუსტი სულს მიჰყიდის მეფისტოფელს, კონკია კი მაღალზნეობრივი თვისებების გამო ჯილდოდება მშვენიერ პრინცთან შეხვედრის ბედნიერებით.

კულტურის არსებას ზოგადად შეადგენს იმ იდეურ, ობიექტურ არსებათა ერთობლიობა, რომლებიც არსებობენ ყოველგვარი ისტორიული პირობებისაგან, ესე იგი, დროში ცვალებადი ეკონომიკური და სოციალური პირობებისაგან დამოუკიდებლად. ამ ქმნილებებს აღმოაჩენენ ადამიანები და უცვლელად გადასცემენ თაობიდან თაობას. აქედან გამომდინარე, მასობრივი კულტურის არსებას შეადგენს ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებული იდეათა ობიექტური სამყარო. იგი შეიძლება აღმოაჩინოს როგორც ადამიანთა ჯგუფმა და ჯგუფებმა, ასევე ადამიანმა პიროვნულად, მაგრამ დამოუკიდებლად ვითარდება თავისი საკუთარი ბუნების იმანენტური კანონების მიხედვით.

მასობრივი კულტურის ამ ფილოსოფიური თეორიებისაგან აუცილებლად უნდა განვასხვავოთ თეორიები, რომლებიც მიღებული და შექმნილია ისეთ სოციალურ მეცნიერებებში, როგორცაა: ეთნოლოგია და სოციოლოგია. სოციალურ მეცნიერებებს კულტურა ესმით, უწინარეს ყოვლისა, რეალისტურად, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის პროდუქტების ერთობლიობა. იმავდროულად ეს პროდუქტები შეიძლება იყოს მატერიალურიც და შეიძლება იყოს იდეებიც, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ პირობებს. ადამიანის მოღვაწეობის ყველა პროდუქტი არ შედის კულტურაში, მითუმეტეს მასობრივში. ბევრი მათგანი სწრაფად ქრება, არ მკვიდრდება, მათ არ იღებენ უფრო ფართო ჯგუფები. შესაბამისად, ვერც მასობრივი კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდება.

ადამიანში იმთავითვე ჩადებულია შემოქმედებითი ელემენტები, როგორც თვითგამოხატვის

ხერხი. ეს ვლინდება ყველაფერში. მას ყოველთვის სურს გადმოსცეს თავისი ქმნილება, როგორც გზავნილი. ეს არის ერთ-ერთი ხერხი კომუნიკაციისა. ბუნებრივი სურვილი დაინახოს, მოისმინოს, განმსაზღვრელია. ადამიანის ორგანიზმი, ფსიქიკა, ნერვული უჯრედები ისეა მოწყობილი, რომ იგი მოითხოვს იმპულსებს გარესამყაროდან. არაორგანიზებული ხმებიც კი საჭიროა ადამიანის ფსიქიკისათვის. ზოგი ადამიანი იმპულსებს იღებს ბუნებისაგან. აქედან გამომდინარე, თუ უბრალო ხმებსაც კი შეუძლიათ დადებითად იმოქმედონ ადამიანზე, მაშინ კიდევ უფრო დიდი მოთხოვნილება ჩნდება უკვე ორგანიზებული, მიზანდასახული მოქმედებებისგან, ანუ ამ შემთხვევაში, მასობრივი კულტურის სხვადასხვა ჟანრებისაგან.

ზუსტად ამიტომ ჩამოყალიბდა ხელოვნებაში ორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, განშტოება. ეს არის მასკულტურა და ეგრეთწოდებული ელიტარული საავტორო ხელოვნება, რომელიც (თავისთავად ტერმინიც მიუთითებს) არ არის გათვლილი მასაზე. მასობრივი კულტურის მოთხოვნები დაკავშირებულია ადამიანის ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებთან. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ფროიდი გამოყოფდა ადამიანის ფსიქიკის ორ მთავარ მიმართულებას. ეს არის ლიბიდო და აგრესიულობა. ეს ორი ფაქტორი იქცა მასობრივი კულტურის სტიმულად. შიში და საშინელება ალაგზნებს ადამიანს და მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

გასაოცარია მასობრივი კულტურის ერთი თვისება – მოიცვას საზოგადოებრივი შეგნების ყველა ახალი სფერო. გასართობ სფეროში შედის საზოგადოების განწყობის ყველაზე განსხვავებული გამოვლინება: როცა გამოყენებულია ნოსტალგია, ჩნდება ფილმი „რეტრო“, ხოლო გაცრუებული იდეალების გრძნობიდან – „საშინელებათა ფილმები“, „კატასტროფის ფილმები“ და მისწრაფება აბსტაქტული უკეთესობისაკენ, მიულწვევლისაკენ, რის შედეგადაც ერთიმეორის მიყოლებით იქმნებოდა ფანტასტიკური ფილმები. აქ მეამბოხე ახალგაზრდობა უარს ამბობს მორალურ და ეთიკურ ნორმებზე. ეს არის პროტესტი ცხოვრების სტანდარტიზაციისა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესრიგის წინააღმდეგ.

იელის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჩარლზ რეიჩმა, განიხილა ცნობიერების 3 ტიპი, რომელიც დამახასიათებელია მასობრივი კულტურისათვის:

პირველი ტიპის ცნობიერება ნიშანდობლივია პროვინციული მოსახლეობისათვის. ასეთი ცნობიერების ადამიანებს ისევე სჯერათ, რომ მყარმა მორალურმა პრინციპებმა, ქრისტიანული პოსტულატების ხელუხლებლობამ, შეუპოვარმა შრომამ შეიძლება მიგვიყვანოს წარმატებამდე, რომელიც გაგებულია, როგორც მატერიალური წარმატება.

მეორე ტიპის ცნობიერება დამყარებულია ორგანიზაციისადმი ინდივიდის სრულ მორჩილებაზე. მისთვის მისაღებია ის მოტივები, ქცევის ის მიზნები, რომლებიც დამახასიათებელია უმრავლესობისათვის და სავსებით ცვლის მის საკუთარ აზრს. ისიც მიისწრაფის მატერიალური წარმატებისაკენ, მაგრამ ცდილობს განდევნოს საკუთარი პიროვნული საწყისები. იგი კომფორმისტია, აკმაყოფილებს მომხმარებლის კულტურა ან კიჩი.

მესამე ტიპის ცნობიერების ადამიანები უარყოფენ: ყოველგვარ ხელისუფლებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, კერძო საკუთრებას, ოჯახს, ყოველგვარ მორალურ კატეგორიას, რაც კი ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალ გამოვლენას. „მე“ – აი, მათთვის მისაღები ერთადერთი რელობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია თვითშემეცნება და თვითსრულყოფა, „რევოლუცია შემეცნების მეოხებით“. პრაქტიკულად, პიროვნებისათვის მონობის უღლის ახსნამ და ბურჟუაზიული პირობებისაგან განთავისუფლებამ ახალგაზრდობა „თავისუფალ სიყვარულამდე“ და ნარკოტიკებამდე მიიყვანა. დაიწყო ჰიპების მოძრაობა. მას, რამდენადაც გასაკვირად არ უნდა მოგვეჩვენოს, საფუძვლად უდევს დიდი ფრანგი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის

ჟან ჟაკ რუსოს თეორია „ბუნებრივი ადამიანისა“ და ავსტრიელი ფსიქიატრის, ფროიდის მონათვის, ვილჰელმ რაიხის წიგნი „სექსუალობა და კულტურული ბრძოლა.“ ეს წიგნი 1930 წ. გამოვიდა ვენაში. 1945 წ. იგი თარგმნეს ინგლისურ ენაზე სათაურით: „სექსუალური რევოლუცია“ და მან სენსაცია მოახდინა. ჰიპების ამ მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ლიტერატურასა და კინოზე, საბოლოოდ ჩამოაყალიბა კონტრკულტურა.

როგორც ვხედავთ, მესამე ტიპის ცნობიერება უპირისპირდება პირველსა და მეორეს. ის მთლიანად ახალგაზრდა მემბოხეებისაა, რომელიც უარყოფს მატერიალურ წარმატებას. იგი ადამიანისათვის შეუფერებლად მიიჩნევს ფულისა და კარიერისადმი სწრაფვას. ასეთი ადამიანები უარყოფენ წესიერების ნორმებს, რომლებიც ადრე შეიმუშავა საზოგადოებამ, რადგან ეს ნორმები მიაჩნიათ ცრუდ, რომელიც ანგრევს პიროვნებას. ისინი ფიქრობენ, რომ ქვეყნად სულიერების ნაკლებობაა, გამეფებულია უგულობა, ადამიანებმა დაკარგეს არსებობის ჭეშმარიტი აზრი, ისინი ანადგურებენ ბუნებასა და თავისსავე მსგავსს – ადამიანს. მათ დაივიწყეს რა არის ნამდვილი სიყვარული.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელმა სოციოლოგებმა: რობერტ ჰანსენმა და ჰერბერტ ბლიუმერმა, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებმა, ჩაატარეს ემპირიული გამოკვლევები მასობრივი კულტურის სფეროში. მაგრამ მხოლოდ 40-50-იან წლებში მოახერხა ემიგრანტების ჯგუფმა მისი კომპლექსური ანალიზი. ეს ჯგუფი ცდილობდა გამოეგლინა მასობრივი კულტურის გავლენა ზოგადად საზოგადოებაზე და ტოტალიტარიზმზე. მათი დაკვირვების თანახმად, კულტურა კრიტიკულ ძალას წარმოადგენდა მანამ, სანამ არსებულ საზოგადოებას მიუთითებდა უტოპიურ გამოსავალზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოჩნდა მასობრივი კულტურა, ხელოვნებას ემუქრება ეკონომიკური ბაზისის უბრალო რეპროდუქციად ქცევა. მასობრივი კულტურის აღმავლობისა და ტრადიციული ხელოვნების დეგრადირების პროცესი სულ უფრო ძლიერდება თანამედროვე საზოგადოებაში.

ამგვარი ტოტალური მასობრივი მოძრაობებია: ფაშიზმი, ბურჟუაზიული ოჯახების პატრიარქალური ყაიდის ნგრევა, კომფორმალიზმის გაძლიერება და ცალკეული ადამიანების პასიურობა. ამერიკასა და ევროპაში გავრცელებულმა ტექნოლოგიამ ხელი შეუწყო კულტურის ინდუსტრიას. წარმოების პრობების შეცვლამ შესაძლებელი გახადა კულტურული ინდუსტრიის სრული სტანდარტიზაცია, ხელი შეუწყო კინოსა და ესტრადის ვარსკვლავების სისტემის შექმნას. გარდა ამისა, გაჩნდა ინვარიანტული ტიპების, ლოზუნგების, განმეორებადი ფორმულირების მთელი სია. მასობრივი კულტურის არსი ცვალებადი უნდა იყოს, ხელოვნება უნდა ემორჩილებოდეს დაგეგმვის პოზიტივურ ფორმებს. თავისი მოქმედების მიხედვით, ფორმულებსა და კლიშეებს შეისწავლიან მეცნიერთა სპეციალური ჯგუფები. ისინი სწავლობენ, აგრეთვე, ნებისმიერი პროზაული ნაწარმოების მოცულობას, კინოფილმების ფინალს, რომელიც წინასწარაა პროგნოზირებული იმიტომ, რომ ნაწარმოებმა მაქსიმალური მოგება მოიტანოს. სტანდარტიზაციის უპირატესობაა ტექნიკური სიანხლებების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინდივიდუალური ილუზორული სფეროს შექმნას, რასაც ხშირად „ფსევდოინდივიდუალურს“ უწოდებენ.

იმჟამინდელ მკვლევრებს მიაჩნდათ, რომ კულტურული ინდუსტრიის საერთო აღმავლობის დროს დაიწყებოდა სერიოზული ხელოვნების დეგრადაცია. მათი აზრით, მასობრივი კულტურა ზემოდან ინერგებოდა და არა ქვემოდან, ხალხის მასებიდან. უდიდეს გერმანელ დრამატურგს და თეატრალურ მოღვაწეს, ბერტოლდ ბრეხტს, მიაჩნდა, რომ ტექნიკურმა რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს მასების ტოტალური გარევოლუციონერება. მასობრივი კულტურის აღმავლობასთან დაკავშირებით ტრადიციული ხელოვნების ლიკვიდაცია ბრეხტს არ მიაჩნია პროგრესულ მოვლენად. უფრო მეტიც, მიაჩნდა, რომ ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგია საუკუნოდ დაამკვიდ-

რებდა კულტურულ ფასეულობებს. მასობრივი კულტურის თეორია კულტურის ინდუსტრიის არსებობის პირობებში სრულად არის გაშუქებული ბრეხტის შრომებში. მას მიაჩნდა, რომ მასობრივი კულტურა – ეს არის გასაყიდი საქონელი.

ტექნიკური საშუალებები მიმართულია იქეთკენ, რომ მომხმარებელი წინასწარ გაატარო გარკვეული ფორმულირების ლაბირინთში და არ მიიყვანო არაორაზროვან დასკვნამდე. მისთვის სულერთია მხატვრული ფორმები და ის, თუ რამდენად სიმართლითაა გამოსახული იგი. მასობრივ კულტურაში ფორმულებმა შეცვალეს შემოქმედება, ამიტომ იგი განიხილებოდა ფსიქოლოგიური და არაესთეტიკური კატეგორიებით. კულტურის ინდუსტრია ანგრევს არამარტო მაღალი ხელოვნების სერიოზულობას, არამედ გავლენას ახდენს „საომარ წინააღმდეგობებზე“, რომელიც დამახასიათებელი იქნება პოპულარული ხელოვნებისათვის. იმავდროულად, განიხილავდნენ მხატვრული ეგზემპლარების ტირაჟირების კულტურულ შედეგებს და მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხატვრული ნაწარმოები, როგორც უნიკალური ქმნილება, ამით კარგავს თავის „აურას“.

მე-20 საუკუნის ჩარჩოებში მასობრივი კულტურა წინ აღუდგა მოდერნისტულ და ავანგანდისტულ მიმართულებებს, ელიტარულ კულტურას. კულტუროლოგიის მოდერნისტული სკოლა ნეგატიურ შეფასებას აძლევს მასობრივ კულტურას, როგორც „მასების გამოთაყვანების“ საშუალებას. მაგრამ 60-70-იან წლებში პოსტმოდერნიზმმა შეწყვიტა მასობრივ და ელიტარულ კულტურათა ურთიერთდაპირისპირება. 60-იან წლებში სოციოლოგებისა და ფუტუროლოგების ჯგუფმა და მათმა ყველაზე ცნობილმა კანადელმა ლიდერმა, მ. მაკლიუნმა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში გამოყო ადამიანური მგრძნობელობის გაფართოებისა და დედამიწის სფეროს ერთ დიდ გლობალურ სოფლად გადაქცევის მექანიზმი.

ამის საფუძველზე 80-90-იან წლებში აღმოცენდა კულტურული გლობალიზაციის თეორიები, განსაკუთრებით, ამერიკული კულტურისა, რომლის შედეგია „მაკდონალდისა“ და „კოკა-კოლას“ მთელ მსოფლიოში გავრცელება, თუმცა ეს პროცესი შეფასდა არაერთგვაროვნად, როგორც უდავოდ პროგრესული მოვლენა (ასე აფასებენ მას ამერიკელი ავტორები) და როგორც გარდაუვალი ბოროტება, კულტურული იმპერიალიზმი, რომელიც საჭიროებს წინააღმდეგობას.

კულტურის პოპულარული და გლობალური ტიპები – ეს ერთი მასობრივი კულტურის ორი მხარეა, რომელთაგან თითოეული ისწრაფვის თავისი გავრცელების სფეროს მაქსიმალური გაფართოებისკენ. მასობრივი კულტურის ფორმირება თუ გააზრება მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოკლებული იყო თეორიულ საფუძვლებს. ინტელექტუალური ელიტა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიფარგლა უპატივცემლო რემარკებით. პოპულარული ბელეტრისტიკა, საბაზრო წარმოდგენები, ბალაგანი, გასართობი დანესებულებები, კინემატოგრაფი კი ტრიუმფალურად დააბიჯებდა მთელ პლანეტაზე, თუმცა არავის მიაჩნდა იგი კვლევის ღირს ობიექტად. არტისტიზმისა და პრესტიჟულობის აღმაფრენას საუკუნეთა მიჯნაზე უკავშირებენ მხატვრული კულტურის საგანმანათლებლო ფუნქციების მეორე პლანზე დახევას და მისი ესთეტიკური თვისებების გამოვლენას, რასაც განაპირობებდა: დეკადანსი და სიმბოლიზმი ლიტერატურაში, მოდერნის სტილი არქიტექტურაში, პოსტიმპრესიონიზმი და ავანგარდისტული მიმდინარეობები სახვით ხელოვნებაში.

თანამედროვე კულტურა ხასიათდება მისი ურთიერთშემესები ტენდენციით – ინტეგრაციითა და დივერსიფიკაციით. მაინტეგრირებელ ტენდენციებს მოჰყვა გლობალური მასობრივი კულტურის ჩამოყალიბება. დივერსიფიკაციას მივყავართ ისეთ მზარდ კონკრეტულ კულტურულ მრავალსახეობებთან, როგორიცაა: ტერიტორიულად განსაზღვრული და გეოგრაფიულად გაფანტული კულტურები. სწორედ: ტელეფონის, ტელეგრაფის, ინტერნეტისა და კომპიუტერული კავშირის

მეშვეობით, ამა თუ იმ სუბკულტურული ერთიანობის წყალობით გახდა შესაძლებელი ერთმანეთის პოვნა, სადაც არ უნდა ვიყოთ. პროფესიულ თანასაზოგადოებებს, კოლექციონერთა ერთობას, ესტრადის და შოუბიზნესის თაყვანისმცემლებს, გარკვეული ორიენტაციისა და ინტერესების წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთად ჩამოაყალიბონ თავისი საკუთარი სუბკულტურა.

ამავდროულად ათვლის წერტილად იქცა გლობალური მასობრივი კულტურა, რომლებიც აერთიანებს იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ: საერთო მელოდიები, საერთო ტექსტი, წარმოდგენები, საერთო ფილმები, საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები, რომლებიც გავრცელებულია მთელ დედამიწაზე კულტურული სტერეოტიპებით. პოტენციურ გლობალურ კულტურასთან მიმართებაში სუბკულტურა შევიდა რთულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში. ერთი მხრივ, მასობრივი კულტურა სუბკულტურისგან იღებს ახალ ელემენტებს, მეორეს მხრივ, სუბკულტურებს აქვს მიდრეკილება განცალკევდნენ როგორც ერთმანეთისგან, ისე სუბკულტურისგან და გამოიყენონ პრიორიტეტები. როგორც წესი, მასობრივი კულტურის გავლენის სფეროში მოსახვედრი ნაწარმოებების შეფასება უფრო დაბალია, ხოლო ვინრო წრეში უფრო „პრესტიჟულად“ ითვლება ანტიმასობრივი ნამუშევრები. უკანასკნელ ათწლეულში სუბკულტურათა პრობლემად იქცა აკადემიურიდან და პრაქტიკულიდან პოლიტიკურში გადასვლა, რამდენადაც სუბკულტურათა თვითმყოფადობა შეიძლება გახდეს კომფლიქტების წყარო, არაიშვიათად – შეიარაღებულისაც.

მაინც რა არის მასობრივი კულტურა? ეს არის ხელოვნების ნაწარმოების კულტურული პროდუქტი, დაყვანილი სასაქონლე დონეზე, რომელსაც ქმნიან და ავრცელებენ პროფესიონალები კომერციულ საფუძველზე ფართო მასების მოხმარების გათვალისწინებით, მათი სოციალური მდგომარეობის, სქესის, ასაკის, ეროვნების, რელიგიური მრწამსის მიუხედავად. მასობრივი კულტურა განსხვავდება ხალხური კულტურისაგან. ხალხურ კულტურას ქმნის თვითონ მასები საკუთარი მოთხოვნილებისათვის. მასობრივი კულტურა გადაკვეთს, თუმცა არ თანხვდება პოპულარულ კულტურას, რომელიც წარმატებას აღწევს ამა თუ იმ ქვეყნის, ან რეგიონის მოსახლეობაში.

მასობრივი კულტურა მსოფლიოს ამზადებს გლობალური კულტურისათვის და მოიცავს მთელ დედამიწას. მართალია, იგი მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაისახა, მაგრამ მისი საწყისები ღრმა წარსულში უნდა ვეძებოთ. ასეთებია: პურისა და სანახაობის მოთხოვნილება ძველ რომში, შუა საუკუნეების საეკლესიო კულტურა, კერძოდ, რელიგიური მისტერიები, დელ არტეს კომედია, ბალაგანები, ქუჩის თეატრები, ჯამბაზებისა და ჟონგლიორების წარმოდგენები. ამავე პერიოდში გამოჩნდა ბელეტრისტიკა, რომელიც აგრეთვე შეიძლება მივაკუთვნოთ მასობრივ კულტურას.

მე-20 საუკუნეში კულტურის ზედმინევენით ფართო და პრაქტიკულად საყოველთაოდ გავრცელება ემყარება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებისა და კულტურული ინდუსტრიის მიზანდასახულ განვითარებას. ესენია: პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა, კინემატოგრაფი, რადიო, ტელევიზია, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, კომპიუტერული ქსელები. მათ ჩამოყალიბებას უკავშირებენ: საზოგადოების მოდერნიზაციის, დემოკრატიზაციისა და ინდივიდუალიზმის პროცესებს, საბაზრო ურთიერთობების გავრცელებას. ფსიქოლოგიური დასაყრდენის ძიებაში ადამიანები მივიდნენ საკუთარი წარმომავლობის ძიებამდეც – ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებამდე, რითაც ისინი განსხვავდებიან მეზობლებისაგან და დაუპირისპირდნენ კიდევ მათ. ადამიანთა მიგრაცია ზრდის „კულტურულ დიფუზიას“. ამის შედეგად გავრცელდა „მულტიკულტურიზმის“ ფენომენი – მრავალი სუბკულტურის თაანაარსებობა რეგიონალური ან ეროვნული ერთიანობის ჩარჩოში. მასობრივი კულტურა მიუთითებს, აგრეთვე, ფასეულობებზე და იმაზე, თუ რა ზომამდეა გავრცელებული იგი საზოგადოებაში. ეს არის მასების ფასეულობათა განსაზღვრის მოქნილი მექანიზმი. იცვლება სიტუაცია და იცვლება ფასეულობებიც.



Giorgi Gvaladze
*Lecturer at New
Higher Education Institute*

Aspects of the mass culture

Abstract

The essence of culture generally consists of the unity of ideal, objective creatures, existing independently from all kinds of historical or economic and social conditions, which are changed within the time. These creatures are found by people and are passed from generations to generations. Therefore, the essence of culture represents an objective world of ideas existing independently from a human. It can be detached by a group or groups of people as well as by a man on his own, but it can be developed according to the immanent laws of its own character.

Furthermore, global, mass culture has become a starting point combining people with common models, common texts, imagination, common films and well-known works which are spread all over the world with cultural stereotypes. Subculture, concerning the potential global culture, entered into difficult and contradictory relationship.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. კუკარკინი, „ბურჟუაზიული მასობრივი კულტურა“, „ისკუსტვო“, მოსკოვი, 1998 (რუსულ ენაზე).
2. ნეა ზორკაია, „კულტურის მრავალფეროვნება“, „ისკუსტვო“, მოსკოვი, 2004 (რუსულ ენაზე).
3. მარინე ვეკუა, ჟილ რუე, „ჟურნალისტიკა“გ. თავართქილაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013.

ბიზნესის აღმინისტრირკების მიმართულება

Maia Chania

*Doctor of Economics, Professor at New
Higher Education Institute*

THE ROLE OF SMALL BUSINESS IN ECONOMIC DEVELOPMENT ON THE EXAMPLE OF GEORGIA

For a small country, especially for Georgia, it is extremely sensitive to combine own and global problems. Georgia has recently joined the world market in economic, social, political and cultural space. But this revealed an important thing about Georgia: The country imports more than exports. And this situation suppresses national economy. At this stage the economic development of Georgia is oriented to deepening integration in the world economy. For that purpose the country is implementing economic liberalization and creating a supportive business environment, which directly impacts on the development of competition and interconnected chain enterprises. As empirical observations tell us, business units do not have problems to join market in Georgia. Nevertheless, shares in small and medium enterprise, in the total process of value creation, are of less importance for the reasons that limited production and service business development.

Besides the above-mentioned issues it should be noted that in Georgia small enterprise was formed on the state property-based economy. State property started massive transporting into small business. Cheap materials, labor sources, preferential transport tariffs, cheap credits, release from the influence of tax mechanism, the factor of big capacity of materialism and invincibility of „Red Directors“, all these were formed as a unity, which opened the way to create criminal economy. In this way the biggest part of property started draining from the accumulation field and was not spent on development of national production. At the same time, it must be mentioned that such positive results of small enterprenewership are so impressive. In fact, very fast, (within 3-4 years) important private capital was accumulated. Manufacturing of scarce goods and service production set up. Current market gave big opportunity to small enterprises as a result of which public catering and retail trade started developing widely.

By the first half of the 1990s there was not a special law about small enterprise in Georgia. This area was mainly regulated by Decree №613 6 (about “Small Enterprise Development Events”) adopted by the Cabinet of Ministers of Georgian Republic on August 6, 1993. In this document problems of forming small enterprises were not associated with privatization process. Providing resources for such enterprises was implemented from traditional positions, with individual and selective attitudes. In 1993 – 1994 the attitude

of Government to entrepreneurship development was substantially transformed. New laws were adopted which contributed to the development of a large-scale entrepreneurship. With the help of liberal-democratic reforms small business developed dynamically. At the beginning of the reforms a large part of public joined private entrepreneurship, especially in small parts of it. In 1990-1992 medium and large enterprise appeared in Georgia.

The following years 1993 – 1998 were marked by a large-scale privatization and development of all types of entrepreneurship, appearance of many ownerships, and active penetration of small enterprise into serving, trading, catering and light industrial mass production fields. In 1993 almost all of the privatized enterprises were small (98,2 %). The following year this number was reduced to 71,2%. 1993 – 1997 were the years of privatization of mainly small enterprises which reached a peak in 1995 – 1996. Only in these two years 6948 small enterprises were privatized, that is 43% of all privatized small enterprises in 1994 – 2001. The privatization of small enterprises sharply reduced since 2000, because this process was on the highest stage of its capabilities. In 1993-2002 the total number of privatized enterprises was 1659, among of them 1588 were small (95,4% of all enterprises) and 771 medium and large enterprises (4,6%). Therefore, most important capital gains of privatization were in 1995 – 58,2 million lari, in 1996 – 164.2 million lari, in 1999 – 73.3 million lari, in 2000 – 54.1 million lari.

For entrepreneurial development in Georgia an unstable tax system was a problem at any stage of economic reforms. Continual changes and additions in tax laws, in some way led to worsening economic index and imposing sanctions for late payment of taxes. This was caused by the earlier commencement date of instructions. In short, the existence of authoritarian system hurt entrepreneurial development in Georgia, negatively impacted on the macroeconomic indicators and therefore affected the growth of the economy of the country. It is essential to establish the middle class of owners, in this way one of the most important “constructions” of balanced economy is created, which seems to be adaptable to new situations during political and socioeconomic fluctuations. It is considered that the development of small and medium enterprises plays an important role in the formation of the middle class. Therefore, supportive system should be created and implemented by the state. Free enterprise establishment and development, for forming small enterprises, means to have an appropriate institutional market which requires the following:

1. Developing particular and consistent policy to support small enterprises which, as a rule, should be an integral part of national policy in entrepreneurship development.
2. Creating a favorable environment for private entrepreneurship to determine and eliminate hindering reasons for entrepreneurship development and define specific directions.
3. Separating responsibilities and functions among central government bodies and regional structures in the process of establishment of free entrepreneurship policy and implementation.
4. Effective and active participation of entrepreneurship representative in the process of economic policy-making, realising and evaluating of effectiveness.

The tax reduction task might be found rational while creating certain conditions for small entrepreneurship, because there are certain types of economic expenses, which are very sensitive for small enterprises. One of the main conditions for a rational policy is that taxes should not be reduced too much. In other words, the tax savings should be relevant to the adjustment of costs. (It is important that people, whose employment period and magnitude are relatively shorter than the named expenses, receive such benefits). In this case reduced rates of taxation or other forms of benefits can be used. In some cases in order to reduce the alternative tax expense, which is too much for small enterprises due to lacking internal

demand for developed accounting system, simplified models are utilized, enabling us to focus on certain types of tax liabilities or exempt from taxes.

Small Business Taxation special rules are based on the following factors:

1. Relatively high expenses associated with the implementation of tax laws and other state requirements, a high impact on the small business, as well as judicial and law imperfection. This effect might be particularly noticeable for the newly established enterprises.

2. Raise competitiveness by increasing number of small enterprises on the market of pre-cooked products.

3. Small business involvement in the innovation process.

4. Important social role of small business (Influence on employment, income equalization in the labor market by means of competition).

5. Stabilizing role of small business by means of diversified economy.

6. Aspiration for avoiding taxation, which is typical for hard-taxable types of activity. In some cases they are considered to be aiming to taking out taxes from such enterprises.

Necessary involvement of this sector in the procurement process should provide support to small and medium enterprises. We believe that the share of small and medium enterprises makes up a third of the total amount of the contracts. In addition, it is recommended to establish minimum 40% of credit resources for small enterprises as a “cheap credit” or similar state program;

Under open economy, small and medium businesses can turn into an instrument of large corporation diversification and modernization of the consumer market. Development of small and medium enterprises in Georgia will enable us to effectively solve such important problems, as an enhancement of competition, a reform of the social base extension, formation of middle class, employment, producing capacity load, formation of budget revenues, a weighty contribution to the country’s gross domestic product and, in general, to solving the country’s socio-economic problems. Accelerated development of business in Georgia can make significant contribution to the process of creating new jobs, counterbalancing the monopoly, environmental preservation and improvement of social problems. It is precisely small business that will enable Georgia to implement economic and structural transformation and create a reformed social market. Small and medium enterprise development will ensure the country to be taken out of the economic crisis, promoting formation of the middle class, long-term economic growth and political stability.

მცირე ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოს მაგალითზე

რეზიუმე

მცირე ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, ძალზე მტკივნეულია საკუთარი და გლობალური პრობლემების შეხამება. საქართველო მხოლოდ ახლახან ჩაერთო მსოფლიო ბაზარში, მსოფლიო ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში. საქართველოს ეკონომიკური განვითარება დღევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე. ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ ზემოქმედებს კონკურენციის განვითარებასა და ურთიერთდაკავშირებულ სანარმოთა ქსელის განვითარების პროცესზე. ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო სანარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, სანარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. ბიზნესის დაჩქარებულმა განვითარებამ საქართველოში უდიდესი წვლილი შეუძლია შეიტანოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, მონოპოლიზმის განეიტრალებაში, გარემოს შენარჩუნებასა და გაჯანსაღებაში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ მცირე ბიზნესის ბაზაზეა შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება და რეფორმების სოციალური ბაზის ჩამოყალიბება. მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

Literature:

1. Understanding growth priorities at small and medium-sized businesses. Economist Intelligence Unit, 2009.
2. Madura J., Introduction To Business. Fourth Edition, 2007.
3. Private Public Partnership: Alternative Modell or State Infrastructure. Price Water-house Coopers, 2008.
4. Human Development Report. 2009/2010.
5. Tokmazishvili M. Papava V., Necroeconomic Foundations and the Development of Bussiness in Post-revolution Georgia. The Caucasus and Globalization, Vol. 1 (3), 2008.
6. Tokmazishvili M. Global Fiancial Crisis transmission in Georgia. Azerbaijan, Economical University of Azerbaijan, 2010. Global Finnancial Crisis: World experimece”: Conference: materials.
7. Private Public Partnership: Alternative Modelle for State Infrastructure. Price Water-house Coopers, 2008.
8. Meqvabishvili E. Modern Macroeconomical Theories tbilisi, 2012.
9. Small and Average Businesses in Georgia (static publication) Tbilisi, 2012.

ნაზი გვარამია

ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აუდიტის სტრატეგიული მიზნები და რისკების მართვა

თანამედროვე ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევს კომპანიებში რისკების შეფასებისა და აუდიტის საკითხები. თეორიულ დისციპლინებში, რომლებიც ორგანიზაციის მართვის საკითხებს ეხება, რისკს ზოგადად, განკერძოებულად განიხილავენ, თუმცა ამავე დროს ხორციელდება კვლევები იმ მიმართულებით, თუ როგორ უკავშირდება რისკი ორგანიზაციის შიდა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, რისკის მართვა შიდა კონტროლის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო შიდა კონტროლი, თავის მხრივ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ჩვენ მხოლოდ სინანულით, უმოქმედოდ ვაკვირდებით წარსულში მომხდარ მოვლენებს და არაფერს ვცვლით, შიდა კონტროლის სისტემამ შეიძლება ვერ შეძლოს რისკების სათანადოდ გაკონტროლება. ამიტომ, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციამ შეიცნოს და რაოდენობრივად შეაფასოს ის რისკები, რომლებსაც აწყდება თავის საქმიანობაში.

ზემოაღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში ყურადღებას დაფუძნებით, სწორედ, რისკების შეფასების ძირითად ასპექტებს.

როგორც ცნობილია, არსებობს ზოგადი წარმოდგენა რისკის შესახებ და, შესაბამისად, საზოგადოებაც შემოიფარგლება გარკვეული ცოდნით აღნიშნული საკითხის გარშემო. კერძოდ, რისკის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული განმარტება შემდეგია: „რისკი არის არარეალიზებული სამომავლო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდის რომელიმე ქმედებიდან ან უმოქმედობიდან.“ საშუალოდ, უკუგება (მოგება) არის რისკის ფუნქცია. „რისკის წილი“ ფულადი საშუალებები ის საშუალებებია, რომელთაც დიდი რაოდენობის შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ყველაზე დიდი უკუგების მიღების შესაძლებლობა უნდა იყოს საუკეთესო სცენარი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება გათამაშდეს (მაგალითად: ინვესტიციის დაბანდება კომპანიებში). რისკი აუდიტის მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი ორ კატეგორიად იყოფა:

- კონკრეტული **დავალების რისკი** (ე.წ. აუდიტორული რისკი);
 - **ბიზნესის (კომპანიის) რისკი**, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დამკვეთთან და შეიძლება თანდაყოლილი რისკის ნაწილი იყოს. აქედან გამომდინარე, კი გავლენას იქონიებს აუდიტზე.
- რისკი აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. აუდიტის ჩატარების ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომა გულისხმობს ამ რისკების შეცნობას.

უდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 300) „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“ – აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ იგი, რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს.“ აღნიშნული სტანდარტი ეხება ორ დოკუმენტს: **აუდიტის საერთო სტრატეგიას და აუდიტის გეგმას**. აუდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტში ზოგად ასპექტებშია ჩამოყალიბებული თუ როგორ ჩატარდება აუდიტი. შესაბამისად, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- გარიგების (დავალების) სპეციფიკა;
- მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ვადები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;
- მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების გაფორმებამდე ჩასატარებელი წინასწარი სამუშაოების შედეგები და მოცემული დამკვეთისათვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება;
- მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მოცულობა და მათი გამოყენების დროის განსაზღვრა.

აუდიტის გეგმაში დეტალიზებულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აუდიტის ჩასატარებლად. შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიებში, სავარაუდოდ, აუდიტის სტრატეგია წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩანაწერების სახით, ხოლო აუდიტის გეგმა – აუდიტის რამდენიმე სტანდარტული ადაპტირებული პროგრამით. უდიტის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში აღწერილი იქნება აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაკრებად. ერთ-ერთ ძირითად ასპექტს ამ მიმართულებით წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული აუდიტი, რაც თავის მხრივ გულისხმობს აუდიტის ჩატარების ისეთი მეთოდის შემუშავებას, რომელიც განკუთვნილია აუდიტში რისკის ფაქტორებზე რეაგირებისათვის. ამ შემთხვევაში აუდიტორები პროფესიულ განსჯას მიმართავენ იმის დასადგენად, თუ რა დონის რისკი უკავშირდება დამკვეთის სისტემის სხვადასხვა სფეროს, რის საფუძველზეც გეგმავენ შესაბამის აუდიტორულ ტესტებს.

ზემოაღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ აუდიტორების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ფინანსური ანგარიშგების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი უზუსტობების არსებობა, რაც, ცხადია, შეცდომების გამოვლენის ალბათობას ზრდის და ამავე დროს ამცირებს ზედმეტი დროის ხარჯვას “უსაფრთხო” სფეროების ტესტირებაზე. რისკზე დაფუძნებული აუდიტის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

- სამენარმო გარემოს მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი ტენდენცია თავის მხრივ ზრდის თაღლითობისა და უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კომპიუტერული სისტემების ფართოდ გამოყენება და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;
- აუდიტის დამკვეთების ზენოლის გაძლიერება აუდიტორებზე, რაც გულისხმობს პროფესიული მომსახურებისათვის ანაზღაურების დაბალ ტარიფებს, ხოლო მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს.

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც აპროექტებს და ნერგავს კომპანიის ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალი, რომელიც სწორედ იმ მიზნით არის დანიშნული, რომ ეფექტიანად მართონ კომპანია. დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად მენეჯერებმა უნდა წარმოადგინონ იმის გარანტია, რომ კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის მკაცრი

პრინციპები და მათ აქვთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია მუშაობს შეთანხმებული სტრატეგიის, ანუ დასახული მიზნების შესაბამისად. მაგალითად, კორპორაციული მართვის პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნა მდგომარეობს შემდეგში: კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ:

- კომპანიაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო პროცესი და ეს პროცესი ეფექტიანად მუშაობს;
- მიღწეული იქნება მომსახურების დასახული დონეები;
- ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნა შესრულდება.

შიდა კონტროლის დანიშნულებაა მინიმუმადე დაიყვანოს რისკები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება და თუ რისკები მაინც წარმოიქმნება, ეს ხელს ვერ შეუშლის კომპანიას სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს 315) – „არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით“ – აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია თალღითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე მტკიცების დონეზე სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის.“ ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორს მოეთხოვება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ხელმძღვანელობის გამოკითხვას;
- ანალიზურ პროცედურებს;
- დაკვირვებასა და დათვალიერებას.

შიდა კონტროლი მოიცავს კონტროლის ყველა სფეროს და მოითხოვს, რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის გარემოს შესახებ. სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად, შიდა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება:

- კონტროლის გარემო;
- სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი;
- საინფორმაციო სისტემა, მათ შორის, მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი ბიზნეს – პროცესები და ინფორმირება;

- მაკონტროლებელი საქმიანობა;
- კონტროლის პროცედურების მონიტორინგი.

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა უნდა შეისწავლოს, ერთის მხრივ, შიდა კონტროლის სტრუქტურა, რათა გაიგოს, რომ ის ეფექტურია არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების და/ან გამოვლენის თვალსაზრისით; მეორეს მხრივ, ხორციელდება თუ არა პრაქტიკულად მაკონტროლებელი საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული პერიოდის განმავლობაში სათანადოდ მუშაობდა კონტროლის სისტემა.

რისკის შეფასება და აუდიტი არის იმ რისკების შეცნობის სისტემური გზა, რომელსაც კომპანია აწყდება თავისი საქმიანობის პერიოდში. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობისა და მრავალი ტიპის რისკი არსებობს, ლოგიკურია, რისკის შეფასება და მისი აუდიტი რთული და კომპლექსური პროცესი იყოს. ფინანსური აუდიტისაგან განსხვავებით რისკის აუდიტის ჩატარება კომპანიებისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ მაღალ დონეზე რეგულირებად სექტორში (მაგალითად, როგორცაა: საბანკო საქმე და საფინანსო მომსახურება), ბევრ ქვეყანაში

გარკვეული ფორმით რისკის შეფასება და აუდიტი სავალდებულოა. ზოგიერთი კომპანია იწვევს შიდა რისკების სპეციალისტებს რისკის „შიდა“ აუდიტის ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში ამ ფუნქციას გარე კონსულტანტები ასრულებენ. ცხადია, ორივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორები, სავარაუდოდ, კარგად იცნობენ აღნიშნულ კომპანიას, მის სისტემებს, პროცედურებს, მარეგულირებელ გარემოსა და კულტურას, რაც გულისხმობს კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებას. ნაკლოვანება კი გამოიხატება ისეთი საფრთხეების წარმოქმნაში, როგორიცაა: დამოუკიდებლობის შელახვა და ზედმეტი ინფორმირებულობით განპირობებული თავდაჭერილობა. ამ მიზეზით კომპანიები ამჯობინებენ რისკის შეფასება და აუდიტი გარე მხარეებს მიანდონ.

რისკის ნებისმიერი ტიპის აუდიტს (შიდას თუ გარეს) ოთხი სტადია ახასიათებს:

- რისკის დადგენა;
- შეფასება;
- მიმოხილვა;
- ანგარიშის მომზადება.

რისკის აუდიტის პირველი ეტაპია **რისკების დადგენა**. რისკების წარმოშობასა და არსებობას განაპირობებს კომპანიების საქმიანობის ცვალებადი ბუნება, ასევე იმ გარემოს მუდმივი ცვალებადობა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ახალი რისკები ჩნდება და ძველი ქრება, ამიტომ, ცხადია, რისკების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიებისათვის, რომლებიც ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებს.

შემდეგი ეტაპი **რისკის შეფასებაა**. ნებისმიერი გამოვლენილი რისკი უნდა შეფასდეს ორ ცვლადთან მიმართებაში: რისკის რეალიზების (მატერიალიზების) ალბათობა და რისკის გავლენა, ანუ რა შედეგი ან საფრთხე მოჰყვება თუ რისკი რეალიზდება. ეს არის ორი საინტერესო კოორდინატთა ღერძი, რომლიც შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობის/გავლენის წერტილების კოორდინატების დასადგენად და ინდივიდუალური რისკის ქცევის შესახებ თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად. „თეორიული“, რადგან ზოგჯერ შეუძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება რისკის შესახებ, რათა მისი გავლენის და/ან ალბათობის ზუსტი სურათი მივიღოთ. რისკის შეფასების ასეთი სტრატეგია გამოიყენება მრავალ სიტუაციაში, აქციების პორტფელის მართვით დაწყებული, ინტერნაციონალურ სტრატეგიულ კურსზე რისკების გავლენის შესაცნობად. რისკის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი განიხილავს ყველა ღონისძიებას, რომელიც კომპანიამ გაატარა თითოეულ გამოვლენილ და შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

მიმოხილვის სტადიაზე აუდიტორი ანალიზებს კონტროლის იმ საშუალებებს, რომლებიც კომპანიას აქვს იმ შემთხვევისათვის თუ რისკი მატერიალიზდება. მაგალითად: როდესაც აუცილებელია, აუდიტორმა შეიძლება შეამოწმოს დაზღვევა და მისი პირობები თუ რა ღონეზეა რისკის პორტფელი დივერსიფიცირებული და ნებისმიერი სხვა კონტროლის საშუალება, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. რისკებისათვის, რომელიც კომპანიას თავის თავზე აქვს აღებული, აუდიტორი ამოწმებს იმ ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანობას (როგორიცაა, მაგალითად: ევაკუაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ა. შ.), რომლებიც მაშინ გატარდება, როდესაც რისკი მატერიალიზდება. მიმოხილვა უნდა იყოს არსებითი ამოცანა, რადგან თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის გატარებული ღონისძიება მიმოხილვის ნაწილია და შეიძლება პრაქტიკაში ბევრი რისკი იყოს განსახილველი.

ფინალურ ეტაპზე, მიმოხილვის შედეგების მიხედვით დაინერება ანგარიში და გადაეცემა დამკვეთს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხოლმე თავად იმ კომპანიის საბჭოს, რომლის აუდიტიც ტარდება. ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია, ძირითადი რისკების დონის შესახებ (კერძოდ: რისკები, რომელთაც წარმოშობის დიდი ალბათობა გააჩნიათ; რისკები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ და განსაკუთრებით ისეთი რისკები, რომელთაც გააჩნიათ დიდი ალბათობაც და გავლენაც), რისკების შეფასება და სახეზე არსებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა. ნათელია, რომ ნებისმიერი არაეფექტური კონტროლის საშუალება ანგარიშის ძირითადი კომპონენტი იქნება და მათ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ხელმძღვანელობამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა რისკების შეფასებისა და აუდიტის ზოგადი მიმოხილვა, საკვანძო საკითხები და წარმოგვედგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკების შეფასების სტრუქტურა მათი საქმიანობის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გონივრული იქნება სეგმენტირება კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე. აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, კერძოდ, რისკების შეფასების და აუდიტის სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის სფეროში კომპანიების საქმიანობის სწორად დაგეგმვას, რისკების სწორად შეფასებას, შიდა კონტროლის სისტემის დახვეწას, რაც, ცხადია, იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

Nazi Gvaramia
Associate Professor
at Sokhumi State University

Strategic objectives of the audit and risk management

Abstract

The scientific work highlights the role and importance of tourism as one of the priority directions in the 21st century. As a quite profitable field of the world economy it has become an important factor of successful development of the national economy and business of our country. Development of tourism is directly connected to social, cultural, educational and economic spheres, and at the same time it greatly stimulates economic relation between states. Hence, the sphere mentioned in the studies is characterized as an interfiled complex which simultaneously fulfils double (both entrepreneurial and non-entrepreneurial) function in a country's economy. High multiplicative effect is characteristic to tourism. It can equalize the levels of development of economy in different regions. Somehow, development of tourism plays a role of stimulator (a catalyst). That is why this field, in comparison with other fields of economy, can bring more important positive social-economic effect.

The work gives us the analysis of the mechanisms of effective functioning of travel agencies from the view of registry, risk evaluation and audit; In particular, the elements of internal control, the requirements of international standards of audit are presented and the advantage of audit of risks as of internal performance of a company is given. Correspondingly, this means the evaluation carried out considering company's expectations and norms, following legislative requirements, using a proper technical language. Four stages are characteristic to any type of audit (internal or external) of risk. According to the above-mentioned, in our opinion, the issues of risk evaluation and audit in travel agencies attract great interest which is highlighted in the presented scientific work. The studies are about the existed general approaches to risks and one of the practical explanations is analyzed. Accordingly, return as a description of the function of risks and the best scene of possibilities of its making is presented.

As the world politics shows, with the purpose of enhancement of a country's social-economic development as well as providing effective performance of separate economic subjects, the stability of a country's economic system is of great importance. One of the prerequisites of this is to create a system of risk evaluation and audit. Without this system it is impossible to develop economy. Hence, we think the application of the above-mentioned system in travel agencies in Georgia will guarantee their effective performance.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA წიგნი P7. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (საერთაშორისო პროგრამა, უმაღლესი დონე), სახელმძღვანელო, თარგმნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, თბ., 2010.
2. ნ. გვარამია, აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბ., 2012.
3. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ყ. ბუღალტრული აღრიცხვა, N11, თბ., 2010.
4. საქართველოს კანონი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ, თბ., 2010, 26 მარტი.
5. А. Кушнारेев. Журнал «Аудит»; N2-3, 2011 г.

მანანა ალადაშვილი

ბიზნესადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსი-
ტეტის „სეუ“-ს ასოცირებული პროფე-
სორი

ტურისტული ბაზრის უუნეციონირების სეზონურობა და მისი განხანგრძლივების გზები საქართველოში

ტურისტული ბაზარი არის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის გამოვლენილი ურთიერ-
ობის ადგილი. ტურისტული ბაზრის ფუნქციებია: უზრუნველყოს ტურისტული პაკეტების შექმნა
და მისი რეალიზაცია, ასევე მომხმარებლისათვის ტურისტული პროდუქტის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფა და მოგების მიღება.

ტურისტული ბაზრის კონიუქტურაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ეკონომი-
კური, სოციალური, პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური.

გარდა ზემოთაღნიშნული ფაქტორებისა, სეზონურობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სე-
ზონის მიხედვით ტურისტული საქმიანობის მოცულობას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული ცვალე-
ბადობა.

ტურიზმში სეზონურობის ფაქტორი დაყოფილია პირველად და მეორად ფაქტორებად. პირვე-
ლად ფაქტორებს მიეკუთვნება ბუნებრივ – კლიმატური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები.
სეზონური რყევების მეორად ფაქტორებს მიეკუთვნება სოციალური, დემოგრაფიული, ფსიქოლო-
გიური, მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური მდგომარეობის საერთაშო-
რისო გარემო.

მაშასადამე, ტურიზმში სეზონურობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ტუ-
რისტული ნაკადის ფორმირებაზე ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენის ხარისხი, ტურის-
ტული სეზონის განხანგრძლივების დადგენის, ტურიზმში სეზონურობის განმსაზღვრელი ფაქტო-
რების გამოვლენისა და სეზონურობის ეკონომიკური შედეგების განსაზღვრა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ტურისტების მომსახურებაში სეზონურობის შემცირების
ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება.

ამრიგად, ტურისტულ მომსახურებათა მოცულობას აქვს ნათლად გამოხატული სეზონური
ხასიათი, ამიტომ ტურისტული ფირმის დაგეგმვისა და მართვის პროცესში აუცილებელია ცალკე-
ული თვეების მაჩვენებლების საშუალო წლიური გადახრის კანონზომიერებების გათვალისწინება.
ეს ხორციელდება სეზონურობის კოეფიციენტის გამოთვლით.

$$K=y_1/y \times 100\%, \text{ სადაც}$$

K – სეზონურობის კოეფიციენტი, %

Y_1 – ცალკეული თვის რეალიზებული მომსახურების მოცულობის საშუალო დონე, ლარი

Y – საანგარიშო პერიოდში რეალიზებულ მომსახურებათა საშუალო თვიური მოცულობა, ლარი

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სეზონურობის კოეფიციენტის გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდები. მათ შორის, ყველაზე მარტივად ითვლება მარტივი საშუალოს მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ეს მეთოდი ზედმეტად მარტივად გამოიყურება, ის პროგნოზირების მაინც საკმაოდ მიღებული ინსტრუმენტია, რადგან მას გამოკვეთილი უპირატესობები გააჩნია სხვა მეთოდებთან შედარებით ის, ფაქტობრივად, არ საჭიროებს დანახარჯებს, სწრაფად შესრულებადი და ადვილად გასაგებია. უარყოფითი მხარე კი, ცხადია, რომ პროგნოზის სიზუსტის ნაკლებობაა. ამ მეთოდის არჩევისას ეყრდნობიან პროგნოზზე განეული დანახარჯებისა და პროგნოზის სიზუსტის თანაფარდობის ანალიზს, ასევე კონკრეტული შემთხვევისათვის არსებულ პრიორიტეტებს.

სეზონურობის კოეფიციენტის მიხედვით შეიძლება დავაკვირდეთ ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ზრდას ან კლებადაობას წლის სხვადასხვა დროს. ყველაზე დიდი მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე არის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით. ყველაზე დაბალი მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე არის იანვარში, ყველაზე მაღალი – აგვისტოში (თუ არ ჩავთვლით ზამთრის ტურიზმს).

ასეთი ვითარების შერბილება (სეზონურობის რყევების სტაბილიზაცია) შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების ჩატარებით, როგორებიცაა: ფასების დიფერენცირება, სეზონებს შორის თემატური კვირების ჩატარება (შობა, აღდგომა, ფოლკლორული შოუები და სხვ.), ტურიზმის იმ სახეობების განვითარება, რომლებიც ნაკლებად არის დამოკიდებული სეზონზე (გასტრონომიული ტურიზმი, ტურიზმი სოფლად, mice და event ტურიზმი).

ტურიზმის სეზონურობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საქართველოში საქმიანი ტურიზმის დამკვიდრება (MICE), რაც გულისხმობს შეხვედრებზე, წამახალისებელ ან მასტიმულირებელ ღონისძიებებზე, გამოფენებსა და კონფერენციებზე ხალხის მოზიდვას. საქმიანი ტურისტები ასევე იყენებენ ბევრ ისეთ მომსახურებას, რომელსაც მოგზაურები იყენებენ დასვენების მიზნით. ამიტომაც, სხვადასხვა კვლევები, რომლებიც საქართველოშიც ჩატარებულა, ცხადყოფენ, რომ საქმიანი ტურისტები ერთ-ერთ კარგ კატეგორიად მოიაზრება, ასევე სეზონის გამახანგრძლივებელი ეფექტით არის განპირობებული საქმიანი ტურიზმის სეგმენტის მიმზიდველობა დარგის ზოგად სტრუქტურაში.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ 2011 წლიდან MICE ტურიზმის მიმართულებით განხორციელებულმა პროექტებმა, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის გაუმჯობესებამ, ბევრი ბრენდული სასტუმროს გახსნამ ხელი შეუწყო MICE ტურიზმის სწრაფგანვითარებას. განეული სამუშაოების შედეგად 2015 წელს საქართველო 3 მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას მასპინძლობდა: იბიარდი, უეფას თასი და ახალგაზრდული ოლიმპიადა.

MICE ტურიზმი, ტურისტული მიმართულებათა, რომელიც მსხვილ ორგანიზებულ, კორპორატიულ და პროფესიულ ტურებზეა ორიენტირებული და ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი და სწრაფადმზარდი დარგია. საერთაშორისო კონგრესისა და კონვენციის ასოციაციის (ICCA) სტატისტიკაზე დაყრდნობით მსოფლიოში ყოველწლიურად 400 000 კონფერენცია და გამოფენა იმართება, რომელთა ჯამური დანახარჯი 280 მილიონ აშშ დოლარზე მეტია.

საქმიანი ტურიზმის სეგმენტი ქვეყნის ყველა რეგიონში უნდა განვითარდეს, სადაც ტურისტ-

ტულ კომპლექსებს საშუალება ექნებათ მიიღონ ტურისტები, როგორც დასასვენებლად, ასევე შეხვედრებისათვის. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი კომპონენტი ერთმანეთს შეუთავსდება. ამ თვალსაზრისით, MICE სეგმენტი განვითარებულია თბილისსა და ბათუმში. საქმიანი ტურიზმის დაგეგმვა დღეს შესაძლებელია, როგორც ბაზალეთსა და გუდაურში, ასევე საირმესა და კახეთში – სადაც უფრო მკვეთრად არის გამოხატული ტურიზმის სეზონურობა.

საქმიანი ტურიზმის სეზონის გამახანგრძლივებელ ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული გამოფენა/ბაზრობები.

მსოფლიოში უამრავი საგამოფენო ღონისძიება ტარდება, რომელიც ასე თუ ისე ტურიზმთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საერთაშორისო ტურისტული ბირჟები. ეს არის საგამოფენო ღონისძიებები, რომელშიც ტურიზმის რეკლამასთან ერთად ტარდება აქტიური მუშაობა კონტაქტების დასამყარებლად და გარიგებების დასადებად ტურმომსახურების მწარმოებლებსა (სასტუმროები, სატრანსპორტო საწარმოები და სხვა) და მათ გამყიდველებს შორის (ტურფირმები). ასეთი ბირჟებით იხსნება ან მთავრდება ტურების აქტიური რეკლამის პერიოდი.

სწორად ჩატარების დროც მაქსიმალურად მოხერხებულია, რომელიც ხელს უწყობს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას, ნოემბერი – ევროპელებისათვის ჩვეულებრივი დროა მომავალი შვეტლებების შესახებ გადამწყვეტილებების მისაღებად, ხოლო ტუროპერატორებისათვის ეს არის გასული სეზონის შედეგების შეჯამებისა და შემდეგი სეზონისთვის გეგმების შესამუშავებელი პერიოდი. გარდა ამისა, შემოდგომით ხორციელდება „ზამთრის“ პროდუქტის ასორტიმენტის რეალიზაცია. მარტი – ახალი სეზონის დასაწყისი, პირდაპირი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობაა სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტებს შორის. იგი გადამზიდველებსა და განთავსების საშუალებების საწარმოებთან ხელშეკრულების გაფორმების პერიოდია. თვით მონანილეობის ფაქტი ამ გამოფენებზე ადასტურებს ორგანიზაციის სოლიდარობას, რომელიც ქმნის მის განსაკუთრებულ იმიჯს და პრესტიჟს.

საგამოფენო ღონისძიებები ტურისტულ საწარმოებს დიდ შესაძლებლობებს აძლევს ეკონომიკური, ორგანიზაციული, ტექნიკური და კომერციული ინფორმაციების ერთდროულად გასავრცელებლად. თავისი არსით საგამოფენო ღონისძიებები წარმოადგენს: დარგის განვითარების სარკეს, ინფორმაციის ბირჟას, კონიუნქტურული ცვლილებების პროგნოზირების საშუალებას, ასევე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ქვეტექსტების გამოვლენის საშუალებას.

ყოველწლიურად იკრებს ძალებს და იძენს პოპულარობას საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა თბილისში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში საქმიანი ტურიზმის განვითარებაში.

წელს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო მე-18 გამოფენა, გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ტურისტული ფასდაკლებების ფესტივალი, სადაც დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ წინასწარ დაეგეგმათ დასვენება სხვადასხვა მიმართულებით, მიეღოთ კვალიფიციური კონსულტაცია და შეეძინათ ტურისტული პაკეტები ექსკლუზიურ ფასად.

სეზონის გახანგრძლივება, დღეისათვის საქართველოში მომხმარებლების მიერ კვლავაც „მზისა და ზღვის“ და „მთის“ კურორტად აღიქმება, სადაც სეზონი 2-2.5 თვე გრძელდება, ხოლო წელიწადის სხვა დროს ტურისტული აქტივობა ბევრად უფრო დაბალია. სეზონის გასახანგრძლივებლად საქართველოში რამდენიმე მსხვილი პროექტი განხორციელდა. მათ შორის, მაგ. აჭარაში მტირალას ეროვნულ პარკში ეკოტურიზმის განვითარება, “ფრინველებზე დაკვირვების“ განვითარება, ზამთრის კურორტის მშენებლობაგოდერძის უღელტეხილზე.

როგორც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის საიტიდან ირკვევა, ამ გამოცდილებას საკმაოდ

ეფექტიანად იყენებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და „ბათუმის ტურისტული სააგენტო“, რომლებიც გეგმავენ რეგიონში MICE ტურიზმის განვითარებას და სასტუმროების მაქსიმალურად დატვირთვას ზაფხულის საზღვაო სეზონის გარდა, წლის სხვა თვეებშიც. ამ მიზნით შემუშავებულია საკონფერენციო დარბაზების სპეციალური ბაზა და მასში თავმოყრილია საკონფერენციო დარბაზებისა და სასტუმროების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

2014 წელს სამთო-სათხილამურო ტურიზმის სეზონის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით ხელოვნური გათოვლიანების პროექტი წარმატებული გახდა, რომლის პირველი ფაზა უკვე დასრულებულია. კურორტზე სათხილამურო სეზონი ამინდზე დამოკიდებული აღარ იქნება.

1100 მეტრიან პირველ სათხილამურო ტრასას ხელოვნური თოვლით 29 თოვლის საფრქვევი აპარატი, ე.წ. „თოვლის თოფი“, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, 6 ლამის განმავლობაში ათოვლიანებდა.

სეზონის სტაბილურობა და ხანგრძლივობა განაპირობებს ტურისტების რაოდენობის ზრდას. ამ პროექტმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ინვესტორებს, ბევრი ბიზნესმენია დაინტერესული ინვესტირებით.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კომპანიებს საქმიანი ტურიზმის განვითარებაში დაეხმარება. ტურისტული კომპანიების დასახმარებლად ეროვნული ადმინისტრაცია სპეციალურ ოფისს გახსნის, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყნებს შეთავაზებებს გაუკეთებს, შეკვეთებს კი ადგილობრივ ტურისტულ კომპანიებს გადააბარებს.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის თქმით, MICE ტურიზმი, ანუ საქმიანი ტურიზმი, რომელიც გულისხმობს საქმიანი ტიპის ღონისძიებების ორგანიზებას ქვეყანაში, მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ნაწილია, რადგან საქმიანი ტურისტები მეტ თანხებს ხარჯავენ ამა თუ იმ ქვეყანაში. სულ მალე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში გაიხსნება საკონგრესო ბიურო. ეს იქნება ის მექანიზმი, რომელიც დაეხმარება საქმიანი ტურიზმის განვითარებას ყველა მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი იქნება მსგავსი ტურების შეთავაზება სხვადასხვა ქვეყნებისთვის და მიღებული წინადადებების დისტრიბუცია საქართველოს შიგნით, ტურისტულ კომპანიებში, რათა მათ შესაბამისი მომსახურება გაუწიონ დამკვეთებს.

ჩვენი მხრიდან ეს იქნება არამოგებაზე ორიენტირებული მოქმედებები. ამის მთავარი მომხმარებელი იქნება ადგილობრივ ბაზარზე არსებული ტურისტული კომპანიები, სასტუმროები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გუდაური და ბაკურიანი საინტერესო მხოლოდ ზამთარში არ იქნება, რადგან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, ტურისტული სეზონის გახანგრძლივების მიზნით, კურორტებზე ველოპარკები მოეწყობა.

თუმცა, საერთო შეფასებით, ჯერჯერობით სრულად არ არის ათვისებული საქართველოში არსებული ტურისტული პოტენციალი. მნიშვნელოვანია ბიზნესისა და მომსახურების მომწოდებლისათვის დახმარების განევა, რათა შესაძლებელი გახდეს ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნის იდენტიფიცირება, მარკეტინგული თვალსაზრისით სწორად შეფუთონ ახალი პაკეტები და შემდგომში გაუწიონ რეკლამირება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რათა უფრო ინტენსიურად გახანგრძლივდეს ტურისტული სეზონი საქართველოში.

Manana Aladashvili

*Doctor of Business Administration,
Associate Professor at Georgian National University*

Seasonality of the tourist market functioning and prolongation in Georgia

Abstract

Among the factors affecting the development of tourism, a special place is occupied by seasonality factors. The volume of tourist activities can have serious fluctuations depending on the season. Accordingly, tourist organizations resorted to various activities.

The volume of sold services of tourism is characterized by seasonality, which is caused by a number of factors (the season of the year, the period of vacations, holidays, etc.). Therefore, in the process of the analysis and planning services of a tourist agency, the regularity of deviations of data of specific months should be considered. This is done by calculating the coefficient of seasonality.

The basic flow of tourists falls in the period from April to October. According to the seasonality indices a growth or a decrease of sales of the tourism product can be observed in different seasons. The lowest demand for the tourism product is in January.

In order to facilitate the situation (to stabilize the seasonal unevenness) a few activities should be implemented, including differentiation of prices, organizing thematic weeks in the off-seasons (Christmas, Easter, folk shows, etc.), promoting such types of tourism that are less dependent on seasons (gastronomic tourism, rural tourism), etc.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩარლზ რ. გელდენერი, ჯ.რ. ბრენტ რითრი. „ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია“, მე-12 გამოცემა: თარგმნ. ინგლ. – ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013;
2. ჩაგანავა პ., „ტურიზმის პოლიტიკა“ თბ., 2012;
3. მარგველაშვილი მ., „ტურიზმის ეკონომიკა“, თბ., 2012;
4. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., „მენეჯმენტის პრინციპები“, თბ., 2010;
5. <http://www.mavriz.ru>;
6. <http://works.doklad.ru>;
7. <http://izmailonline.com>.

მაია გელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

საბიუჯეტო სახსრების ათვისების პრობლემა

ნებისმიერ სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოს განვითარებასთან. საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადების, ამ სისტემის აგებისა და მეთოდების ერთობლიობას. ნებისმიერი სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, მათი დანესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს; საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობების წარმოქმნილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესებს, გადასახადების გადახდასთან თუ კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებს და წესებს.

სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია და, უფრო მეტიც, აუცილებელია არსებობდეს განსაზღვრული ხარჯები. როგორც წესი, სახელმწიფო აწესებს საგადასახადო სარგოს, რომელიც უნდა ამოიღოს ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირებმა. სწორედ ამიტომ, თითოეული ადამიანის მიერ გადახდილი გადასახადი არის სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარების საწინდარი. ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკის რეგულირებას. შესაბამისად, ეფექტური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა, ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამიტომ, მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი ტიპის საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, რომელიც, ერთის მხრივ, გაითვალისწინებს გადამხდელთა ინტერესებსა და ქვეყანაში არსებულ სოციალურ დონეს, მეორეს მხრივ კი, სახელმწიფოს მიერ დასახული კონკრეტული ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების თავისებურებებს. მაგრამ

ისიც ფაქტია, რომ ჯერ არც ერთ მაღალგანვითარებულ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებშიც, მათ შორის, ბუნებრივია, არც საქართველოშიც არ შემუშავებულა ისეთი ტიპის საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა, რომელიც მისაღები გახდებოდა ყველა გადამხდელისათვის. ამიტომაც, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაში სისტემატიურად ხორციელდება რეფორმები. მეცნიერები, ფინანსისტები ინტენსიურად მუშაობენ, რათა საგადასახადო სისტემამ მიაღწიოს სრულყოფილების გარკვეულ ეტაპს. იმისათვის, რომ ეს რეალიზდეს პრაქტიკაში, საჭიროა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად განვითარდეს კერძო მენარმეობის საქმიანობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც, როდესაც სახელმწიფო ან მთელი რიგი ქვეყნები დიდი ფინანსური კრიზისის წინაშე დგებიან. კერძოდ, მცირდება საბანკო-საკრედიტო მომსახურება, იკლებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მცირდება ტურიზმის განვითარება, მცირდება ექსპორტ-იმპორტის წარმოება და სუსტდება მრავალი სხვა საფინანსო დარგი, რაც იწვევს კრიზისულ ვითარებას სახელმწიფოებში. აღნიშნული ვითარება იძულებულს ხდის სახელმწიფოს შეიმუშაოს და შეცვალოს სტრატეგია, როგორც საფინანსო, ასევე საგადასახადო კუთხით, გაითვალისწინოს საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილების პრაქტიკა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტი ზოგადად და საქართველოშიც, ორიენტირებულია სოციალურ-ლიბერალური ამოცანების სწორად განსაზღვრასა და აღსრულებაზე. ესაა უმთავრესი პრობლემა, რომელიც, ჩვენი აზრით, დროულად და მართლზომიერად უნდა გადაწყდეს და არ გახანგრძლივდეს დროში. ამ ამოცანებიდან უნდა გამოვყოთ სახელმწიფო ხარჯების, შემოსავლების ორგანიზაციული თუ სტაბილური სისტემის შექმნა და მისი სწორად წარმართვა. აქ იგულისხმება ძირითადად ის, რომ საბიუჯეტო პროცესმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე განეული ხარჯების მთლიანობა და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლებით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის მონაცემებით, 2016 წლის პირველ სამ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსულობები 1,7 მილიარდი იყო, ბიუჯეტის ხარჯები კი 2 მილიარდ ლარს შეადგენდა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ იმაზე 300 მილიონით მეტი დახარჯა, ვიდრე შემოსავალი მიიღო, ამას კი დეფიციტური ხარჯვა ეწოდება და იგი ეროვნული ვალუტის კურსისათვის გარკვეულ რისკებს შეიცავს.

დეფიციტური ხარჯვა მთავრობამ ბიუჯეტის ნაშთებით დააფინანსა. ეს ის თანხებია, რაც გასული წლების მანძილზე ბიუჯეტის შესრულების შედეგად გროვდებოდა. 2016 წლის პირველი იანვრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთი 622 მილიონ ლარს შეადგენდა, დღეს კი ნაშთი 323 მილიონია, რაც საწყის ნაშთთან შედარებით 299 მილიონით ნაკლებია. დეფიციტური ხარჯვა ყველაზე მასშტაბური თებერვალში იყო, ამ დროს, ხაზინის მონაცემებით, ნაშთის მოცულობა 241 მილიონი ლარით შემცირდა, რომელიც თებერვალში ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი იყო. მთავრობამ დეფიციტური ხარჯვა მარტშიც გააგრძელა და ნაშთის მოცულობა 58 მილიონით შემცირდა. 2015 წელს, 2012 წელთან შედარებით, მხოლოდ ცენტრალური მთავრობის სახელმწიფო აპარატის შრომის ანაზღაურება 358,5 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც 34,16%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს – 6,79%-ით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ცენტრალური მთავრობის სახელმწიფო აპარატის შრომის ანაზღაურება 89,6 მილიონი ლარით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით უკვე 130,74 მილიონი ლარით (11%) იყო გაზრდილი. ამგვარად, რისკი იმისა, რომ დაგეგმილი სახსრების ათვისება, რომელიც 2014-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო, 2016 წელსაც გაგრძელდება, საკმაოდ მაღალია

თუ მთავრობამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო პრობლემის გამოსასწორებლად. მთავრობის მიერ დაგეგმილზე ნაკლები სახსრების ათვისება კი უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც ინფლაციის სრულიად აშკარა რისკებთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, მთავრობას არ უნდა დაავიწყდეს, რომ 2016 წლის ბიუჯეტი, ისევე როგორც წინა წლის ბიუჯეტები, არა მხოლოდ დეფიციტურია, არამედ ამ დეფიციტის დიდი ნაწილი ვალით ფინანსდება. ამასთან, 2015 წელს მისაღები კრედიტების უდიდესი ნაწილი საინვესტიციო მიზნებისთვის აიღეს. საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2010 წლიდან მოყოლებული საშუალოდ 6,1%-ს შეადგენდა, თუმცა 2013 წლიდან მისი ტემპი დამუხრუჭდა და დაგეგმილი 6%-ის ნაცვლად, 3,3% შეადგინა. 2014 წელს მთავრობას 5%-იანი ეკონომიკური ზრდა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების გამო ზრდამ 0,4%-ით ნაკლები შეადგინა. 2015 წელს კი ეკონომიკური ზრდა 2,8% იყო, რაც მთავრობის გეგმას 0,8%-ით აღემატებოდა. ბიუჯეტის ამგვარი სოციალური ორიენტაცია ამცირებს მთავრობის კაპიტალურ დანახარჯებს, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას აფერხებს. გადასახადების მაჩვენებლის შემცირების გარეშე, ეკონომიკის ზრდის ტემპის მატების პირობებშიც კი, მთავრობას ძალიან გაუჭირდება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, ვინაიდან 2013 წელთან შედარებით, 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თითქმის 1,5 მილიარდი ლარით იზრდება. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების გარეშე წარმოუდგენელია გადასახადების ამოღება, განსაკუთრებით კი მომსახურების საშემოსავლო სფეროში, რაც ეკონომიკაში მთავრობისთვის ყველაზე სერიოზულ გამოწვევად რჩება. საბიუჯეტო სახსრების ათვისებლობა ორი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული: მხარჯავი დანესებულებების არასათანადო მუშაობა და ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვა.

საქართველოს რეგიონების განვითარების პირობების გამოთანაბრების სხვადასხვა მექანიზმების, მათ შორის, საკვანძო მნიშვნელობის საფინანსო და საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმების გამოვლენა ეკონომიკური რისკის პირობებში აქტუალურია, რომელიც გამიზნულია ფინანსური მექანიზმების გააქტიურებისა და რეგიონული განვითარებისთვის ფინანსური ნაკადების ფორმირების მეთოდოლოგიურ-მეთოდური მიდგომების შესამუშავებლად.

ზემოხსენებული პრობლემების დადებითად გადაწყვეტაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის საბიუჯეტო ფედერალიზმი, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რეგიონული განვითარების ეკონომიკური პირობების გამოთანაბრება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ გადასახადების ამოღება კომპლექსური პრობლემაა და მოითხოვს კომპლექსურ გადაწყვეტას. გარდა ამისა, საჭიროა საგადასახადო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც მთლიანად მთავრობის მუშაობის ეფექტურობაზე დამოკიდებულია.
2. ბიუჯეტის ფულადი სახსრების მართვაში კვლავაც შეინიშნება სისუსტეები, რაც მოითხოვს დამატებით ყურადღებას სამინისტროების მიერ ბიუჯეტის აღსრულების დაგეგმვის გასაუმჯობესებლად. საბოლოო ჯამში, სასურველი სტანდარტის მისაღწევად ხაზინის აღსრულების სისტემა საჭიროებს მოდერნიზებას.
3. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს წინა წლების გამოცდილება, ხარჯების ათვისებაში შეფერხებებზე მოახდინოს დროული რეაგირება და პოლიტიკის ადეკვატური ცვლილებები.

Maia Gelashvili
Associate Professor
at New Higher Education Institute

The problem of the utilization of the budgetary funds

Abstract

The improvement and development of financial relations in any country is impossible without development of an effective tax system which is directly linked to the development of the country. Underutilization of the budgetary resources is caused by two basic reasons: non-appropriate performance of budgetary institutions and wrong planning of the budget. Implementation of the following important activities can play an enormous role in terms of resolving the problems: a) ministries should pay more attention to the cash expenditure management that requires modernization of the Budget Execution System and b) the government should consider the experience of previous years and provide timely response to the constraints related to the utilization of the financial resources and adequate political changes.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მესხია, რ. ბასარია, საქართველოს სისტემის სრულყოფის საკითხები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2011.
2. დ. ნარმანია, საქართველოს საჯარო ფინანსების მდგომარეობა და ტენდენციები, ჟურნალი „ლიბერალი“ თბ., 2010.
3. www.mof.ge
4. www.nplg.gov.ge
5. www.bpn.ge



ნინო მაზიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტეთჩერისეული ეკონომიკური დერეგულაცია ფინანსურ და ფრომით ბაზარზე

მარგარეტ რობერტსი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში და ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციის წევრი გახდა. მალე ის ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს და ეს მის ცხოვრებაში ერთ-ერთი პირველი დიდი წარმატება იყო. 1947 წელს მარგარეტმა გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა და მეორე კლასის მეცნიერებათა (ქიმია) ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა. 1970-74 წლებში კონსერვატორები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ტეთჩერი ჰიტის კაბინეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დანიშნეს. ამ პოსტზე მუშაობა მან დაწყებითი კლასების მოსწავლეების რძით უფასოდ კვების გაუქმებით დაიწყო. მხოლოდ ძალზე ღარიბისათვის იყო დასაშვები გამონაკლისი. ამით 19 მილიონი ფუნტი დაზოგა. საპასუხოდ მოსახლეობის პროტესტი მიიღო. ენყობოდა დემონსტრაციები მისი გადადგომის მოთხოვნით. პრესა მას ეძახდა დედას, რომელმაც შვილებს რძე წაართვა. ამის მიუხედავად ტეთჩერმა გააძვირა სკოლის საუზმე, რომლის ფასი დიდი ხანი არ შეცვლილიყო. გარდა ამისა, მან ბრძოლა გამოუცხადა სასკოლო რეფორმას, რომელიც ლეიბორისტებმა წამოიწყეს. ამის გამო პარლამენტში უკანა სკამებზე მსხდომი ლეიბორისტები სესიების დროს გამუდმებით ლანძღავდნენ ტეთჩერს. მისდამი აგრესია მოსახლეობისა და ოპოზიციის გარდა, თვით მთავრობაშიც იზრდებოდა. მარგარეტს კოლეგა მინისტრების ცოლებიც კი ვერ იტანდნენ. ტეთჩერი ყოველგვარ შეურაცყოფას გმირულად იტანდა და ჯიუტად ატარებდა ეკონომიის პოლიტიკას.

1979 წელს მარგარეტ ტეთჩერი პრემიერად აირჩიეს. თავიდან დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. მან შეასუსტა პროფკავშირები, შეამცირა საჯარო დანახარჯები, სახელმწიფო ორგანიზაციების პრივატიზება მოახდინა და ცენტრისტული კონსერვატიული პარტია უკიდურესად მემარჯვენე გახადა. ბრიტანეთში ლეიბორისტთა 13-წლიანი მმართველობის ხანა დასრულდა. ქვეყნის სათავეში კონსერვატორები დაბრუნდნენ. მარგარეტ ტეთჩერმა ჩაიბარა ევროპული სახელმწიფო, რომლისთვისაც უკვე დაესვათ არასახარბიელო დიაგნოზი, სახელად „ბრიტანული ავადმყოფობა“. ქვეყანა იმკიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში აღებულ სოციალისტურ კურსს, საყოველთაო კეთილდღეობის ქვეყნად გარდაქმნის წარუმატებელ მცდელობას. განვითარებული ქვეყნების რიგში მონინავე ადგილებიდან ჩამოქვეითებულ და სადღაც უკან მოჩანჩაღე ბრიტანეთს ტეთჩერმა 11

ნელინადში დაუბრუნა უწინდელი დიდება. „კუნძული“ აღარ იყო დაკარგული. აღდგა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა. ასე დაიწყო ევროპის პირველი და ინგლისის ერთადერთი ქალი ხელისუფალის (დედოფლებს თუ არ ჩავთვლით) პრემიერობა, რომელმაც 11,5 წელს გასტანა. ამდენ ხანს ამ პოსტზე მე-20 საუკუნეში არავინ მჯდარა. 1976 წელს მარგარეტ ტეთჩერი საბჭოთა კავშირს აკრიტიკებს, რის გამოც სსრკ-ს თავდაცვის სამინისტროს გაზეთი „ნითელი ვარსკვლავი“ მას „რკინის ქალს“ არქმევს. ბრიტანული გაზეთები იჭერენ ამ მეტსახელს და ინგლისური მანერით ტეთჩერს „რკინის ლედის“ არქმევენ.

ეკონომისტი ირვინ სტელცერი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მოსახლეობა ლეიბორისტების დროს, თითქოს შეეგუა ქვეყნის ეკონომიკურ დაკნინებას. მთავრობა ფერად სიზმრებშიც აღარ ოცნებობდა ვითარების გამოსწორებაზე. ისინი უბრალოდ ცდილობდნენ დეგრადაცია გაეკონტროლებინათ, კატასტროფა გადაევადებინათ. მთავრობა თითქოს მძევლად აეყვანათ გავლენიან პროფკავშირებს. აიძულებდნენ, შეენახა არამომგებიანი სანარმოები და ხელოვნურად შეენარჩუნებინა არაპროდუქტიული სამუშაო ადგილები. ფართო სამთავრობო სუბსიდიებმა და უყაირათო ხარჯვამ ბოლოს და ბოლოს გაარღვია ბიუჯეტი. როგორღა უნდა დაეფარათ დეფიციტი და შეენახათ ნაფერები სოციალური უზრუნველყოფის სისტემა? გადასახადების გაზრდით. შრომის პარტია ნამდვილი ინგლისელი დენდივით იქცეოდა, ვალებს იღებდა და პროვინციელი გოგონების თვალების ასაბმელად ჯიბეზე ხელის გაკვრას არ იზარებდა. ბრიტანეთს ყოველ წელს 160 მილიონი გირვანქის სესხება უწევდა და მალე სამთავრობო ვალმა ტრილიონ გირვანქას მიაღწია. 1970-იან წლებში და 80-იანის დასაწყისში ბრიტანეთის ეკონომიკა ვერაფრით დაიკვეხნიდა – უკონტროლო ვითარება მრეწველობის სექტორში, გახშირებული გაფიცვები...

1979 წლისათვის მინიმალური საშემოსავლო გადასახადი 33%, ხოლო უმაღლესი – 98% იყო. ასეთი ტარიფის პირობებში ძნელია, დოვლათის დაგროვებაზე იფიქრო. ბრიტანული პრესა ხშირად გადმოცემდა, რომ უდიდესი კორპორაციების წამყვანი მენეჯერები უარს ამბობდნენ დაწინაურებაზე. შეძლებული ადამიანები ცდილობდნენ საკუთარი სიმდიდრე და საქმიანობა სხვა ქვეყნებში გადაეტანათ.

ტეთჩერს სურდა ინგლისისათვის პრესტიჟი და სიძლიერე დაებრუნებინა. ამისკენ გზას კი იმაში ხედავდა, ქვეყნის თითოეული მოქალაქე იძულებული გაეხადა რომ ეშრომა. მას სასტიკად სძულდა უსაქმურობა და სისუსტე, უარყოფდა სოციალიზმს, ყოველგვარ სუბსიდიას და დახმარებას ლარიბთათვის. ამიტომ პრემიერობის დროს, პირველი კანონით შემწეობები მინიმუმადე დაიყვანა, რითაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინგლისის საზოგადოების მტკიცე პროტესტის მიუხედავად, ტეთჩერი ამცირებდა სახელმწიფო ხარჯებს და ზრდიდა გადასახადებს. დიდი ბრძოლით მან მიაღწია ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფისგან ეხსნა, რომელშიც ლეიბორისტთა გაუთვლელმა სოციალურმა პროექტებმა მოაქცია. სასტიკი ეკონომიკური და წარმატებული საგარეო პოლიტიკით ტეთჩერმა ბრიტანეთი საერთაშორისო ასპარეზზე დააბრუნა.

როდესაც ტეთჩერს ჰკითხეს, – თუ რა იყო მის ჰობი? უპასუხა – პოლიტიკა. მისთვის ცხოვრებაში არაფერი იყო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო. „მე არასდროს დავიღლები პრემიერ-მინისტრობით“, – ამბობდა იგი. მარგარეტი მუდამ მუშაობდა. მეგობრები ძალიან ცოტა ჰყავდა, რადგან მათთვის ვერასდროს იცლიდა. დასვენებით მხოლოდ კვირაობით ისვენებდა. ზაფხულობით შვეებულების აღებაზე კი მას დიდი გაჭირვებით ითანხმებდნენ.

ტეთჩერმა გამოიგონა პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების სერიები, რათა შემოებრუნებინა ბრიტანეთის დაღმასვლა. მისი პოლიტიკური ფილოსოფია და ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობოდა დერეგულაციას (კერძოდ, ფინანსური სექტორის), მოქნილ შრომის ბაზარს, სამთავ-

რობო მფლობელობაში მყოფი კომპანიების პრივატიზაციას, სავაჭრო კავშირების ძალისა და გავლენის შემცირებას. ტეთჩერის პოპულარობა პირველ წლებში საგრძნობლად მცირდებოდა რეცესიისა და მაღალი უმუშევრობის გამო, სანამ ეკონომიკის გამოცოცხლება არ დაიწყო და 1982 წლის ფოლკლენდის ომმა არ გაზარდა მისი რეიტინგი მსოფლიო მასშტაბით, რასაც მოჰყვა ხელახალი არჩევა 1983 წელს. ტეთჩერი მესამე ვადითაც აირჩიეს 1987 წელს, მაგრამ მისი სათემო გადასახადი იყო ძალიან არაპოპულარული და მისი შეხედულებებს ევროპულ კავშირზე არ იზიარებდნენ მისი კაბინეტის წევრები. ის გადადგა პრემიერის პოსტიდან 1990 წლის ნოემბერში.

1992 წელს მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაეტოვებინა ბრიტანეთის პარლამენტი, თუმცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ყოველ სახალხო გამოსვლაში ის 50 ათას დოლარს იღებდა. შემდეგ ის ლორდთა პალატის წევრი გახდა და ბარონესას ტიტულიც მიიღო. მარგარეტ ტეთჩერის კარიერასა და ცხოვრებას „უდრეკი ლედის“ ეპითეტი უფრო შეეფერება, რადგან ისტორიაში ძნელად მოიძებნება ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც, ტეთჩერის მსგავსად, არა მხოლოდ თეორიულად იყო საკუთარი პრინციპების ერთგული, არამედ პრაქტიკაში ახორციელებდა მათ და თითქმის ცხოვრების ყველა ეტაპზე წარმატებას აღწევდა. „არასოდეს დანებდეთ ბრძოლის გარეშე“, – ეს მისი დევიზი იყო.

კიდევ ერთი შტამპი, რომლითაც ის ბრიტანეთის ისტორიაში შევიდა, „ტეთჩერიზმია“, ანუ დიდი ბრიტანეთის პრემიერის ძირითადი პოლიტიკურ-ეკონომიკური ხაზი, თუმცა „ტეთჩერიზმი“ კლასიკურ ლიბერალურ ფასეულობებს ეფუძნებოდა. მისი აზრით, „ვერცერთი ქვეყანა ვერ აყვავდება, სადაც ეკონომიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას სახელმწიფო აკონტროლებს. ჩვენი ხარვეზების მიზეზი თავისუფალ მენარმეობაში არ არის. ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, რომ აქ ცოტა სოციალიზმია, არამედ ბევრი რომ არის, ესაა პრობლემა.“[1]

87 წლის ასაკში ინსულტის შედეგად დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბარონესა მარგარეტ ჰილდა ტეთჩერი გარდაიცვალა. ავტობიოგრაფიულ წიგნში ექსპრემიერმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სამსახურში საკუთარ ყველაზე დიდ დამსახურებად ბრიტანული პოლიტიკის კურსის შეცვლა მიაჩნია ზომიერი სოციალიზმიდან თავისუფალი ბაზრის მქონე საზოგადოებისკენ.

სასტიკი ეკონომიკური და წარმატებული საგარეო პოლიტიკით ტეთჩერმა ბრიტანეთი საერთაშორისო ასპარეზზე დააბრუნა. ჩერჩილის შემდეგ ბრიტანეთს ამოდენა საერთაშორისო გავლენა არ ჰქონია. სწორედ, ტეთჩერი ამოუდგა მხარში რეიგანს და ამ ტანდემმა საბოლოოდ საბჭოთა კავშირის დაჩოქება მოახერხა.

2007 წ. მარგარეტ ტეთჩერი გახდა პირველი პრემიერი, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი პარლამენტში. მისი ბრონზის ქანდაკება, მისივე კუმირის, ჩერჩილის ქანდაკების პირდაპირ დგას.

2009 წლიდან მოყოლებული ჯანმრთელობის ძლიერ გაუარესების გამო ტეთჩერი დაპატიჟების მიუხედავად აღარ მონაწილეობს საჯარო შეკრებებში. ევროპის პირველი და ბრიტანეთის ერთადერთი ქალი პრემიერის გზა დასასრულს მიუახლოვდა.

ტეთჩერმა მშვიდად მოახერხა ცვლილებების ყველა მიმართულებით ერთდროულად განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, მიხედა ინფლაციას. მას მოჰყვა საგადასახადო და პროფკავშირების რეფორმა, პრივატიზაცია და დერეგულაცია. თავიდანვე გაუქმდა თანხის გადაცვლის რეგულაციები, გაადვილდა მრეწველობისა და მომსახურების სფეროში საქმიანობისათვის საჭირო ნებართვების აღება. ფულის მინოდება მთავრობის კონტროლს დაექვემდებარა, რაც სამთავრობო ხარჯების შეზღუდვასაც გულისხმობდა. ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წელიწადში

ყველაზე დაბალი გადასახადი 25%-ს, უმაღლესი კი 40%-ს შეადგენდა. მოსახლეობა რეფორმებს მხარს არ უჭერდა. ტეთჩერს აკრიტიკებდნენ. პარლამენტიც ლამის აუმხედრდა. ერთხელ, საპარლამენტო დებატებისას, ლეიბორისტმა მაიკლ ფუტმა ტეთჩერს სთხოვა, თუნდაც ორი ადამიანი დაესახელებინა, ვინც მის ეკონომიკურ გეგმას ემხრობოდა. რკინის ლედიმ პატრიკ მინფორდსა (ბრიტანელი ეკონომისტი, რომელიც იცავდა ტეთჩერის ეკონომიკურ პოლიტიკას) და ალან უოლტერსზე (ტეთჩერის ეკონომიკური მრჩეველი 1981-1983 და 1989 წლებში) მიუთითა, მოგვიანებით კი ჟურნალისტებს გაანდო: გამიმართლა, სამის დასახელება რომ არ მთხოვესო. კერძო მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ბრიტანული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა გაიზარდა. საწარმოები კი მსოფლიო ბაზარზე დაბრუნდნენ და საკუთარი დაკარგული ნიშა დაიბრუნეს. წარმატებული პრივატიზაციის მაგალითია ნეიშენელ ფრეთ კონსორციუმი. მისი თითოეული აქცია თანამშრომლებმა ერთ გირვანქად იყიდეს 1982 წელს, ხუთ წელიწადში კი აქციების ფასი 22-ჯერ გაიზარდა. პრივატიზებული საწარმოებიდან გამოსარჩევია: ბრიტანეთის პორტების ასოციაცია, ბრიტანეთის აეროპორტების ასოციაცია, ბრიტიშ პეტროლიუმი (სახელმწიფოს წილი), ბრიტოილი, ბრიტიშ ტელეკომი, ბრიტიშ ეარვეისი. აგრეთვე მანქანათმშენებლობის გრანდები: როლს-როისი, ლენდ-როვერი და იაგუარი.

რეფორმების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, 1982-1990 წლებში, ბრიტანეთის ინდუსტრიის პროდუქტიულობა წლიურად, საშუალოდ, 4.9%-ით იზრდებოდა. 1973-1979 წლების 1.9%-თან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად 3.3%-ით მეტი იყო (1.3% 1973-1982 წლებში). უმუშევრობა თითქმის ორჯერ შემცირდა და ტეთჩერის წასვლის დღეს 6.2%-ს შეადგენდა. მაშინ ეს საუკეთესო მაჩვენებელი იყო ევროპის უდიდეს ეკონომიკებს შორის (გერმანია – 6.7%, საფრანგეთი – 9%, იტალია – 11%).

ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელმაც ამერიკის გარდა, ყველა ერზე მეტი ნობელის პრემია დაიმსახურა. რომელმაც გამოიგონა კომპიუტერი, მაცივარი, ელექტროძრავა, სტეტოსკოპი, ხელოვნური აბრეშუმი, ორთქლის ტურბინა, უჟანგავი ფოლადი, ტანკი, მინა, პენიცილინი და ა. შ.

სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს მოქალაქეებს. ასეთია ბრიტანული მემკვიდრეობა. ეს არის თავისუფალი ეკონომიკა. ის საუკეთესო საშუალებაა სიმდიდრის მოსახვეჭადაც და მთელი ქვეყნის ასაყვავებლად. წარმოება აღორძინების გზაზე უნდა დავაბრუნოთ, მოგება თუ არ იქნება, არც ინვესტიცია გვექნება და მომაკვდავი ინდუსტრია ისევ გუშინდელ სამყაროზე იქნება მორგებული, -ამბობდა მ. ტეთჩერი. შევინროებული ეკონომიკა უფრო ბიუროკრატიული ხდება ბიზნესმენები ხვდებიან, რომ უფრო ჭკვიანური იქნება ბიზნესი გააჩერონ, ან შეკვეცონ.

დიდი ბრიტანეთისთვის უპირველესი იყო ინფლაციასთან ბრძოლა. პირველი წარმატება ფასების დაკლება უნდა იყოს. ასევე წარმატება იქნება თუ გაიზრდება ეფექტიანობა. ახალი ტექნოლოგიები. ინგლისი ხომ ყოველთვის იყო ახალი კარგი გამომგონებელი. ეს ქვეყანა რისკიანი ვაჭრების წარმატებაზეა აშენებული, შორეულ ქვეყნებში რომ მოგზაურობდნენ და გაქონდათ საქონელი.

ტეთჩერის რეფორმები ეკონომიკითა და პოლიტიკით არ შემოფარგლულა. ბრიტანელი ჟურნალისტის, საიმონ ჯენკინსის თქმით, ტეთჩერმა შეცვალა არა მხოლოდ მოსახლეობის მოლოდინი მთავრობისადმი, არამედ თავად ხალხის შეხედულება საკუთარი თავის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის მიმართ. ბრიტანეთმა „ავადმყოფობის“ წინააღმდეგ ვაქცინა გამოიგონა და საკუთარ თავზე გამოსცადა. არ უძუნია. ფორმულა ყველას გაუზიარა. განკურნებამ მსოფლიო კვლავ ლიბერტარიანულ ტალღაზე მოაქცია. ყველა კონტინენტზე გეზი აიღეს ეკონომიკაში მთავრობის როლის შემცირებისაკენ. ტეთჩერის რეფორმებმა ჩინეთიც კი შთააგონა. ამ უკანასკნელმა 1980-იანი წლებიდან საკუთარი ეკონომიკის ლიბერალიზაცია დაიწყო, რომელიც მისი სწრაფი ზრდის უმთავ-

რეს წინაპირობად იქცა. მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სესხების გაცემის ერთ-ერთ პირობად ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის შემცირება მიიღო.

ტეთჩერის მტკიცე ხასიათი და თავდაჯერებული მმართველობის სტილი საგარეო პოლიტიკაშიც გამომჟღავნდა. პროფკავშირების წინააღმდეგ შეურყევლობამ, ფოლკლენდის დასაცავად ფლოტის გაგზავნამ, ევროგაერთიანებაში ბრიტანეთის პოზიციების დაცვამ და კომუნიზმთან შეურიგებელმა ბრძოლამ ტეთჩერს პრინციპული პოლიტიკოსის სახელი მოუტანა. ტეთჩერის პოლიტიკამ დაანახა ფოლადის ხელის მოყვარულ საბჭოთა კავშირს, რომ ევროპაში ანგარიშგასაწიფი და უკომპრომისო მონინააღმდეგე ჰყავდა. ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა ბრიტანეთს აღარ უტოვებდა თბილი საუბრების ფუფუნებას. მან გაამყარა ბრიტანეთის პოზიციები ევროგაერთიანებაში. ევროსკეპტიციზმის მიუხედავად, მას არ სურდა ქვეყნის გამოყვანა ამ ორგანიზაციიდან, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა შემდგომ ინტეგრაციასაც. იგი ევროკავშირს „უკანა კარიდან მომავალ სოციალიზმს“ უწოდებდა. ტეთჩერის აზრით, ევროგაერთიანების როლი უნდა შემოფარგლულიყო თავისუფალი ბაზრის ხელშეწყობითა და თანასწორი კონკურენციის უზრუნველყოფით. მას არ სურდა ერთიანი ევროპული მონეტარული კავშირის შექმნა, არ სწყალობდა ევროგაერთიანებისგან მომავალ ურიცხვ რეგულაციებს. თქვა კიდევც, – ბრიტანეთის მთავრობა იმისთვის არ შემიკვეცავს, რომ პასუხისმგებლობები ევროსტრუქტურებისათვის გადამეცაო. ბრიტანეთი წლების მანძილზე არ იშურებდა მსუყე გადარიცხვებს ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობისათვის. თუმცა, ფული უკან არ უბრუნდებოდა. ასეთი თავნებობა ევროპელებს ტეთჩერთან აღარ გაუვიდათ. ორგანიზაცია რამდენიმე წლის განმავლობაში ბრიტანეთს თანხებს უბრუნებდა – პროექტების სახით, რომლებიც გათვალისწინებული იყო ინდუსტრიული ცენტრების პრობლემების (მაგალითად, სანარმოო ნარჩენებით დაბინძურება) მოგვარებისა და ნაკლებად დასახლებული ტერიტორიების განვითარებისთვის.

წარმატებული პრემიერის იდეები ახლაც არ კარგავენ აქტუალობას. 2009 წელს, ბრიტანეთში საყოველთაო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ჟურნალმა პროსპექტმა ჩაატარა გამოკითხვა. გამოკითხულთა 49% თვლიდა, რომ მარგარეტ ტეთჩერი უკეთ შეძლებდა ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ვიდრე ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, დევიდ კამერონი (24%). მართალია, ბრიტანეთს ტეთჩერი აღარ ჰყავს, სამაგიეროდ, ახსოვს მისი რეფორმები, რომლებსაც სხვა ქვეყნებშიც აქტიურად იყენებენ სტაბილური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

ძნელად წარმოსადგენია სხვაგვარი ადამიანი, რომელიც ესოდენ მტკივნეულ და ფუნდამენტურ რეფორმებს შეეჭიდებოდა, რათა ბრიტანეთი ეკონომიკური და პოლიტიკური უფსკრულიდან გამოეყვანა. ეს რეფორმები – მასობრივი პრივატიზაცია, სოციალური პროგრამების შეკვეცა და ბევრი სხვა რადიკალური ცვლილება, რომელთაც „ტეთჩერის რევოლუციას“ უწოდებენ, დღემდე მწვავე დაპირისპირების საგნად რჩება ბრიტანეთში. მემარცხენე ძალებს არ წარმოუდგენიათ ტეთჩერზე უფრო საძულველი პოლიტიკური ფიგურა, ხოლო სხვებისთვის ის სწორედაც რომ გმირია, რომელმაც ქვეყანა სრულ განადგურებას გადაარჩინა.

Nino Maziashvili

*Doctor of Economics,
Associate Professor at Georgian
National University*

Thatcher's economic deregulation of financial and labor markets

Abstract

Margaret Thatcher involved in political activities in her youth, and became a member of the Oxford University Conservative Association. She was elected prime minister in 1979. Thatcher simultaneously made changes in all directions, first of all – to inflation. She subsequently reformed tax and trades union, privatization and deregulation. First of all, exchange regulations were abolished, and the process of giving necessary permissions to industry and service sector were simplified. Money supply went under government control, which meant limited government expenses. In several years, the lowest tax rate was 25%, and the highest – 40 %. She weakened the power of the trade unions and reduced public expenditure, privatized state organizations and made the Conservative Party extremely right-wing. Labour's 13-year reign ended and Conservatives returned to power. Margaret Thatcher took over the state, which had already had an unfavorable diagnosis, called "British Disease".

Thatcher wanted to regain prestige and strength to England. For that all the citizens had to work. She fiercely hated idleness and weakness. She rejected socialism, all Kind of subsidies and aids for the poor. That is why her first law was about reducing benefits to a minimum. This fact led British people to dissatisfaction. Despite the protest she reduced government expenses and increased taxes. She saved the country from economic disaster. By a successful foreign policy Britain returned to an international sphere.

გამოყენებული ლიტერატურა:

მ. ტეთჩერი, „როგორც თავად იტყოდა“, იენ დეილის რედაქციით.

<https://analitikuriblogi.wordpress>.

www.tabula.ge/ge/story/52893-tetcheris-revolucia.

ლელა ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-
პროფესორი

ადამიანური რესურსების გამოყენების მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკაში

შრომა წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგები და მთლიანად საზოგადოების განვითარების პროგრესი დამოკიდებულია ადამიანური რესურსების რაოდენობრივ, ხარისხობრივ მახასიათებლებზე, მათ ეფექტურად გამოყენებაზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ადამიანური რესურსების რამდენიმე განმარტება არსებობს, თუმცა ამ ცნების გასაგებად ყველა არსებული განმარტება საფუძველში ერთნაირია.

ადამიანური რესურსების ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სამუშაო ძალის, შრომითი რესურსების, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცნებებთან. სამუშაო ძალა ნიშნავს ადამიანის შრომის უნარს, მის შესაძლებლობებს. [1]

„ადამიანური რესურსები“ – „შრომითი რესურსების“ ცნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. შრომითი რესურსები მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილია, რომელიც ფლობს შრომისათვის საჭირო ფიზიკურ და ინტელექტუალურ უნარს, რომლის მეშვეობით აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს ან ეწევიან მომსახურებას. [2]

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების წინაპირობად, მთავარ საწარმოო ძალად გამოდის მოსახლეობა – ის ნაწილი, რომელსაც გააჩნია ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობა, რომელიც ადამიანს შრომის საშუალებას ანიჭებს. შრომისუნარიანი მოსახლეობა არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც შემოფარგლულია ასაკობრივი ზღვარით. შრომისუნარიანი ასაკის საზღვრები მოძრავი ხასიათისაა და განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური პირობებითა და ადამიანის ფიზიოლოგიური განვითარების თავისებურებებით. [4]

აღსანიშნავია, რომ „ადამიანური რესურსები“ სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც „ადამიანური კაპიტალი“. თუმცა, ცნებები „ადამიანური (შრომითი) რესურსები“ და „ადამიანური კაპიტალი“ სინონიმები არ არის. შრომითი რესურსები შესაძლოა გარდაიქმნას კაპიტალად, მაგრამ ამისათვის აუცილებელია შეიქმნას პირობები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური პოტენცილის რეალიზების შესაძლებლობებს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებში. ე. ი. თუ ადამიანი დასაქმებულია საზოგადოებრივ წარმოებაში, ხოლო შრომით რესურსებს მოაქვს რეალური შემოსავალი და ქმნიან სიმდიდრეს, მაშინ მათ შეიძლება ვუწოდოთ კაპიტალი. [5]

ჩვენი აზრით, „ადამიანური რესურსების“ სტრუქტურისა და არსის სრულად წარმოსადგენად აუცილებელია ვაჩვენოთ „ადამიანური კაპიტალის“ ფორმირების სტრუქტურა, რამეთუ იგი ყოვ-

ლისმომცველია. ადამიანური რესურსები თავისი შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე სამუშაო ძალა და ადამიანური კაპიტალი. ადამიანური კაპიტალი ხასიათდება ნიშნებით: ჯანმრთელობა, განათლება, პროფესიონალიზმი, ნიჭი, მობილობა. ადამიანური რესურსები კი ამ ნიშნებთან ერთად მოიცავს: თვითრეალიზაციის უნარს, ე.ი. აქტივობას, ორგანიზებულობას, შემოქმედებითობას, ადამიანებთან ურთიერთობის უნარს და ა.შ.

მოცემული სტრუქტურა ადასტურებს, რომ „ადამიანური რესურსები და კაპიტალი“ მჭიდროდაა გადახლართული. ე. ი. „ადამიანური (შრომითი) რესურსები“, „ადამიანური კაპიტალის ნაწილია, თუკი შექმნილია ამ გარდაქმნისათვის შესაბამისი პირობები.

ამგვარად, „ადამიანური რესურსები“ არის თითოეული ადამიანის ცოდნის მარაგი, ჩვევები და მოტივაცია; „ადამიანური კაპიტალის“ შემადგენელი ნაწილია და, ამავე დროს, არ არის სინონიმები, მაგრამ ფორმირების გარკვეული პირობების დროს შესაძლებელია გარდაიქმნას „ადამიანურ კაპიტალად“, შესაბამისად, მათი ფორმირების სტრუქტურა ერთმანეთის მსგავსია.

ადამიანურ (შრომით) რესურსებს მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით დასაქმებული მოსახლეობა, ასევე ის შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ მუშაობს. ადამიანური (შრომითი) რესურსების შემადგენლობაში ჩაირთვებიან შრომის ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობა და შრომის ასაკს გადაცილებული მომუშავე პირები (საპენსიო ასაკის პირები და მოზარდები), უცხოელი შრომითი მიგრანტები.

ადამიანური რესურსების უმეტეს ნაწილს შეადგენენ შრომის ასაკის მოსახლეობა. საქართველოს შრომითი კანონმდებლობით მათ მიეკუთვნებიან 16-64 წლის მამაკაცები და 16-59 წლის ქალები. მათი შემადგენლობიდან გამოირიცხებიან I და II ჯგუფის უმუშევარი ინვალიდები და პენსიონერები, რომლებიც იღებენ ასაკობრივ პენსიას შეღავათიანი პირობებით. შრომით რესურსებს ასევე მიეკუთვნებიან, ფაქტობრივად, მომუშავე პენსიონერები და 16 წლამდე მოზარდები. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რიგ ქვეყნებში მამაკაცების შრომის ასაკად ითვლება 16-59 წელი, ხოლო ქალებისა – 16-54 წელი. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა მომუშავეთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, გარდა ამისა, საჭირო გახდა ახალგაზრდა კადრების ადგილზე სწავლების ორგანიზაცია, რომელშიც დიდი როლი უნდა შეასრულოს აღნიშნულმა კატეგორიამ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მოიცავს შემოსავლის მომტან საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში დასაქმებულებს და უმუშევრებს, ისინი აქტიურად ეძებენ სამუშაოს და მზად არიან შეუდგნენ მას. [6]

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულმა გარდაქმნებმა განაპირობა ქვეყნის შრომითი რესურსების შემადგენლობის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ქვეყნის შრომითმა პოტენციალმა იწყო განუხრელად შემცირება. გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ ლიკვიდაციამდე მიიყვანა სანარმოთა უმრავლესობა. ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების მკვეთრად გაუარესებამ განაპირობა მოსახლეობის გაღიზიანება ქვეყნის გარეთ. სხვადასხვა მონაცემებით საქართველოდან გასულთა რიცხვი დაახლოებით 1,5 მლნ. კაცს აღწევს. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ შრომით მიგრანტთა 80-85% ქვეყანას ეკონომიკური მიზეზების გამო (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი) ტოვებს. ძირითადად ქვეყანას ტოვებს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა. შრომითი მიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად, არასპეციალობით, დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზეა დასაქმებული. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ვებგვერდზე მოთავსებული 2011 წლის მონაცემებით, საქართველოს ყოველწლიურად ყოველი 1000 ადამიანიდან ოთხი ადამიანი ტოვებს და, შესაბამისად, მიგრაციის ტემპით საქართველო მსოფლიოს 220 ქვეყანასა და დამოკიდებულ ტერიტორიას შორის ერთ-ერთ მონინავე, 31-ე ადგილზეა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომითი რესურსების ფორმირებაზე მომქმედ ძირითად ფაქტორებად, უპირველეს ყოვლისა, სახელდება ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარება. ამ მხრივ, საქართველოში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა. სულ უფრო საგანგაშო ხდება ნეგატიური დემოგრაფიული ტენდენციები. ზემოხსენებული ცენტრის 2011 წლის მონაცემებით, შობადობის მხრივ საქართველო 232 ქვეყანას შორის 179, ანუ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის სიკვდილიანობა, შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. შედეგად ნეგატიური დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები აუარესებენ მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმს და მათ ასაკობრივ სტრუქტურას, ეს კი ქვეყანას შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში უდიდეს პრობლემებს უქმნის.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2005 წელთან შედარებით აღინიშნება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილური ტენდენცია, თუმცა 2013 წელს დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება 13,8 ათასი კაცით, ანუ უკანასკნელ საანალიზო წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 0,3%-ით. 2014 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6,8 ათასი კაცით, მაგრამ 4,0 ათასი კაცით ჩამორჩება 2012 წელს, რომლის მიზეზიც უნდა ვეძებოთ, სწორედ, დემოგრაფიულ საკითხებში. ასე, 2005 წელს მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 4321,5 ათასი კაცი, 2006წ. – 4401,3 ათასი, 2007წ. – 4394,7 ათასი, 2008წ. – 4382,1 ათასი, 2009წ. – 4385,4 ათასი, 2010წ. – 4436,4 ათასი, 2011წ. – 4469,2 ათასი, 2012წ. – 4497,6 ათასი, 2013წ. – 4483,8 ათასი კაცი, 2014 წელს – 4490,6 ათასი კაცი. როგორც ჩანს, 2014 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა 2006 წელთან შედარებით დინამიკაში გაიზარდა 89,3 ათასი კაცით, ხოლო 2013 წელთან შედარებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაიზარდა მხოლოდ 4,0 ათ. კაცით.

ანალიზით დადგინდა, რომ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 2,7ათ. კაცით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა კი ამავე პერიოდში გაიზარდა 0,5 ათ. კაცით, რამაც განაპირობა ბუნებრივი მატება 11,5 ათ. კაცით. მიუხედავად ამ მაჩვენებლის ზრდისა, წინა 2011, 2012, 2013 წლებთან შედარებით, იგი ძალიან დაბალი მაჩვენებელია და ნეგატიურ დემოგრაფიულ ტენდენციებზე მიუთითებს.

ამასთან, 2005 – 2013 წლების პერიოდში აღინიშნება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კლება (სამუშაო ძალა 15-დან 65 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობა). ანალიზიდან გამომდინარე მართებულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მიზეზებიდან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ბუნებრივი მატების (შობადობის) შემცირება, სიკვდილიანობა და მიგრაციული პროცესების მატება.

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ზოგადი სურათის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ქვეყნის დემოგრაფიულ ცვლილებაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. მიუხედავად მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა 2014 წელს, 2006 წელთან შედარებით 6,0 ათასი კაცით, ეს იმდენად მწირია, რომ იგი ვერანაირად ვერ აისახება ქვეყნის მოსახლეობის ზრდაზე. ასეთი ტემპით ზრდის პირობებში, ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობამ რომ მიაღწიოს 1994 წლის დონეს (4924,9 ათასი კაცი) ჩვენი გაანგარიშებით საჭიროა თერთმეტი წელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქვეყანაში გაიზარდა მიგრაციის უარყოფითი სალდო 2006 წელს -12,1 ათასი კაციდან, 2013 წელს 21,9 ათას კაცამდე. რაც მიგვანიშნებს ისევ და ისევ ქვეყნის კრიზისულ მდგომარეობაზე, რომლის გამოც მოსახლეობა იძულებულია შემოსავლის საძიებლად გავიდეს უცხო ქვეყნებში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამის კოორდინატორის ინფორმაციით, სამწუხაროდ, ქვეყნიდან გასულთა რაოდენობის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. სხვადასხვა ექსპერტთა აზრით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველო დატოვა მოსახლეობის 15-25%-მა (ამ მაჩვენებელში იგულისხმება საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის აღწერით დადგენილი რაოდენობის შესაბამისი პროცენტი). [39]

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გაჭიანურებულმა ხასიათმა განაპირობა შრომითი რესურსების როგორც რიცხოვნობის შემცირება, ასევე მისი სტრუქტურული და ხარისხობრივი ცვლილებები. 2005 წელთან შედარებით ქვეყნის შრომითი რესურსები 1%-ით შემცირდა, შემცირდა ასევე წინა, 2013 წელთან შედარებით 1,2%-ით და 2014 წლის ბოლოსათვის შეადგინა მხოლოდ 2003,9 ათ. კაცი. ამასთან ერთად, ამავე პერიოდში შემცირდა დასაქმებულთა რიცხვი, დაახლოებით, ამდენივე პროცენტული პუნქტით, ანუ 2005 წლის 1744,6 ათასი კაციდან, 2014 წლის 1712,1 ათას კაცამდე. მოსახლეობაში ჩამოყალიბებული უმუშევრობის დონე შეადგენს 14,6%-ს, რაც 1 პროცენტული პუნქტით აღემატება 2006 წლის დონეს, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, ეს მაჩვენებელი რეალობისაგან შორსაა და არ გვაძლევს შრომის ბაზრის სწორად შეფასების საშუალებას. უმუშევრობა, ძირითადად, ციკლური ხასიათისაა, თუმცა მაღალია ასევე ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის დონეც. ამას ადასტურებს, ასევე მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევა “workforce skeels in the eyes of employees”.

ირკვევა, რომ საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 2005 – 2013 წლებში ცვლილებას განიცდის და ეს ცვლილება შეიძლება ტალღისებურად მივიჩნიოთ. თუ დავაკვირდებით, დასაქმებულთა რაოდენობა ხან იზრდება, ხან მცირდება. საბოლოოდ, 2013 წელს 2005 წელთან შედარებით დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა 32,5 ათასი კაცით. დინამიკაში დასაქმება განვითარდა შემდეგნაირად: 2008 წელს დაფიქსირდა დასაქმების ყველაზე დაბალი რიცხვი. ამ პერიოდში აღინიშნებოდა შემცირების ტენდენცია, იგი 2006 წელთან შედარებით შემცირდა 142,7 ათასი კაცით, ანუ – 8,2%-ით. 2009 წლიდან შეინიშნება დასაქმებულთა რიცხვის მატება და 2012 წლის მდგომარეობით მან შეადგინა 1724,0 ათასი კაცი, თუმცა ტენდენცია ვერ შენარჩუნდა და 2013 წელს შეადგინა 1712,1 ათასი კაცი. საქსტატის ინფორმაციით, ეს განაპირობა ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებლების შემცირებამ, რაც შეეხება სოფლის ტიპის დასახლებებს, მოსახლეობის აქტიურობის დონე უცვლელი დარჩა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, გარკვეულწილად, ასახვს შრომითი რესურსების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით. ამ მხრივ, ეკონომიკის ცალკეულ სექტორში დასაქმებულთა შორის მკვეთრი ვარდნა მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა. 2013 წელს წინა 2012 წელთან შედარებით, დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა 17,6 ათასი კაცით, ანუ 25%-ით.

აღნიშნულ პერიოდში სამუშაო ადგილები დაკარგეს ასევე მრეწველობაში, ელექტროენერჯის, აირის და წყლის განაწილების, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, სასტუმროების და რესტორნების, სახელმწიფო მართვის სექტორში დასაქმებულებმა. ამასთან, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა ვაჭრობის სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ უმუშევრად დარჩენილმა ადამიანებმა თავის გადასარჩენად ვაჭრობის სფეროს მიაშურეს. აღსანიშნავია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვის ზრდა 2012-2013 წლებში, რომელიც უკავშირდება ახალი მთავრობის მიერ დარგის განვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას.

ამგვარად, გამოვლინდა, რომ რეალურად დღევანდელ საქართველოში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს სოციალურად სამართლიანი საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ელემენტები. შედეგად მიღებულია ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე, მშპ-ის შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევაში არათანაბარზომიერი და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგნოზო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდება, ჯერ კიდევ მიუღწეველი რჩება.

Lela Zubiashvili

*Doctor of Economics, Assistant Professor
of Georgian Technical University*

The situation of utilizing human resources in Georgian economy

Abstract

The article assesses present employment conditions of the economically active residents. It is revealed that essential elements necessary for fair market economy do not function properly in Georgia. Hence, there is a high unemployment rate and a decreased number of Limited Companies. The causes of numerical reduction of labor resources and qualitative changes are detected.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001. გვ. 240.
2. შრომის ეკონომიკა, ნ. ლაცაბიძის რედაქციით, თბ., 2004. გვ.17.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2014. თბ., 2015.
4. Буланов В.С. Рынок труда /В.С.Буланов, Н.А.Волгин. – М.: Экзамен, 2003. – 480с.
5. Лысков А.Ф. Человеческий капитал: понятие и взаимосвязь с другими категориями // «Менеджмент в России и за рубежом». – 2004.
6. Рынок труда. Учебник. Под ред. В.С.Буланова, Н.А.Волгина. – М.: «Экономика», 2000. – 448с.

მანანა ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლელა ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ადამიანური რესურსების გამოყენება საქართველოს სამეწარმეო ბიზნესში

სამეწარმეო ბიზნესში ადამიანური რესურსების გამოყენების სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად დავეყრდენით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს. აღნიშნული მასალები დაეფუძნა სამეწარმეო სფეროში ადამიანური რესურსების გამოკვლევის დეკლარირებულ მონაცემებს და ორიენტირებული იყო სამეწარმეო ბიზნესში მათი გამოყენების განვითარების ტენდენციების შეფასებაზე. ამასთან ერთად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოვიკვლიოთ სამეწარმეო სფეროს განვითარების ტენდენციები 2004-2014 წლებში.

აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო აქტივობა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მენარმეობის განვითარებასთან. ამ მხრივ საქართველოში მენარმეობის ჩამოყალიბება რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, რომელთაგან ძირითადია:

- ბაზრის არასრულყოფილება;
- სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციის, მისი ფაქტიური მდგომარეობის და ამ ფენომენის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების სუსტად შესწავლა;
- სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის არასრულყოფილება და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის განუვითარებლობა;
- საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე;
- კორუფცია;
- ბიუროკრატიზმი;
- კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი. კრედიტები გაიცემა მოკლევადიანი, რაც არასაკმარისია წარმოების ორგანიზაციისათვის და, ფაქტობრივად, აფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვ.

საქართველოში მენარმეობის განვითარების შესახებ დეკლარირებული მონაცემებით, 2013 წელს 2004 წელთან შედარებით რეგისტრირებულ სანარმოთა რაოდენობა გაზრდილია – 4,6-ჯერ, ბრუნვა – 5,1-ჯერ, გამოშვებული პროდუქცია – 4,4-ჯერ, დღგ – 4,4-ჯერ, შუალედური მოხმარება – 4,3-ჯერ, ფიქსირებული აქტივები – 3,1-ჯერ, დასაქმებულთა რაოდენობა – 1,7-ჯერ, საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება – 3,7-ჯერ. ყურადსაღებია, რომ ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. უფრო მეტიც, 2009 წელს წინა 2008 წელთან შედარებით შრომის მწარმოებლურობა შემცირდა 3,4%-ით, თუმცა საშუალო ხელფასი ერთ დასაქმებულზე გაიზარდა

3,5%-ით. ხელფასის წინმსწრები ზრდა შრომის მწარმოებლურობის ზრდის მიმართ დაფიქსირდა მთელ საანალიზო პერიოდზე, რაც არღვევს ხელფასის ძირითადი ფუნქციების შესრულების პრინციპებს. ვფიქრობთ, ამის მიზეზები უნდა იყოს დასაქმებულთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, ბიზნეს საქმიანობის არასრულყოფილი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც, საბოლოო ჯამში, აისახება შრომის მწარმოებლურობის დონეზე.

ადამიანური რესურსების გამოყენების მნიშვნელოვანი მახასიათებელია დასაქმების სტრუქტურა, რომელმაც ეკონომიკური რეფორმების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. როგორც ცნობილი და აღიარებულია, ეს ცვლილებები სულაც არ არის პოზიტიური. რამდენადაც ცვლილებები დაიწყო პოლიტიკურად დამოუკიდებლობის მოპოვების წლებიდან, ამდენად სამეწარმეო სფეროს დასაქმების სტრუქტურის დინამიკის ანალიზისათვის 2013 წლის მონაცემები შევადარეთ 1990 წლის მონაცემებს. დაფიქსირდა, რომ 1990-2013 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმებულთა ხვედრითი წილი: მრეწველობაში 20,3%-დან 16,5%-მდე, სოფლის მეურნეობაში 25,2%-დან 1,8%-მდე, მრეწველობის დანარჩენ დარგებში 3,2%-დან 0,1%-მდე. სამაგიეროდ, დასაქმებულთა წილი გაიზარდა ვაჭრობაში 6,5%-დან 21,8%-მდე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 4,2%-დან 10,3%-მდე, მშენებლობაში 10,1%-დან 12,1%-მდე.

უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად არის მსჯელობა, რომ მატერიალურ [4] სფეროში რიცხოვნობის წილის შემცირებაში ცუდი არაფერია, ეს

ცხრილი 11

სამეწარმეო სფეროს დასაქმების სტრუქტურა 1990-2013 წწ.
პროცენტობით

დარგები	1990 წ. ¹	2013 წ.
სულ	100	100
მრეწველობა	20,3	16,5
მშენებლობა	10,1	12,1
სოფლის მეურნეობა	25,2	1,8
ვაჭრობა	6,5	21,8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4,2	10,3
მატერიალური წარმოების დანარჩენი დარგები	3,2	0,1
არამატერიალური წარმოება	30,5	22,6

– ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დეკლარირებულ მონაცემებზე დაყრდნობით

საერთო მსოფლიო ტენდენციაა. მაგალითად, აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელი დასაქმებული მოსახლეობის 1,5-2%, ასევე დასაქმებულთა წილი არ არის დიდ დამამუშავებელ მრეწველობაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აშშ-ის და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მატერიალური წარმოების სფეროში შრომის მწარმოებლურობა შესაბამისად 12,8-ჯერ და 8,9-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში. [1] ამდენად, საქართველოს მატერიალური სფეროს წარმოებიდან მომუშავეები უნდა განთავისუფლდნენ შრომის ეფექტურობის ზრდის კვალობაზე და არა წარმოების შეკვეცის ხარჯზე (რაც არ გამოირიცხავს გაკოტრებას), როგორც ეს განხორციელდა ჩვენს სამრეწველო სანარმოებში.

¹ მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი (ფორმირება და განაწილება), თბ., 1998. გვ.203.

როგორც ირკვევა, სამენარმეო ბიზნესში დასაქმებულთა შორის ნახევარზე მეტი მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული (52,6-60%), რომელთა ბრუნვამ 2013 შეადგინა 36240,3 მლნ. ლარი, რაც 2,1-ჯერ მეტია 2008 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ყურადღება გადავიტანეთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებზე. როგორც ცნობილია, მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ნებისმიერ ქვეყანაში, რამეთუ, იგი უზრუნველყოფს: მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელსა და მომსახურებას. ამასთან, იგი აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თემა აქტუალურია საქართველოში არსებული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში.

ანალიზით გამოვლინდა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი მსხვილ ბიზნესთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია. ირკვევა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში შექმნილი დამატებული ღირებულება სამენარმეო სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების მხოლოდ 20,6%-ია (2013წ.), ხოლო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9,3% (2013წ.) ამავე დროს, ამ სექტორის წილად მოდის სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა 42,7%.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ისა და გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარი, იაპონიისა კი – 70% მცირე საწარმოებში ინარმოება, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებთ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მენარმეობას თავისი წვლილი შეჰქონდა უმუშევრობის შემცირებაში. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2004 წელს ამ სექტორში დასაქმებული იყო 322779 კაცი, რაც ქვეყნის დასაქმებულთა 8,6% შეადგენს. მომდევნო წლებში სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულებში სტაბილურად იზრდებოდა და 2013 წელს შეადგინა 32,2%. ამან ძირითადად იმატა მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა სტაბილურად ზრდის ხარჯზე. რასაც ვერ ვიტყვით მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობაზე, რადგანაც, როგორც ჩანს, იგი დიდი დიაპაზონით შეიცვალა. ასე, საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2007 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7592 კაცით, ანუ 9,0%-ით, ხოლო მომდევნო 2008 წელს მომუშავეთა რაოდენობა შემცირდა 17341 კაცით, ანუ 18,9%-ით. შემდგომ 2009-2011 წლებში მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა და მიაღწია 103004 კაცს, რომელიც 2012 წელს შემცირდა 29343 კაცით და შეადგინა 73661 კაცი. ეს მაჩვენებელი 2013 წელს გაიზარდა და შეადგინა 97090 კაცი. რაც შეეხება მცირე საწარმოებს, აქ 2004 წლის შემდგომ პერიოდში (2007-2008) დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 20810 კაცით, რომელთაგან 4578 დასაქმებულმა 2010 წელს თავი დაანება საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ 2011-2012 წლებში ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ჯერ 64857, ხოლო შემდეგ – 28745 კაცით და შეადგინა 155396 კაცი, თუმცა 2013 წელს იგი შემცირდა 17048 კაცით და შეადგინა 138348 დასაქმებული. რესპოდენტთა გამოკითხვით დადგინდა, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა ასეთი ცვლილება უკავშირდება ამ საქმის უცოდინრობას, კერძოდ: ბიზნეს საქმიანობის უნარ-ჩვევების არ ცოდნას, რესურსების არასწორად განაწილებას, ბაზრის არცოდნას, საგადასახადო დისციპლინის არასაკმარისად ცოდნას და ბიზნეს საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი საკითხების ცოდნა – გაცნობიერებას.

საინტერესოა, სამენარმეო სფეროში დასაქმებულების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

როგორც ირკვევა, 2013 წლის დეკლარირებული მონაცემებით სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 21,8% დასაქმებულია ვაჭრობის სფეროში, ხოლო ამ დარგის მცირე საწარმოებში კი – 27,3%. ეს მაშინ, როცა დამამუშავებელ მრეწველობაში შესაბამი-

სად დასაქმებულია 15,4% და 13,1%. რასაც ვერ ვიტყვით, რომ ქვეყნისათვის კარგი მაჩვენებელია. ის ფაქტი, რომ სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან მეოთხედზე მეტი სავაჭრო სანარმოებზე მოდის, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომ საქართველოში არახელსაყრელი პირობებია წარმოების განვითარებისათვის, რაც მენარმეს უბიძგებს ბედი ვაჭრობის სფეროში ექიოს. წარმოების დაბალი დონე განაპირობებს იმპორტის გაუმართლებელ ზრდას, რომელიც, საბოლოო ჯამში, თვით წარმოების განვითარების დამამუხრუჭებელ მოვლენად იქცა, რადგან დანგრეული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება მეტისმეტად ძნელია. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში ვაჭრობის მაღალი ხვედრითი წონა, სწორედ, ამ რეალობის დამადასტურებელია. თუ 1990 წელს ვაჭრობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5,7% იყო, 1995 წელს 26,1%-მდე გაიზარდა. მომდევნო წლებში იგი რამდენადმე შემცირდა, მაგრამ 2013 წელს მაინც შეადგინა 15%. ამ დროს მრეწველობის ხვედრითი წონა 10% იყო, ნაცვლად 1990 წლის 23%-ისა.

ჩატარებული ანალიზი მეტყველებს ადამიანური რესურსების, კერძოდ კი, შრომითი პოტენციალის არასრულად და გაუაზრებლად გამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამენარმეო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ქვეყანაში უმუშევრობა (14,6%) კვლავაც დიდ პრობლემად რჩება. უმუშევრობის მიზეზებია: სამრეწველო წარმოების დაცემა, ინფლაცია, ინვესტიციების ნაკლებობა და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა და მოთხოვნა საქონელზე უკიდურესად შეზღუდულია. შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპიც მნიშვნელოვნად შემცირებულია. ასე, 2007 წელს შრომისნაყოფიერება 2004 წლის მიმართ გაიზარდა 2,1-ჯერ, 2008 წელს, წინა 2007 წელთან შედარებით, გაიზარდა 9,9%, 2009 წელს შრომის ნაყოფიერება არათუ გაიზარდა, არამედ პირიქით, წინა წელთან შედარებით შემცირდა 3,4%-ით. ამ წლის შემდეგ შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო და 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა 1,2%-ით. რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არასრულად გამოყენებით.

ზემოჩამოყალიბებული პრობლემების დაძლევის მიზნით საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამენარმეო ბიზნესის კადრებით უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ:

- სამენარმეო ბიზნესში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესების მიმართულებით, მიზანშეწონილია, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ძირითადი პარამეტრის შერჩევა, მასზე მოქმედი სავარაუდო ფაქტორების გამოვლენა, მათ შორის კორელაციური კავშირების დადგენა და მათემატიკური მოდელის დადგენა, რომელიც უმეტესწილად წრფივი პროგრამირების ამოცანით გამოისახება;

- შრომის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს კარიერული ზრდა წარმოადგენს. ამ საკითხზე უყურადღებობამ შესაძლოა კარიერული ზრდის ფაქტორი დემოტივატორად აქციოს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა საშუალო და დაბალი რგოლის ხელმძღვანელთა კარიერული მართვის პროგრამის შემუშავება;

- შრომის ბაზრის რეგულირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შრომითი რესურსების განვითარებისა და კვლავწარმოების სისტემის შექმნა. იგი უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაო ძალის დამაგრებას და მის რაციონალურ გამოყენებას, შრომითი დაზოგვის პოლიტიკის გატარებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობასა და ხარისხის მუდმივად ამაღლებას, დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კვალიფიციური სამუშაო ძალის იმპორტის გზით, ხელსაყრელი და ხელშემწყობი პირობების შექმნას შრომის ბაზარზე ახალგაზრდა თაობის მოსაზიდად.

Manana Zubiashvili

*Doctor of Economics. Professor
at Georgian Technical University*

Lela Zubiashvili

*Doctor of Economics. Assistant Professor
at Georgian Technical University*

The utilization of human resources in an Entrepreneurial Business in Georgia

Abstract

The present paper highlights the situation existing in an Entrepreneurial Business about the utilization of human resources. Some personnel staffing problems are detected in small and medium enterprises. Number of measures proposed in the article will help to resolve existing problems and improve the system of providing entrepreneurial business with personnel.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, 2 ნაწილი, თბ., 1999, გვ. 262.
2. მ. ტუხაშვილი, საქართველოს შრომითი პოტენციალი (ფორმირება და განვითარება) თბ., 1998. გვ. 203.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 2014; 2015.
4. Храпова Е.В. Кичанов Б.И. Трудовой потенциал: оценка динамики развития, резервы улучшения использования. Омск, 2014. С.148.

ნათია ბედუკაძე – მამაცაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსი-
ტეტის სატრანსპორტო და მანქანათ-
მშენებლობის ფაკულტეტის დოქტო-
რანტი

კორპორაციების ოპერატიული მართვა და მათი აქტივები

ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის წინაშე დგას პრობლემა, უმოკლეს ვადაში ოპერატიულად მართოს აქტივები. ეს დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით აქტივების დინამიურობასთან, ანუ მათი ერთობლიობის მუდმივად ცვლილებასთან.

კორპორაციის უფრო ეფექტური მართვისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ოპერატიული მართვის კონტური, რომელსაც მიეკუთვნება საწარმოო გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანები. ამ ამოცანებიდან აღსანიშნავია: მომარაგება, სასაწყობო აღრიცხვა, საკონსიგნაციო საქონლის ოპერაციები, საცალო ვაჭრობა და სხვ. ამასთანავე, კონტურის შექმნა მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების გადანყვეტისკენ: მიმდინარე ამოცანების ფორმულირება; საწარმოს საქმიანობის დროებითი ორგანიზაცია; საწარმოს ყველა რესურსის სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება; კორპორაციის განვითარებისათვის პირობების შექმნა, მისი ორგანიზაცია.

მოკლედ განვიხილოთ ეს მიზნები.

მიმდინარე ამოცანების ფორმულირება. ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას, გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით, კორპორაციის საქმიანობა განიცდის მუდმივ მერყეობას. კორპორაციის საქმიანობის სტაბილიზაციისათვის ხშირად წარმოიქმნება გარკვეული ამოცანების ოპერატიულად გადანყვეტის აუცილებლობა. არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიური სამუშაოს უმოკლეს ვადაში დაგეგმარების პროცედურა, მიმდინარე მონიტორინგი და საქმიანობის კონტროლი.

ხანგრძლივი მერყეობის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს გადანყვეტილება სამუშაოს დროებით რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამისათვის შეიძლება შეიქმნას კორპორაციის საქმიანობის დროებითი ორგანიზაცია.

საწარმოს ყველა რესურსის სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება. როცა აქტივების ერთობლიობა და რაოდენობა შეზღუდულია გამუდმებით წარმოიქმნება დეფიციტური რესურსების ოპერატიული გადასროლის საჭიროება უფრო მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმართულებით, კორპორაციის სტრატეგიის ჩარჩოების გამყარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, რესურსების გადანაწილების ძირითად კრიტერიუმად გამოდის მათი სრული, გამიზნული და თანაბარი გამოყენება.

საბრუნავი საშუალებების დაკავშირების მინიმიზაცია. საბრუნავი საშუალებების ეფექტურად გამოყენების დახასიათების ერთ-ერთი მაჩვენებელია მათი ბრუნვა, ე.ი. ბრუნვის სიჩქარის შემცირ-

რება. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად საბრუნავი აქტივების მართვისას გვევლინება საბრუნავი საშუალებების დაკავშირების მინიმიზაცია.

კორპორაციის განვითარებისათვის პირობების შექმნა, მისი ორგანიზაცია. კორპორაციის რესურსები, რომელიც იხარჯება ძირითად საქმიანობაზე, ისე უნდა განაწილდეს, რომ არსებობდეს რეზერვი საკუთარი განვითარებისათვის, სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად და სხვა ღონისძიებები, რომელიც გაამყარებს მდგომარეობას ბაზარზე.

ამასთან ერთად ოპერატიული მართვის სისტემის ფორმირებისათვის საჭიროა ძირითადი პრინციპების რეალიზაცია. ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია შემდეგი ძირითადი პრინციპები: დროულობის პრინციპი, რაციონალური სიზუსტის პრინციპი, დაჯგუფების პრინციპი, ძალაუფლების დელეგირების პრინციპი, ადაპტირების პრინციპი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი: **დროულობის პრინციპი** მდგომარეობს მართვის სუბიექტის ოპერატიულ რეაგირებაში მართვის ობიექტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფორმაციის ცვლილებაზე. გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული დროულად, ანუ მოვლენა და რეაქცია შეიძლება მასზე იყოს გადანაწილებული დროში, ვადით არაუმეტეს იმისა, რაც საჭიროა წარმოქმნილი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტისთვის. **რაციონალური სიზუსტის პრინციპი** მდგომარეობს იმაში, რომ პრობლემის გადაწყვეტის ხარჯები არ აღემატებოდეს იმ შესაძლო დანაკარგებსა და ზარალს, რომლითაც გამოწვეულია მომხდარი მოვლენა. **დაჯგუფების პრინციპი** მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციის საქმიანობის ზოგიერთი მოვლენა და პრობლემა შეიძლება დაჯგუფდეს მათი უფრო ეფექტურად გადაწყვეტისათვის. **ძალაუფლების დელეგირების პრინციპი** გულისხმობს, რომ განსაზღვრული თანამდებობის ხელმძღვანელი არ წყვეტდეს პრობლემებს, რომელიც მის კომპეტენციაზე დაბლა დგას და დაკავებული იყოს მხოლოდ შესაბამისი სირთულის პრობლემების გადაწყვეტით. **ადაპტირების პრინციპი** შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ ზოგიერთი სტანდარტული ქმედების ერთობლიობა ტიპიური პრობლემების გადასაწყვეტად, ანუ გავაკეთოთ ტიპიური სვლების ადაპტაცია ტიპიური პრობლემების გადასაწყვეტად.

ასე რომ, კორპორაციის მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისას, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, უნდა ფუნქციონირებდეს მისი მართვის ოპერატიული სისტემა.

ოპერატიული მართვა ეს არის მართვის ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედება მიმდინარე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და ობიექტის ძირითადი მახასიათებლების მოყვანა მისი საქმიანობის სტრატეგიის შესაბამისობასთან.

ჩვენ განვიხილავთ ოპერატიულ მართვას, როგორც მართვას უმოკლეს ვადაში, ამიტომ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას კორპორაციის ხელმძღვანელობამ ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმოს საბრუნავი აქტივების მართვას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ოპერატიული მართვის ძირითადი ასპექტები, ხოლო თვითონ ოპერატიული მართვის პროცესი უნდა შედგებოდეს რამდენიმე პარალელური პროცესის განხორციელებისგან.

კორპორაციის საწარმოო პროცესების ოპერატიული მართვის სისტემა შეიძლება იყოს ერთიანი ყველა საწარმოო პროცესისთვის, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს კორპორაციის მიმდინარე პროცესების სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნები და მკაფიოდ უნდა აღწეროს ტექნოლოგიური პროცესები.

კორპორაციების აქტივების სწორად მართვისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია, მისი ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი ფინანსური მდგომარეობის ხარისხის საფეხური. ანალიზის სქემა წარმოადგენს

იერარქიულ სისტემას, რომელშიც შედის სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. კორპორაციის საერთო მდგომარეობის ანალიზისათვის გამოიყენება მონაცემები, რომელიც მიღებულია ბუღალტრული ბალანსის ანალიზით და ფინანსური შედეგების ანგარიშებიდან.

დღეს მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა კორპორაციების წინაშე აყენებს ამოცანებს, რომლებსაც ადრე ისინი არ იხილავდნენ. ამ ამოცანებში შეიძლება გამოიყოს: კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება; იმ პროდუქციის გამოშვების მოთხოვნა, რომელიც შეესაბამება მყიდველის მიმდინარე მოთხოვნებს; რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების აუცილებლობა; მომწოდებელს, მწარმოებელსა და მყიდველს შორის კავშირების გაძლიერება.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ეხმარება სხვადასხვა მასშტაბის კორპორაციის ხელმძღვანელობას გადაჭრას ეს რთული ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის უფრო სწრაფად გაცვლისა და მათ საფუძველზე სწორი გადაწყვეტილებების მიღების გზით.

კორპორაციის მთელი ქონება შეიძლება იყოს კომპანიის საკუთრება ან იჯარით ჰქონდეს ალეზული. კორპორაციის ქონება, რომელიც მის საკუთრებაშია, აისახება ბუღალტრული ბალანსის აქტივში და კორპორაციის აქტივებად იწოდება. აქტივები არის ქონებისა და ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის ორგანიზაციას, ფირმას, კომპანიას. ამ სიტყვის ფართო გაგებით, აქტივი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელსაც აქვს ფულადი ღირებულება. მიღებულია აქტივების დაყოფა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად.

კორპორაციის აქტივები შეიძლება გავერთიანოთ ორ ჯგუფში: არასაბრუნავი აქტივები და საბრუნავი აქტივები. არასაბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება შემდეგი სახით: ძირითადი სახსრები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობა, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება და სხვ. საბრუნავი აქტივები ბუღალტრულ ბალანსში აისახება, როგორც: მარაგები; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადა აღემატება 12 თვეს; დებიტორული დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც არ აღემატება 12 თვეს; მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება, ფულადი სახსრები და სხვ.

არასაბრუნავი აქტივები გამოიყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათ მიეკუთვნება: ძირითადი ფონდები, არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები. ძირითადი ფონდები წარმოადგენს მატერიალურ საკუთრებას, რომელიც გამოიყენება საწარმოო და კომერციული საქმიანობისათვის და არ ექვემდებარება რეალიზაციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. არამატერიალურ აქტივს მიაკუთვნებენ უფლებას და არამატერიალურ რესურსებს, რომელიც კომპანიას ბაზარზე აძლევს უპირატესობას. მას მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, კომპიუტერული პროგრამები და სხვ. გრძელვადიანი ფინანსურ დაბანდებებს მიაკუთვნებენ ინვესტიციებს, ჩადებულს სხვა კომპანიის ფასიან ქაღალდებში (ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციები), ობლიგაციებს. ასეთი ფასიანი ქაღალდების შექმნა ჩვეულებრივ ხდება ერთ წელზე მეტი დროით ფლობის გათვალისწინებით.

საბრუნავი აქტივები გვევლინება ორგანიზაციის პოტენციური რესურსის ელემენტად, რომელიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო საქმიანობის უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად და გამოიყენება მომავალში ეკონომიკური მოგებისათვის. ეს არის აქტივები, რომლებსაც შედარებით სწრაფად გადააქვს თავიანთი ღირებულება ხარჯებზე, ისინი უნდა გადაიქცეს ნაღდ ფულად, ან იქნას გამოყენებული ერთი წლის განმავლობაში, ან პროდუქციის წარმოების ოპერაციული ციკლის განმავლობაში.

აქტივებისა და პასივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების მიღება პირდაპირ

არის დამოკიდებული ბაზრის მდგომარეობაზე. ამიტომ სახსრების დაბანდებისას კონსულტაცია უნდა გავიაროთ სპეციალისტებთან, რომელთაც შეუძლიათ გააკეთონ პოტენციური რისკების ხარისხიანი პროგნოზი.

ამრიგად, ოპერატიული მართვის სისტემის ძირითადი მიზანია წარმატებების მიღწევა არა კორპორაციის შიგნით, არამედ მის გარეთ. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იყოს სიტუაციური მიდგომა მართვისადმი, რომელიც დაფუძნებული იქნება შემდეგ მდგომარეობებზე: თუ როგორ წარმატებით შეეგუება კორპორაცია შიდა გარემოცვას: ტექნიკურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად; შეძლებს თუ არა კორპორაცია მისი არსებობისათვის შესაძლო საფრთხეების განჭვრეტასა და გამოცნობას; იქნება თუ არა მდგრადი კორპორაცია არასასურველი შიდა ქმედებებისადმი; შეძლებს თუ არა კორპორაცია მიიღოს მოგების მაქსიმუმი შექმნილი მდგომარეობიდან; როგორია ორგანიზაციული კულტურა: ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის ნორმები, ურთიერთქმედებების ტიპები და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივების მართვის დროს მისმა მფლობელმა სწორად გაანალიზონ საკუთარი სახსრები. მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუნდაც წარუმატებელი ინვესტირების ან მცდარი მართვის სტრატეგია არ მიიყვანს კორპორაციას ყველა აქტივის დაკარგვასთან.

Natia Bedukadze-Mamatsashvili
*PhD Student of the Faculty of Transportation
and Mechanical Engineering of Georgian Technical University*

Operational management of corporations and their assets

Abstract

In order to increase the effectiveness of corporation activities, it is essential for the managing operational system to operate properly. The present paper highlights some tasks and goals concerning manufacturing plans, basic principles of the system of operational management, classification of corporation assets and their description. While investing funds, corporations should define potential risks in advance. It is important that the owners distribute their own funds properly in the process of managing assets. This is the only way for a corporation to avoid a loss of all the assets, even if it turns out to be an unsuccessful investment or a false managing strategy.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ლიპარტია, მ. გელაშვილი, ნ. ჯღარკავა, ხ. ბერიშვილი, კორპორაციული ფინანსები, ტ. I, თბ., 2012.
2. ჯეიმს ს.ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაპოვიჩი უმცრ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
3. დ. გადელია, ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2010.
4. დ. გადელია, კორპორაციათა ფინანსები, თბ., 2006.
5. რ. კაკულია, ლ. ბახტაძე, გ. თუთბერიძე, კორპორაციის ფინანსები, თბ., 2009.
6. ნ. ლაზვიაშვილი, კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2015.
7. ბ. ბინაძე, კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009.
8. ზ. ლიპარტია, კორპორაციული ფინანსების მართვა, თბ., 2009.
9. Корпоративное управление, авт.коллектив, перевод с английского, М. , 2007.
10. Ли Ч., Финнерти Д. , Финансы корпораций: теория, методы и практика, М., 2007.
11. In Search of Good Directors: A Guide to building Corporate Governance in the 21st Century. Third Edition. Center for international Private Enterprise, 2003.
12. Financial market and management: proceedings/ E. Zelvave(ed). Riga, University of Latvia, 2003.

განათლების მიმართულება

მარინე დონგუზაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

კულტურათაშორისი დიალოგი და პროქსემიკა ინგლისური ენის სწავლებაში

კომუნიკაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი სისტემისათვის. იგი თანამედროვე ორგანიზაციული სისტემის სწორი ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. კომუნიკაციათა ნაკადი განსაზღვრავს სოციალური განვითარების მიმართულებასა და დინამიკას. კომუნიკაციების სტრუქტურის, შინაარსისა და ნაკადის თვალსაზრისით შეიძლება გავანალიზოთ ყველა სოციალური პროცესი. ადამიანთა შორის კომუნიკაციის გარეშე თავად საზოგადოების არსებობა შეუძლებელი. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციურ პროცესთა ანალიზი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის ერთ-ერთი წესი და საშუალებაა. ფართო გაგებით, კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი ასპექტია.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო დიპლომების მოპოვების ხელშესაწყობად სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო სტანდარტის შესაბამისობა ევროსაბჭოს მიერ დადგენილ დონეებთან და მითითებულია, სწავლების რომელი საფეხური შეესატყვისება ევროსტანდარტის ამა თუ იმ დონეს.

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება, კერძოდ, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია მოსწავლეს:

- განუვითარდეს პლურილინგვური კომპეტენცია;
- განუვითარდეს სამეტყველო უნარები (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) ორ უცხოურ ენაზე;
- გამოუმუშავდეს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
- ჩამოუყალიბდეს დადებითი განწყობილება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების

მიმართ და გააცნობიეროს იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება;

- განუვითარდეს განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი;
- მოემზადოს თანამოღვაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან;
- განუვითარდეს ენების ეფექტურად სწავლის უნარი.

ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ეს ამოცანები სამ კატეგორიად დაიყოფა:

სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა:

- გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა;
- მართლწერისა და მართლმეტყველების საბაზისო ნორმების ცოდნა;
- უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობა;
- ტექსტის სახეებისა და მათი მახასიათებლების ცოდნა;
- წერის, მოსმენის, კითხვისა და ლაპარაკის ცოდნა.

სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება:

- სამეტყველო უნარ-ჩვევები;
- ენობრივი უნარ-ჩვევები;
- სტრატეგიული უნარ-ჩვევები;
- ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, როგორებიცაა: თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა.

დამოკიდებულებების ჩამოყალიბება:

- ინდივიდუალური მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
- კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;
- პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა;
- ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ;
- უცხოური ენების სწავლის სურვილი.

დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად უცხოური ენის სწავლება შვიდი მიმართულებით გაიშლება: **მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.**

ენის შესწავლის დროს შვიდივე მიმართულებას თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ გვინდა გავამახვილო ყურადღება იმ მიმართულებაზე, რომელსაც ვთვლით, რომ განსაკუთრებული როლი აქვს ენის შესწავლისა სხვადასხვა საფეხურზე. ეს არის კულტურათა დიალოგი.

უცხოური ენის სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამ-

დენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეცნიერო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც. სწორედ, ამ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება მიმართულება „კულტურათა დიალოგი“.

მოსწავლეთა ყურადღება გამახვილდება უცხო კულტურის თავისებურებებზე. მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, გამოთქვან შეფასებები, გაავლონ პარალელები საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან. ასეთი სახის აქტივობები მათ გაუღრმავებს კულტურული კუთვნილების განცდას, გააცნობიერებინებს კულტურულ მრავალფეროვნებას, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას. ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნებათმორის ურთიერთობებსაც. მეცადინეობებზე მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება ისაუბრონ საკუთარ თავზე, გამოავლინონ თავიანთი პიროვნების სხვადასხვა მხარე – იქნება ეს განცდები, გატაცებები, გემოვნება, შეხედულებები, ოცნებები, საყვარელი საქმიანობა, საყვარელი პერსონაჟები, ცხოვრებისეული ისტორიები, თვალსაზრისები თუ სხვა; ისინი გაეცნობიან თანაკლასელთა თუ უცხოენოვან თანატოლთა სულიერ სამყაროს და ამ გზით შეძლებენ განიცადონ საკუთარი და სხვისი ინდივიდუალურობის განუმეორებლობა, ისწავლონ სხვა პიროვნებათა დაფასება, ერთმანეთის მოსმენა, ურთიერთგაგება, ურთიერთთანადგომა. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს გახდნენ უფრო შემწყნარებელნი ერთმანეთისა და სხვების მიმართ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნათელი გახდა, რომ წმინდა ენის სწავლება არ არის საკმარისი. მხოლოდ ინფორმაციის კოდირება არ უზრუნველყოფს კომუნიკაციისა თუ ინტერაქციის დამყარებას ადამიანთან. საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომელიც ინგლისური ენის შესწავლისას საკმაოდ კარგად აღიარებული მიზანია, განისაზღვრება, როგორც ლინგვისტური და ქცევითი ერთობლივი კომპეტენცია. მოსაუბრის სრულყოფილი გაგება შესაძლებელია მხოლოდ ენისა და იმ კულტურის ცოდნის შემთხვევაში, რომელსაც ეკუთვნის და რომლისგანაც ამავდროულად გამომდინარეობს ენა. ის ფაქტი, რომ კულტურის არცოდნა/ცოდნის სიმწირე ხელის შემშლელი ფაქტორია კომუნიკაციაში, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს უცხო ენის შემსწავლელთა და ამ ენის მატარებელთა შორის, რადგანაც სამიზნე კულტურის ცოდნა გადამწყვეტ როლს თამაშობს მათ ურთიერთგაგებაში.

კულტურის გათვალისწინება ენის სწავლებისას დიდი ხანია ხორციელდება და ენასა და კულტურას შორის კავშირი დამტკიცებულია; კულტურაზე ორიენტირებული მსოფლმხედველობა აისახება ენაში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები ფიქრობენ და საუბრობენ მათი კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბაირამი დაკვირვების შედეგად ადგენს, რომ კულტურა წარმოადგენს მეორე ენის სწავლების „ფარულ“ სასწავლო პროგრამას და აღნიშნავს, რომ ენის სწავლება გულისხმობს კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებას, რადგან ენა მიუთითებს მოსაუბრეთა მიერ მსოფლიოს შემეცნებასა და აღქმას, კულტურისა და კულტურული სწავლების კონცეფციებს.

ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული ამ ენის სწავლება უაღრესი მნიშვნელობისაა საკომუნიკაციო კომპეტენციის მოპოვებისთვის შესასწავლ ენაში.

ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკული შედეგი შემდეგში მდგომარეობს:

1. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება ხელს შეუწყობს და გაუმარტივებს მოსწავლეებს ინგლისურ ენაში საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლებასა და უზრუნველყოფს მაღალი მოტივაციის შენარჩუნებას მათთვის.

2. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება გაზრდის მოსწავლეების კულტურულ თვითცნობიერებას; უცხო და მშობლიური კულტურის განსხვავებებისა და მსგავსების გაგება დაეხმარება მათ დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიმართ და გაამყარებს ტოლერანტობას განსხვავებულ კულტურებთან მიმართებაში.
3. კულტურაზე ორიენტირებული უცხო ენის შესწავლის პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტების კულტურული ცნობიერების გაზრდას, აქტივობებში ჩართულობას, განავითარებს სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას და ხელს შეუწყობს უცხო ენისა და კულტურის შერწყმულ სწავლებას.

4. ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი კულტურასთან დაკავშირებული მდიდარი ლექსიკა, აქტივობები, სტრატეგიები და მეთოდები დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების მიერ ლინგვოკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე.

მოსწავლეებში განსაკუთრებულ ინტერესსა და მოტივაციას აღძრავს შემდეგი ინფორმაციის გაგება, რომ არსებობს **სივრცე** კულტურათაშორის კომუნიკაციაში.

ჰოლმა სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანა ტერმინი „პროქსემიკა“, რომელიც კომუნიკაციის სივრცით ორგანიზაციასა და კულტურული სივრცის პიროვნებათაშორის ურთიერთობათა ხასიათზე განსხვავებული კულტურული ნორმებისა და სტერეოტიპების გავლენას ასახავს.

ცნობილია, რომ ლათინოამერიკელები და ევროპელები, ჩვეულებრივ გარემოში, ერთმანეთს სხვადასხვა მანძილზე ელაპარაკებიან. ლათინოამერიკელი საუბრისას, ჩვეულებრივ, ცდილობს სიახლოვეს იყოს მოსაუბრესთან, მაშინ როცა ევროპელმა მსგავსი სიტუაცია შეიძლება აღიქვას, როგორც მის პირადულ სივრცეში შეჭრა და შეეცდება უკან დახევას, პასუხად ლათინოამერიკელი უფრო მიუახლოვდება, რაც ევროპელისათვის აგრესიის გამოვლენად აღიქმება. ადამიანისათვის მიღებული სივრცითი საზღვრებიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთთან კონტაქტს აღიქვამენ ან მეგობრულად, ან აგრესიულად. ეს საზღვრები დამოკიდებულია არა მხოლოდ კულტურულად დადგენილ სტერეოტიპებზე, არამედ კონტაქტის მიმართ მის პირად დამოკიდებულებაზე.

ჰოლმა კომუნიკაციის ოთხი ზონა გამოყო:

პირველი – „ინტიმური“ ზონა – ზონა განაცალკევებს (უფრო სწორად, აერთიანებს) საკმაოდ ახლობელ ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ საკუთარი ცხოვრება მესამე პირს გაუზიარონ. ინტიმური ზონა შემოიფარგლება, დაახლოებით, 0-დან 40-60 სმ-მდე საზღვრებით. ამით აიხსნება ის სტრესი, რომელსაც ქალაქში მცხოვრები ადამიანები საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობისას იღებენ – მის ინტიმურ ზონაში ტაქტიანად, სენსორულად და ვერბალურად უცხო ადამიანთა დიდი რაოდენობა იჭრება, ამიტომ კონფლიქტები ტრანსპორტში ჩვეულებრივი ამბავია.

მეორე – „პიროვნული“ ზონა – შემოიფარგლება დაახლოებით 45-დან 120 სმ-მდე საზღვრებით. სწორედ ამ ზონაში ურთიერთობს ინდივიდი სხვა ადამიანებთან, რადგანაც ეს საუბრისათვის ყველაზე მისაღები დისტანციაა. სოციალურ კულტურულ სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ეს ზონა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. შემჩნეულია, რომ ქალაქის მაცხოვრებელი ურთიერთობისას ცდილობს შეამციროს დისტანცია, ხოლო სოფლისა – პირიქით, გაზარდოს. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც სოფლის შემთხვევაში სივრცე „სახლი“ გაცილებით დიდია, ვიდრე ქალაქში. სოფელში, ერთ ქუჩაზე მცხოვრებლებმა, საკმაოდ პირად საკითხებზე საუბარი შეიძლება გააბან პირდაპირ საკუთარი ნაკვეთებიდან. ამიტომ არის, რომ სოფლიდან ქალაქში გადმოსული ადამიანი ნაცნობს გზის მეორე მხარეს არა მარტო დაუძახებს, არამედ საუბარსაც გაუბამს. ქალაქში ურთი-

ერთობის წესების არცოდნა ხშირად ნეგატიურად („უზრდელი“, „უკულტურო“) ფასდება. ზუსტად ასევე ფასდება კონტაქტები კულტურათშორის ურთიერთობისას. კერძოდ, ტემპერამენტისანი ლათინო ამერიკელები ურთიერთობენ ზონაში, რომელიც მათთვის „პიროვნულია“, ხოლო ჩრდილო ამერიკელებისათვის იგივე ზონა – „ინტიმურია“. ამიტომ არის, რომ სამხრეთელები ჩრდილოეთელებს თავშეკავებულ და ცივ თანამოსაუბრეებად თვლიან, ხოლო ჩრდილოეთელები სამხრეთელებს – უცერემონიოსა და ძალზე აქტიურებად.

მესამე – „სოციალური“ ზონა – იგი განსაზღვრავს ფორმალური კონტაქტებისას ურთიერთობის დისტანციას (120-დან 260-300 სმ-მდე). ასეთი დისტანცია ძალზე ხელსაყრელია უცნობ ადამიანებთან ან ადამიანთა მცირე ჯგუფებთან ურთიერთობისას. ფორმალური ურთიერთობის სიტუაციაში შესაძლებელია პარტნიორის არა მარტო მოსმენა, არამედ დანახვაც. ასეთი დისტანცია რეკომენდირებულია საქმიანი შეხვედრებისას, თათბირებისას, პრეს-კონფერენციებისას და ა.შ. ვინაიდან სოციალური ზონა ესაზღვრება პიროვნულ ზონას, მთავარია შენარჩუნებულ იქნას დისტანცია, რადგანაც გაუმართლებელმა გადასვლამ სოციალური ზონიდან პიროვნულში, შესაძლოა კონტაქტზე ნეგატიური რეაქცია და კომუნიკაციის შეწყვეტა გამოიწვიოს.

მეოთხე – „საჯარო“ ზონა – კომუნიკაციის ეს ზონა იწყება 3-3.5 მეტრიდან და შემდეგ, ამ ზონას აგრეთვე უწოდებენ ღიას. ის გამოიყენება დიდ აუდიტორიასთან ურთიერთობისას, საჯარო ღონისძიებისას, მაგ., სახელმწიფო და რელიგიური ცერემონიებისას.

კომუნიკაციისას სივრცითი ფაქტორი შეიძლება ემსახუროდეს ბატონობა-მორჩილების დამოკიდებულების გამოხატვას. მაგალითად, როცა პოლიტიკოსები ან რელიგიის მსახურები მიმართავენ ხალხს, მათ შორის ხშირად ბარიერების, გადაღობვისა და დაცვის საშუალებით ხელოვნურად ზრდიან დისტანციას. ეს იმიჯმეიკერების ცნობილი ხერხია: იმისთვის, რათა „განადიდონ“ ვინმე, „გაზარდონ“ მისი სტატუსი, „წონა მისცენ“ მის სიტყვას, აუცილებელია შეიცვალოს კომუნიკაციის სივრცითი პარამეტრები. არის სხვა სიგნალებიც, რომლებიც მმართველ-ქვეშევრდომის დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგ., გერმანიასა და აშშ-ში ოფისის ზედა სართულები, როგორც წესი, განკუთვნილია ხელმძღვანელობისათვის, მაშინ როცა რუსეთსა და საფრანგეთში – ხელმძღვანელები ირჩევენ შენობის შუა სართულებს. ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მართვა და კონტროლი ხორციელდება ცენტრიდან.

ადამიანი ბავშვობიდან ითვისებს სივრცითი სიგნალების მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია მისი კულტურისათვის. თუმცა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მას არ შეუძლია ყოველთვის სწორად აღიქვას უცნობი სივრცითი სიგნალები, რომელიც შეიძლება გაუგებრობისა და კონფლიქტის მიზეზი გახდეს. შესაბამისად, სხვადასხვა კულტურაში, ხალხის რეაქცია ერთი და იმავე სივრცით სიგნალებზე თითქმის ყოველთვის განსხვავებულია. ქვეყნებში, სადაც ადამიანები კმაყოფილდებიან არც თუ ისე დიდი „პიროვნული“ სივრცით (სამხრეთ ევროპის ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი), ჩვეულებრივი მოვლენაა ქუჩაში ერთმანეთის შეხება, ბიძგები და ხელის კვრაც კი, ხოლო ჩრდილოეთ ევროპასა და აშშ-ში – ადამიანები გაურბიან ახლო დისტანციასა და შეხებას.

კულტურათშორისი გაუგებრობები მრავალი პრობლემის წყაროა. თუ არ გავიაზრებთ კულტურულ მრავალფეროვნებას, არ დავუფლებით ჩვენგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის ჩვევებს ან არ გვექნება ამის სურვილი, ჩვენი სამყარო გაცილებით უარესი გახდება. გარდა ამისა, კულტურათშორისი (კროს-კულტურული) ურთიერთობა ჩვენივე გამოცდილების გამდიდრების წყაროა, იგი სხვაგვარად დაგვანახებს უეჭველად მიჩნეულ საკითხებს.



Marine Donguzashvili
*PhD Student of the Faculty of Humanities
of Sokhumi State University*

The importance of Culture Dialogue and ‘Proxemics’ in English language teaching

Abstract

The present paper highlights the role and importance of culture-oriented English language teaching. In recent decades it has become clear that teaching English with only grammar rules and vocabulary is not enough as they cannot provide a student with appropriate skills for an efficient communication and interaction. We find great diversity in culture behaviors throughout the world. To understand people properly, it is crucially important to be aware of their culture not only the language.

Culture-oriented teaching will increase students’ cultural self-consciousness. Learning about the diversity of cultures provides students with the skills and knowledge for more effective communication in inter-cultural situations, as well as it will promote cultural understanding and a tolerance for diversity and differences.

გამოყენებული ლიტერატურა:

-
1. http://www.tpdg.ge/?action=page&p_id=109&lang=geo.
 2. <http://ncp.ge/files/ESG/2010%20wlamde/ucxouri%20enebi.pdf>.
 3. <http://socium.ge/downloads/samagistro/informaciuli-sazogadoeba-da-mediis-sociologia3.pdf>.
 4. <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/51985>.

ნინო ქითანავა

განათლების ადმინისტრირების
მაგისტრი

ავტონომიურობის ხარისხი ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც სისტემის დეცენტრალიზაციის მთავარი პრინციპი

შესავალი

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რომელიც საფუძვლად დაედო უკანასკნელი წლების განმავლობაში განათლების რეფორმას საქართველოში, გულისხმობდა საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობას საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, ბევრი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება საქართველოს განათლების სისტემაში განპირობებული იყო უფრო ფართო საერთაშორისო პროცესებით, რომლებსაც საქართველო ბოლო წლებში შეუერთდა. შედეგად საქართველოში საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა ბევრი ე. წ. ხედვის დოკუმენტი, რომელიც მოიაზრებდა კომპლექსურ ცვლილებებს სისტემის ყველა დონეზე. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობაც ქვეყნის განათლების სისტემის რეორგანიზაციაში – შესაძლებელი გახდა ერთდროულად ბევრი მიმართულებით სექტორში სწრაფი და კომპლექსური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. შესაბამისად, შეიქმნა სისტემის მართვის ახალი სტრუქტურული მოდელი, რომლის მიზანია უზრუნველყოს განათლების სისტემაში შემავალი ერთეულების ავტონომიურობის გაზრდა, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და განათლების სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

ძირითადი ნაწილი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირების შედეგად მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა სისტემის ძირეული მახასიათებლები და მოიცვა ზოგადი განათლების სისტემის ყველა მნიშვნე-

ლოვანი კომპონენტი. განათლების სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებად სისტემის დეცენტრალიზაცია დასახელდა. ე. ი. საგანმანათლებლო დაწესებულებების თავისუფლება დასახელდა პრიორიტეტად სახელმწიფოს მხრიდან, მთავარი პრინციპი რეფორმისა არის ავტონომიის მინიჭება. განვმარტოთ თავად ავტონომიის ცნება – ავტონომია „თვითმმართველობა“ ეს არის რესურსების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების სისტემა, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუციების კონტროლისაგან თავისუფალია. როდესაც ვამბობთ, ვილაცას რაღაცის გაკეთების თავისუფლება აქვს, ვგულისხმობთ, რომ მას ამის გაკეთების უფლება აქვს და ძალაუფლება. თავისუფლების ქონის პირობებში უნდა იყოს შესაძლებელი შესაბამისად მოქცევის საშუალება. ხშირ შემთხვევაში ძალაუფლებას თან სდევს სხვების მიერ იძულება და მანიპულირება ასარჩევი ალტერნატივების განსაზღვრისას. საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნარი და რესურსები სჭირდებათ რაციონალური არჩევანის გასაკეთებლად იმისთვის, რომ შეძლონ მიზნების მიღწევა. შესაძლებელია, საჯაროდ გაცხადდეს თავისუფლების შესახებ, მაგრამ უარი იყოს ნათქვამი თავისუფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მიწოდების ხელშეწყობაზე. ამ შემთხვევაში ბევრი არაფერი კეთდება თავისუფლებისათვის. თუ შევთანხმდებით იმაზე რომ ავტონომია უფლებას, ცოდნასა და ძალაუფლებას საჭიროებს, მაშინ მისი განხორციელებისათვის აუცილებელ და არასაკმარის პირობებამდე მივალთ. მიზეზი მარტივია. შეიძლება მხოლოდ არჩევანის შეზღუდულ ვარიანტებთან მიმართებით ვიყოთ თავისუფალი. მაგალითად, თავისუფლება იყოს მინიჭებული საშუალებების და არა შედეგების თვალსაზრისით.

განვიხილოთ დეცენტრალიზაციის ცნება – დეცენტრალიზაცია განისაზღვრება, როგორც გადანყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილების გადაცემა ორგანიზაციული იერარქიის ზედა დონიდან ქვედა დონეზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული ტენდენციაა განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია. დეცენტრალიზაცია შეგვიძლია განვასხვაოთ მისი ხარისხის მიხედვით და დავაჯგუფოთ სამ ძირითად ფორმად:

1. დეკონცენტრაცია – უფლებამოსილება განაწილებულია იმავე ცენტრალური ორგანიზაციის ქვედა ან რეგიონალურ დონეებზე. ეს დეცენტრალიზაციის ყველაზე სუსტი ფორმაა.

2. უფლებამოსილების დელეგირება – უფლებამოსილება გადაეცემა ნახევრად ავტონომიურ ერთეულებს, რომლებიც სრულიად არ კონტროლდებიან ცენტრალური ორგანოების მიერ, მაგრამ საბოლოო ჯამში ანგარიშვალდებულნი არიან. ეს დეცენტრალიზაციის უფრო ძლიერი ფორმაა.

3. დევიოლუცია – დეცენტრალიზაციის მესამე და ყველაზე ძლიერი ფორმა. გადანყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილება გადაეცემა მთლიანად ავტონომიურ ორგანიზაციებს.

დეცენტრალიზაციისადმი ინტერესი მსოფლიოში (1970-იან წლებში) სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა. ესენია: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორები.

1. პოლიტიკური – ცენტრალური მთავრობის როლის რეფორმულირება და შემცირება.

2. სოციალურ-ეკონომიკური – ნაციონალური მთავრობის გავლენას ამცირებს სუბნაციონალური ორგანიზაციების წარმოქმნა. ცენტრალურ მთავრობას სულ უფრო უჭირს სოციალური პროგრამებისათვის თანხების მობილიზება.

3. ტექნიკური – ტექნოლოგიების განვითარება იძლევა საშუალებას სისტემის გაკონტროლებსა დეცენტრალიზაციის მართვის პირობებში.

თუმცა, სხვადასხვა ქვეყნებში დეცენტრალიზაციის პროცესი სხვადასხვა მოტივითაა განპირობებული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მათ სამ კატეგორიაში დაჯგუფება:

1. პოლიტიკური მოტივი – გადანყვეტილებების მიღების პროცესში იმ ჯგუფებს ეძლევათ ჩართვის შესაძლებლობა, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები.

2. ფინანსური მოტივი – ცენტრალურ მთავრობას არ შეუძლია ან არ სურს უპასუხოს სისტემის ფინანსურ შესაძლებლობებს.

3. ეფექტიანობის მოტივი – ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილებების მიღება ამცირებს ერთი კონკრეტული შედეგების მიღწევისათვის საჭირო დანახარჯებს.

დეცენტრალიზაციის პოლიტიკის განხორციელებისას ქვეყნები აწყდებიან სხვადასხვა პრობლემებს. მათგან ყველაზე გავრცელებულია:

1. გაურკვეველობა იმაში, თუ ვის მიერ და რომელ დონეზე უნდა იქნას მიღებული ესა თუ ის გადანყვეტილება;

2. წარმომადგენლობითი და სამეურვეო საბჭოების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში, მმართველების მიერ მენეჯმენტსა და რეფორმირების პროცესში პროფესორ–მასწავლებელთა მონაწილეობის შესაბამისი უნარები ხშირად სუსტია და საჭიროებს განვითარებას;

3. დეცენტრალიზაციის პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების საჭიროებებისათვის შეუსაბამო დაფინანსება.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ქვეყნები ქმნიან სპეციალურ პროგრამებს და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროექტებს. დეცენტრალიზაციის მიზანს წარმოადგენს განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს განათლების მისაწვდომობის კუთხით უთანასწორობის შემცირებას, პროგრამების რელევანტურობის და ინოვაციურობის გაზრდას, პროგრამის მორგებას დამსაქმებელთა მოთხოვნებზე, ეროვნულ დონეზე კორუფციის შემცირებას.

განვიხილოთ კონკრეტულად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მდგომარეობა ავტონომიის ხარისხთან მიმართებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტონომია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს და განხორციელოს: 1. აკადემიური, 2. საფინანსო-ეკონომიკური და 3. ადმინისტრაციული საქმიანობა.

• აკადემიური თავისუფლება

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2006 წლის 30 ივნისს აკადემიური თავისუფლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის შესახებ რეკომენდაცია გაცა. დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტებია. აკადემიური თავისუფლება არის პროფესორის უფლება თავისუფლად, რეპრესიებისა და სამუშაოს დაკარგვისა შიშის გავლენის გარეშე ენეოდეს შემოქმედებით, კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. აკადემიური თავისუფლება იცავს არა მხოლოდ პროფესორს, არამედ სტუდენტს, დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალსაც, რომელთაც არა აქვთ ხარისხი, მაგრამ სწავლების პროცესში იღებენ, აზრების დაფიქსირება შეუძლიათ. აკადემიური თავისუფლება აუცილებელია მაღალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხარისხის მისაღწევად. აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში, აირჩიოს წარმომადგენლები დაწესებულების მართვის ორგანოებში, აგრეთვე ჩაერთოს ისეთი სახის გადანყვეტილების მიღებაში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას, უმაღლესი სასწავლებლის პოლიტიკის განსაზღვრას, კურიკულუმს, სამეცნიერო კვლევას, საქმიანობის გაფართოებას და სხვა მსგავს საქმიანობებს.

პროფესორს უნდა შეეძლოს არსებული ცოდნის კრიტიკა, სამეცნიერო კვლევების თავისუფლად განხორციელება, მოსაზრების შეუზღუდავად გამოხატვა. პროფესორის საქმიანობაში პოლიტიკური, რელიგიური ან კომერციული დაწესებულებების ჩარევა უნდა გამოირიცხოს. პროფესორის შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი თუ კვალიფიციური ორგანო შესაბამისი სფეროს ექსპერტების მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგენს, რომ პროფესორი არაკომპეტენტურია ან მისი საქმიანობა პროფესიული ეთიკის ნორმებს ეწინააღმდეგება.

- **საფინანსო-ეკონომიკური თავისუფლება**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებს. ესენია: ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე); ბ) გრანტის, შემომირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები; გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები; დ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები. უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო დაფინანსებას ე. წ. ვაუჩერული (გრანტი სტუდენტს) მოდელის მიხედვით იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მოდელის მიხედვით მოპოვებული დაფინანსება შემოსავლების მიღების გარკვეულ გარანტიებს ქმნის, უნივერსიტეტების ფინანსური დამოუკიდებლობა მაინც დაბალია, ვინაიდან უნივერსიტეტები კარგავენ შესაბამის დაფინანსებას სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისად, დაფინანსების ეს მოდელი ვერ უზრუნველყოფს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას და ეფექტურ ფუნქციონირებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სახით მიღებულ შემოსავალს მნიშვნელოვანი წილი უკავია როგორც სახელმწიფოსაგან მიღებულ მთლიან დაფინანსებაში, ისე უნივერსიტეტების მთლიან ბიუჯეტშიც. დაფინანსების მიზნით სამეცნიერო პროექტების შერჩევის წესი არ ქმნის ობიექტური შეფასების გარანტიებს. ვინაიდან სამეცნიერო კვლევების საგრანტო დაფინანსებას ახორციელებს მხოლოდ ერთი სსიპ – რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შესაძლებლობას სხვა სსიპ – სამეცნიერო ფონდების მეშვეობითაც. სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კერძო უნივერსიტეტების ვაუჩერული დაფინანსება იმ პირობებში, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ფაქტობრივად, შეზღუდული აქვთ სწავლის საფასურის დაწესების საშუალება, უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფალი კონკურენციისა და, შესაბამისად, უნივერსიტეტების ეფექტური საქმიანობის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დღემდე არ არის დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი და პირობები.

- **ადმინისტრაციული ავტონომია**

კიდევ ერთი და ალბათ ყველაზე მრავალმხრივი კომპონენტი სასწავლებელთა ადმინისტრაცი-

ციული მოწყობის საკითხია. უმნიშვნელოვანესია პასუხი კითხვებზე: ვინ მართავს? ვინ ირჩევს მმართველებს? რა მეთოდებით ირჩევენ? უნივერსიტეტის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურასთან დაკავშირებით არსებითად განსხვავდება სსიპ-ისთვის, აიპ-ისა და კერძო უნივერსიტეტისათვის კანონით დაწესებული რეგულაციები, რომლებიც გაცილებით მეტ შეზღუდვას გულისხმობს სსიპ-ის შემთხვევაში. რექტორის არჩევის პროცედურა, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს რექტორის დანიშვნის პროცედურას, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად განსაზღვრული აკადემიური საბჭოს წევრთა მცირე რაოდენობა და კანონის დათქმა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ სრული და ასოცირებული პროფესორის არჩევის შესახებ. კანონის ეს მოთხოვნა გამორიცხავს რექტორის არჩევის პროცესში ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოების პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობას. კანონით განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტის რექტორის საქმიანობის მაქსიმალური ვადა, ხოლო კერძო უნივერსიტეტებს ეს რეგულაცია არ ეხება. კანონით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის არჩევის პროცედურები, რაც ევროპული სისტემების მახასიათებლების გათვალისწინებით არ უნდა განვიხილოთ ავტონომიის შეზღუდვად. არსებითია, რომ პერსონალს შეარჩევენ თავად უნივერსიტეტები და ამას არ სჭირდება გარე მმართველობის ორგანოს თანხმობა. თუმცა, ბევრი ფაქტი მეტყველებს, რომ უნივერსიტეტები ამ ფართო ავტონომიას იყენებენ უნივერსიტეტებისვე საწინააღმდეგოდ, სუბიექტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. უნივერსიტეტებს აქვთ მაღალი ავტონომია კადრების დანიშნულების სფეროში, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული არსებითი ხასიათის შეზღუდვები. კერძო უნივერსიტეტებს აქვთ შეუზღუდავი დამოუკიდებლობა პერსონალის ხელფასების განსაზღვრის სფეროში. ზოგადად, ფართო შეზღუდვებია დაწესებული სსიპ-ების შემთხვევაში, ხოლო კერძო უნივერსიტეტები ყველაზე ნაკლები შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებენ, რაც უნივერსიტეტების თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირების არსებით ბარიერად უნდა იქნას განხილული.

დასკვნა

საგანმანათლებლო სისტემის ზოგადი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამართლებრივი დებულებების მყისიერი და ხშირი ცვლა. მნიშვნელოვანი ზოგადი პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის კანონით უფლებამოსილებების არაერთგვაროვანი რეგლამენტაცია, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ავტონომიის დონეც.

მიუხედავად რეფორმირების გზაზე წარმოქმნილი პრობლემებისა, დეცენტრალიზაციის პროცესი მიმართულია განათლებისა და მართვის ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სრული ავტონომია პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად მზადყოფნას გამოხატავს ყველა მხარე. როცა ჩამოყალიბებული პოზიცია არსებობს ურთიერთობის პრინციპებზე, შიდასტრუქტურულ მოწყობასა და სწავლის პროცესის შინაარსზე. დეცენტრალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილების მეტი ოპერატიულობით მიღება და კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულებით მოსარგებლეთა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინება.

Nino Chitanava
Master of
Education Administration

The degree of autonomy of educational institutions, as a main principle of a system of decentralization

Abstract

In the present article there is a discussion about one of the most important changes made by reforming an education system of Georgia: decentralization of the education system. The main principle of the reform is to give autonomy to educational institutions. Therefore, in this article we will clarify the concept of autonomy. It is also important to review its basic principles, objectives and trends.

Free and autonomous educational institution creates certain prerequisites for the decentralization of the structure, focused on individuals and a healthy learning environment. The role of education and development of the country is so great, that it becomes the target of strategic importance for prosperity and progress of the state. Accordingly, reformation of the education system is very delicate matter and is always paid attention, because it refers to all sectors of society.

According to the Law of Georgia on Higher Education, autonomy is when a higher educational institution and its basic educational units are eligible to define and implement academic, financial-economic and administrative activities independently. So, each of the above mentioned aspects will be discussed in this article.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.
3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი.
4. განათლების პოლიტიკის დოკუმენტი – სვიმონ ჯანაშია.
5. „ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში“, რეზო ხოფერია, ტაბულა 16.06.2013 “.
6. „უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება“, თამარ ზაალიშვილი.



გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;